

178  
1968/2



# სახჭრთა სამართალი

საქართველოს კვ. ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობა

1968

2



# საბჭოთა სამართალი

## № 2

მარტი—აპრილი

1968 წელი

გამოცემის XV წელი

საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს, პროკურატურისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული იურიდიული კომისიის ორგანო  
**ო რ თ ვ ი უ რ ი ქ უ რ ნ ა ლ ი**

### შ ი ნ ა ა რ ს ი

დ. გეგეშიძე — ლენინური დეკრეტი მოქმედებაში . . . . . 3

### კონტროლის ორგანოების 50 წლისთავისათვის

კ. შავიშვილი — სახალხო კონტროლის ორგანოები სოციალისტური სახელმწიფოს ინტერესების სადარაჯოზე . . . . .	10
ა. ბაქრაძე — სრულფასოვანი საბროკურორო ზედამხედველობა ოპერატიულ — სამძებრო საქმიანობისადმი . . . . .	18
ა. კობახიძე — მუშა-მოსამსახურეთა პირადი საკუთრების საცხოვრებელი სახლი სოფლად . . . . .	28
შ. რჩეულიშვილი — ხილბოსტნეულის სახელმწიფო დამზადების, გადამამუშავებისა და გასაღების სამართლებრივი საფუძვლების შესახებ . . . . .	38
ოფიციალური მასალა . . . . .	49
ვლ. აბრამიშვილი — ტერმინების „ხევისბერისა“ და „ხევისთავის“ შესახებ . . . . .	52

10.756

### სასამართლო პროცესის ისტორიიდან

გ. ხარატიშვილი — ა. თ. კონი და ვ. ი. ზასულიჩის სასამართლო პროცესი . . . . . 62

### მოწინავეთა კორტრეზები

ლ. ისაკაძე — სახელოვანი გზა . . . . . 67

### ქალთა საერთაშორისო დღისათვის

მ. ვაყელიშვილი — შრომისმოყვარე, სამართლიანი, მგრძნობიარე ქალი . . . . .	69
გ. შეთეკაური — ხალხური „სარკე თქმულთა“ . . . . .	72

### მოთხრობა

შ. გვეტაძე — ნაბრალი . . . . . 76

### პრინტიპა და გიგლიოგრაფია

ივ. სურგულაძე — საბჭოთა ისტორიოგრაფიის ძვირფასი შენაძენი . . . . .	79
მ. იაკობაშვილი — სახელმძღვანელო საბჭოთა სისხლის სამართლის განსაკუთრებულ ნაწილში . . . . .	85
ი. ფუტყარაძე — ნაშრომი ქართული საოჯახო სამართლის ისტორიის საკითხებზე . . . . .	88
ინფორმაცია . . . . .	92
ნეკროლოგი . . . . .	96



## СО ДЕРЖАНИЕ

Д. Гегешидзе — Ленинский декрет в действии . . . . . 3

### К 50-ЛЕТИЮ ОРГАНОВ КОНТРОЛЯ

К. Шавишвили — Органы народного контроля на страже интересов социалистического государства . . . . .	10
А. Бакрадзе — Совершенствовать прокурорский надзор над оперативно-розыскной деятельностью . . . . .	18
А. Кобахидзе — Жилой дом личной собственности рабочих и служащих в деревне . . . . .	28
Ш. Рчеулишвили — О правовых основах государственных заготовок, переработки и сбыта плодоовощей . . . . .	38
Официальный материал . . . . .	49
Вл. Абрамишвили — О терминах «хевисбери» и «хевистави» . . . . .	52

### ИЗ ИСТОРИИ СУДЕБНЫХ ПРОЦЕССОВ

Г. Харатишвили — А. Ф. Кони и судебный процесс В. И. Засулич . . . . . 62

### ПОРТРЕТЫ ПЕРЕДОВИКОВ

Л. Исакадзе — Славный путь . . . . . 67

### К МЕЖДУНАРОДНОМУ ДНЮ ЖЕНЩИН

М. Вакелишвили — Трудолюбивая, справедливая, чуткая . . . . .	69
Г. Шетекаури — Народное «Сарке ткмულა» . . . . .	72

### РАССКАЗ

Ш. Гветадзе — Трещина . . . . . 76

### КРИТИКА И БИБЛИОГРАФИЯ

И. Сургуладзе — Ценное приобретение советской историографии . . . . .	79
М. Якобашвили — Учебник по советскому уголовному праву (особ. часть) . . . . .	85
Я. Путкарадзе — Труд по вопросам истории грузинского семейного права . . . . .	88
Информация . . . . .	92
Некролог . . . . .	96

#### სარედაქციო კოლეგია

შვ. № 1310  
ტირაჟი 14.000  
შპ 06778

მ. კაციტაძე (მთ. რედაქტორი), ვ. აბაშმაძე,  
ო. ბაკურაძე, ბ. ბარათაშვილი, პ. ბერძენიშვილი,  
თ. დადიანი, გ. ინწკირველი, მ. ლომიძე,  
ვ. მაისურაძე, თ. წერეთელი, ს. ჯორბენაძე.

რედაქციის მისამართი: თბილისი, ათარბეგოვის ქ. № 32. ტელეფონი — 9-09-62

გადაეცა წარმოებას 21.III-68 წ., ხელმოწერილია დასაბეჭდად 29.V-68 წ. ანაწყობის ზომა 7X12; ქაღალდის ზომა 70X108; პირობით ფორმათა რაოდენობა 8,2; ფიზიკურ ფორმათა რაოდენობა 6.

საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა, თბილისი, ლენინის ქ. № 14,  
Типография изд-ства ЦК КП Грузии, Тбилиси, ул. Ленина, 14

## დენინუკი დეკრეტი მოქმედებები

დ. გეგუშიძე,

ფილოსოფიის მეცნიერებათა კანდიდატი

სინდისის თავისუფლების უზრუნველყოფა დემოკრატიზმის ერთ-ერთი აუცილებელი პირობაა.

სინდისის თავისუფლების მოთხოვნა თავდაპირველად აღმავალი ბურჟუაზიის მიერ პოლიტიკური ძალაუფლებისათვის ბრძოლის პერიოდში იყო წამოყენებული. ფეოდალური ურთიერთობის წინააღმდეგ ბრძოლის დროს ბურჟუაზია ოფიციალური რელიგიის წინააღმდეგაც ილაშქრებდა. კერძოდ, კათოლიკური ეკლესიის მოთხოვნას, თავის საკუთრებაში მოექცია ყოველივე, ბურჟუაზია პოლიტიკურ მოთხოვნებს უყენებდა; იგი მოითხოვდა ბურჟუაზიის კლასისათვის ძალაუფლების გადაცემას. კ. მარქსი მოხდენილად შენიშნავდა, რომ აღმავალი ბურჟუაზიის მიერ სინდისის თავისუფლების მოთხოვნა ვაჭრობის თავისუფლების მოთხოვნას უდრიდაო.

სინდისის თავისუფლების იდეა თავდაპირველად წამოყენებული იყო თომას მორისა და მიშელ დე მონტენის ნაშრომებში. ეს საკითხი განსაკუთრებით ბ. სპინოზას, ჯ. ლოკის, პ. ბეილის, ფრანგ მატერიალისტ—განმანათლებლების: დ. დიდროს, ჟ. ლამეტრის, პ. ჰოლბახის, კ. ჰელვეციუსის, მარქსამდელი მატერიალიზმის თვალსაჩინო წარმომადგენლის — ლ. ფოიერბახის, რუსი რევოლუციონერ-დემოკრატების ნაშრომებში იყო დამუშავებული. მაგრამ, საბოლოო ჯამში, მათ მიერ რელიგიის სოციალური ძირების გაუგებრობამ, სინდისის თავისუფლების საკითხიც გადაუჭრელი დატოვა.

მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსებმა დაასაბუთეს, რომ სინდისის თავისუფლების განხორციელება შეუძლებელია მანამ, სანამ არ მოიხსობა რელიგიური შეხედულებების არსებობის განმაპირობებელი მიზეზები, სანამ არ მოიხსობა რელიგიის სოციალური ძირები.

მარქსიზმის კლასიკოსებმა სინდისის თავისუფლების პრობლემა პარიზის კომუნის გამოცდილების განზოგადების შედეგად მოახდინეს. 1871 წლის 2 აპრილს პარიზის კომუნამ გამოსცა დეკრეტი სახელმწიფოსაგან ეკლესიის გამოყოფის შესახებ. დეკრეტით გამოცხადდა სინდისის სრული და შეუზღუდველი თავისუფლება, გაუქმდა კულტების ბიუჯეტი; ყოველგვარი მოძრავი და არამოძრავი ქონება, რომლებიც რელიგიურ კონგრეგაციებს ეკუთვნოდა საზოგადოებრივ საკუთრებად იქნა აღიარებული. გატარდა სათანადო ღონისძიებანი სკოლის ეკლესიისაგან გამოყოფის მიზნით.

კ. მარქსი ნაშრომში „სამოქალაქო ომი საფრანგეთში“ დიდად აფასებდა რელიგიის საკითხებზე კომუნარების მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებს. ამ გადაწყვეტილებებს იგი თვლიდა პროლეტარიატის დიქტატურის სახელმწიფოს მიერ რელიგიასთან და ეკლესიასთან ურთიერთობის საკითხის გადაწყვეტის ნიმუშად.

სინდისის თავისუფლების პრობლემის სრული და შემოქმედებითი გადაწყვეტა მოგვცა ვ. ი. ლენინმა. რუსეთში ეკლესიების საორგანიზაციო უფლე-



ბების საკითხი განსხვავდებოდა დასავლეთ ევროპის ქვეყნებში არსებული მდგომარეობისაგან.

რუსულ მართლმადიდებელ ეკლესიას გაბატონებული და კანონით შეუზღუდველი უფლებები ჰქონდა. მთავრობა ყველა მნიშვნელოვან საკითხს ეკლესიასთან ერთად სწყვეტდა; საეკლესიო ცხოვრებაში კი სახელმწიფო აქტიურ მონაწილეობას იღებდა. 1905 წლამდე რუსეთში მართლმადიდებლური რწმენიდან სხვა რწმენაზე გადასვლა კანონით ისჯებოდა. საშინელ დევნას განიცდიდნენ სექტანტები; მათი ლიდერები სოლოვეცკის, სპასო-ევემოვსკისა და სხვა მონასტრების ჯურღმულებში იტანჯებოდნენ. „ევროპის სახელმწიფოებიდან მხოლოდ რუსეთსა და თურქეთში დარჩა სამარცხვინო კანონი იმათ წინააღმდეგ ვინც სხვა, არა მართლმადიდებელ სარწმუნოებას აღიარებს“ — წერდა ვ. ი. ლენინი<sup>1</sup>.

ვ. ი. ლენინი სტატიამი „შინაური მიმოხილვა“ აკრიტიკებდა რა ორიოლის გუბერნიის თავადაზნაურობის წინამძღოლის მ. ა. სტახოვიჩის სიტყვას, მისი მოხსენებიდან მოჰყავდა რელიგიური სექტების სავალალო მდგომარეობის დამამტკიცებელი მაგალითი: „**შტუნდისტები ჩაკეტეს ეკლესიაში**, მოატანინეს მაგიდა, გადააფარეს სუფთა სუფრა, დაასვენეს ზეფ აბი და დაიწყეს თითოთითოდ გამოყვანა. — ემთხვეო!

— არ მინდა ვემთხვიო კერპებს... ჰოო! აქვე გაიწკებლოს. უფრო სუსტნი, პირველი დარტყმისთანავე, უბრუნდებოდნენ მართლმადიდებლობას. ზოგნი კი **ოთხამდე უძლებდნენ**“<sup>2</sup>.

ვ. ი. ლენინი ერთის მხრივ ააშკარავებდა რა რუსული მართლმადიდებელი ეკლესიის სახელმწიფოსთან მჭიდრო კავშირს და სექტების გაუგონარ შევიწროებას, მეორეს მხრივ მკაცრად აკრიტიკებდა ყველა იმ შეხედულებას, რომელიც ამ საკითხის არასწორ გადაწყვეტას ცდილობდა.

პარტიის ეკლესიისადმი დამოკიდებულების საკითხში ვ. ი. ლენინი აკრიტიკებდა როგორც ანარქისტულ, ასევე ოპორტუნისტულ, წვრილბუტყუაზიულ და ბლანკისტურ შეხედულებებს სინდისის თავისუფლების საკითხში. „ისინი, — წერდა ვ. ი. ლენინი, — რელიგიას ებრძოდნენ არა მისი მოსაბობის გულისათვის, არამედ განახლების, ახალი, „ამაღლებული“ რელიგიის შეთხზვის გულისათვის“<sup>3</sup>.

II ინტერნაციონალის ერთგურობის ყრილობაზე ვილჰელმ ლიბკნეხტმა, აგვისტო ბებელმა, კარლ კაუციმ და სხვებმა წამოაყენეს დებულჩა იმის შესახებ, რომ ლოზუნგი — „რელიგია არის პირადი საქმე სახელმწიფოს მიმართ“ იგივეა რაც ლოზუნგი — „რელიგია არის პირადი საქმე მუშათა პარტიის მიმართ“. ვ. ი. ლენინმა მკაცრად გააკრიტიკა საკითხის ასეთი გაგება და მიუთითა, რომ „რელიგია კერძო საქმედ უნდა იქნეს მიჩნეული სახელმწიფოს მიმართ, მაგრამ ჩვენ არავითარ შემთხვევაში არ შეგვიძლია რელიგია კერძო საქმედ მივიჩნიოთ ჩვენი საკუთარი პარტიის მიმართ“<sup>4</sup>.

ვ. ი. ლენინი იცავდა მარქსისტულ დებულებას სინდისის თავისუფლების

<sup>1</sup> ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 6, გვ. 500.

<sup>2</sup> ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 5, გვ. 363.

<sup>3</sup> ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 15, გვ. 493.

<sup>4</sup> ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 10, გვ. 84.

შესახებ რუსეთში სხვადასხვა ოპორტუნისტული და კლერიკალური გამობტლმებისაგან. ბროშურაში „კლასები და პარტიები მათს დამოკიდებულებაში რელიგიისა და ეკლესიისადმი“, ვ. ი. ლენინი დაწვრილებით არჩევს სახელმწიფო სათათბიროში გამართულ კამათს სინოდის ხარჯთაღრიცხვის საკითხზე. აკრიტიკებს და ამჟღავნებს კადეტების, ტრუდოვიკების ნილაბჩამოფარებულ მოთხოვნებს სინდისის თავისუფლების შესახებ და ასკვნის, რომ ეს საკითხი პრინციპულ სიმაღლემდე პროლეტარიატმა აიყვანა.

რუსეთის პროლეტარიატის როლი ვლადიმერ ილიას-ძის განმარტებით კიდევ უფრო მაღლდება იმიტომ, რომ თუ სინდისის თავისუფლებისათვის ბრძოლა ევროპაში ბურჟუაზიამ დაიწყო, რუსეთში ეს საქმე პროლეტარიატმა უნდა შეასრულოს.

ევროპაში ბურჟუაზიის პოლიტიკური გაბატონების შემდეგ სინდისის თავისუფლების საკითხმა დამახინჯებული სახე მიიღო. ფაქტიურად ეს საკითხი არ გადაჭრილა, პირიქით რელიგია ბურჟუაზიამ თავის სამსახურში ჩააყენა, კიდევ უფრო შეზღუდა რწმენის თავისუფლება. „რუსეთში კი სულ სხვა პირობებია, — წერდა ვ. ი. ლენინი, — პროლეტარიატი არის ჩვენი ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის ბელადი. მისი პარტია უნდა იყოს იდეური ბელადი ყოველგვარ შუასაუკუნეობრივთან, მათ შორის აგრეთვე ძველ, ოფიციალურ რელიგიასთან ბრძოლაში“<sup>5</sup>.

გამოსვლებში, სტატიებსა და ბროშურებში ვ. ი. ლენინი გამოდიოდა რწმენის სრული თავისუფლების მოთხოვნით. წერილში „სოფლის დარბებს“ ვლადიმერ ილიას ძე ასე აყალიბებს პარტიის კრედოს სინდისის თავისუფლების საკითხში: „ყველას უნდა ჰქონდეს სრული თავისუფლება არა მარტო აღიაროს რომელიც უნდა სარწმუნოება, არამედ გავრცელოს კიდევ რომელი სარწმუნოებაც სურს და გამოიცვალოს სარწმუნოება. ...არავითარი „გაბატონებული“ სარწმუნოება ან ეკლესია არ უნდა იყოს. ყველა სარწმუნოება, ყველა ეკლესია კანონის წინაშე თანასწორი უნდა იყოს“<sup>6</sup>.

ვ. ი. ლენინმა არა მარტო თეორიულად დაამუშავა სახელმწიფოსაგან ეკლესიის და ეკლესიისაგან სკოლის გამოყოფის საკითხი, არამედ პრაქტიკულად განახორციელა იგი ცხოვრებაში.

პროლეტარიატის დიქტატურის დამყარების პირველი დღეებიდანვე ახალგაზრდა საბჭოთა მთავრობა შეუდგა მეფის რუსეთში მოქმედი კანონების შეცვლას, კანონებისა, რომლებიც წლების განმავლობაში უზრუნველყოფდნენ უმცირესობის ბატონობას უმრავლესობაზე, განამტკიცებდნენ თვითმპყრობელობის მიერ ადამიანთა მატერიალურ და სულიერ ჩაგვრას. ადამიანთა სულიერი ჩაგვრისაგან განმათავისუფლებელი ერთერთი ასეთი კანონი იყო დეკრეტი „სახელმწიფოსაგან ეკლესიის და ეკლესიისაგან სკოლის გამოყოფის შესახებ“. ამ დეკრეტის გამოქვეყნებით განხორციელდა აზროვნების ისტორიის თვალსაჩინო, პროგრესულად მოაზროვნე ადამიანების სანუკვარი ოცნება-სინდისის თავისუფლება; სახელმწიფოს გამოეყო ეკლესია და ეკლესიას სკოლა.

„სახელმწიფოსაგან ეკლესიის და სკოლის ეკლესიისაგან გამოყოფის“ დეკრეტის მიღებამდე, საბჭოთა მთავრობამ ვ. ი. ლენინის უშუალო ხელმძღვანე-

5. ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 22, გვ. 456.

6. ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 6, გვ. 500-501.

ლობით განახორციელა მთელი რიგი ღონისძიებანი სახელმწიფოს და ეკლესიის ურთიერთდამოკიდებულების მოსაგვარებლად.

1917 წლის 26 ოქტომბერს საბჭოების II ყრილობაზე მიღებულ დეკრეტში „მიწის შესახებ“ აღნიშნული იყო, რომ საეკლესიო, სამონასტრო და ა. შ. მიწა სახალხო საკუთრებად გამოცნადდა. რელიგიური ორგანიზაციების საკუთრებაში არსებული მიწები ხალხს უსასყიდლოდ გადაეცა. მიწაზე საეკლესიო საკუთრების მოსპობა, რომელიც „მიწის შესახებ“ დეკრეტით გადაწყდა, შესაბამისად აისახა დეკრეტში „სახელმწიფოსაგან ეკლესიის და ეკლესიისაგან სკოლის გამოყოფის შესახებ“.

1917 წლის 2 ნოემბერს გამოიცა „რუსეთის ხალხთა უფლებათა დეკლარაცია“. ამ დეკლარაციის თანახმად გაუქმებული იქნა „ყოველგვარი სახის ნაციონალური და ნაციონალურ-რელიგიური პრივილეგიები და შეზღუდვები“. მოხდა სხვადასხვა ეროვნებათა უფლებების გათანასწორება და უზრუნველყოფილ იქნა სხვადასხვა რწმენის მიმდევართა თანასწორობა. მოისპო რუსული მართლმადიდებელი ეკლესიის ბატონობა სხვა რწმენის ორგანიზაციებზე. ყველა რწმენა, ყველა რელიგია ერთნაირი უფლებით სარგებლობენ.

1917 წლის დეკემბრიდან, ახალგაზრდა საბჭოთა მთავრობის კანონმდებლობის თანახმად, ყველა საბჭოთა მოქალაქეს ნება ეძლეოდა საეკლესიო ქორწინება ჩატარებინა. მაგრამ იურიდიული ძალა სამოქალაქო ქორწინებას მიეკუთვნა.

ადგილობრივ საბჭოებთან შეიქმნა ქორწინების და დაბადების სარეგისტრაციო განყოფილებები. ისინი სცემდნენ ცნობებს დაბადების და ქორწინების შესახებ, საეკლესიო ქორწინების და მონათვლის ფაქტებზე მიუთითებლად. ეკლესიის უფლებებიდან დაბადების და ქორწინების აღნიშვნის ლიკვიდაციამ სათანადო როლი შეასრულა რელიგიის გავლენისაგან ხალხის განთავისუფლების საქმეში.

1917 წ. 11 დეკემბერს ვ. ი. ლენინის ხელმოწერით გამოქვეყნდა დადგენილება, რომლის საფუძველზე სასულიერო უწყებებს განათლების სახალხო კომისარიატისათვის უნდა გადაეცათ საეკლესიო სკოლები, სემინარიები, ქალთა ეპარქიული სასწავლებლები, სამისიონერო სკოლები, აკადემიები და სხვა დასახელების სასწავლებლები, შენობებთან, მიწის ნაკვეთებთან და ფასეულობასთან ერთად.

1918 წ. 14 იანვარს გაუქმდა „სასახლის სასულიერო უწყება“, იმავე წლის 26 იანვარს—„არმიის სასულიერო უწყებათა სამმართველო“; 1918 წლის 18 იანვარს სახელმწიფოებრივი მზრუნველობის სახალხო კომისიის ბრძანებით შეწყდა კულტის მსახურთა და რელიგიური ორგანიზაციების შესაძენი ხარჯების გაღება და ა. შ.

სახელმწიფოსაგან ეკლესიის და ეკლესიისაგან სკოლის გამოყოფის საკითხი დაისვა საბჭოების სახალხო კომისარიატის 1917 წლის 11 დეკემბრის სხდომაზე. ამავე სხდომაზე დეკრეტის პროექტის შესადგენად შეიქმნა კომისია შემდეგი შემადგენლობით: ა. ვ. ლუნაჩარსკი, პ. ი. სტუჩკა, პ. ა. კრასიკოვი, მ. ა. რეისნერი.

დეკრეტის პროექტს რედაქტირება გაუკეთა ვ. ი. ლენინმა. მან შეცვალა მთელი რიგი ფორმულირებანი, დაუმატა რამდენიმე ადგილი. ლენინური დეკრეტი „სახელმწიფოსაგან ეკლესიის და ეკლესიისაგან სკოლის გამოყოფის შესახებ“ გამოიცა 1918 წლის 23 იანვარს.

სკკ და საბჭოთა მთავრობამ დიდი მუშაობა ჩატარა დეკრეტის ცხოვრებაში გატარებისათვის. დეკრეტის ცხოვრებაში სწორად გატარების საკითხი დაეკისრა იუსტიციის სახალხო კომისარიატს. იუსტიციის სამინისტროსთან, 1918 წ. 8 მაისის დადგენილების თანახმად, შეიქმნა სპეციალური განყოფილება. ამ განყოფილებამ დიდი მუშაობა ჩატარა დეკრეტით გათვალისწინებული საკითხების პრაქტიკულად გადაწყვეტისათვის. 1918 წ. 24 აგვისტოს იუსტიციის სამინისტრომ გამოაქვეყნა სახელმწიფოს ეკლესიისადმი და ეკლესიის სკოლისადმი დამოკიდებულების მარეგულირებელი ინსტრუქცია. რამ განაპირობა ინსტრუქციის შექმნა და გამოშვება?

დეკრეტის ცხოვრებაში გატარებას ბევრი სიძნელე სდევდა თან. ეს სიძნელებები, ძირითადად, შემდეგი მიზეზებით იყო განპირობებული: ეკლესიის რუსეთში ჯერ კიდევ ჰქონდა ტრადიციები, ეკლესიის მსახურნი მტკიცე წინააღმდეგობას უწევდნენ დეკრეტის გატარებას და, რაც მთავარია, ეგუებოდნენ ახალ პირობებს, ცალკეულ შემთხვევებში ზოგიერთი საბჭოთა ორგანიზაცია და ორგანო არღვევდა დეკრეტის პრინციპებს. ერთდაგვარი სიძნელებები შეიქმნა ეკლესიისაგან სკოლის გამოყოფის განხორციელებაში.

ეკლესიის მსახურნი ყოველმხრივ ცდილობდნენ დეკრეტის ცხოვრებაში გატარებისათვის ხელი შეეშალათ. რუსეთის მთელ რიგ ქალაქებში სამღვდლოების თაოსნობით ადგილი ჰქონდა ანტისაბჭოთა გამოსვლებს. ეკლესია მხარს უჭერდა რევოლუციის მტრებს, ცდილობდა ძველი წყობილების რესტავრაციას. საბჭოთა მთავრობა იძულებული იყო გაეტარებია სათანადო ზომები.

თანამედროვე ბურჟუაზიული ისტორიოგრაფიის ლიდერები ცდილობენ, საბჭოთა ხელისუფლების დამყარების პირველწლებში, სამღვდლოებას დასჯის ფაქტებით დაასაბუთონ „რწმენისათვის დასჯის“ მოვლენები. სინამდვილეში სამღვდლოების წარმომადგენელთა მიმართ გატარებული დამსჯელი ღონისძიებანი პოლიტიკურ ხასიათს ატარებდნენ და ისინი ნაკლებად ეხებოდნენ რწმენის თავისუფლებას.

ლენინურმა დეკრეტმა „სახელმწიფოსაგან ეკლესიის და ეკლესიისაგან სკოლის გამოყოფის შესახებ“ უზრუნველყო რწმენის სრული თავისუფლება, როგორც მორწმუნეთა, ასევე ათეისტთა უფლება — აღიარონ ან არ აღიარონ ესა თუ ის რელიგია. დეკრეტმა შექმნა მდგომარეობა, რომელიც უზრუნველყოფდა მეცნიერების და კულტურის შეუფერხებელ განვითარებას.

დეკრეტი პრინციპულად ეწინააღმდეგება რელიგიის წინააღმდეგ ბრძოლის ადმინისტრაციულ ხერხებს და საშუალებებს. სკკ თავის დოკუმენტებში ხშირად აღნიშნავდა რელიგიური გადმონაშთების წინააღმდეგ ბრძოლისას ადმინისტრაციული ხერხების მავნეობას, სახავდა სათანადო ღონისძიებებს არსებული ნაკლოვანებების აღმოფხვრისათვის.

ჩვენს ქვეყანაში კანონით აკრძალულია ზოგიერთი რელიგიური ორგანიზაცია. მათ არა აქვთ უფლება აწარმოონ ფარული რელიგიური შეკრებები, რელიგიური პროპაგანდა და ა. შ. ხომ არ ნიშნავს ეს რწმენის თავისუფლების უარყოფას, ხომ არ ეწინააღმდეგება ეს გარემოება სინდისის თავისუფლების პრინციპს?

საბჭოთა კავშირში რეგისტრაციას არ ექვემდებარება ორმოცდაათიანელთა, იედოველთა, მეშვიდე დღის ადვენტისტთა და სხვ. სექტები. მათი აკრძალვის მიზეზი თვით ამ რელიგიური სექტების ანტისახალხო და ანტისახელმწი-

ფობრივი ხასიათიდან გამომდინარეობს. ასე მაგალითად: ამ ბოლო დროს საქართველოს მთელ რიგ ქალაქებსა და დასახლებულ პუნქტებში მეტად გავრცელებული რელიგიური ორგანიზაციის — ორმოცდაათიანელების მოქმედებას დიდი ზიანი მოაქვს საბჭოთა ადამიანებისათვის.

ორმოცდაათიანელთა რელიგიური რიტუალები იწვევს ავადმყოფობის მასობრივ გავრცელებას. ამასთან სექტის წევრებს უფლება არა აქვთ კინოში, თეატრში, კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებაში სიარულის; ისინი მთლიანად მოწყვეტილნი უნდა იყვნენ პოლიტიკური და საზოგადოებრივი ცხოვრებისაგან.

ყველაზე მეტად ხასიათის მატარებელია სექტანტური მორალი ახალგაზრდობის აღზრდის საქმეში. ბავშვებს ეკრძალებათ პიონერულ და კომკავშირულ ორგანიზაციებში შესვლა. ახალგაზრდობა ამ რელიგიური ორგანიზაციის მესვეურთა მოთხოვნის თანახმად უნდა გაიზარდოს ღრმა მორწმუნედ, ფანატიკოსად, რომელსაც ეცოდინება მხოლოდ ღვთისადმი სიყვარული. ახალგაზრდობის ამ სახით აღზრდა კი მათი ფიზიკური და სულიერი დამახინჯების ტოლია.

ორმოცდაათიანელთა მოქმედების შედეგად არა ერთი საბჭოთა ოჯახი დანგრეულა, არა ერთ საბჭოთა ადამიანს გამრუდებია ცხოვრების გზა და ა. შ. სწორედ ამიტომ ჩვენს ქვეყანაში ეს რელიგიური სექტა არ ექვემდებარება რეგისტრაციას.

საქართველოს მთელ რიგ რაიონებსა და ქალაქებში ამ ბოლო დროს აღინიშნებოდა ორმოცდაათიანელთა რელიგიური სექტის ხელმძღვანელთა აქტიუზაცია. ამ სექტის აქტიურმა წევრებმა შეძლეს ერთდაგვარად გაეზარდათ თემების წევრთა რიცხვი, თავიანთი გავლენის ქვეშ მოექციათ ზოგიერთი საბჭოთა ადამიანი.

პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციები სათანადო მუშაობას ატარებენ რელიგიური სექტების და, კერძოდ, ორმოცდაათიანელთა რელიგიური თემების წინააღმდეგ. ამ მუშაობაში გამოიყენება მეცნიერულ-ათეისტური მუშაობის მრავალფეროვანი მეთოდები და ფორმები. მათ შორის წარმატებით ხდება სასამართლოს ორგანოების მიერ ამ მუშაობაში მონაწილეობის მიღება. როგორია ამ მხრივ დადგროვილი მასალის შედეგები, რა უნდა გაკეთდეს, ჩვენი აზრით, ამ მუშაობაში არსებული ნაკლის გამოსწორებისათვის და მისი უკეთ წარმართვისათვის?

საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 233-ე მუხლის თანახმად რელიგიური ორგანიზაციების ის ხელმძღვანელები, რომლებიც ზიანს აყენებენ ადამიანთა ჯანმრთელობას ან პიროვნების და მოქალაქის უფლებებს, აქეზებენ მათ საზოგადოებრივ საქმიანობაში მონაწილეობის უარისთქმაზე, ისჯებიან თავისუფლების აღკვეთით ხუთ წლამდე. მაგრამ ასეთი სასამართლოების ჩატარებას კარგი და მოფიქრებული ორგანიზაცია უნდა.

სექტის ხელმძღვანელთა ანტისაზოგადოებრივი საქმიანობის შესახებ ჩატარებული სასამართლო პროცესის მიზანი უნდა იყოს, ერთის მხრივ, სექტის ხელმძღვანელთა კანონიერი დასჯა და მეორეს მხრივ სექტის წევრებისათვის იმის დამტკიცება თუ როდენ დიდი ზიანი მოაქვს სექტანტიზმს, თუ როგორ სავანგაშო მდგომარეობაში იმყოფებიან ისინი, ვინც სექტის წევრები არიან. მიღწეული უნდა იქნას ის, რომ სასამართლო პროცესის შემდეგ სექტანტებმა ძიატოვონ რელიგიური სექტები.

როგორც ჩატარებული სასამართლო პროცესების ანალიზი ადასტურებს საჭიროა მოსამართლემ და პროკურორმა კარგად იცოდნენ ის სპეციფიკა, რითაც რელიგიური სექტები ხასიათდებიან. ზოგადი მსჯელობა რელიგიის მავნებლობის შესახებ მხოლოდ ზიანის მომტანია. ასე მაგალითად: ერთ-ერთ სასამართლო პროცესზე სახელმწიფო ბრალმდებელი აკრიტიკებდა ღმერთის გაგების ცნებას მართლმადიდებლურ ეკლესიაში. სექტანტებიც იგივეს ჩადიან და რასაკვირველია, ასეთი სახის კრიტიკას არავითარი დამაჯერებელი ხასიათი არ ჰქონია.

სექტის ხელმძღვანელთა სასამართლო პროცესები უნდა ჩატარდეს პარტიულ, საბჭოთა და კომკავშირულ ორგანიზაციებთან მჭიდრო კავშირში. ეს პროცესები მეცნიერულ-ათეისტური პროპაგანდის ფართო მოვლენად უნდა გადაიქცეს.

საჭიროა სასამართლო პროცესზე კვალიფიცირებული სპეციალისტის გამოსვლა, იგი განმარტავს ამ რელიგიური ორგანიზაციის სწავლების ხასიათს, მის არსს. მედიცინის დარგის მუშაკებს კი შეუძლიათ ახსნან ის დიდი ზიანი რაც რელიგიურ სექტებს, მათ მიერ ჩატარებული წეს-ჩვეულებებით მოაქვთ ერთეული ადამიანებისათვის.

სასურველია სასამართლო პროცესზე მოეწყოს ანტირელიგიური ხასიათის დოკუმენტური ფილმის ჩვენება, მოეწყოს ათეისტური ლიტერატურის გამოფენა და ა. შ.

სასამართლო პროცესების ჩატარების გარდა ამ ბოლო დროს ხშირად ტარდება ამხანაგური სასამართლოები სექტის აქტიური წევრების მიმართ. ასე მაგალითად: ამ რამდენიმე ხნის წინათ ქალაქ ჭიათურის საზოგადოებრიობამ საჯაროდ გააკიცხა ორძოცდაათიანელთა რელიგიური სექტის აქტიური წევრები ი. ბოგატირი, პ. სოლოინი და სხვები. ჩატარებულმა ღონისძიებამ თავისი დღეებითი შედეგები გამოიღო.

სასამართლო პროცესების, ამხანაგური სასამართლოების ჩატარების შემდეგ პარტიულმა, საბჭოთა და კომკავშირულმა ორგანიზაციებმა ადმინისტრაციულ ორგანოებთან ერთად უნდა გააგრძელონ მუშაობა მანამ, სანამ მთლიანად არ იქნება ლიკვიდირებული სექტანტთა გავლენა.

საბჭოთა ადამიანები აშენებენ კომუნისტურ საზოგადოებას. დღითიდღე კლებულობს დღემდე არსებული ზოგიერთი რელიგიური ორგანიზაციის გავლენა საბჭოთა ადამიანებზე. რელიგიის სრული დაძლევის საქმეში აქტიური მონაწილეობა უნდა მიიღოს ყველა საბჭოთა ადამიანი, შესაბამისმა ორგანიზაციებმა და ორგანოებმა. თავისი ავტორიტეტული სიტყვის თქმა პროკურატურის და სასამართლოს ორგანოების მუშაკებსაც შეუძლიათ.



## სახალხო კონტროლის ორგანოები სოციალისტური სახელმწიფოს ინჟინერების საღაჯოზე

კ. შავიშვილი,

საქართველოს სსრ სახალხო კონტროლის კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე

სახალხო კონტროლის ორგანოებს არსებობის 50 წლისთავი შეუსრულდა. მისი შექმნა და მოღვაწეობა განუყოფლად დაკავშირებულია მთელი ხალხის ბრძოლასთან საბჭოთა სახელმწიფოს განმტკიცების, სოციალიზმის გამარჯვების, კომუნისტური საზოგადოების მშენებლობის ამოცანების გადაწყვეტასთან.

ნახევარი საუკუნის წინათ, 1918 წლის 31 იანვარს ვ. ი. ლენინმა ხელი მოაწერა სახალხო კომისართა საბჭოს დეკრეტს ცენტრალური საკონტროლო კოლეგიის, ადგილობრივი საბჭოების სააღრიცხვო-საკონტროლო კოლეგიის და წარმოებებსა და დაწესებულებებში არჩევითი საკონტროლო კომისიების შექმნის შესახებ. დეკრეტის თანახმად ცენტრალურ საკონტროლო კოლეგიას ევალებოდა ქვეყანაში კონტროლის ორგანოების მთელ საქმიანობაზე ხელმძღვანელობა. ამ დეკრეტით საფუძველი ჩაეყარა ჩვენს ქვეყანაში ერთიანი სახელმწიფო საკონტროლო ორგანოების შექმნის საქმეს, რომელშიც უშუალოდ მონაწილეობდნენ მშრომელთა ფართო მასები.

კონტროლის ორგანოების ლენინური სისტემა ჩვენს ქვეყანაში განხორციელებულ უდიდეს ცვლილებათა შესაბამისად იცვლებოდა და სრულყოფილი ხდებოდა, მისი მოქმედების სფერო ფართოვდებოდა. არ ყოფილა სოციალისტური მშენებლობის არც ერთი უბანი, სადაც მას არ შეესრულებინა აქტიური როლი.

კომუნისტური პარტია ყოველთვის დიდი პასუხისმგებლობითა და მომთხროვნელობით ეპყრობოდა კონტროლის ორგანოების ფორმირებასა და ამ ორგანოებში მუშაკთა შერჩევის საქმეს, გზავნიდა რა იქ უფრო გამოცდილ, საიმედო, ავტორიტეტულ, პარტიულ და საბჭოთა მუშაკებს, სპეციალისტებს, რომელთაც ჰქონდათ საჭირო ცოდნა, გამოცდილება და უნარი ობიექტური, კვალიფიციური კონტროლისა და შესრულების შემოწმებისა. სხვადასხვა დროს კონტროლის ორგანოებს სათავეში ედგნენ პარტიისა და სახელმწიფოს თვალსაჩინო მოღვაწეები სტალინი, კუბიშვევი, ორჯონიკიძე, ანდრეევი, შვერნიკი, რუძუტაკი, იაროსლავსკი და სხვა.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1965 წლის დეკემბრის პლენუმმა მიიღო გადაწყვეტილება პარტიულ-სახელმწიფო კონტროლის სახალხო კონტროლის ორგანოებად გარდაქმნის შესახებ. ეს გადაწყვეტილება მიმართული იყო კონტროლის სისტემის კიდევ უფრო სრულყოფისაკენ, მასში ხალხის ფართო მასების მონაწილეობის გაძლიერებისა და კონტროლის ორგანოების საქმიანობაში მისი როლის ამაღლებისაკენ.

სახალხო კონტროლის ორგანოები დიდ როლს ასრულებს სახელმწიფოს მართვაში ხალხის მასების ჩაბმის, საბჭოთა, სამეურნეო და სხვა ორგანიზაციების მიერ პარტიისა და მთავრობის დირექტივების შესრულების სისტემატური

შემოწმების, სახელმწიფო დისციპლინის და სოციალისტური კანონიერების განმტკიცების საქმეში.

იღებდა რა გადაწყვეტილებას სახალხო კონტროლის ორგანოების შექმნის შესახებ, სკკბ ცენტრალური კომიტეტი გამოდიოდა იქიდან, რომ სოციალისტურ სახელმწიფოში, რომელიც ხალხის ინტერესებისა და სურვილების გამომხატველია, ყველა უფლება, მათ შორის კონტროლის უფლებაც ხალხს ეკუთვნის.

სახალხო კონტროლის ორგანოები სახელმწიფო კონტროლს საწარმოებში, კოლმეურნეობებში, დაწესებულებებსა და ორგანიზაციებში ახამებენ მშრომელთა საზოგადოებრივ კონტროლთან. ეს იმას ნიშნავს, რომ კონტროლის ორგანოები, ახორციელებენ რა პარტიისა და მთავრობის დირექტივების შესრულების სისტემატურ კონტროლს, ამით ასრულებენ სახელმწიფოებრივ ფუნქციებს, ამასთან ეყრდნობიან მილიონობით მშრომელთა მასებს — სახალხო კონტროლიორებს, რომელთა მოღვაწეობა საზოგადოებრივ ხასიათს ატარებს.

სოციალისტური კონტროლის ორგანიზაციის ლენინური დებულებანი მკაფრო პროგრამაა, რომელიც დღესაც განსაზღვრავს კონტროლის ორგანოების მიზნებსა და ამოცანებს, მუშაობის მეთოდებს, ფორმებს. ეს იმაში მდგომარეობს, რომ უწინარეს ყოვლისა უნდა გამოწმებდეთ ადამიანებს და საქმის ფაქტიურ შესრულებას. არ უნდა ვიყოთ იმით დაინტერესებული, რომ „დავიჭიროთ“, „გვამხილოთ“, არამედ გავუსწოროთ ადამიანებს, თავიდან ავიცილოთ მოსალოდნელი დანაშაული, დარღვევები, უზრუნველვყოთ დავალებების შესრულება. სახალხო კონტროლის ორგანოების ამოცანაა, თავისი საქმიანობით ხელი შეუწყოს სახელმწიფო დისციპლინისა და სოციალისტური კანონიერების განმტკიცებას. კონტროლის საქმიანობის მიზანია დარაზმოს მრავალათასიანი არპია სახალხო კონტროლიორებისა, სამეურნეო გეგმებისა და დავალებების შესრულებისათვის; დაეხმაროს პარტიულ ორგანიზაციებს წარმოების რეზერვების მობილიზაციისა და ეფექტიანობის ამაღლებაში, ეკონომიის რეჟიმის განმტკიცებაში, პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებაში. დიდი ყურადღება უნდა დაუთმოს მან მმართველობის აპარატის სრულყოფასა და გაიაფებას, სახელმწიფო დაწესებულებათა ზუსტ მუშაობას, ბიუროკრატიზმისა და უყაირათობის წინააღმდეგ ბრძოლას. სახალხო კონტროლი ყველგან და ყველგან უნდა გამოდიოდეს მშრომელთა ინტერესების დამცველად — განსაკუთრებით კი ვაჭრობისა და საყოფაცხოვრებო მომსახურების საქმეში.

ამ ამოცანების შესრულებას ჩვენს რესპუბლიკაში ემსახურება 180 ათასამდე სახალხო კონტროლიორი, რომლებიც გაერთიანებული არიან 7013 ჯგუფსა და 19.856 საგუშაგოში. პარტიული ორგანიზაციების ხელმძღვანელობით ისინი ყველაფერს აკეთებენ მათ წინაშე დასახული ამოცანების შესრულებისათვის.

ახლა, სამეურნეო რეფორმის პირობებში, განსაკუთრებით დიდია სახალხო კონტროლის ორგანოების როლი ეკონომიისა და ყაირათიანობისათვის. გასულ წელს როცა რესპუბლიკის საწარმოებში, კოლმეურნეობებში პარტიული ორგანიზაციების ხელმძღვანელობით მოეწყო დათვალიერებები მოჭირნეობისა და ეკონომიისათვის, სახალხო კონტროლის კომიტეტები, ჯგუფები და საგუშაგოები, კონტროლიორები აქტიურად მონაწილეობდნენ ამ დიდმნიშვნელოვან სახალხო საქმეში. რესპუბლიკაში 4 500 დამთვალიერებელი კომისია შეიქმნა, რომელშიც ორმოცდაცამეტი ათასი კაცი გაერთიანდა, მათ შორის ოცდაათი ათასი სახალხო კონტროლიორი. დათვალიერების პერიოდში 16.417 რაციონალიზატო-

რული წინადადება იქნა შეტანილი, რომელთაგან 11.519 უკვე დაინერგა წარმოებაში 17.212 ათასი მანეთის ეკონომიური ეფექტით.

რესპუბლიკის სახალხო მეურნეობაში დაზოგილ იქნა: სხვადასხვა ლითონები 10.469 ტონა, 1.585 ათასი მანეთის მასალები და 8.442 ათასი მანეთის ფულადი სახსრები.

განსაკუთრებით ეფექტური იყო მოძრაობა ელექტროენერჯისა, საწვავისა და სათბობის ეკონომიურად ხარჯვისათვის. სახალხო კონტროლიორების მიერ გამოვლინდა უამრავი ფაქტი მათი უყარათოდ, არასახელმწიფოებრივად ხარჯვისა. ჩატარებულმა დიდმა მუშაობამ დადებითი შედეგი გამოიღო. მარტო 1967 წლის განმავლობაში რესპუბლიკის სახალხო მეურნეობაში გაწეული იქნა 170 მილიონი კილოვატსაათი ელექტროენერჯის, 25.144 ტონა პირობითი საწვავისა და 2754 ტონა სათბობის ეკონომია.

ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხანამ, რომელსაც წინათ სისტემატურად ჰქონდა ელექტროენერჯის გადახარჯვა, გაატარა რა საჭირო ორგანიზაციულ-ტექნიკური ღონისძიებანი გასულ წელს დაზოგა 30 მილიონი კილოვატსაათი ელექტროენერჯია, რუსთავის ქიმიურ კომბინატმა ამავე პერიოდში დაზოგა 28 მილიონი კილოვატსაათი ელექტროენერჯია. დიდძალი ელექტროენერჯია იქნა დაზოგილი აგრეთვე რუსთავის მეტალურგიულ, ქუთაისის საავტომობილო, კასპის ცემენტის ქარხნების, ამიერკავკასიის რკინიგზის ელექტროწვევისა და სხვა ობიექტების მიერ. 1967 წელს იმ საწარმოთა რიცხვი, რომელიც ეწეოდა ელექტროენერჯის გადახარჯვას 42-დან 28-მდე შემცირდა, ხოლო მათ მიერ გადახარჯული ელექტროენერჯის რაოდენობა შესაბამისად შემცირდა 23 მილიონ კილოვატსაათიდან 8 მილიონ კილოვატსაათამდე.

დამთვლიერებელმა კომისიებმა კარგად იმუშავეს თბილისის ვ. ი. ლენინის სახელობის ელმავალმშენებელი, კიროვის სახელობის დაზგათმშენებელი, რკინახეტონის ნაკეთობათა ქარხნებში, მაუდკამვოლის, რძის კომბინატების, თამბაქოს № 1 და № 2 ფაბრიკებში, აგრეთვე მთელ რიგ სხვა საწარმოებში.

თბილისის ორთქლმავალგაონშემკეთებელ ქარხანაში დაზოგილი მასალებიდან გეგმის ზევით გამოშვებულ იქნა 140 ათასი მანეთის სასაქონლო პროდუქცია, გარემონტდა 2 ორთქლმავალი, შემცირდა პროდუქციის თვითღირებულება 106 ათასი მანეთით, გაწეულ იქნა 309 ტონა ლითონის, 348 ათასი კილოვატსაათი ელექტროენერჯის და 1102 ტონა პირობითი საწვავის ეკონომია.

თბილისის რძის კომბინატმა გეგმის ზევით გამოუშვა 1.555 ათასი მანეთის პროდუქცია, შემცირდა სასაქონლო პროდუქციის თვითღირებულება 67,4 ათასი მანეთით, ზეგეგმიურმა მოგებამ შეადგინა 58 ათასი მანეთი.

თამბაქოს № 1 და № 2 ფაბრიკებმა გეგმის ზევით გამოუშვეს 1.100 ათასი მანეთის ნაწარმი, პროდუქციის თვითღირებულება შემცირდა 91 ათასი მანეთით, დაიზოგა 14,7 ტონა თამბაქო, გაწეული იქნა 125,9 ათასი კილოვატსაათი ელექტროენერჯისა და 612 ტონა პირობითი სათბობის ეკონომია. ზეგეგმიურმა მოგებამ შეადგინა 180 ათასი მანეთი. ასეთი მაგალითების მოყვანა მრავლად შეიძლება.

სახალხო კონტროლის რესპუბლიკური კომიტეტის მიერ შესწავლილი იქნა თუ როგორ ასრულებენ პარტიისა და მთავრობის გადაწყვეტილებებს რეჟიმისა და მომჭირნეობის საკითხებზე მსუბუქი, კვების, ადგილობრივი მეურნეობის, ხე-ტყის, ცელულოზა-ქაღალდისა და ხისდამმუშავებელი და საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტროები, აგრეთვე „საქმთავარენერგოს“, ზოგიერთი ლი-

თონდამმუშავებელი, ხილბოსტნეულის წვენების გადამმუშავებელი და სხვა საწარმოები.

შემოწმებებმა დაგვანახვა, რომ იმ დიდ მუშაობასთან ერთად, რაც ტარდება მომჭირნეობისა და ყაირათიანობისათვის, ამ საქმეში ყველაფერი რიგზე არ არის.

რესპუბლიკის 1216 სამრეწველო საწარმოდან 1967 წლის საერთო პროდუქციის გამომწვევის გეგმა ვერ შეასრულა 152, მათ სახელმწიფოს დააკლეს 60 მილიონი მანეთის პროდუქცია.

იმ საწარმოებმა და ორგანიზაციებმა, რომლებმაც ვერ შეასრულეს პროდუქციის წარმოებისა და რეალიზაციის გეგმები მოგების გეგმის შესრულებას დააკლეს 25,5 მილიონი მანეთი. მოგების გეგმის შესრულებას განსაკუთრებით დიდი რაოდენობით დააკლეს კვების, მშენებლობის და სოფლის მშენებლობის სამინისტროებმა, ქიმიური მრეწველობის საწარმოებმა და ელექტროფიკაციის მთავარმა სამმართველომ. ამასთანავე ზოგიერთმა საწარმოებმა დაუშვა დაუგეგმავი ზარალი.

ზოგიერთი საწარმო არ იღებს გადამტრელ ზომებს მატერიალურ ფასეულობათა ნაშთების შემიკრებისათვის, რაც უარყოფითად მოქმედებს მოგების გეგმის შესრულებაზე. განსაკუთრებით დიდია ეს ნაშთები კვების, ხორცისა და რძის, მსუბუქი, ადგილობრივი, საშენმასალათა მრეწველობის სამინისტროების „საქსილბოსტანკონსერვის“ საწარმოებში.

მრეწველობის ზოგიერთ დარგებში კვლავ გრძელდება ნედლეულისა და მასალების არარაციონალურად გამოყენების, დანაკარგების დაშვების შემთხვევები. მარტო სამშენებლო ორგანიზაციებმა გასულ წელს 35 ათასი ტონა ცემენტი გადახარჯეს. ელექტროენერჯის დანაკარგები ელექტროქსელში უდრის ამ ქსელში გამავალი ენერჯის 16 პროცენტს ნორმით გათვალისწინებულ 14.1 პროცენტის ნაცვლად, რაც საერთო საკავშირეზო ორჯერ დიდია.

ზოგიერთ საწარმოში ნედლეულისა და მასალების ხარჯვის ნორმები არ უპასუხებს თანამედროვე მოთხოვნილებას. ადგილი აქვს მატერიალურ ფასეულობათა მოვლა-პატრონობისადმი დაუდევარ დამოკიდებულებას. კვლავ არის უხარისხო პროდუქციის გამომწვევის ფაქტები. ბევრგან გაბერილია ადმინისტრაციულ-სამმართველო აპარატის შტატები.

ყველა ამ საკითხის მოგვარებას ამჟამად განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება. სახალხო კონტროლის ყველა კომიტეტის, ყველა კონტროლიორის გადაუდებელი ამოცანა იზრუნოს იმისათვის, რომ სახალხო მეურნეობის ცალკეულ დარგებში ეძებდეს და პოულობდეს მომჭირნეობისა და ყაირათიანობის რეზერვებს. არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ დაზოგილი მასალები, ნედლეული, ელექტროენერჯია, მანეთები ხალხის კეთილდღეობის საქმეს ხმარდება.

სამრეწველო საწარმოების მართვის ახალ ფორმებზე გადასვლის პირობებში განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს წარმოებაში შრომის მეცნიერულ ორგანიზაციის დანერგვას. რესპუბლიკის მთელ რიგ სამეცნიერო-საკვლევ ინსტიტუტებში და საკონსტრუქტორო ბიუროებში შეიქმნა შრომის მეცნიერული ორგანიზაციის განყოფილებები, რომლებმაც დიდი მუშაობა გასწიეს ახალი ტექნიკის და მოწინავე ტექნოლოგიის დანერგვისათვის, წარმოების კულტურის ამადლების, შრომისა და საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესების, არსებული დარგობრივი ნორმატივების სრულყოფისა და ახლის დანერგვისათვის, შრომის ტექნიკური ნორმირების, შრომის ანაზღაურების ფორმების და მეთო-



დების, მუშაკთა მატერიალური სტიმულირების, სამუშაო დროის სრულად გამოყენების, პროდუქციის ხარისხის ამაღლებისა და სხვა საკითხების მოგვარებისათვის. მაგრამ როგორც ამას წინათ კომიტეტის მიერ ჩატარებულმა შემოწმებამ გვიჩვენა ეს საკითხები ბევრი სამეცნიერო-საკვლევო ინსტიტუტის ყურადღების ცენტრში არ არის. მოუთმენელია ის მდგომარეობა, რომ ზოგიერთ საწარმოში ამას არ აქცევენ საჭირო ყურადღებას, ხოლო ზოგან ინსტიტუტების განყოფილებების მიერ დამუშავებული საკითხების დანერგვის საქმესაც არ მოეკიდნენ პასუხისმგებლობით. მაგალითად, თბილისის ქარხანა „ცენტროლიტმა“ საპროექტო-ტექნოლოგიური სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის მიერ რეკომენდირებული შრომის მეცნიერული ორგანიზაციის 60 საკითხიდან, რომლის ეკონომიური ეფექტი 100 ათას მანეთს შეადგენდა, 1967 წელს მხოლოდ 7 დანერგა, ეს მაშინ როცა ამ საწარმოში ადგილი აქვს ორგანიზაციულ-ტექნიკური მიზეზებით (სამუშაო ადგილთან მასალების მოუტანლობა, მანქანებისა და მოწყობილობათა უწყესივრობა, ფორმების გადატანისათვის შიდა საამქრო ტრანსპორტზე ლოდინი და სხვა) სამუშაო დროის დიდ დანაკარგებს. აღნიშნული მიზეზების გამო № 1 საამქროს პირველი ცვლის 12 კაცისაგან შემდგარი ბრიგადა, რომელიც კონვეიერზე ფორმების დატენას აწარმოებდა, შემოწმების დროს ნახევარ დღეს გაცდა. მეორე საამქროს 8 კაციანი ბრიგადა მეორე ცვლაში იმავე მიზეზებით გაცდა თითქმის ნახევარ სამუშაო დღეს. ასეთი მაგალითები ერთეული არ არის. ქარხანაში მოუწყესრიგებელია ტექნიკურად დასაბუთებული ნორმების გამოყენების საკითხი. არსებულ გამოდუმავების 8437 ნორმიდან ტექნიკურად დასაბუთებულად ითვლება მხოლოდ 1986, ანუ მხოლოდ 23 პროცენტი. წარმოების მუშაობის რითმულობის დარღვევის გამო ქარხნის მუშების მიერ ზედმეტ საათებში მუშაობა 1967 წლის 11 თვეში უდრის 8939 კაც საათს, რისთვისაც დამატებით გადახდილია 6,6 ათასი მანეთი.

ამ ერთი საწარმოს პატარა მაგალითი გვიჩვენებს, თუ რა უდიდესი მნიშვნელობა აქვს შრომის მეცნიერული ორგანიზაციის დანერგვას წარმოების ყველა დარგში — მრეწველობაში, მშენებლობაზე, სოფლის მეურნეობაში და სხვა. სახალხო კონტროლის ორგანოებმა — ჯგუფებმა და საჯურმაგოებმა, კომიტეტებმა განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციონ ამ მეტად მნიშვნელოვან საკითხს, მტკიცედ უნდა გვესმოდეს, რომ შრომის სწორი, მეცნიერული ორგანიზაციის დანერგვის გარეშე შეუძლებელია იმ დიდი ამოცანის გადაწყვეტა, რაც ამჟამად სახალხო მეურნეობის წინაშეა დასაბუთებული — ვაწარმოთ ბევრი პროდუქცია, გავაიფოთ მისი თვითღირებულება, გავაუმჯობესოთ ხარისხი, შევამსუბუქოთ პროდუქციის მწარმოებელი მუშისა და კოლმეურნის შრომისა და ცხოვრების პირობები.

სახალხო კონტროლის ორგანოების მუშაობის პრაქტიკაში დამკვიდრდა მასიური შემოწმება-დათვალიერებები, რომლებშიც ფართოდ მონაწილეობენ მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის მოწინავე ადამიანები, ინჟინრები, აგრონომები, პედაგოგები, მეცნიერ-მუშაკები და სხვა. მარტო 1967 წელს რესპუბლიკაში 8 ასეთი შემოწმება მოეწყო, რომელშიც 20 ათასამდე კაცმა მიიღო მონაწილეობა.

სახალხო კონტროლის ორგანოების, „საქსოფლტექნიკისა“ და სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ გასული წლის აპრილში მოწყობილმა დათვალიერებამ სავაზაფხულო სამუშაოებისათვის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის მზადყოფნის, მისი მოვლა-პატრონობის, შენახვისა და გამოყენების კოეფიციენტების

შესახებ, რომელშიც 1500 კაცმა მიიღო მონაწილეობა, დიდად შეუწყო ხელი ტექნიკის საგაზაფხულო სამუშაოებისათვის დროულად და მაღალხარისხოვნად მომზადებას, მისი მოვლა-პატრონობის, შენახვის საქმის გაუმჯობესებასა და ტექნიკის გამოყენების კოეფიციენტის ზრდას.

იენისივიე ჩატარებულმა მასიურმა შემოწმებამ მოსავლის აღებისა და სახელმწიფოზე სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების მიყიდვის მიმდინარეობის შესახებ, რომელშიც 2600-მა კაცმა მიიღო მონაწილეობა, დადებითი როლი შეასრულა რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის მუშაკების მიერ სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების მიყიდვის სახელმწიფო დავალებათა წარმატებით შესრულების საქმეში.

მასიური შემოწმებები მოეწყო აგრეთვე სამგზავრო ავტოტრანსპორტის მიერ მშრომელთა მომსახურების, კოლმეურნეობებში და საბჭოთა მეურნეობებში საზოგადოებრივი მეცხოველეობის გამოწამორების მიმდინარეობის, საგაჭრო და საყოფაცხოვრებო მომსახურების მდგომარეობის და სხვა საკითხებზე. ამ დათვალიერება-შემოწმებების ამოცანა მარტო ის კი არ იყო გამოგვევლინებინა სახალხო მეურნეობის ამა თუ იმ უბანზე არსებული ნაკლოვანებანი, არამედ თვით მშრომელების მონაწილეობით, ადგილებზე მიგველო საჭირო ღონისძიებანი მდგომარეობის გამოსასწორებლად. ასეთი ღონისძიებები კი მეტად ეფექტურია და სახალხო კონტროლის ორგანოებმა ის ფართოდ უნდა გამოიყენონ მუშაობაში.

სახალხო კონტროლის ორგანოების ამოცანაა, ებრძოდნენ უღისციბლინობას, უყაირათობას და დაიცვას სახელმწიფოს ინტერესები. ამ მხრივ რესპუბლიკის სახალხო კონტროლის მუშაკები ბევრ სასარგებლო საქმიანობას ეწევიან.

ერთ-ერთი საკითხის შესწავლის დროს რესპუბლიკური კომიტეტის ინსპექტორებმა ყურადღება მიაქციეს, რომ იმპორტული სპირტის მიღების დროს ადგილი ჰქონდა გადიდებული ნორმებით დანაკლისების ჩამოწერას, რაც სახელმწიფოს დიდ ზარალს აყენებდა, პასუხს კი არავინ აგებდა. ჩვენს მიერ საკითხი დაყენებული იქნა ზემდგომ ორგანოებში და სსრ კავშირის მასშტაბით მისმა შესწავლამ დაადასტურა ამ საქმეში სერიოზული დარღვევები. სახელმწიფო ყოველწლიურად 5 მილიონ მანეთს კარგავდა. გადაიკეტა ბოროტმოქმედების გზები და სრული წესრიგი დამყარდა ამ საქმეში.

რესპუბლიკის კომიტეტში შემოვიდა ცნობა იმის შესახებ, რომ ბოროტმოქმედთა მიერ მზადდებოდა თბილისის ძმრის ქარხნიდან, კომბინატ „ჩელიბინსკანაშირის“ მუშათა მომარაგების სამმართველოს სახელზე, კუთვნილი ძმრის მაგივრად ღვინის გაგზავნა. სასწრაფოდ მიღებული ღონისძიების შედეგად დადასტურდა, რომ ამ ქარხნის ტერიტორიაზე მართლაც იყო შეტანილი 28,6 ათასი ლიტრი ღვინო, რომელიც უნდა გაგზავნილიყო სასაბჭოთაო. დანაშაული აღიკვეთა, დამნაშავეები მიცემული იქნენ პასუხისმგებაში. სხვა ასეთი მაგალითების მოყვანაც შეიძლება. ეს მიგვიბრუნებს იმაზე, რომ სახალხო კონტროლიორები ყველგან და ყველადღერში უნდა იჩენდნენ სიფხიზლეს, იბრძოდნენ მტკიცე დისციპლინისათვის, არ დაუშვან დანაშაულებრივი მოქმედებანი.

უკანასკნელ ხანებში მნიშვნელოვნად ამაღლდა ავტორიტეტი სახალხო კონტროლის ორგანოებისა. ამის ერთ-ერთი დადასტურებაა ისიც, რომ მარტო 1966-67 წლებში კონტროლის კომიტეტებში შემოვიდა 19371 განცხადება, საჩივარი, წინადადება, მიღებულ იქნა 92.846 მთხოვნელი. საგულისხმოა, რომ კონტროლის კომიტეტებში მარტო საჩივრებით არ მოდიან. აქ მოდიან ადამიან-



ნები, რომლებსაც აინტერესებთ წარმოების, კოლმეურნეობის, სოფლის მეურნეობის ბედი, აყენებენ წინადადებებს მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის. თავიანთ სამსახურს გთავაზობენ, გამოცდილებას გვიზიარებენ რევოლუციისა და ომის ვეტერანები, პარტიის ძველი წევრები, პენსიონერები, ვისაც მუშაობისა და ცხოვრების დიდი გამოცდილება აქვთ.

სახალხო კონტროლის ორგანოების მუშაობის წარმატების ერთ-ერთი პირობა ის არის, რომ ამ ორგანოების საქმიანობაში — ჯგუფებისა და საგუშაგოების წევრებად, შტატგარეშე განყოფილებათა გამგეებად, ინსპექტორებად — ჩაბმული გვყავდეს ისეთი ადამიანები რომელთა მუშაობა, ცხოვრება, მაგალითი იქნება სხვებისათვის, რომელთა საქმიანობა მისაბამი გახდება კოლმეურნეებისათვის, მუშებისათვის, მოსამსახურეთათვის.

მხარაძის რაიონის ნატანების ვ. ი. ლენინის სახელობის კოლმეურნეობის სახალხო კონტროლის ჯგუფის (თავმჯდომარე კ. ლ. თავაძე) ყველა წევრი მოწინავე მეჩაიე, მეციტრუსე ან სოფლის მეურნეობის სპეციალისტია. ისინი წარმოების გადამწყვეტ უბნებზე არიან დასაქმებული და სასახლო მაჩვენებლებს აღწევენ მუშაობაში. ამანაც განაპირობა ის, რომ აღნიშნულმა კოლმეურნეობამ გასულ წელს ნაცვლად 2925 ტონისა დაამზადა 3332 ტონა ჩაის ფოთოლი — გეგმის 113,9 პროცენტი, ნაცვლად 1035 ტონისა — 1080 ტონა ციტრუსოვანთა ნაყოფი. ასევე წარმატებებით შეასრულეს მათ ყველა სხვა დავალებაც.

ქარხნა „გორიხელსაწყოს“ სახალხო კონტროლის ჯგუფის თავმჯდომარე ა. გ. აფციური კომუნისტური შრომის სამქროს უფროსია. ის აგრეთვე რაციონალიზატორია. მისი და აბალაქის წინადადებით ორთქლის ქვაბში წყლის დონის განმსაზღვრელ ხელსაწყოს დამზადებაზე შემცირებული იქნა საიზოლაციო მასალა ეტოროპლასტი, რითაც მიღწეულ იქნა წელიწადში 16 ათასი მანეთის ეკონომია.

ასეთივე მაჩვენებლები აქვთ მუშაობაში თბილისის თამბაქოს № 1 ფაბრიკის სახალხო კონტროლის ჯგუფის თავმჯდომარეს, რაციონალიზატორს, გაზელექტრომემდღობელს ლ. ნ. ლუდჩენკოს, ელმავალმშენებელი ქარხნის სამჭედლო სამქროს სახალხო კონტროლის ჯგუფის თავმჯდომარეს, ზეინკალ ბ. მ. ლეყავას, რუსთავის მეტალურგიული ქარხნის საგლინავი სამქროს სახალხო კონტროლის ჯგუფის თავმჯდომარეს — უფროს ოპერატორს ი. დ. ქადაგიძეს, ჭიათურის ცენტრალური გამამდიდრებელი ფაბრიკის სახალხო კონტროლის ჯგუფის თავმჯდომარეს, მადნის ხარისხის კონტროლიორს ი. ა. სალაძეს, თბილისის სართავ-სატრიკოტაჟო კომბინატის მუშას, საქალაქო კომიტეტის შტატგარეშე ინსპექტორს ნ. ი. ლუსმანაშვილს და სხვ.

სახალხო კონტროლის ორგანოები მთელ თავიანთ მუშაობას ატარებენ პარტიული ორგანიზაციების ყოველდღიური ხელმძღვანელობითა და დახმარებით. არ ყოფილა შემთხვევა, რომ რომელიმე პარტიული ორგანიზაციისაგან, კომიტეტისაგან არ მიგვეღოს საჭირო მხარდაჭერა დასმული საკითხის გადაწყვეტაში. ასეთი მხარდაჭერა და დახმარება სახალხო კონტროლის ორგანოებს უნერგავს ნეტ რწმენას.


მიუხედავად ჩატარებული მუშაობისა, არ შეიძლება დავკმაყოფილდეთ მიღწეულით, ჯერ კიდევ ბევრი ჯგუფი და საგუშაგო არ მუშაობს იმ ამოცანების შესაბამისად, რაც ჩვენს წინაშეა დასახული, ყველა სახალხო კონტროლიორი არ იბრძვის ნაკლოვანებათა აღმოფხვრისათვის, არ ხედავს ან თვალს არიდებს ნაკლოვანებებს, გვერდს უგლის უყაირათობის, უდისციპლინობის, ბა-




ქართული  
კონტროლი

უროკრატიზმის ფაქტებს. ჯერ კიდევ საკმაოდ ვერ ვეხმარებით პარტიულ და საბჭოთა ორგანოებს, რომ ყველგან — წარმოებისა და მომსახურების სფეროში შეიქმნას ისეთი ატმოსფერო, რომელიც გამოიწვიოს კანონიერების დარღვევას, უპასუხისმგებლობისა და ბოროტმოქმედების ფაქტებს, არასაკმარისად ვიყენებთ ნაკლოვანებათა მხილებასა და გამოსწორებისათვის, კონტროლის ორგანოების საჯაროობისათვის ისეთ მძლავრ საშუალებებს, როგორც არის პრესა, რადიო, ტელევიზია.

კონტროლის ორგანოები ნახევარი საუკუნის განმავლობაში ერთგულად ემსახურებიან პარტიისა და ხალხის ინტერესების დაცვის საქმეს. სახალხო კონტროლის ორგანოებს, ათეულათასობით სახალხო კონტროლიორებს შეგნებული აქვთ ის დიდი ნდობა და პასუხისმგებლობა, რაც მათ აკისრიათ. ისინი მომავალშიც მთელ თავის ენერგიას და ძალებს მოახმარენ ჩვენს ქვეყანაში კომუნისტური საზოგადოების აშენების საქმეს.



10.756



# საუბრობის საკითხები ზედახედავით მოქალაქე-სამხედრო საქმიანობისადმი

ბ. ბაქრაძე,

საქართველოს სსრ პროკურატურის საგამომძიებლო განყოფილების პროკურორი

საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის ორგანოების ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობაზე საპროკურორო ზედამხედველობის განხორციელება სისხლის სამართლის საპროცესო ლიტერატურაში მიჩნეულია რთულ და ნაკლებად დამუშავებულ პრობლემად. სწავლული და პრაქტიკოსი იურისტები მას სხვადასხვანაირად წყვეტენ.

ოპერატიულ-სამძებრო მუშაობა მჭიდროდ არის დაკავშირებული მოკვლევასთან და წინასწარ გამოძიებასთან, ემსახურება ჩვენს ქვეყანაში დამნაშავეობის ლიკვიდაციის განხორციელების ინტერესებს. 1958 წლამდე სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობაში ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობა საერთოდ ნახსენებიც არ იყო. „მოქალაქეობრივი უფლებები“ მან პირველად მოიპოვა „სსრ კავშირის და მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართლის სასამართლო წარმოების საფუძვლების“ მიღების შემდეგ. ტერმინი „ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობა“ კანონში იქნა შეტანილი და მიჩნეულია დანაშაულის ნიშნების და მის ჩამდენთა გამოძიების საშუალებად. (მუხ. 29).

ამრიგად, ოპერატიულ-სამძებრო და პროცესუალურ საქმიანობას შორის კავშირი სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობის ნორმებითაც არის განმტკიცებული. პროცესუალურ საქმიანობასთან მჭიდრო კავშირის მიუხედავად, სისხლის სამართლის სასამართლო წარმოების სისტემაში მას დამოუკიდებელი ადგილი აქვს მიკუთვნებული. ამის გამომხატველია ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებების განხორციელებისას უპირატესობის მიკუთვნება იმ საშუალებებისა და მეთოდებისადმი, რომლებიც გამჟღავნებას არ ექვემდებარებიან. ისინი მნიშვნელოვნად სცდებიან პროცესუალური საქმიანობის საზღვრებს და რეგულირდებიან მხოლოდ საუწყებო ნორმატიული აქტებით (ბრძანებებით, ინსტრუქციებით და სხვა.).

ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობაში კანონიერების დაცვას განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა აქვს, რადგან იგი უმთავრესად არ ექვემდებარება გამოძიებას, უშუალო საპროკურორო და საზოგადოებრივ ზედამხედველობას და კონტროლს.

ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობაში იყენებენ ისეთ საშუალებებსა და მეთოდებს, რომლებიც გარკვეულად ზღუდავს დამნაშავეობასთან ბრძოლაში საზოგადოებრივობის ჩაბმის საჭიროებას.

ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებათა განხორციელების დროს წამოიჭრება მთელი რიგი საკითხები, რომლებსაც თეორიული გადაწყვეტა ესაჭიროება. ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობისადმი საპროკურორო ზედამხედველობის პრობლემას პირველხარისხოვანი პრაქტიკული და თეორიული მნიშვნელობა

აქვს. ყურადღებას იმეორებს, სახელდობრ, შემდეგი საკითხები: აქვს თუ არა უფლება პროკურორს, და თუ აქვს, რა ფარგლებში და რა მოცულობით, როგორი ფორმებით, განახორციელოს ამ საქმიანობისადმი ზედამხედველობა?

ამ სერიოზულმა პრობლემამ უკანასკნელ დრომდე პროცესუალურ ლიტერატურაში გაშუქება ვერ ჰპოვა. ეს დუმილი იმიტაც იყო გამოწვეული, რომ სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობაში ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობა საერთოდ ნახსენებიც არ იყო. ამას ხელს უწყობდა ისიც, რომ ბოლო დრომდე იურიდიულ ლიტერატურაში გამეფებული იყო „სულიერო კონსერვატიზმის და უძრავობის, ჩამორჩენილობის ატმოსფერო, შემოქმედებითი ინიციატივა შეზღუდული და მებორკილი იყო“<sup>1</sup>.

ამ დახასიათების სისწორე დასტურდება იმით, რომ თუმცა ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობა პრაქტიკაში ფართოდ იყო გამოყენებული, იურიდიულ ლიტერატურაში მასზე დუმდნენ, უფრო მეტიც, ამ უბანზე პროკურორის საზედამხედველო უფლება-მოვალეობანი საერთოდ რეგლამენტირებულიც კი არ იყო. პრაქტიკულად პროკურორი ვერ ახორციელებდა ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობისადმი ზედამხედველობას.

ჩვენი ქვეყნის პარტიულ და სახელმწიფოებრივ ცხოვრებაში ლენინური ნორმების აღდგენისა და განვითარების შემდეგ სოციალისტური კანონიერების დაცვისათვის ბრძოლა ახალი ძალით გაიშალა. იგი ყველა სახელმწიფო ორგანოს, მათ შორის საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის ორგანოების მოღვაწეობის საფუძველი გახდა. სსრ კავშირის და მოკავშირე რესპუბლიკების საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის სამინისტროების ყველა ნორმატიულ აქტში ხაზგასმულია, რომ ყველა ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიება უნდა ხორციელდებოდეს სოციალისტური კანონიერების მოთხოვნათა მკაცრი დაცვით. ამასთან, ეს ღონისძიებები არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება ხელყოფდეს იმ მოქალაქეთა ინტერესებს, რომლებსაც კავშირი არა აქვთ დანაშაულთან; აგრეთვე, არ უნდა არღვევდნენ იმ პირთა კანონით დაცულ უფლებებს, რომელთა მიზართაც წარმართულია ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებები.

ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობისადმი საპროკურორო ზედამხედველობის სრულყოფის ამოცანებისა და მეთოდების განხილვამდე მიზანშეწონილია გავარკვიოთ დამნაშავეობასთან ბრძოლაში ოპერატიულ-სამძებრო მოქმედების არსი და მნიშვნელობა.

ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებათა დიდ მნიშვნელობაზე მიუთითებდა ე. ი. ლენინი. მან 1918 წლის 20 ნოემბერს, როდესაც ვაიგო, რომ მოსკოვის № 18 ევაკოპოსპიტლის ექიმებმა არასაპატიო მიზეზით გაათავისუფლეს სამსახურიდან წითელარმიელები, განკარგულება გასცა: ექიმების მოქმედებათა გასამყდვენებლად მოეხდინათ საიდუმლო ზედამხედველობა და თვალთვალი, შეეგროვებინათ მოწმეები, საბუთები და გადაეცათ ისინი სასამართლოსათვის“<sup>2</sup>.

მრავალწლიანი გამოცდილება გვიჩვენებს, რომ დამნაშავეობასთან ბრძოლისათვის მართოდენ პროცესუალური საშუალებები საკმარისი არ არის.

გამოავლენენ და აღმოაჩენენ რა დანაშაულის მნახველთ, საქმისათვის მნიშვნელობის მქონე საგნებს და სხვა დამამტკიცებელ საბუთებს, მოკვლევის

<sup>1</sup> «Коммунист», 1963, № 16, стр. 33.

<sup>2</sup> В. И. Ленин, Полное собрание сочинений, т. 50, стр. 208.

ორგანოები შესაძლებლობას აძლევენ გამოძიებელს პროცესუალური საშუალებებით შეამოწმოს და შეაფასოს მათი სარწმუნოება და მტკიცების ძალა.

ამასთან დაკავშირებით ა. ვინბერგის, გ. კოჩაროვის და გ. მინკოვსკის შეხედულებით „ოპერატიულ-სამძებრო მოღვაწეობა განხილულ უნდა იქნას როგორც მტკიცების ზოგიერთი ეტაპის შემადგენელი ნაწილი, რაც დამამტკიცებელ საბუთთა გამოვლინებასთან არის დაკავშირებული“.<sup>3</sup>

იურიდიულ ლიტერატურაში ეს მოსაზრება ყველა იურისტმა როდი გაიზიარა. იურისტების უმრავლესობამ იგი ყოველმხრივ გააკრიტიკა<sup>4</sup>.

გ. ი. პოპოვი, იცავს რა ამავე შეხედულებას, აგრეთვე თვლის ოპერატიულ საქმიანობას მტკიცების ზოგიერთი ეტაპის შემადგენელ ნაწილად, რაც მტკიცებულებათა გამოვლინებასთან არის დაკავშირებული<sup>5</sup>. მაგრამ თავისი მოსაზრების დასასაბუთებლად არავითარი არგუმენტი არ მოჰყავს.

ჩვენ ამ საკითხში მხარს ვუჭერთ იურისტების უმრავლესობას და მიგვაჩნია, რომ მოკვლევის ორგანოების ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობა მტკიცების ზოგიერთი ეტაპის შემადგენელ ნაწილად ვერ იქნება განხილული, რადგან მტკიცება გულისხმობს პროცესუალურ მოქმედებათა ერთობლიობას, რომლის განხორციელება განსაზღვრულ პროცესუალურ ფარგლებში და ფორმებში ხდება. მტკიცება სისხლის სამართლის საქმის აღძვრიდან იწყება და წინასწარ გამოძიების სტადიაში საბრალდებო დასკვნის შედგენით მთავრდება. რაც შეეხება ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობას, მისი საზღვრები მნიშვნელოვნად ფართოა; მოკვლევის ორგანომ ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებები შეიძლება გამოიყენოს საქმის აღძვრამდე, წინასწარი გამოძიების წარმოებასთან დაკავშირებით და ცალკეულ შემთხვევებში საქმის წარმოების დამთავრების შემდეგაც კი.

ამდენად, ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობა არ შეიძლება განხილულ იქნას როგორც მტკიცების ზოგიერთი ეტაპის შემადგენელი ნაწილი.

სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობა ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებებს არა მარტო მკაცრად განაცალკევებს საგამომძიებლო მოქმედებებისაგან, არამედ ამ ღონისძიებათა არსის სწორად გაგების მიზნით ამოსავალ დებულებებსაც განსაზღვრავს.

იურიდიულ ლიტერატურაში ეს განსხვავება შემდეგნაირად არის გამოხატული: ა. რ. რატინოვს მიაჩნია, რომ ოპერატიულ-სამძებრო მოღვაწეობა თვალთვალის ღონისძიებათა სისტემაა, რომელიც კანონზე და სხვა ნორმატიულ აქტებზე დაყრდნობით, სპეციალური ტაქტიკური და ტექნიკური მეთოდე-

<sup>3</sup> А. Винберг, Г. Кочаров, Г. Минковский, Актуальные вопросы теории судебных доказательств, «Социалистическая законность», 1963 г., стр. 23—24.

<sup>4</sup> И. Садовский, П. Тыричев, Вопросы теории и практики судебных доказательств, «Социалистическая законность», 1963 г. № 11; А. Ларин, Некоторые проблемы теории доказательств, «Социалистическая законность», 1963 № 8; А. Колесниченко, О соотношении доказывания и оперативно-розыскной деятельности, «Соцзаконность», 1963 № 8; А. Ривлин, С. Альперт, М. Бажапов, О доказательствах в советском уголовном судопроизводстве, «Соцзаконность», 1963 № 9; В. Параскевич, О спорном и бесспорном в теории судебных доказательств, «Соцзаконность», 1964, № 12; И. Михайловская, И. Петрухин, Некоторые вопросы теории судебных доказательств, «Советская юстиция», 1964, № 15; Н. А. Якубович, Проблемы теории судебных доказательств, «Советское государство и право», 1965, № 7 и другие.

<sup>5</sup> В. И. Писов, Розыскная деятельность при расследовании преступлений. Докторская диссертация, стр. 46.

ბის და საშუალებების გამოყენებით მიმართულია დანაშაულის თავიდან აცილების, გასწისა და დამნაშავეთა დაქვების უზრუნველყოფისაკენ. იგი ხაზს უსვამს, რომ ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებები როგორც აშკარა, ისე ფარული მეთოდებით და საშუალებებით ხორციელდება. ფარული მეთოდების გამოყენება მოკვლევის ორგანოს განსაკუთრებულ კომპეტენციას წარმოადგენს, რომლის გამოყენებისათვისაც მის განკარგულებაშია საჭირო საშუალებები და სპეციალური აპარატი. რაც შეეხება ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის ღია ფორმებს, ავტორის აზრით ისინი შეიძლება უშუალოდ გამოძიებულმაც გამოიყენოს, მხოლოდ როგორც ტაქტიკური ხეობი საგამომძიებლო მოქმედების ეფექტურობის უზრუნველსაყოფად<sup>6</sup>.

ა. რ. რატინოვის მოსაზრება, რომ გამოძიებულმა ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიება გამოიყენოს თუნდაც ტაქტიკურ საშუალებად, ჩვენ ვფიქრობთ, მცდარია. სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობა გამოძიებულს უფლებას არ აძლევს უშუალოდ განახორციელოს ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიება; უფრო მეტიც, კანონი გამოძიებულს უკრძალავს მისცეს მოკვლევის ორგანოს ოპერატიულ-სამძებრო ხასიათის დავალება. ა. რ. რატინოვის შეცდომა, ჩვენი აზრით, იმით არის გამოწვეული, რომ სამძებრო ღონისძიებებს, რომლებსაც საქმეზე ახორციელებს გამოძიებელი, იგი აიგივებს ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებებთან, რომლებსაც ატარებს მილიცია რსფსრ სსსკ 118-ე მუხლის შესაბამისად (საქართველოს სსრ სსსკ 118-ე მუხ.).

კანონმდებელმა შინაარსით და ფორმით ერთმანეთისაგან განსხვავებულ საშუალებებს, მეთოდებს და ღონისძიებებს ერთი და იგივე ტერმინი „ოპერატიულ-სამძებრო“ უწოდა<sup>7</sup> და დამნაშავეობასთან ბრძოლაში მოკვლევის ორგანოების განსაკუთრებულ კომპეტენციას მიაკუთვნა (რსფსრ სსსკ 119-ე მუხლის IV ნაწ., საქართველოს სსრ სსსკ 120 მუხ.).<sup>8</sup>

გ. მ. იასინსკი სამართლიანად აკრიტიკებს ა. რ. რატინოს და თვლის, რომ არ შეიძლება გამოძიებელმა თვითონ გამოიყენოს ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებანი, თუმცა გ. იასინსკი თავისი მოსაზრებების გადმოცემაში არათანმიმდევრულია. ასე, მაგალითად, გ. იასინსკი თავიდან იმ დასკვნამდე მიდის, რომ არსებობს ორი დამოუკიდებელი სახე ღონისძიებებისა: ოპერატიულ-სამძებრო და სამძებრო. ამასთან პირველი მოკვლევის ორგანოს განსაკუთრებულ კომპეტენციას შეადგენს და მეორე კი შეიძლება გამოყენებულ იქ-

6 **А. Р. Ратнов**, Взаимодействие следователей прокуратуры и органов милиции при расследовании преступлений, «Практика» применения нового уголовного-процессуального законодательства», М. 1962, стр. 86—90.

7 **А. Ф. Осипов**, К вопросу о понятии оперативно-розыскных мер, «Труды высшей школы МОП РСФСР», М. 1965 г. № 12.

8 **ა. ბ. ვასილივი** თვლის, რომ „კანონი ლაპარაკობს ოპერატიულ-სამძებრო მოქმედებაზე, როგორც მოკვლევის ორგანოების მოღვაწეობის ფორმაზე. ნიშნავს თუ არა ეს, რომ მხოლოდ მოკვლევის ორგანოებს აქვთ უფლება ამ მოქმედების შესრულებისა და რომ წინასწარი გამოძიების ორგანოებს, ე. ი. გამოძიებლებს ასეთი უფლება არა აქვთ?

ამ კითხვაზე, აღნიშნავს იგი, უარყოფითი პასუხი უნდა გავცეთ. იურიდიული თვალსაზრისით დანაშაულის გამოძიებასთან დაკავშირებით ყველა მოქმედება, რომლის წარმოებაზე უფლებამოსილია მოკვლევის ორგანოები, შეიძლება აწარმოოს გამოძიებულმაც, როგორც ამ სფეროში უფრო ფართო რწმუნებების მქონე ორგანო“. (**А. Н. Васильев**, Основы следственной тактики, докт. диссерт., М. 1960, стр. 470).

ნას როგორც მოკვლევის, ისე წინასწარი გამოძიების ორგანოების მიერ. მისი აზრით, სამძებრო ღონისძიებების გამოყენებისას გამოძიებლის უფლებამოსილება სასტიკად არის შეზღუდული. გამოძიებელს უფლება აქვს მოკვლევის ორგანოებს დავალებები და მითითებები მისცეს სამძებრო ღონისძიებების ჩასატარებლად. მაგრამ რაც შეეხება გამოძიებლის მიერ სამძებრო ღონისძიებების უშუალოდ წარმოებას, ეს გამოძიებლის კომპეტენციაში არ შედის და მოკვლევის ორგანოების მოვალეობას წარმოადგენს: „იმის მიხედვით, თუ რა მეთოდებით და საშუალებებით ახორციელებენ მოკვლევის ორგანოები სამძებრო არაპროცესუალურ მოქმედებას, ფარული თუ აშკარა მეთოდით, მოითხოვენ თუ არა ისინი მილიციის მუშაკის განსაკუთრებულ მომზადებასა და ცოდნას, არ შეიძლება არეულ იქნას გამოძიებლის იმ პროცესუალურ მოღვაწეობასთან, რომელიც დაკავშირებულია მოკვლევის ორგანოებისათვის ძებნის წარმოების შესახებ დავალებათა და მითითებათა მიცემასთან“<sup>9</sup>.

ამრიგად, გ. იასინსკიმ, რომელიც დასაწყისში ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებებს განასხვავებდა სამძებრო მოქმედებისაგან, ბოლოს უარი თქვა ამაზე და ფაქტიურად ისინი ერთმანეთთან გაათანაბრა.

გ. იასინსკის მოსაზრება, რომ გამოძიებელს სამძებრო მოქმედების პირადად წარმოების უფლება არა აქვს, მიუღებელია. დამნაშავეობასთან საბრძოლველად მოწოდებულ ყველა ორგანოს უნდა ჰქონდეს დამნაშავეთა ძებნის ფუნქცია; მილიციის ორგანოსთვის ეს მეტად მნიშვნელოვანი, ძირითადი ფუნქციაა (საფუძვლების 29-ე მუხლის II ნაწილი).

გამოძიების პროცესში გამოძიებელი საგამომძიებლო მოქმედებით არ იზღუდება; მას სამძებრო მოქმედების წარმოებაც უხდება. ეს დებულება მოკავშირე რესპუბლიკების სსს კოდექსებიდან პირდაპირ და უშუალოდ გამომდინარეობს. მაგალითად; რსფსრ სსსკ 196-ე და 197-ე მუხლებსა და საქართველოს სსრ სსსკ 197-ე და 198-ე მუხლების შესაბამისად გამოძიების პროცესში მიმართული ბრალდებულის ძებნას გამოძიებელი პირადადაც აწარმოებს. ვაპოძიებელი დაწყებით სტადიაში დანაშაულის გახსნის მიზნით ზშირად მიმართავს სამძებრო ზომებს: ატარებს გამოკითხვას, ეძებს დანაშაულის მნახველთ, აგროვებს ცნობებს და სხვ., მაგრამ ეს იმას როდი ნიშნავს, რომ სამძებრო ფუნქცია მისთვის მთავარია.

მისაღებია ა. ვ. ოსიპოვის თვალსაზრისი, რომლითაც იგი ცნებას „ოპერატიულ-სამძებრო“ ჰყოფს ორ დამოუკიდებელ სახედ — „ოპერატიული ზომები“ და „სამძებრო მოქმედება“. მისი აზრით ოპერატიული ზომების განხორციელება ფარული საშუალებებით და მეთოდებით ხდება და მილიციის ორგანოების მოღვაწეობის განსაკუთრებულ კომპეტენციას შეადგენს. ა. ვ. ოსიპოვი აღნიშნავს, რომ გამოძიებელს, როგორც წესი, მხოლოდ სამძებრო ზომების მიღების უფლება აქვს<sup>10</sup>.

საქართველოს სსრ და რსფსრ სსს კოდექსების 118-ე მუხლის შესაბამისად მილიციის ორგანოთა ოპერატიულ-სამძებრო მოღვაწეობა ორი მიმართულებით წარიმართება — პირველი მთლიანად ემსახურება წინასწარი გამოძიების ინტერესებს, უზრუნველყოფს მის გახსნას; მეორე პროფილაქტიკური ხა-

<sup>9</sup> Г. М. Ясинский, Взаимодействие следователя МООН и органа дознания, «Социалистическая законность», 1964 г. № 7, стр. 19—20.

<sup>10</sup> А. Ф. Осипов. Указ, стр. 20.

სიათისაა და მიმართულია მოსალოდნელი დანაშაულის აცილებისაკენ ან იმ დანაშაულთა აღკვეთისაკენ, რომლებიც მზადდება.

ამრიგად, ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებები მოკვლევის ორგანოს მუშაობა მიზანდასახული მოქმედების ერთობლიობაა, რაც სოციალისტური კანონიერების მკაცრად დაცვის საფუძველზე სპეციალურ-ფარული საშუალებების და მეთოდების გამოყენებით ხორციელდება და რაც მიმართულია დამნაშავეობასთან ბრძოლის ცალკეული ამოცანების სწრაფად გადაწყვეტისაკენ. ამასთან ამ ამოცანების გადაჭრის დროს მკაცრად უნდა იქნას დაცული კონსპირაცია.

მილიციის ორგანოების ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობაში კანონიერების დაცვის რეალიზაცია ხდება საბჭოთა კანონის, აგრეთვე დირექტიული მითითებების, ბრძანებების, ინსტრუქციების და სხვა ნორმატიული აქტების ზუსტად და განუხრელად შესრულებით, რომლებიც ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობას აწესრიგებენ.<sup>11</sup>

სწავლულ იურისტთა ნაწილს მიაჩნია, რომ ოპერატიულ-სამძებრო მოღვაწეობა პროკურატურის ზედამხედველობას არ ექვემდებარება, რომ პროკურორს ოპერატიული მასალები არ წარედგინება. ეს თვალსაზრისი პროცესუალურ ლიტერატურაში იყო გამოთქმული და ერთხანს მას ა. რ. რატინოვიც<sup>12</sup> იზიარებდა (შემდგომში ა. რატინოვი ეს შეხედულება შეიცვალა)<sup>13</sup>.

პრაქტიკულ მუშაკთა გარკვეული ნაწილი ამ პოზიციაზე დგას და ხშირად რთულ სიტუაციას ქმნის.

იშვიათი როდია, რომ მილიციის ადგილობრივ განყოფილებათა უფროსები პროკურორებს მიმალულთა სამძებრო საქმეების წარდგენაზე უარს ეუბნებიან იმ მოტივით, თითქოს პროკურორის საქმიანობის სფეროს არ ეკუთვნის მილიციის ორგანოებში ოპერატიულ-სამძებრო მასალების შეკრების კანონიერებაზე ზედამხედველობა, თითქოს ეს ეწინააღმდეგება დებულებას საპროკურორო ზედამხედველობის შესახებ.

მ. ს. სტროგოვიჩის, ვ. მ. სავიციის, მ. ი. რაგინსკის, ნ. ბ. ყოგინის, ფ. ნ. ფატკულინის და სხვათა შრომებში ეს თვალსაზრისი სამართლიანად არის გაკრიტიკებული. თუმცა პროცესუალისტები ზოგჯერ არ ითვალისწინებენ რა სისხლის სამართალწარმოებაში მილიციის ორგანოების სისხლის სამართლის სამძებრო და სახელმწიფო ქონების დამტაცებელთა და სპეკულაციის წინააღმდეგ მებრძოლ დანაყოფთა უფროსების უფლებრივ სტატუსს, გარკვეულ უკიდურ-

<sup>11</sup> ამასთან დაკავშირებით საკმაოდ ზუსტი არ არის იმის მტკიცება, თითქოს „ოპერატიულ-სამძებრო მოქმედება ნებისმიერ ფორმებში წარმოებს“ (იხ. მაგალითად: **Н. В. Жогин, Ф. Н. Фаткулин.** Предварительное следствие в советском уголовном процессе, М., 1965 г., стр. 158).

მოკავშირე რესპუბლიკების საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის სამინისტროების საუწყებო ნორმატიული აქტებით დადგენილია, რომ ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებები შემსრულებლის შეხედულებისამებრ კი არ ხორციელდება, არამედ დაწვრილებით და ყოველმხრივ მუშავდება, სამსახურებრივ დოკუმენტებში აღიბეჭდება და მხოლოდ ამის შემდეგ ხორციელდება.

<sup>12</sup> «Сборник материалов совещания следственных работников органов прокуратуры», М., 1960, стр. 168—169.

<sup>13</sup> **А. Р. Ратинов.** Роль прокурора в организации взаимодействия следователей прокуратуры и органов милиции, «Взаимодействие следователей и милиции», М., 1965, стр. 37.



რესობაში ვარდებიან და მხედველობიდან უშვებენ საპროკურორო ზედამხედველობის საგნისა და საზღვრების სპეციფიკურობას<sup>14</sup>.

გ. მ. სავიციის მიაჩნია, რომ ზედამხედველობის გარდა მოკვლევის ორგანოების ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობისადმი პროკურატურა უნდა ახორციელებდეს ხელმძღვანელობასაც. ეს არსებითი შეცდომაა. ავტორის ცდა დაამტკიცოს, თითქოს ასეთი ხელმძღვანელობა ხელს უწყობს ოპერატიულ-სამძებრო აპარატის საქმიანობაში დროის და საშუალებების უსარგებლო ხარჯვის თავიდან აცილებას, ჩვენი შეხედულებით კანონს ეწინააღმდეგება<sup>15</sup>.

სხვა ავტორები მოკვლევის ორგანოების ოპერატიულ-სამძებრო მოღვაწეობისადმი ზედამხედველობის განხორციელებაში პროკურორის უფლებამოსილების გაფართოების პოზიციაზე დგანან. გ. მ. იასინსკის აზრით ასეთი ზედამხედველობა უნდა ვრცელდებოდეს უწყებრივი აქტების (ბრძანებების და ინსტრუქციების) შესრულებაზეც.<sup>16</sup>

გ. მ. იასინსკი ოპერატიულ-სამძებრო მოღვაწეობაზე ზედამხედველობის ობიექტს აფართოებს.

ვ. კ. ზვირბულის და ა. ი. ყუკოვის შრომაში ეს პრობლემა რამდენადმე სხვანაირად არის გადაწყვეტილი. მათი აზრით, მოკვლევის ორგანოების ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობაზე ზედამხედველობის განხორციელებისას შესაბამისი სამსახურის თანამდებობის პირთა კომპეტენციაში ჩარევის უფლებრივი საფუძვლები მკაცრად უნდა იყოს შეზღუდული. ასეთი ჩარევა დასაშვებია, როცა კანონის დარღვევის შესახებ არსებობს მონაცემები, საჩივრის ან განცხადების ფარგლებში.<sup>17</sup>

ანალოგიურად წყვეტენ ამ საკითხს ნ. ვ. ყოვინი<sup>18</sup>, ა. რ. რატინოვი<sup>19</sup> და სხვები.

ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობაში ფარული მეთოდების და საშუალებების მრავალგვარ კომპლექსს იყენებენ. ეს სფერო მრავალმხრივია და მათი ნაწილი ორგანიზაციულ ხასიათს ატარებს (მაგალითად, მუშაობის ფარული მეთოდების და საშუალებების გამოწახვა, შერჩევა და სხვ.)

ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებები დანაშაულის ჩადენაში ან მის მომზადებაში ეჭვიმტანილ პირთა მიმართ საქმის აღძვრამდე წარმოებს. ამ შემთხვევაში პროკურორის ჩარევა დასაშვებად მაშინ უნდა ჩაითვალოს, როცა არის მონაცემები ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებების წარმოებისას კანონ-

<sup>14</sup> М. С. Строгович, Курс советского уголовного процесса, М., 1958, стр. 118. В. М. Савицкий, Прокурорский надзор за дознанием и предварительным следствием, М., 1959 г., стр. 110—111. М. Ю. Рагинский, Оперативно-розыскная работа милиции и вопросы прокурорского надзора, в сб. «Прокурорский надзор за дознанием и предварительным следствием», М., 1964, стр. 77—84. Н. В. Жогин и Ф. Н. Фаткулин, Предварительное следствие в советском уголовном процессе, М. 1965 г., стр. 353.

<sup>15</sup> В. М. Савицкий, Прокурорский надзор за дознанием и предварительным следствием, М. 1959 г., стр. 112.

<sup>16</sup> Г. М. Ясинский, Взаимодействие следователя МООП и органа дознания, «Социалистическая законность», 1964 г. № 7, стр. 20.

<sup>17</sup> В. К. Звирбуль, А. И. Жуков, «Вопросы криминалистики», 1961 г. № 1—2, стр. 80—82; В. К. Звирбуль, Надзор за раскрытием преступлений, «Социалистическая законность», 1962 г. № 1.

<sup>18</sup> Н. В. Жогин, «Прокурорский надзор за дознанием и предварительным следствием», стр. 18—19. Он же «Теоретические основы прокурорского надзора за предварительным следствием», Докт. диссертация, М., 1966 г. стр. 174.

<sup>19</sup> А. Р. Ратинов, «Взаимодействие следователей и милиции», М. 1965 г., стр. 38.

ნიერების დარღვევის შესახებ. მოკვლევის ორგანოს საქმიანობის ამ სფეროში ზედამხედველ პროკურორს უფლება უნდა მიეცეს განცხადებების და საჩივრების მიღებამდე აღკვეთოს კანონიერების დარღვევა. რამდენადაც ოპერატიულ-სამძებრო მუშაობა განუყრელ კავშირშია წინასწარ გამოძიებასთან და არსებითად მის ინტერესებს ემსახურება, იგი უნდა განეკუთვნოს სისხლის სამართლის სასამართლო წარმოების სფეროს და ამიტომ ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობაზე საპროკურორო ზედამხედველობა სისტემატური, ყოველდღიური უნდა იყოს, არ უცდიდეს საჩივრებს და განცხადებებს და შემოწმების ინიციატივა თვით პროკურორისაგან უნდა გამომდინარეობდეს.

მთელ რიგ დანაშაულებზე, როგორც გაუხსნელ ისე ძებნაში მყოფ პირთა მიმართ, წარმოებით შეჩერებული საქმეები ოპერატიულ აღრიცხვაზე არიან აყვანილი და მოკვლევის ორგანოები აწარმოებენ ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებებს. ასეთ საქმეებზე ზედამხედველი პროკურორი ვალდებულია ახორციელებდეს მუდმივ ზედამხედველობას, იგი ვალდებულია ეცნობოდეს ადგილზე ან გამოთხოვით სამძებრო წარმოებას, კანონიერების დარღვევის გამოვლინების, მილიციის მუშაკების უმოქმედობაზე დროულად ზომების მიღებასა და დამნაშავეთა დაძებნის გააქტივების მიზნით.

საპროკურორო ზედამხედველობის ასეთი გაგება მოითხოვს, რომ პროკურორი სისტემატურად იყოს საქმის კურსში, თუ როგორ მიმდინარეობს მიმალულ ბრალდებულთა და გაუხსნელ საქმეებზე პასუხისგებაში მისაცემ პირთა ძებნა.

ოპერატიული აღრიცხვისაგან დანაშაულთა და ძებნილთა მიჩქმალვა არა მარტო ზიანს აყენებს სოციალისტური სახელმწიფოს და საზოგადოების ინტერესებს, არამედ წარმოადგენს სოციალისტური კანონიერების უხეშ დარღვევას.

ოპერატიული აღრიცხვისაგან დანაშაულობათა მიჩქმალვა ნაშნავს იმას, რომ ჩადენილ დანაშაულზე სისხლის სამართლის საქმე არ არის აღძრული (რაზედაც მილიციის ორგანოში არსებობს განცხადება ან სხვა რეალური მონაცემები) და შესაბამისად არ ხორციელდება ღონისძიებები მის გასახსნელად. ფაქტიურად ასეთი პრაქტიკა მართლმსაჯულების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულია.

ზემოაღნიშნულთან დაკავშირებით ჩვენ ვერ გავიზიარებთ იმ თვალსაზრისს, რომელიც ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობაში პროკურორის საზედამხედველო უფლებამოსილებას ზღუდავს საჩივრებისა და განცხადებების განხილვით.

საპროკურორო ზედამხედველობის ჩვენს მიერ მოცემული გაგება უშუალოდ კანონზეა დამყარებული და მისი არსიდან გამომდინარეობს.

მაგალითად, საქართველოს სსრ სსსკ 211 მუხლის II ნაწილის მე-2 პუნქტის შესაბამისად პროკურორი მოვალეა „მოსთხოვოს მოკვლევის ორგანოს... მონაცემები დამნაშავის დაძებნის შესახებ“. მიზანშეწონილია პროკურორის ეს ფუნქცია ჩვენს კანონმდებლობაში ისეთივე სახით იქნას შეტანილი, როგორც ამას ადგილი აქვს სხვა მოკავშირე რესპუბლიკების სს კოდექსებში. „წარმოებით შეჩერებულ საქმეებზე სისხლისსამართლებრივ პასუხისგებაში მისაცემ პირთა დადგენისათვის მოკვლევის ორგანოების საქმიანობაზე და აგრეთვე ძებნის წარმოებაზე ზედამხედველობას ახორციელებს პროკურორი“. (სომხეთის სსრ და ლიტვის სსრ სსსკ 222-ე და 191-ე მუხლები).

პროკურორი ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობაში არ უნდა ერეოდეს, გამორიცხული უნდა იყოს ამ საქმიანობისადმი ხელმძღვანელობაც. პროკურორი მხოლოდ კანონიერების დაცვაზე ზედამხედველობას უნდა უზრუნველყოფდეს.

სისხლის სამართლის დანაშაულის გაუხსნელობის გამო ე. ი. სისხლის-სამართლებრივ პასუხისგებაში მისაცემ პირთა ვინაობის დაუდგენლობის და ბრალდებულის მიმალვის გამო წარმოებით შეჩერებულ საქმეებზე შესაძრწეია ტენდენცია, როდესაც გამომძიებლები სჯერდებიან წინასწარი გამოძიების შეჩერების შესახებ დადგენილების მილიციის ორგანოში გაგზავნას და თვითონ საქმის გახსნისათვის ან მიმალული დამნაშავის დაქებნისათვის არაფერს არ აკეთებენ. გამომძიებლებსა და მოკვლევის მუშაკებს შორის ასეთ საქმეებზე პერიოდულად ფორმალურ მიმოწერას აქვს ადგილი, საქმე კი ადგილიდან არ იძვრის. გამომძიებლები, იმედებს ამყარებენ რა მილიციის ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებებზე, შედეგს მათგან ელიან, ხოლო მილიციის ზოგიერთი მუშაკი, ამოფარებულია რა თავისი მოღვაწეობის საიდუმლოებას, თითქმის არაფერს არ აკეთებს ამ მხრივ.

ეს მდგომარეობა აიხსნება ამ უბანზე ქმედითი და სისტემატური საპროკურორო ზედამხედველობის არარსებობით, რადგან, ჯერჯერობით ეგრეთწოდებული საიდუმლოების „გადაულახავი ზღუდე“ ელობება ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობაზე საპროკურორო ზედამხედველობას.

ამასთან დაკავშირებით მიზანშეწონილი იქნებოდა შემდეგი წესის შემოღება: 1. გაუხსნელ და სამძებრო საქმეებზე ყველა დადგენილების პირები, როგორც წესი, უნდა გგზავნებოდეს ზედამხედველ პროკურორს; 2. პროკურორის მიერ შემოწმებულ, გაუხსნელ და სამძებრო საქმეებზე საქმეთა რაოდენობა შეტანილ იქნას სტატისტიკურ ანგარიშში.

პროკურორისა და ოპერატიულ-სამძებრო მოღვაწეობის სამსახურის ხელმძღვანელებს შორის ურთიერთობის მკაფიოდ განსაზღვრისათვის მიზანშეწონილია სსრ კავშირში საპროკურორო ზედამხედველობის შესახებ დებულებაში შეტანილ იქნას სათანადო დამატებანი.

ჩამოყალიბებული შეხედულებების ანალიზის მიხედვით მიზანშეწონილი იქნება:

საკანონმდებლო ნორმებით რეგლამენტირებულ იქნას პროკურორის უფლება — დანაშაულის გახსნის, მისი ჩამდენი პირის დადგენის და დანაშაულის აცილება-აღკვეთისათვის ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებათა ჩატარებაზე მითითების მიცემის შესახებ;

მითითებები წერილობითი და მილიციის ორგანოს თანამდებობის პირთათვის სავალდებულო უნდა იყოს;

მითითებათა შესრულება პროკურორის მიერ განსაზღვრულ ან მასთან შეთანხმებულ ვადაში უნდა მოხდეს;

სამძებრო და ოპერატიულ-სამძებრო საქმეთა შექმნის შესახებ დადგენილების ასლი პროკურორს 48 საათის განმავლობაში გადაეგზავნოს;

მოკვლევის ორგანოების მიერ მოვალეობის შეუსრულებლობის შემთხვევაში პროკურორი მოვალეა გამოითხოვოს ოპერატიულ-სამძებრო ხასიათის მასალები და თანამდებობის პირთა ახსნა-განმარტება.

პროკურორი, დაადგენს რა დაშვებულ დარღვევების არსს,

1. მოსთხოვს მოკვლევის ორგანოს ხელმძღვანელს ამ დარღვევათა და უყოვნებლივ აღმოფხვრას;

2. შეიტანს წარდგინებას დანაშავეთა მიმართ ადმინისტრაციული თუ დისციპლინარული პასუხისმგებლობის შესახებ;

3. დანაშაულის შედგენილობის არსებობისას აღძრავს სისხლის სამართლის საქმეს.

საჭიროა საქართველოს სსრ სსკ მე-7 თავში შეტანილ იქნას ცალკე ნორმა, რომელიც გაითვალისწინებს სახელმწიფო აღრიცხვისგან დანაშაულის ბოროტი დამალვისათვის სისხლის სამართლის პასუხისმგებლობას. ვაყენებთ მუხლის შემდეგ რედაქციას: „საქართველოს სსრ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-3 მუხლში ჩამოთვლილი პირების მიერ დანაშაულის ნიშნების აღმოჩენის შემთხვევაში წინასწარი შეცნობით საქმის არ აღძვრა ან სახელმწიფო აღრიცხვისაგან დამალვა ისჯება“.

წინასწარი გამოძიების სტადიაში მიმალული ბრალდებულის ძებნასთან დაკავშირებით გაწეული ხარჯები სასამართლოს განაჩენით გადასახდელად მსჯავრდებულს უნდა დაეკისროს. ამ თვალსაზრისით საჭირო იქნებოდა საქართველოს სსრ სსკ 105 მუხლს დამატოს მე-4 პუნქტი შემდეგი რედაქციით: „თანხა, რაც დაიხარჯა ბრალდებულის ძებნის წარმოებასთან დაკავშირებით“. ამ ხასიათის ხარჯების კანონმდებლის მიერ სასამართლო ხარჯებად ცნობა გამამტყუნებელი განაჩენის დადგენისას შესაბამისად სსკ 320 მუხლის მე-3 პუნქტისა სასამართლოს შესაძლებლობას მისცემდა მსჯავრდებულისათვის დაეკისრებინა მის ძებნასთან დაკავშირებული ხარჯები.

კარგი იქნება იურიდიულ სასწავლებლებში კურსის—„საპროკურორო ზედამხედველობა სსრ კავშირში“ შესწავლის დროს რამდენიმე საათი დაეთმოს თემას—„მილიციის ორგანოების ოპერატიულ-სამძებრო მოღვაწეობის საფუძვლები და საპროკურორო ზედამხედველობის საკითხები“. ეს თემა უნდა შეიცავდეს შემდეგ ძირითად საკითხებს: ოპერატიულ-სამძებრო მოღვაწეობის არსი და ამოცანები, მუშაობის მეთოდები, კანონიერების უზრუნველყოფის ფორმები, საპროკურორო ზედამხედველობის ხერხები, ოპერატიულ-სამძებრო მასალის რეალიზაციის ფორმები, საუწყებო კონტროლი და საპროკურორო ზედამხედველობასთან მისი ურთიერთმოქმედების საკითხი და სხვ. კარგი იქნებოდა, რომ ამ დარგში პროკურატურის მუშაკების გადამზადებაც ხდებოდეს.

მოკვლევის ორგანოების და საპროკურორო ზედამხედველობის მუშაობის პრაქტიკის გაცნობა, აღნიშნული საკითხების განხილვა, ტიპური შეცდომების და დარღვევების ანალიზი საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის ორგანოებში ოპერატიულ-სამძებრო მოღვაწეობაზე ზედამხედველობის სწორ ორგანიზაციას უზრუნველყოფს, ეს კი თავის მხრივ მოკვლევის ორგანოების მოღვაწეობის ამ სფეროში სოციალისტური კანონიერების დარღვევის აღმოფხვრის პრაქტიკულ შესაძლებლობას მნიშვნელოვნად გაზრდის.

## მუშა-მოსამსახურეთა პირადი საკუთრების სახსოვრებადი სახლი სოფლად

ა. კოზახიძე

საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის ახალმა კოდექსმა მნიშვნელოვანი ცვლილებები შეიტანა კანონმდებლობაში პირადი საკუთრების შესახებ, მიუხედავად ამისა, სოფლად სხვადასხვა საზოგადოებრივი ჯგუფების არსებობით განპირობებული პირადი საკუთრების საცხოვრებელი სახლების მრავალსახეობა მოითხოვს ამ საკითხის შემდგომ დაზუსტებასა და სრულყოფას.

პირადი საკუთრების სოციალისტური ბუნება განსაზღვრავს საცხოვრებელ სახლზე პირადი საკუთრების უფლების დიდ სოციალურ-პოლიტიკურ და კულტურულ მნიშვნელობას. ისევე როგორც პირადი საკუთრების სხვა ობიექტებზე, საცხოვრებელ სახლზე პირადი საკუთრება წარმოებულია სოციალისტური საკუთრებიდან და ატარებს მოხმარებითს ხასიათს. მანამდე, სანამ შენარჩუნებულია შრომის ხარისხისა და რაოდენობის მიხედვით განაწილების, შრომის შედეგებით მატერიალური დაინტერესების პრინციპი, პირადი საკუთრება არის და იქნება მშრომელთა მატერიალური და კულტურული მოთხოვნილებების დაკმაყოფილების მნიშვნელოვანი საშუალება. ამიტომ ვიდრე ამის ეკონომიური წინამძღვრები არ შექმნილა, მცდარი და მიუღებელია ადმინისტრირებით, დეკრეტირებით ამ საკუთრების გაუქმება.

პირადი საკუთრების უფლების ობიექტებს შორის როგორც თავისი ღირებულებით, ისე სამეურნეო დანიშნულებით განსაკუთრებული როლი ეკუთვნის საცხოვრებელ სახლს. იმ დიდ ღონისძიებათა კომპლექსში, რომლებსაც კომუნისტური პარტია და საბჭოთა მთავრობა ახორციელებენ მშრომელთა მატერიალური და კულტურული კეთილდღეობის ამაღლებისათვის, წამყვანი ადგილი უჭირავს მოქალაქეთა უზრუნველყოფას კეთილმოწყობილი ბინებით. ჩვენს ქვეყანაში, სადაც გრანდიოზული მასშტაბით ხორციელდება საბინაო მშენებლობა, დიდი რაოდენობით იხარჯება სახსრები ამ მიზნისათვის. მარტო 1967 წელს აშენდა 93,4 მილიონი კვადრატული მეტრი საცხოვრებელი ფართობი, რაზედაც 5,8 მილიარდი მანეთი დაიხარჯა.

საბინაო ფონდში სერიოზული ადგილი უჭირავს პირადი საკუთრების საცხოვრებელ სახლებს. ეს განსაკუთრებით ითქმის სოფლის პირობებზე. მართალია, უკანასკნელ პერიოდში ჩქარა ტემპით ვითარდება სოფლად სახელმწიფო და კოოპერაციული სახსრებით ბინების მშენებლობა, მაგრამ ჯერჯერობით და საკმაოდ დიდხანს მომავალშიც, სოფლის მშრომელთა საბინაო მოთხოვნილება უმთავრესად კმაყოფილდება და დაკმაყოფილდება პირადი საკუთრების სახლებით. თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ ჩვენი ქვეყნის მოსახლეობის დაახლოებით ნახევარს, ჩვენი რესპუბლიკის სინამდვილეში კი ნახევარზე მეტს სოფლის მოსახლეობა შეადგენს, გასაგები გახდება, რა დიდი როლი ეკუთვნის საცხოვრებელ სახლზე პირადი საკუთრების უფლებას სოფლად.

სწორედ ამიტომ არის, რომ საბჭოთა სახელმწიფო უკანასკნელ პერიოდში

უდიდეს დახმარებას უწევს ინდივიდუალურ ბინათმშენებლებს როგორც ქვეყნის მთლიან და დაბეჭდვით, ისე სოფლად. 1965 წლიდან სახელმწიფო კოლმეურნეებს ინდივიდუალური ბინათმშენებლობისათვის აძლევს გრძელვადიან კრედიტს 700-დან 1500 მანეთამდე. სოფლის მშრომლებს სახელმწიფო ამარაგებს საშენი მასალებით, ეხმარება პროექტების შედგენაში, მექანიზმებით უზრუნველყოფაში და სხვ. ჩვენს ქვეყანაში შექმნილია სპეციალური საპროექტო ინსტიტუტები, რომლებიც მუშაობენ სოფლად საცხოვრებელი სახლების დაპროექტებაზე. ეწყობა კონკურსები საუკეთესო პროექტებზე. 1965 წლის მეორე ნახევრიდან საქართველოს სს რესპუბლიკაში დაიწყო გამზადებულო, ასაწყობი საცხოვრებელი სახლების ნისიად მიყიდვა კოლმეურნეებისა და სასოფლო-სამეურნეო წარმოების მუშების ოჯახებისათვის, რასაც ახორციელებს სამომხმარებლო კოოპერაცია. მსურველი ცეკავშირის საშუალებით მაღაზიაში ყიდულობს 50,4 კვადრატული მეტრი ფართობის სახლის დეტალებს და კოოპერაციის მეშვეობითვე ეწევა მის აწყობას. როგორც საქართველოს დეპუტატთა სააგენტო იუწყებოდა, ასეთი სახლები 1965-1966 წლებში ნისიად შეიძინეს ჭიათურის რაიონის სოფელ ცხრტყვეთის მარქსის სახელობის, საჩხერის რაიონის სოფელ ორღულის ლენინის სახელობის კოლმეურნეობათა წევრებმა, ყვარლის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობის, მახარაძის, ჩოხატაურის, ზესტაფონის, სამტრედიის რაიონების ჩაისა და ციტრუსების საბჭოთა მეურნეობების მუშებმა და სხვ.

მშრომელთა მატერიალური კეთილდღეობის განუხრელი ამღობისა და სახელმწიფოს მხრივ დიდი დახმარების შედეგად უმაგალითოდ იზრდება სოფლად ინდივიდუალური ბინათმშენებლობა. საბჭოთა ხელისუფლების არსებობის 42 წლის მანძილზე მარტო კოლმეურნეობებში აშენდა 19,8 მილიონი სახლი. მხოლოდ 1946—1963 წლებში საქართველოს სოფლის მოსახლეობამ თავისი დანახოვითა და სახელმწიფოს დახმარებით ააშენა 156,3 ათასი სახლი. სოფლად საბინაო მშენებლობის მაღალ გაქანებაზე მეტყველებს ყირიმის ოლქის კოლმეურნეობა „ხალხთა მეგობრობის“ მაგალითი, სადაც კოლმეურნეობა აშენებს ტიპურ სახლებს ერთი-ორი ოჯახისათვის და გრძელვადიანი სესხით ეწევა სოფლის მშრომლებისათვის მიყიდვას. ვ. სიმაკოვის შენიშვნით „ყირიმის ოლქში მარტო სახელმწიფო სესხით ყოველ წელს იმდენი სახლი შენდება, რომ თუ გავამწკრივებთ ერთ ხაზზე, ორასი-სამასი კილომეტრი „ქუჩა“ გადაიჭიმება“<sup>1</sup>.

სოფლად პირადი საკუთრების საცხოვრებელი სახლის ერთ-ერთ მნიშვნელოვან სახეს მიეკუთვნება მუშისა თუ მოსამსახურის საცხოვრებელი სახლი. იმ დიდი ამოცანების შესრულებაში, რაც სოფლის მეურნეობის მუშაკთა წინაშეა დასახული, უდიდეს როლს ასრულებენ სოფლის ინტელიგენცია და სასოფლო-სამეურნეო საწარმოთა მუშები. ჩვენი ქვეყნის სამეურნეო ძლიერების ზრდასთან ერთად, ქალაქისა და სოფლის თანდათანობით დაახლოებასთან დაკავშირებით, დღითიდღე იზრდება სოფლად მუშა-მოსამსახურეთა რიცხვი. თუ 1928 წელს ჩვენი ქვეყნის მოსახლეობის კლასობრივ სტრუქტურაში მუშები და მოსამსახურეები 17,6 პროცენტს შეადგენენ, ეს რიცხვი 1959 წლისათვის გაიზარდა 68,3, ხოლო 1964 წლისათვის-75,1 პროცენტამდე. ეს ტენდენცია

<sup>1</sup> Коммунист — настольный календарь справочник, 1966 г. Изд-во политической литературы, Москва, 1965 г. стр. 230.



იმაზე მეტყველებს, რომ სოფლად მუშა-მოსამსახურეთა რაოდენობა მომავალში კიდევ უფრო გაიზრდება.

თავისი იურიდიული შინაარსით სოფლის პირობებში გვაქვს მუშა-მოსამსახურეთა საცხოვრებელი სახლის ორი სახესხვაობა: **ადგილზემყოფ და ადგილზეარმყოფ** მუშა-მოსამსახურეთა საცხოვრებელი სახლი.

ადგილზემყოფი მუშა-მოსამსახურეები წარმოადგენენ ძირითად ბირთვს სოფლად კულტურულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარებაში და მათ საცხოვრებელ სახლებს დიდი ადგილი უჭირავს პირადი საკუთრების საცხოვრებელი სახლების საერთო ბალანსში. საცხოვრებელი სახლის ეს სახე საკოლმეურნეო კომლის სახლის შემდეგ ყველაზე მეტად არის გავრცელებული სოფლად.

რაც შეეხება ადგილზეარმყოფ მუშა-მოსამსახურეთა საცხოვრებელ სახლს. ეს კატეგორია შედარებით ნაკლებად არის გავრცელებული, მაგრამ უკანასკნელ წლებში ჩვენს სასოფლო ცხოვრებაში მან მაინც დამოუკიდებელი ადგილი მოიპოვა, და სავსებით სწორად მოიქცა საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის ახალი კოდექსი, იურიდიულად რომ დააკანონა ქალაქად მცხოვრებ მუშა-მოსამსახურეთა უფლება პირად საკუთრებაში ჰქონდეთ სოფელ ადგილებში საცხოვრებელი სახლი, თუ კი მას იყენებენ დასასვენებლად ან სამკურნალოდ. საქმი ის არის, რომ საქართველოს სსრ სინამდვილეშიც კი, ქვეყანაში, სადაც კურორტების ფართო ქსელია, მარტო სანატორიუმების, დასასვენებელი სახლებისა და აგარაკების რაოდენობა საკმარისი არ არის ქალაქის მუშა-მოსამსახურეთა კონსტიტუციით მინიჭებული დასვენების უფლების გარანტიისათვის. ეს მოთხოვნილება წლითი-წლობით იზრდება, და ახალი კურორტებისა და დასასვენებელი სახლების მზარდი მშენებლობის მიუხედავად, არ არის იმის ფიზიკური შესაძლებლობა, რომ ქალაქის ყველა მცხოვრებმა ისარგებლოს შედაგათიანი საგზურებით. ცხადია, მომავალში, წარმოების მკვეთრი გადიდების, სოციალისტური დაგროვებისა და საზოგადოებრივი ფონდების ზრდის ნიადაგზე საბჭოთა სახელმწიფო შეძლებს უზრუნველყოს ამ სოციალური პრობლემის გადაჭრა, მაგრამ პარტიის, მთავრობისა და თვით საზოგადოების მიზანია რაც შეიძლება მალე მოაგვაროს ეს საკითხი, გამოიყენოს ამისათვის ყველა არსებული საშუალება, თუ კი ეს, რა თქმა უნდა, არ ეწინააღმდეგება კომუნისტური ცხოვრების პრინციპებს.

ჩვენი სოფლის ცხოვრების სინამდვილეში ხშირი იყო და არის შემთხვევები. როცა კოლმეურნეს თუ სოფლის მუშა-მოსამსახურეს დარჩა მემკვიდრე, რომელიც მუდმივად ცხოვრობს ქალაქში, ანდა თვით კოლმეურნე თუ სოფლის მუშა-მოსამსახურე მუდმივ საცხოვრებლად გადავიდა ქალაქად და ამავე დროს სოფლად აქვს საცხოვრებელი სახლი პირად საკუთრებაში. ასეთ შემთხვევებში ჩვენს რესპუბლიკაში სამოქალაქო სამართლის ახალი კოდექსის მიღებამდე, ხოლო სხვა მოკავშირე რესპუბლიკებში ამჟამადაც, ასეთ მუშას და მოსამსახურეს თუ ქალაქად ჰქონდა პირად საკუთრებაში საცხოვრებელი სახლი, ერთმეოდა პირადი საკუთრების უფლება სოფლად მდებარე სახლზე. ამ წესის ტრაფარეტულად გავრცელება არ შეიძლება ჩაითვალოს სწორად, რამდენადაც ის ეწინააღმდეგება მშრომელთა კეთილდღეობისათვის ზრუნვის ამოცანებს.

თუ ქალაქად მცხოვრებ მუშა-მოსამსახურეს სოფლად მემკვიდრეობით მიუღია ან მამაპაპისეულ ადგილზე თავისი შრომით აუშენებია საცხოვრებელი სახლი და მას იყენებს **მხოლოდ და მხოლოდ დასასვენებლად ან სამკურნალოდ**, ამ შემთხვევაში მას უნდა შეეუნარჩუნოთ ამ სახლზე პირადი საკუთ-

რების უფლება, მიუხედავად იმისა, აქვს თუ არა ქალაქად პირად საკუთრებაში საცხოვრებელი სახლი. სხვანაირად, მის მიმართ კანონით დაშვებული შეზღუდვა იქნება მხოლოდ რეალობას მოწყვეტილი, ეკონომიურ საფუძველს მოკლებული მშრალი იურიდიული აქტი. თუ ჩვენ გვინდა ვებრძოლოთ კერძომესაკუთრულ ტენდენციებს, ეს იმას არ ნიშნავს, რომ შეზღუდვით მიზნობრივი პირადი საკუთრების უფლება. კერძომესაკუთრული მისწრაფებების წინააღმდეგ ბრძოლის საშუალებები საკმაოდ არის გათვალისწინებული სამოქალაქო კანონმდებლობით. სახელდობრ, საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის კოდექსის 108-ე მუხლი ითვალისწინებს საცხოვრებელი სახლის, აგარაკის სასამართლო წესით უსასყიდლოდ ჩამორთმევას, როცა ის გამოყენებულია არამომიითი შემოსავლის მიღების წყაროდ. 107-ე მუხლი კი ზღუდავს სახლის (აგარაკის) თვითნებურად აშენებას. ამიტომ საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის კოდექსის 105-ე მუხლი, როცა ლაპარაკობს ერთზე მეტ სახლის მიმართ პირადი საკუთრების უფლების მოსპობაზე, ბოლოს მიუთითებს: „ეს მუხლი არ ვრცელდება მეორე შენობაზე, რომელიც მოქალაქეს პირადი საკუთრების უფლებით აქვს და გამოყენებულია მესაკუთრისა და მისი ოჯახის წევრების დასასვენებლად ან სამკურნალო მიზნით საკურორტო თუ სააგარაკო ადგილას ან სოფლად“.

ჩვენი რესპუბლიკის სინამდვილეში მოქალაქეს, რომელსაც პირად საკუთრებაში აქვს ერთი საცხოვრებელი სახლი, შეიძლება ასეთივე უფლებით ეკუთვნოდეს მეორე სახლი სოფელ ადგილზე, თუ მას იყენებს დასასვენებლად ან სამკურნალოდ.

ეს უფლება, როგორც წესი, პრაქტიკულად ეკუთვნით ქალაქსა და დაბაში მცხოვრებ მუშა-მოსამსახურებს, მაგრამ როგორც საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის კოდექსის 105-ე მუხლის ანალიზი გვიჩვენებს, ასეთივე უფლებით შეიძლება ისარგებლონ სოფლად მცხოვრებმა პირებმაც. მაგალითად, მახარაძის რაიონის სოფ. შრომის კოლმეურნეობის წევრს ან იქ მცხოვრებ მუშა-მოსამსახურეს, რომელსაც ადგილზე პირად საკუთრებაში აქვს საცხოვრებელი სახლი, იმავდროულად უფლება აქვს ჰქონდეს საცხოვრებელი სახლი პირად საკუთრებაში საკურორტო, სააგარაკო ადგილას ან სოფლად, ვთქვათ, საირმეში, ბახმაროში, ან ნიკორწმინდაში, რომელსაც იყენებს დასასვენებლად ან სამკურნალოდ. ეს საკითხი კანონმდებლის მიერ გათვალისწინებულია, მაგრამ პრაქტიკულად ჯერჯერობით თითქმის არ გვხვდება, თუმცა პრინციპული თვალსაზრისით მნიშვნელოვანია და შესაძლოა გავრცელდეს მომავალში.

ეს საკითხი სხვანაირად არის რეგულირებული სხვა მოკავშირე რესპუბლიკებში. იქ ერთზე მეტ სახლზე პირადი საკუთრების უფლება დასაშვებია მხოლოდ მაშინ, თუ მეორე შენობა მდებარეობს საკურორტო ან სააგარაკო ადგილას, ხოლო სოფლად ასეთი უფლება არ არის გათვალისწინებული. ეს შეზღუდვა, ჩვენი აზრით, არაფრით არ შეიძლება გამართლებულად ჩაითვალოს. თუ მოქალაქეს უფლება აქვს შეიძინოს და ჰქონდეს მეორე საცხოვრებელი სახლი საკურორტო ან სააგარაკო ადგილას, რატომ უნდა მოვუსპოთ მას უფლება თავისი და თავისი ოჯახის წევრების დასასვენებლად და სამკურნალოდ გამოიყენოს სოფლად მდებარე სახლი, რომელიც მას მემკვიდრეობით მიუღია ან სხვა გზით შეუძენია? პირიქით, პირადი საკუთრების ეს სახე უფრო მისაღებია როგორც ეკონომიური, ისე სოციალური თვალსაზრისით. ეს უფრო მეტად უწ-



ყოფს ხელს ქალაქისა და სოფლის დაახლოებას, მნიშვნელოვნად სწევს მუშა-მოსამსახურეთა მატერიალური უზრუნველყოფის საქმეს. მაგალითისათვის საკმარისია დავასახელოთ ჩვენი რესპუბლიკის ერთ-ერთი მაღალმთიანი ამბროლაურის რაიონი. რაიონში სულ 9680 კომლია, მათ შორის 1553 მუშა-მოსამსახურეთა ოჯახია. აქედან 319 კომლია ისეთი, რომელთა წევრები მუდმივ საცხოვრებლად იყოფებიან ქალაქად, ე. ი. მარტო ამ პატარა რაიონში გვაქვს ადგილზეარყოფ მუშა-მოსამსახურეთა იმდენი საცხოვრებელი სახლი, რომელიც ერთად აღებული გაუტოლდება საშუალო სიდიდის საკურორტო დაბას. ამ საცხოვრებელი სახლების მესაკუთრეები ის ადამიანები არიან, რომლებიც დიდი თუ პატარა ხნის წინათ წასულან საცხოვრებლად ქალაქად, ხოლო სოფლად შენარჩუნებული აქვთ ან შემდეგში შეუძენიათ პირადი საკუთრების საცხოვრებელი სახლები, რომლებსაც იყენებენ მხოლოდ და მხოლოდ დასასვენებლად ზაფხულის პერიოდში. სხვა მიზნით, კერძოდ კი არაშრომითი შემოსავლის მიღების მიზნით ამ სახლების გამოყენების შესაძლებლობა გამოირიცხულია. ასეთი მაგალითებით სავსეა არა მარტო ჩვენი რესპუბლიკა. როგორ მოვექცეთ ასეთ მესაკუთრეებს, წავართვათ ამ სახლებზე პირადი საკუთრების უფლება? ცხადია, არა. ეს იქნება ეკონომიურად საზიანო, პოლიტიკურად კი გაუმართლებელი ღონისძიება.

ამიტომ, ჩვენი აზრით, საჭიროა სხვა მოკავშირე რესპუბლიკების სამოქალაქო სამართლის კოდექსებმაც გაითვალისწინონ ეს მდგომარეობა და იურიდიულად დააკანონონ მოქალაქეთათვის სოფლად მეორე საცხოვრებელ სახლზე პირადი საკუთრების უფლება, როცა ეს სახლი გამოყენებულია მხოლოდ და მხოლოდ დასასვენებლად ან სამკურნალოდ.

კომუნისმის მშენებლობის პრინციპები, საზოგადოებრივი ინტერესები მოითხოვს არა ადამიანთა კეთილდღეობის გაუმჯობესების შეზღუდვას, არამედ პირადი საკუთრების არადანიშნულებისამებრ გამოყენების შესაძლებლობის აღკვეთას. საჭიროა ვებრძოლოთ არა იმას, რომ მოქალაქეს ჰქონდეს ნორმალური ცხოვრებისა და დასვენების საშუალება, არამედ იმას, რომ სოციალისტური საზოგადოების წევრმა არაშრომითი შემოსავლითა და იმ ზომით არ შეიძინოს ისეთი საშუალება, რაც ვასცდება პირადი მოხმარების სფეროს და გადაიჭყვევა მახინჯი გამოკვლინების წყაროდ.

მასხადამე, საქართველოს სსრ სინამდვილეში სოფლად გვაქვს მუშა-მოსამსახურეთა პირადი საკუთრების საცხოვრებელი სახლის ორი კატეგორია. საცხოვრებელი სახლის ეს ორი სახე თავისი დანიშნულებითა და ხასიათით, თავისი იურიდიული ბუნებით განსხვავდება ერთმანეთისაგან.

ეს განსხვავება უწინარეს ყოვლისა გამოიხატება სასარგებლო მიწის ნაკვეთის მოცულობაში. როგორც ცნობილია, საცხოვრებელ სახლზე პირადი საკუთრების უფლება აუცილებლად დაკავშირებულია მიწის ნაკვეთით სარგებლობასთან. საცხოვრებელი სახლი, საკარმიდამო მიწის ნაკვეთთან ერთად აღებული, ქმნის სამეურნეო მთლიანობას, რომელშიც გამოხატულებას პოულობს სახლზე საკუთრების უფლებისა და მიწის ნაკვეთით სარგებლობის უფლების მჭიდრო კავშირი. ჩვენს ქვეყანაში, სადაც განხორციელებულია მიწის სრული ნაციონალიზაცია და მიწა საერთო-სახალხო საკუთრებას შეადგენს, ყველა პირობაა შექმნილი იმისათვის, რომ მშრომელმა ადამიანმა უფასოდ მიიღოს სარგებლობაში მიწის ნაკვეთი საცხოვრებელი სახლის ასაგებად. ჩვენი სოფლის მშრომელთათვის უცხოა წარსულისდროინდელი მიწის ყიდვასთან

დაკავშირებული ის მწვავე გოდება, რაც ასე მტკივნეულად გამოხატა რ. ერისთავმა ლექსში „ბერუას ჩაფიქრება“: „ე შავი მიწა მაინც რომ სასყიდლად არა მქონდა, შავ სამარემდინ — რა ვიცი, მე რაღა დამალონებდა?“.

სოფლის პირობებში კოლმეურნეობის წევრებსა და სოფლის მუშა-მოსამსახურეებს მიწის ნაკვეთი ეძლევათ სარგებლობაში არა მარტო საცხოვრებელი სახლის ასაგებად, არამედ დამხმარე მეურნეობის მოსაწყობადაც. საკარმიდამო ნაკვეთზე მოწყობილი დამხმარე მეურნეობა არ წარმოადგენს შემთხვევით მოვლენას. ეს არის სოციალისტური საზოგადოებისათვის დამახასიათებელი ეკონომიური აუცილებლობა, მშრომელთა მატერიალური მოთხოვნილებების უკეთ დაკმაყოფილების საშუალება, რაც დიდ როლს ასრულებს გარკვეულ ეტაპზე. დამხმარე მეურნეობას მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს სოფლის მეურნეობის პროდუქციის საერთო ბალანსში. 1963 წელს მასზე მოდიოდა ჩვენი ქვეყნის მემცენარეობის მთელი პროდუქციის 23,8 პროცენტი, მეცხოველეობის პროდუქციის 45,6 პროცენტი, საქაროველოს რესპუბლიკაში კი მარცვლეულის 23,7 პროცენტი, ყურძნისა და ხილის 67,6 პროცენტი, ხორცის 66,9, რძის 53,0, ბოსტნეულის და კარტოფილის 57,1 პროცენტი<sup>2</sup>. ამიტომ ამ რამდენიმე წლის წინათ განხორციელებული სუბიექტივისტური შეზღუდვები საკარმიდამო მეურნეობის გამოყენებაში ნაადრევ, არასწორ ღონისძიებას წარმოადგენდა. სწორად და მართებულად მოიქცნენ პარტია და მთავრობა, ასეთი შეზღუდვები რომ გააუქმეს.

საკარმიდამო მიწის ნაკვეთის ოდენობა სოფლად მეურნეობათა სხვადასხვა საზოგადოებრივი ჯგუფებისათვის ჯერ კიდევ არ არის სტაბილურად განსაზღვრული. უკანასკნელ წლებში ეს საკითხი ვერ გადაწყდა იმის გამო, რომ შემუშავებული არ იყო სასოფლო-სამეურნეო არტელის ერთიანი სანიმუშო წესდება, პრაქტიკაში ზოგჯერ ვხვდებოდით კოლმეურნეობების გამგეობათა თავმჯდომარეების მიერ საკარმიდამო მიწების თვითნებურ ჩამოჭრა-გასაჩქრებლას. უკანასკნელ ხანს ასეთ თვითნებობას ბოლო მოეღო, გაძლიერდა კონტროლი მიწების აღრიცხვისადმი და მოკავშირე რესპუბლიკების კანონმდებლობით დადგენილია ნორმები, რომლებითაც სარგებლობენ ადგილებზე კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1965 წლის 4 იანვრის დადგენილებით განსაზღვრულია სოფლად მცხოვრებ მუშა-მოსამსახურეთა სასარგებლო მიწის ნაკვეთის ოდენობა. საბჭოთა მეურნეობებისა და სხვა სასოფლო-სამეურნეო საწარმოთა მუშა-მოსამსახურებს, სოფლის მეურნეობის სპეციალისტებს, სოფლის მასწავლებლებს, სასოფლო საბჭოების მუშაკებს უფლება აქვთ ისარგებლონ 0,25 ჰექტარამდე მიწის ფართობით ნაგებობის მიერ დაკავებული ფართობის ჩათვლით. სხვა მუშა-მოსამსახურეებს, თუ ისინი მუდმივად ცხოვრობენ სოფელში, სარგებლობაში ეძლევათ 0,15 ჰა მიწის ნაკვეთი ნაგებობით დაკავებული ფართობის ჩათვლით. ასეთივე ოდენობით ეძლევათ მიწის ნაკვეთი სოფლად მცხოვრებ ინვალიდებსა და პენსიონერებს, რომლებიც კოლმეურნეობის წევრები არ არიან.

ეს უფრო სტაბილური გახდება, როცა მიღებული იქნება სასოფლო-სამეურნეო არტელის ერთიანი სანიმუშო წესდება, სადაც როგორც მრავალრიცხოვან ავტორთა მოსაზრებებშია გამოთქმული, უნდა განისაზღვროს საკარმიდამო მიწის ნაკვეთის ოდენობა მე-

2 იხ. უფროსი „საქართველოს ეკონომისტი“, 1966 წ. № 11, გვ. 16.


3. საბჭოთა სამართალი № 2.

ურნობის ცალკეული ჯგუფებისათვის. მაგრამ, უნდა აღინიშნოს ისიც, რომ მეცნიერი იურისტები, რომლებიც ამ საკითხს ეხებიან, არაფერს ამბობენ სოფლად ადგილზე არმყოფ მუშა-მოსამსახურეთათვის სარგებლობაში მიწის ნაკვეთის გადაცემასა და ოდენობაზე<sup>3</sup>. ჩვენი აზრით, ეს აუცილებლად უნდა აისახოს სასოფლო-სამეურნეო არტელის ახალ წესდებაში; რომ არ ვილაპაკოთ ჩვენს რესპუბლიკაზე, სადაც დაშვებულია სოფლად ადგილზე არმყოფ მუშა-მოსამსახურეთათვის მეორე სახლზე პირადი საკუთრების უფლება, სხვა რესპუბლიკებშიც ხომ ბევრია შემთხვევა, როცა ქალაქის მუშა-მოსამსახურეს პირად საკუთრებაში აქვს მხოლოდ ერთი საცხოვრებელი სახლი, მაგრამ სოფლად. ამ სახლზე პირადი საკუთრების უფლება ხომ მიწის ნაკვეთის სარგებლობასთან არის დაკავშირებული? ამიტომ ახალმა წესებამ არ უნდა დაუშვას გაურკვეველობა და ზუსტად განსაზღვროს სოფლად ადგილზე არმყოფ მუშა-მოსამსახურეთა სასარგებლო მიწის ნაკვეთის მოცულობა.

სოფლად მუშა-მოსამსახურის საცხოვრებელი სახლის რეგისტრაციას სასოფლო საბჭოს აღმასკომი აწარმოებს. კოლმეურნეობის ზონარგაყრილ წიგნში, როგორც ცნობილია, აღირიცხება კომლთა საკარმიდამო მიწის ნაკვეთები და განსაკუთრებით გამოკვეთილია ნაგებობით დაკავებული მიწის ფართობი. მაგრამ საცხოვრებელი სახლი აღირიცხება არა მისი მოცულობით, მთლიანი ფართობით, არამედ მხოლოდ მისი საძირკვლით, იმის მიხედვით, თუ რა ზომის მიწის ფართობი უჭირავს მას, ხოლო საძირკველს ზემოთ რა არის დაშენებული, ეს მასში არა ჩანს. როგორც უკვე ითქვა, საცხოვრებელი სახლის ზუსტი რეგისტრაცია ხდება სასოფლო საბჭოების საკომლო წიგნებში (ფორმა № 1). აღნიშნული წიგნის 7 განყოფილებიდან ერთ-ერთი, სახელდობრ მეორე განყოფილება მიძღვნილია მეურნეობის პირად საკუთრებაში არსებულ ნაგებობათა აღრიცხვისადმი. აქ ცალ-ცალკე აღირიცხება ყოველი მეურნეობის კუთვნილი თვითეული ნაგებობა, მათ შორის პირველ რიგში საცხოვრებელი სახლი აგების თარიღის ჩვენებით. იმავე წიგნის მესამე განყოფილებაში აღირიცხება პირად სასარგებლოებაში არსებული მიწის ნაკვეთი, რომლის მონაცემებიც აიღება კოლმეურნეობის (საბჭოთა მეურნეობის) მიწის ზონარგაყრილი წიგნიდან, რომელიც შემოწმებულია სოფლის მეურნეობის სამმართველოს მიწათმომწყობის მიერ.

საცხოვრებელი სახლის შექმნის წყაროები სხვადასხვაა. სოფლის მუშა-მოსამსახურეთათვის, განსაკუთრებით კი ადგილზემყოფ მუშა-მოსამსახურეთათვის ასეთ წყაროს ძირითადად წარმოადგენს სახლის აშენება შრომითი დანაზოგით. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, უკანასკნელ ხანს სოფლად ფართო გაქანება მიიღო ინდივიდუალურმა ბინათმშენებლობამ, რასაც განაპირობებს ერთი მხრივ მშრომელთა მატერიალური მდგომარეობის მკვეთრი გაუმჯობესება და მეორე მხრივ სახელმწიფოს დიდი დახმარება. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ 1965 წლის 5 ნოემბრის დადგენილებით გააუქმა ის დაუსაბუთებელი შეზღუდვები, რომლებსაც ადგილი ჰქონდა ინდივიდუალურ ბინათმშენებლობაში, და დასახა პრაქტიკული ზომები რესპუბლიკაში ინდივიდუალ-

3 Ю. Ж а р и н о в, Право колхозного землепользования («Советское государство и право», 1966, № 7, стр. 99—103); Л. Х а л е в и н а. Землепользование колхозных дворов («Советская юстиция», 1966, № 2, стр. 22—23); И. В. П а в л о в. О правовом положении личного подсобного хозяйства колхозников («Советская юстиция», 1966 г., № 6, стр. 22—24).



ლური საბინაო მშენებლობის შემდგომი განვითარებისათვის. მართლაც, თუ გონივრულად ვიმსჯელებთ, დასავლობა არა ის, ვინც შრომითი დანაზოვით, კანონიერი შემოსავლით იშენებს საცხოვრებელ სახლს დადგენილ ფარგლებში და ამით ქმნის მატერიალურ სიკეთეს, არამედ ის, ვინც მუქთახორობაში ფლანგავს შრომითს შემოსავალს.

შედარებით განსხვავებული მდგომარეობა გვაქვს სოფლად ადგილზეარ-მყოფ მუშა-მოსამსახურეთა მიერ საცხოვრებელი სახლის შექმნის დროს. აქ ყველაზე მეტად ვხვდებით პირადი საკუთრების უფლების გადაცემას მემკვიდრეობით.

გარდა ამისა, სოფლად საცხოვრებელ სახლზე პირადი საკუთრების უფლება წარმოიშობა ყიდვა-გაყიდვით, გარდაცვალებამდე რჩენის პირობით გასხვისებით, გაცვლით, ჩუქებით, კომლის გაყოფით, კომლიდან გამოყოფით, მემკვიდრეობის გადაცემით და სხვ.

საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის კოდექსის 104-ე მუხლის მეოთხე ნაწილი აწესებს საცხოვრებელი სახლის (ან მისი ნაწილის) **ზღვრულ ოდენობას**, სახელდობრ, 60 კვადრატულ მეტრ საცხოვრებელ და 40 კვადრატულ მეტრ დამხმარე ფართობს. იმავე მუხლის მე-5 ნაწილი მრავალწევრიანი ოჯახის ან დამატებითი საცხოვრებელი ფართობით სარგებლობის უფლების მქონე მოქალაქეთათვის რაიონული ან საქალაქო საბჭოს აღმასკომის ნებართვით ითვალისწინებს უფრო მეტი საცხოვრებელი ფართობის უფლებას, მხოლოდ დადგენილი ნორმების ფარგლებში.

როგორც ვხედავთ, სამოქალაქო სამართლის კოდექსი იძლევა ზოგად მითითებას საცხოვრებელი სახლის ზღვრულ ოდენობაზე. ტექსტის სიტყვიერი ანალიზი გვიჩვენებს, რომ ეს ეხება როგორც ქალაქში, ისე დაბასა და სოფელში მდებარე საცხოვრებელ სახლს. იგივე ითქმის საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1963 წლის 24 ივნისის დადგენილების შესახებ, რომელიც აწესებს ინდივიდუალური მენაშენებისათვის დამხმარე ფართობის ზღვრულ ნორმებს<sup>4</sup>. მაგრამ აღნიშნული დადგენილების გამოყენების წესის თაობაზე გამოცემული ინსტრუქციის პირველი მუხლი მიუთითებს, რომ დამხმარე სადგომთა ფართობის ეს ზღვრული ნორმები გათვალისწინებულია საქართველოს სსრ ქალაქებისა და ქალაქის ტიპის დაბებისათვის.

როგორც ჩანს, საცხოვრებელი და დამხმარე ფართობის ზღვრული ნორმები სოფლის პირობებისათვის ცალკე არ არის განსაზღვრული. ჩვენი აზრით, საჭიროა კანონმდებლობამ დააზუსტოს ეს საკითხი. უნდა დადგინდეს სოფლად დამხმარე ფართობის ზღვრული ოდენობა. ამასთან ეს ნორმა არ შეიძლება გავუთანაბროთ ქალაქის პირობებს. სოფლად, როგორც ცნობილია, გვაქვს დამხმარე მეურნეობა, რაც თავისთავად მოითხოვს უფრო მეტი არასაცხოვრებელი ფართობის აუცილებლობას, ვიდრე ეს ქალაქშია საჭირო, სოფლის მშრომელები ჯერ კიდევ საკმაოდ იყენებენ საკარმიდამო მეურნეობას, რაც საჭიროებს დამატებით დამხმარე სადგომებს (ჭურ-მარანი, საწყობი და სხვ.).

მუშა-მოსამსახურეს, რომელსაც პირად საკუთრებაში აქვს საცხოვრებე-

<sup>4</sup> დამხმარე სადგომთა საერთო ფართობი არ უნდა აღემატებოდეს 40 კვ. მეტრს, მათ შორის სამზარეულო 12,0 კვ. მეტრი, სააბაზანო და საპირფარეშოები 6,0 კვ. მეტრი, ლოჯიები, გადახურული ვერანდები, გალერეები 18,0 კვ. მეტრი, წინაყარი და დერეფნები 8,0 კვ. მეტრი, სარდაფები 30,0 კვ. მეტრი, გარაჟი 30 კვ. მეტრი; საცხოვრებელი ფართობის სიმაღლე 2,5-3 მეტრი, სასარდაფო სადგომებისა და გარაჟის სიმაღლე 1,8-2,0 მ.

ლი სახლი სოფლად, ეკუთვნის ყველა ის უფლებამოსილება, რასაც გულისხმობს საერთოდ საკუთრების უფლება. სახელდობრ, მას კანონით დადგენილ ფარგლებში აქვს მფლობელობის, სარგებლობისა და განკარგვის უფლება.

სახლის მფლობელობა იურიდიულ ლიტერატურასა და სასამართლო პრაქტიკაში გაგებულა, როგორც ფაქტიური დაუფლება. სარგებლობად იგულისხმება ქონებიდან განსაზღვრული სარგებლობის მიღება, ამ შემთხვევაში საბინაო მოთხოვნების დაკმაყოფილება. განკარგვა კი გულისხმობს, რომ მესაკუთრეს უფლება აქვს განსაზღვროს ამ სახლის იურიდიული ბედი: გაყიდოს, გაასხვისოს, გააჩუქოს, გაცვალოს, გააქირაოს, გადასცეს ანდერძით და სხვ.

სახლზე საკუთრების უფლება ყველა სხვა პირს მესაკუთრის მიმართ აკისრებს გარკვეულ ვალდებულებას — ხელი არ შეუშალოს მესაკუთრეს ფლობდეს, სარგებლობდეს და განკარგავდეს სახლს.

ამასთან, როგორც აღვნიშნეთ, სახლის მესაკუთრის უფლებამოსილება ხორციელდება კანონით დადგენილ ფარგლებში, ე. ი. საცხოვრებელი სახლის ფლობა, სარგებლობა და განკარგვა არ უნდა გასცდეს პირადი საკუთრების დანიშნულების საზღვრებს, მუშა-მოსამსახურეთა საბინაო მოთხოვნების დაკმაყოფილების ამოცანებს.

სოფლად პირადი საკუთრების საცხოვრებელი სახლის განკარგვის ყველაზე გავრცელებული სახეა ყიდვა-გაყიდვა. სოფლის პირობებში ძირითადად ვხვდებით სახლის მასალად ყიდვა-გაყიდვას, ე. ი. როცა სახლი იყიდება ადგილიდან ადგილზე. ამ შემთხვევაში ხელშეკრულება დაადება ჩვეულებრივი წესით. სხვანაირად ხდება სახლის ადგილიდან აუღებლად გაყიდვა. ეს დაკავშირებულია მიწის ნაკვეთის სარგებლობაში გადაცემასთან და მოითხოვს კოლმეურნეობის წევრთა საერთო კრების ან საბჭოთა მეურნეობის ღირექციის თანხმობას მყიდველისათვის მიწის ნაკვეთის სარგებლობაში გადაცემის შესახებ.

გარდა ამისა, სამოქალაქო სამართლის ახალი კოდექსებით შემოღებული საცხოვრებელი სახლის გასხვისების ახალი სახე, რაც ადრე მოქმედი კოდექსებით არ ყოფილა ვითვალისწინებული. ეს არის საცხოვრებელი სახლის გასხვისება გარდაცვალებამდე რჩენის პირობით. აღნიშნული სახის ურთიერთობას ვხვდებით პრაქტიკაში და მეცნიერ იურისტთა მიერ (ვ. ა. რიასენცევი, ზ. ა. ფედოტოვსკაია და სხვები) გამოთქმული იყო შეხედულება, რომ ვალდებულების ეს სახე მოწესრიგებულიყო კანონით. მოკავშირე რესპუბლიკების სამოქალაქო კანონმდებლობამ გაითვალისწინა შექმნილი მდგომარეობა და დააკანონა აღნიშნული ურთიერთობა. ამასთან შევნიშნავთ, რომ ეს საკითხი მოითხოვს კიდევ უფრო მეტ სიზუსტეს. რსფსრ სამოქალაქო სამართლის კოდექსში ეს ურთიერთობა შეტანილია ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულებაში და იწოდება ასე: „საცხოვრებელი სახლის ყიდვა-გაყიდვა გამყიდველის სამისდღეობით რჩენის პირობით“. სხვა მოკავშირე რესპუბლიკებში ეს საკითხი გამოყოფილია ვალდებულების ცალკე სახედ. საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის კოდექსი მას უწოდებს „გარდაცვალებამდე რჩენის ხელშეკრულებას სახლის გასხვისების პირობით“. არც ერთი და არც მეორე არ მიგვაჩნია სწორად. აღნიშნული ურთიერთობა არ შეიძლება გავაიგივოთ ყიდვა-გაყიდვასთან, რამდენადაც აქ ფაქტიურად არა გვაქვს ყიდვა-გაყიდვა, კერძოდ გვაქვს არა რაიმე თანხის გადახდა, რაც ყიდვა-გაყიდვას ახასიათებს, არამედ სახლის გასხვისება ხდება გარკვეული პირობით — გარდაცვალებამდე მატერიალური უზრუნველყოფის

(ბინა, კვება, მოვლა, აუცილებელი დახმარება) პირობით. ამ შემთხვევაში „გასხვისებას“ დამოუკიდებელი შინაარსი აქვს და ის ყიდვა-გაყიდვას არ ემთხვევა. სიზუსტეს მოკლებულია აგრეთვე საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის კოდექსის მიერ მოცემული დასათაურება: „გარდაცვალებამდე რჩენის ხელშეკრულება სახლის გასხვისების პირობით“, რადგან, როგორც თვით ამ კოდექსის 439-ე მუხლის შინაარსიდან ჩანს, აქ გვაქვს არა გარდაცვალებამდე რჩენის ხელშეკრულება სახლის გასხვისების პირობით, არამედ სახლის გასხვისების ხელშეკრულება გარდაცვალებამდე რჩენის პირობით, ე. ი. პირობას წარმოადგენს არა სახლის გასხვისება, არამედ გარდაცვალებამდე რჩენა. ამიტომ სავსებით სწორად მიგვაჩნია ო. ს. იოფესა და ი. კ. ტოლსტოის აზრი, როცა ისინი დასახელებულ ურთიერთობას თვლიან ვალდებულების დამოუკიდებელ სახედ და უწოდებენ მას „სამისდღეშიო რჩენის პირობით საცხოვრებელი სახლის გასხვისებას“<sup>1</sup>. მართალია, ჩვენი რესპუბლიკის კანონმდებელი, როცა ამ ურთიერთობას „გარდაცვალებამდე რჩენას“ უწოდებს, გამოდის იქიდან, რომ ეს ტერმინი უფრო მოხერხებულია გამოსათქმელად, მაგრამ რამდენადაც ეს ასეა, იმდენად უნერხულია გამოთქმა „გარდაცვალებამდე რჩენა სახლის გასხვისების პირობით“. აქ ნათლად არა ჩანს, ვისი სახლის გასხვისებაზეა ლაპარაკი ან როდის სხვისდება ეს სახლი, ხელშეკრულების დადების დროს თუ გამსხვისებლის გარდაცვალების შემდეგ. სინამდვილეში ხდება სახლის გასხვისება, სადაც პირობას წარმოადგენს გარდაცვალებამდე რჩენა და არა პირიქით. ამიტომ უფრო ზუსტი იქნება ვალდებულების ამ სახეს ეწოდოს: „საცხოვრებელი სახლის გასხვისება გამსხვისებლის გარდაცვალებამდე რჩენის პირობით“.

როგორც დავინახეთ, სოფლად მუშა-მოსამსახურეთა პირადი საკუთრების უფლება საცხოვრებელ სახლზე ხასიათდება გარკვეული თავისებურებებით, რაც მოითხოვს კანონმდებლობაში მის უფრო დაზუსტებით ასახვას.

მომავალში ქალაქისა და სოფლის თანდათანობით დაახლოებასთან დაკავშირებით, ცხადია, ეს საკითხიც განიცდის ევოლუციას, შეიცვლება თანამედროვე სოფლის არსებული სახე, გაიზრდება სოფლად საზოგადოებრივი ფონდები, უფრო მეტად გახდება შესაძლებელი სოფლის მუშა-მოსამსახურეების საბინაო მოთხოვნილებათა დაკმაყოფილება კომუნალური ბინებით, შეიცვლება დამხმარე მეურნეობის როლიც და ამ ნიადაგზე განსხვავებულ შინაარსს მიიღებს საცხოვრებელ სახლზე პირადი საკუთრების უფლებაც.

<sup>1</sup> О. С. Иоффе, Ю. К. Толстой. Новый гражданский кодекс РСФСР, изд-во Ленинградского университета, 1965, стр. 260.



# ხილბოსტნეულის სახელმწიფო დაზღაურების — გადამუშავებისა და გასაღების სამართლებრივი საუბრების შესახებ

**მ. რაჭულიშვილი**

მოსახლეობის უზრუნველყოფა მაღალხარისხოვანი ხილბოსტნეულით ყოველთვის იდგა პარტიისა და მთავრობის ყურადღების ცენტრში, მაგრამ ღონისძიებები, რომლებიც ამ დარგში უკანასკნელ ხანს განხორციელდა, განსაკუთრებული მნიშვნელობისაა.

ხილბოსტნეულის მიწოდების ახალი, განსაკუთრებული პირობები, ძირეულად გადამუშავებული კონტრაქტაციის ტიპური ხელშეკრულება და შესატყვისის დებულება, მიმართული სოფლის მშრომელთა წახალისებისაკენ — აი, ის დოკუმენტები, რომლებმაც ძირეულად განამტკიცა ხილბოსტნეულის პროდუქციით მოსახლეობის მომარაგების სამართლებრივი საფუძვლები.

თუმცა ჯერ კიდევ ადრეა ლაპარაკი იმაზე, რომ გადაიჭრა ხილბოსტნეულის ყველა სამართლებრივი პრობლემა დამზადების, გადამუშავებისა და რეალიზაციის საკითხში (მეტისმეტად რთულია ამ მალეფუჭადი, მიზეზიანი პროდუქციის სპეციფიკა), მაგრამ ამ ღონისძიებათა რადიკალური მნიშვნელობა ეჭვს არ იწვევს. წინათ დაქსაქსული ურთიერთსაწინააღმდეგო ნორმების ნაცვლად შეიქმნა კანონმდებლის ერთიანი ნებით გამსჭვალული სამართლებრივი აქტები.

მოწესრიგდა ხილბოსტნეულის პროდუქციასთან დაკავშირებული ოპერაციების სამართლებრივი რეგლამენტაცია, განსაკუთრებული სიმძაფრით დაისვა სახელმწიფოს ხელში ყველა ოპერაციის თანდათანობით კონცენტრაციის აუცილებლობა.

სახელმწიფოს ხელში ხილბოსტნეულის დამზადების გადასვლამ (რაც პირველად მოლდავეთსა და საქართველოში განხორციელდა) პრაქტიკულად დაასრულა ყველა ოპერაციის სახელმწიფოს გამგებლობაში გაერთიანების საქმე.

ამან განაპირობა ისეთი ერთიანი ორგანოს შექმნის ტენდენცია, რომელიც პასუხს აგებდა ხილბოსტნეულის დამზადების, გადამუშავებისა და რეალიზაციისათვის, უზრუნველყოფდა მთელი აღებული მოსავლის მოსახლეობისათვის მიწოდებას.

ახლა მთელ რიგ რესპუბლიკებში ხილბოსტნეულის დამამზადებელი, გადამამუშავებელი და გამსაღებელი ორგანიზაციების დავის გადაწყვეტა უხდებოდა ორგანოებს, რომლებიც პასუხს აგებენ საერთო შედეგებისათვის, რაც გამოორიციხავს საკითხისადმი ფორმალური დამოკიდებულების შესაძლებლობას.

შემთხვევითი როდია, რომ „საქმთავარკონსერვხილბოსტანის“ წინადადებები, „მოლდავხილბოსტანის“ სამმართველოს წინადადებებთან ერთად, განსაკუთრებული ყურადღებით შეისწავლა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს-

თან არსებულმა სახელმწიფო არბიტრაჟმა ხილბოსტნეულის პროდუქციის მიწოდების განსაკუთრებული პირობების პროექტის განხილვისას, ნაწილობრივ ეს წინადადებები მიღებულ იქნა. მთლიანად იქნა გაზიარებული ჩვენს მიერ წამოყენებული დებულებები კონტრაქტაციის ხელშეკრულებათა დამუშავებისას, რომლებიც არსებითად ცვლიდნენ ძველი ტიპიური ხელშეკრულების შინაარსს.

აღრემოქმედი კონტრაქტაციის ხელშეკრულება არ ცნობდა „მეურნეობის“ პასუხისმგებლობას კონკრეტული ვადებისა და გაშლილი ასორტიმენტის საკითხში, არ ითვალისწინებდა პასუხისმგებლობას ხელშეკრულების შეუსრულებლობიდან ან არასათანადოდ შესრულებიდან გამომდინარე ზარალის ანაზღაურებასთან დაკავშირებით და სხვ.

იმის ნათელსაყოფად, თუ რამდენად არასაკმაო ყურადღება ექცეოდა სახელმწიფო ინტერესებს დამზადების, გადამუშავებისა და გასაღების ოპერაციების სხვადასხვა უწყებებისადმი დაქვემდებარების პირობებში, შეიძლება მოვიყვანოთ ცეკავშირის პოზიცია წვენების ქარხნების სტანდარტული მსხლით მომარაგების საქმეში.

მხოლოდ ვიწრო უწყებრივი ინტერესებით შეიძლება აიხსნას ის, რომ ერთიანი გამოსავლიანობის პირობებში, ცეკავშირის დამზადების კანტორები მოითხოვდნენ ტონა 100 მანეთად ღირებული უსტანდარტო მსხლის ნაცვლად წვენების ქარხნებისათვის მიეწოდებინათ მალახარისხოვანი, ტონა 550 მანეთად ღირებული მსხალი, რაშიც სახელმწიფოს, სხვა დარღვევების გარეშე ოპერაციის ჩატარების შემთხვევაშიც კი უსაფუძვლოდ უნდა დაეკარგა მილიონობით მანეთი.

საგულისხმოა, რომ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულმა სახელმწიფო არბიტრაჟმა ეს პოზიცია კანონიერად ჩათვალა და უარი უთხრა „კონსერვტრესტს“ უსტანდარტო პროდუქციის მიუწოდებლობისათვის წარმოდგენილ ჯარიმებზე, თუმცა ამის თაობაზე სპეციალური ხელშეკრულება არსებობდა.

მნიშვნელოვნად იყო გართულებული ფონდების გადანაწილების საკითხიც.

მიუხედავად იმისა, რომ ხილბოსტნეულის მოსავლის ბედი ხშირად რამდენიმე დღეში წყდება, სხვადასხვა სისტემებში მისი მოძრაობის დაქსაქსვის გამო, ყოველ ცალკეულ შემთხვევაში პროდუქციის გადანაწილების საკითხი დაკავშირებული იყო ამ სისტემათა შორის დავის გადაწყვეტასთან. ხშირად მის დამთავრებამდე თვით გადანაწილების საჭიროება იხსნებოდა დღის წესრიგიდან (ხილბოსტნეულის უმეტესი ნაწილის ფიზიკური არსებობის გადადღეებით და საათებით იზომება, ხოლო საარბიტრაჟო დავის გადაწყვეტა თვეებით). ეს, რასაკვირველია; დაკავშირებული იყო ზარალთან, მაგრამ რამდენადაც გადამანაწილებელი ორგანო მოდავეთა ოპერაციებისათვის პასუხს არ აგებდა, ხოლო დავის არასწორად გადაწყვეტის შემთხვევაში დაინტერესებულ მხარეს საშუალება ჰქონდა დაყრდნობოდა მისგან დამოუკიდებელი მიზეზით მიღებულ ზარალს, პასუხისმგებლობა არავის არ ეკისრებოდა.

ზარალი ზარალად რჩებოდა, მოსახლეობას აკლდებოდა დავის პერიოდში ვაფუჭებული პროდუქცია, ამისათვის პასუხისმგებელი კი არავინ იყო.

მდგომარეობა ძირეულად შეიცვალა „საქმთავარკონსერვხილბოსტანის“ შექმნის შემდეგ.



ამ ორგანიზაციის შექმნამ გამოიწვია ვიწრო საუწყებო ინტერესებით განპირობებული გართულებანი, რადგან მოსავლის აღებიდან მოსახლეობისათვის მის მიწოდებაზე პასუხისმგებელია ერთი ორგანო.

ამჟამად ვადამუშავებისა და გასაღების ორგანიზაციის ხელმძღვანელები თვითონ აყენებენ ერთი შეხედვით თავისი ორგანიზაციისათვის არახელსაყრელ საკითხს, თუ საერთო ანგარიშით მისი დადებითი გადაწყვეტა სასარგებლოა მთელი სისტემისათვის, საბოლოო ანგარიშით კი სახელმწიფოს ინტერესებისათვის. მაგალითად, საქონესერვტრესტის ხელმძღვანელობამ მხარი დაუჭირა და ყოველმხრივ უწყობდა ხელს მაღაზიებში სახენაცვალი და სარეალიზაციოდ გამოუსადეგარი პროდუქციის მოხსნას და ოპერატიულ ვადამუშავებას ტრესტის საწარმოებში, რაც საშუალებას იძლეოდა გამოეყენებინათ იგი უდანიაკარგოდ ან მცირე დანიაკარგებით. სახელმწიფოს ამ საშუალებით სავარძნობი თანხა დაეზოგა.

„საქნილობსტანის“ სამმართველოს ხელმძღვანელობამ რესპუბლიკის ზოგიერთ რაიონში მოუსავლიანობასთან დაკავშირებით ოპერატიულად გადაინაწილა მიწოდების გეგმები მიმღები ობიექტების მიერ ოფიციალური დავის აღძვრამდე და ამით უზარუნველყო საწარმოთა რიტმული მუშაობა. წინათ ამაზე დაუსრულებელი დავა მიმდინარეობდა.

დამზადების სამმართველოს ზოგიერთმა კანტორამ 30-31 ივლისს მოქმედი შესასყიდი ფასებით შეიყიდა საზამთრო კილოგრამი 15 კაპიკად და გამოუგზავნა იგი „თბილხილობსტანვაჭრობას“.

1 აგვისტოდან შესასყიდ ფასად დაწესდა კილოგრამი 5 კაპიკი, „თბილხილობსტანვაჭრობის“ ზოგიერთმა მუშაკმა გამოიყენა შეღავათიანი დღის უფლება და გაუნაღდა კილოგრამი 5 კაპიკად. წამოიჭრა დავა. „თბილხილობსტანვაჭრობის“ ხელმძღვანელობამ თვითონ დააყენა საკითხი დამზადების კანტორას გასწორებოდა ანგარიში საცალო ფასებიდან გამომდინარე ვადანგარიშებით, რანდენადაც მოქმედი საცალო ფასებით მას საშუალება ჰქონდა გასული წლის 6 აგვისტომდე საზამთროს რეალიზაცია მოეხდინა კილოგრამისა 20 კაპიკად. ამის შედეგად არც დამამზადებელმა მიიღო ფორმალურად გამართლების მქონე, მაგრამ არსებითად უსაფუძვლო პირდაპირი ზარალი და ვაჭრობამაც მიიღო შედარებით მცირე, მაგრამ ერთადერთი ნამდვილად საფუძვლიანი მოგება.

ეს ერთი შეხედვით კერძო შემთხვევები წარმოადგენენ ხილობსტანეულის დამზადების, ვადამუშავებისა და გასაღების საქმეში ახალი სტრუქტურით განპირობებული ერთსულოვნების გამოვლინების დიდმნიშვნელოვან ფაქტებს. ეს ერთსულოვნება კი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მალფუჭად პროდუქციასთან დაკავშირებულ ოპერაციებში. ცნობილია, თუ როდენ დიდი როდენობის პროდუქცია ფუჭდება განრიგების ვადანაწილებასთან დაკავშირებულ დავათა გადაწყვეტის პროცესში, აგრეთვე ის გარემოება, რომ მანამდე შესასყიდი ფასების შეცვლის წინაღობებში დამამზადებელი ორგანიზაციები ხელოვნურად აფერხებდნენ შესყიდვის ოპერაციებს, რათა თავიდან აეცილებინათ უსაფუძვლო ზარალი, ეს კი იწვევდა პროდუქციის მნიშვნელოვანი ნაწილის ამოღებას ბრუნვიდან.

განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს, რომ „საქმთავარკონსერვხილობსტანის“ შიგნით მნიშვნელოვნად შემცირდა ცალკეული მიმწოდებლებისადმი წარმო-

ქმნილ საპრეტენზიო დავათა თანხები როგორც ხარისხთან, ისე დანაკლისთან დაკავშირებით.

შიდასაუწყებო დავებში აღარ გვხვდება ისეთი ასტრონომიული ციფრები, როგორსაც ადგილი ჰქონდა მიმწოდებლისა და მიმღების სხვადასხვა სისტემაში ყოფნის დროს. მაგალითად, გარდაბნის რაიონის დამზადების კანტორის 1964 წლის ოპერაციებიდან გამომდინარე მხოლოდ ერთი დავა უხარისხო პროდუქციის მიწოდებასთან დაკავშირებით გორის საკონსერვო ქარხანასთან 50 ათას მანეთს შეადგენდა.

მართალია, დავების რაოდენობა კვლავ დიდია (ეს გასაგებიც არის მალფუჭადი პროდუქციის პირობებში), მაგრამ ცალკეული დავები შედარებით მცირე და ნაკლებად საეჭვოა მათი წარმოქმნის მიზეზების თვალსაზრისით.

საქმე იმაშია, რომ როგორც მიმწოდებელმა, ისე საქონლის მიმღებმა იცის, რომ მათი დავა ხვდება კომპეტენტურ და ამასთან საერთო შედეგებით დაინტერესებულ ორგანოში, რომელიც გულგრილი ვერ დარჩება მათი მაჩვენებლებისადმი და საქმეს სწყვეტს არა ფორმალური, არამედ ყოველი ზარალის წარმოქმნის რეალური მიზეზების გამოვლინების თვალსაზრისით.

ვლინდება მიზეზები და ყოველ ცალკეულ შემთხვევაში დამნაშავენი პასუხს აგებენ. შემთხვევითი როდია, რომ შიდასაუწყებო დავათა საფუძველზე საგამომძიებლო ორგანოებს რამოდენიმე ათეული საქმე გადაეცა.

იქნებ აღრინდელ პერიოდთან შედარებით გაიზარდა უკანონო ოპერაციათა რიცხვი?

ფაქტები ამის საწინააღმდეგოდაც მეტყველებენ.

წინათ ისინი შეუმჩნეველი რჩებოდა (სახარბიტრაჟის ორგანოები დღესაც არჩევენ უფრო მნიშვნელოვან საქმეებს სხვა სისტემებთან დაკავშირებით. მაგრამ ნაწილობრივ არაკომპეტენტურობა და ნაწილობრივ ფაქტიური შედეგებისადმი ნაკლები ინტერესი განაპირობებდა უკანასკნელთა ფორმალურ გადაწყვეტას. ასე იყო წინათ, ასე დარჩა ამჟამადაც, სისტემათა შორის დავის გადაწყვეტისას).

შიდასაუწყებო დავების გადაჭრისას გამოვლინდა მარწყვის, ნიახურის და სწვა პროდუქციის მოქმედი ფასების უხეში დარღვევებით შესყიდვისა და საკონსერვო მრეწველობისათვის მიყიდვის ფაქტები (ნიახური შესყიდულ იქნა დაწესებულ ფასებთან შედარებით 5-ჯერ უფრო ძვირად).

საკითხის დამამზადებელი ორგანიზაციის სასარგებლოდ გადასაწყვეტად სახარბიტრაჟისათვის საკმარისი იყო შესატყვისი ხელშეკრულება აღნიშნული პროდუქციის გაზრდილი ფასებით შესყიდვის შესახებ, შემსყიდველი ორგანიზაციის ზემდგომი ორგანოს ნებართვის ან განკარგულების საფუძველზე. ეს საკითხი არ წყდებოდა არც შიდასაუწყებო წესით, რადგან მიმწოდებელი და მიმღები ან სხვადასხვა სისტემაში შედიოდნენ ან დამამზადებელი უშუალოდ წარმოების შტატში შედიოდა და მოგება-წაგება ერთ საერთო ბალანსზე ირიცხებოდა გაუშიფრავად. მარტო ამით შეიძლება აიხსნას, რომ წლიდან წლამდე ადგილი ჰქონდა ათასობით მანეთი ნაღდი ფულის უკანონო გაცემას და არავინ არ კითხულობდა დამარღვევს.

მდგომარეობა შეიცვალა მიმწოდებლისა და მიმღების ერთ სისტემაში გაერთიანებით. საკითხის განხილვისას ნათელი გახდა, რომ საქმე გვაქვს ფასების შეგნებულ დამახინჯებასთან, რის შედეგადაც მიღებული ზარალი გაუ-



შიფრავად აწვევბოდა მრეწველობას და იფარებოდა ბიუჯეტის ხარჯზე უკანონოდ გაცემული ნაღდი ფულით.

პირველად დაისვა საკითხი იმის შესახებ, თუ ვის მიუძღვის ამაში ბრალი. ვლინდება სხვა დარღვევებიც და იმედია ახლო მომავალში მოსახლეობის ხილბოსტნეულის მაღალხარისხოვანი პროდუქციით უზრუნველყოფის დიდ და საპატიო საქმეზე მიტმასნებულ ზოგიერთ პირს ერთხელ და სამუდამოდ მოესპობა სახელმწიფო თანხების თვითნებურად გამოყენების საშუალება.

ამასთან ერთად უნდა აღინიშნოს, რომ ჯერ კიდევ არსებობს მთელი რიგი ხელშემშლელი პირობები, რომლებიც არ იძლევა საშუალებას ბოლომდე გამოვლინდეს ახალი სისტემის შესაძლებლობანი.

მათ შორის პირველ რიგში უნდა აღინიშნოს ის ფაქტი, რომ სახელმწიფო დამზადების პარალელურად მოქმედებენ კოოპერაციის დამამზადებლები, რომლებსაც ობიექტურად საშუალება აქვთ აწარმოონ დამზადება გაზრდილი შესასყიდი ფასებით და ამით ხელოვნურად გაზარდონ ხილბოსტნეულის თვითღირებულება. მაგალითად, 1965 წელს ვაშლის სახელმწიფო ფასებში რიტმული დამზადების პირობებში, ცეკავშირმა დაიწყო მისი გაზრდილი ფასებით შესყიდვა, რის შედეგადაც, დამზადების გეგმის ჩაშლის თავიდან ასაცილებლად, სახელმწიფო დამზადება იძულებული გახდა მნიშვნელოვნად გაეზარდა ფასები და გაეძვირებინა პროდუქცია.

განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს გასაღების ფონდების დაქსაქსვას, რაც არ იძლევა საშუალებას ბოლომდე გამოყენებულ იქნას კონტრაქტაციის ხელშეკრულების შესაძლებლობანი, რადგან მის ეკონომიურ საფუძველს, „მეურნეობის“ ავანსირებასთან ერთად, სწორედ პროდუქციის გასაღების ორგანიზაცია წარმოადგენს.

სოფლის მეურნეობის სამინისტრო დღეისათვის უშუალოდ იღებს გასაღების მნიშვნელოვან ფონდებს, რის გამო სახელმწიფო დამზადებას საშუალება არა აქვს შეზღუდოს ნაკლები მოთხოვნილების პროდუქციის წარმოება რენტაბელური პროდუქციის წარმოების გაფართოების ხარჯზე. მთელი რიგი საბჭოთა მეურნეობები დიდი რაოდენობით აწარმოებენ პროდუქციას, რომელიც ადვილად მოსაყვანია, მაგრამ, რომელზედაც ნაკლები მოთხოვნილებაა. ამასთან, ისინი პირველ რიგში უშუალოდ ამარაგებენ მომხმარებელს, ხოლო ჭარბ საქონელს აბარებენ სახელმწიფო დამზადებას კონტრაქტაციის ხელშეკრულების ანგარიშში.

რამდენადაც ამ პროდუქციის საჭირო რაოდენობა უკვე ათვისებული აქვს მომხმარებელს უშუალოდ მეურნეობისაგან, სახელმწიფო დამზადებას მისი გასაღება უჭირს და ამის შედეგად იქმნება გაუმართლებელი ზარალი, ხოლო მოსახლეობა ვერ იღებს ფართო ასორტიმენტის ხილბოსტნეულს.

კიდევ უფრო შეუწყნარებელია რესპუბლიკის დედაქალაქ თბილისში, ქალაქებში რუსთავსა და ქუთაისში ხილბოსტნეულით საკომისიო ვაჭრობის არსებობა, მაშინ როცა „თბილხილბოსტანვაჭრობამ“ თითქმის ორნახევარჯერ გაზარდა ხილბოსტნეულით ვაჭრობის საერთო მოცულობა 1963-64 წლებთან შედარებით.

რამდენადაც „თბილხილბოსტანვაჭრობის“ მიერ რეალიზებული ხილბოსტნეულის მთელ მასას ქალაქის მშრომელნი მტკიცე საპრესკურანტო ფასებში ყიდულობენ, მათ ამ გზით ასეულ ათასობით მანეთი დაეზოგათ.

მთავარი სამმართველოს იურიდიულმა სამსახურმა არაერთგზის დააყენა

საკითხი ასეთ პირობებში ხილბოსტნეულის პარალელურად მოქმედი საკომისიო ვაჭრობის ქსელის ლიკვიდაციის შესახებ, მაგრამ ჯერჯერობით სასურველი შედეგი არა ჩანს (მიღებულია მხოლოდ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს საოქმო დადგენილება ქ. თბილისში ხილბოსტნეულის საკომისიო ვაჭრობის შემცირების შესახებ).

განა დასაშვებია ერთ ქალაქში, ერთსა და იმავე მიკრორაიონში, ხშირად ერთმანეთის გვერდით არსებულ ორ მაღაზიაში ერთნაირი ასორტიმენტის ხილბოსტნეული სხვადასხვა ფასებში იყიდებოდეს?

მთელი პასუხისმგებლობით შეიძლება ითქვას, რომ თუ უახლოეს ხანში არ აიკრძალა დედაქალაქში ერთი და იმავე ხილბოსტნეულით სხვადასხვა ფასებით ვაჭრობის პრაქტიკა, დანაშაულის პროფილაქტიკაზე ლაპარაკი დროის ფუჭად დაკარგვა იქნება.

საქართველოს კომუნისტური პარტიის თბილისის კომიტეტის მიერ მოწყობილმა რეიდმა გამოავლინა ფაქტები, როდესაც „თბილხილბოსტანვაჭრობის“ და სხვა სახელმწიფო სისტემათა მაღაზიებიდან შესყიდული პროდუქტები ხვდება ცეკავშირის საკომისიო მაღაზიებში. იქნება პირობები, როცა სახელმწიფო ხშირად ბიუჯეტისათვის საზარალოდ ეწევა ამა თუ იმ პროდუქციის რეალიზაციას თვითღირებულებაზე უფრო დაბალ ფასად (კარტოფილი, კომბოსტო და სხვ.), მაგრამ პროდუქცია უშუალოდ მომხმარებელამდე საკომისიო ქსელის მეშვეობით აღწევს.

ამით სახელმწიფოც ზარალობს და მომხმარებელიც.

ამასთან აღსანიშნავია, რომ რამდენადაც ცეკავშირის საკომისიო მაღაზიებში ხილბოსტნეული ბევრად უფრო ძვირია, მას აბარებენ ამორჩეულ ხილბოსტნეულს (მათ შორის „თბილხილბოსტანვაჭრობის“ მატერიალური პასუხისმგებელი მუშაკებიც), „თბილხილბოსტანვაჭრობას“ კი რჩება გადანარჩევი, არასასაქონლო შეხედულების პროდუქცია, რომელზეც მყიდველს გული არ მისდის და რეალიზაცია ფერხდება.

საკმარისია ტონა ხილბოსტნეულიდან ამოირჩეს 150-200 კილოგრამი საუკეთესო, რომ დანარჩენმა სასაქონლო სახე დაკარგოს. ამასთან დაკავშირებით იყო „თბილხილბოსტანვაჭრობის“ მუშაკთა სამაგალითოდ დასჯის შემთხვევები, მაგრამ ცალკეული ღონისძიებები შესატყვის შედეგს ვერ გვაძლევს.

დღეს ყველასათვის ნათელია, რომ შექმნილი მდგომარეობა არანორმალურია.

როგორც გამოირკვა, მიუხედავად იმისა, რომ თბილისში ცეკავშირის საკომისიო ვაჭრობის ორმოცდაათამდე ობიექტი აქვს, წელიწადში იგი ვაჭრობს ხილბოსტნეული პროდუქციის მხოლოდ 4 პროცენტს. ამის ერთიორად შესრულება შეუძლია ერთიან სახელმწიფო ვაჭრობას, შესატყვისი ქსელის გადმოცემის პირობებში.

თბილისში ხილბოსტნეულით საკომისიო ვაჭრობის მხარდამჭერნი თუმცა ვერ უარყოფენ აღნიშნულ ფაქტებს, მაგრამ იშვებობენ სადირექტივო ორგანოების 1961 წლის დადგენილებას, რომლის საფუძველზეც კოოპერაციას მიეცა ქალაქებში და სამრეწველო ცენტრებში საკომისიო ვაჭრობის განვითარების უფლება. ამავე დროს ანგარიშს არ უწევენ იმ გარემოებას, რომ იმ დროს ხილბოსტნეულის ძირითადი დამამზადებელი კოოპერაცია იყო, დღეს კი შექმნილია ხილბოსტნეულის დამზადების, გადამამუშავებისა და გასაღების ერთიანი რესპუბლიკური სისტემა.



ასეთ პირობებში იმ დადგენილებათა მოშველიება, რომლებიც გამოცემულ იქნა „საქმთავარკონსერვხილბოსტანის“ შექმნამდე და მასზე დაყრდნობით ქალაქ თბილისში ხილბოსტნეულზე ორი ფასის დატოვების მოთხოვნა, როცა რესპუბლიკაში მთელი დამზადებული ხილბოსტნეულის შესყიდვის 99% სახელმწიფო აწარმოებს, ეწინააღმდეგება ფაქტიურ მდგომარეობას.

კოოპერაციისადმი მხარდაჭერის ერთგვარი ტენდენციის მიზეზია მისი ძირითად დამამზადებლად ყოფნისას აღებული კურსის ინერციული განვითარება.

ასე, მიუხედავად იმისა, რომ ცეკავშირის ხილბოსტნეულის ძირითად დამამზადებლად ყოფნის პერიოდში დაფნისა და ლუფის დამზადების ოპერაციები უშუალოდ იმ სამმართველოს ექვემდებარებოდა, რომელიც ხილბოსტნეულის დამზადებას აწარმოებდა და საშუალებას აძლევდა შეექმნა ძლიერი ეკონომიური ბაზა, „საქმთავარკონსერვხილბოსტანის“ შექმნასთან დაკავშირებით, მას ეს მომგებიანი ოპერაციები არ გადმოეცა.

თუ ამასთან მხედველობაში მივიღებთ, რომ ცეკავშირი სახბიუჯეტს თავისი მოგების მხოლოდ 35 პროცენტს აძლევს, ხოლო „საქმთავარკონსერვხილბოსტანის“ მოგების 99 პროცენტი სახელმწიფო ბიუჯეტის კუთვნილებას წარმოადგენს, გასაგები გახდება, რომ მთავარი სამმართველოსათვის აღნიშნული ოპერაციების გადმოცემა შეეფერება როგორც ახლამექმნილი სისტემის ეკონომიური ბაზის გაძლიერების მოთხოვნილებებს, ისე სახელმწიფო ბიუჯეტის ინტერესებს.

ამავე თვალსაზრისით უნდა განვიხილოთ კოოპერაციის გამგებლობაში ხილბოსტნეულის გადამამუშავებელი წარმოების დატოვების საკითხი.

საქმე ის არის, რომ თავის დროზე ცეკავშირი იძულებული იყო შეექმნა, „საქკონსერვტრესტის“ პარალელურად, თავისი გადამამუშავებელი ობიექტები. რადგან, წარმოადგენდა რა ძირითად დამამზადებელს, უნდა ეზრუნა საკუთარი ნარჩენებისა და ძნელად სარეალიზაციო პროდუქციის გადამამუშავებისათვის. ამას ხელს უწყობდა სახელმწიფო გადამამუშავებელი ქსელის უკმარობაც. დღეს მდგომარეობა ძირეულად შეიცვალა. ერთი მხრივ გაძლიერდა „საქმთავარკონსერვხილბოსტანი“, რომლის სიმძლავრეები ხშირად ბოლომდე გამოყენებული არ არის, ხოლო მეორე მხრივ ცეკავშირი აღარ წარმოადგენს ძირითად დამამზადებელს და აღარა აქვს გადამამუშავებელი წარმოების შენარჩუნების ობიექტური საფუძველი.

საქმე იქამდე მიდის, რომ ცეკავშირისათვის გადამამუშავებელი წარმოებანი უკვე დამხმარე მეურნეობას კი არა, თვითმიზანს წარმოადგენენ.


ცეკავშირი ამ წარმოებისათვის საჭირო ნედლეულს სპეციალურად ამზადებს ან იღებს სახელმწიფო დამზადებიდან, რაც ეწინააღმდეგება ამ ობიექტების შექმნის ძირითად მიზანს და საზიანოა სახელმწიფოსათვის.

საჭიროა დამხმარე ხილბოსტნეულის გადამამუშავებელი წარმოებანი გადაეცეს ძირითად დამამზადებელს მათი მიზნობრივად გამოყენებისათვის.

ზემოაღნიშნული და მრავალი სხვა ხელშემშლელი ფაქტების ნათლად გამოვლინება განაპირობა ხილბოსტნეულის დამზადების, გადამამუშავების და რეალიზაციის საქმეში ერთიან სახელმწიფო წესრიგის დამყარებამ.

ამ საერთო, მთავარი სამმართველოსაგან დამოუკიდებელ საკითხებთან ერთად, სამწუხაროდ, ჯერ კიდევ აქვს ადგილი ისეთ დარღვევებს რომელთა აღმოფხვრა მთლიანად ჩვენზეა დამოკიდებული.

დღემდის შემორჩენილია და ვერ აღმოიფხვრა, ცეკავშირისეული ტრადი-



ცია ხილბოსტნეულის დანაკლისით და ხარისხის დაქვეითებისაგან მიღებული ზარალის, საცალო და დამზადების ფასთა შორის არსებული განსხვავების შედეგად მიღებული მოგების ხარჯის გადაფარვის.

ადგილი აქვს ბალანსში გაუნაღლებელი თანხების მიჩქმალვას და ზარალია ხელოვნურ დაფარვას, რაც მძიმე ტვირთად აწევბა მუშაობის შემდგომ პერიოდს. იკარგება საძიებო ვადები და ასიათასობით თანხები წლობით გაუშიფრავი რჩება, ხოლო შემდეგ იწერება სახელმწიფოს ზარჯზე, კონკრეტულ გამოვლენის გარეშე.

როგორც ეტყობა სისტემის საბუღალტრო და საგეგმო ფინანსიურ მუშაკთა განსახლდრულობა ნაწილმა, ჯერ კიდევ ვერ შეიგნო, რომ ხილბოსტნეულის დამზადების, გადამუშავება-გასაღების სახელმწიფოს ხელში კონცენტრაციის ერთ-ერთი ძირითადი მიზანი, სწორედ ამ რთულ და მრავალმხრივ ოპერაციებში ერთიანი სახელმწიფო წესრიგის დამყარებაა. ამის გარეშე „საქმთავარკონსერვხილბოსტანის“ საქმიანობამ შეუძლია სახელი გაუტეხოს ამ დიდმნიშვნელოვან წამოწყებას.

ის ფაქტი, რომ საქართველო პირველია მოძმე რესპუბლიკათა შორის, რომელმაც უკვე ჩამოაყალიბა ხილბოსტნეულის დამზადების, გადამუშავებისა და გასაღების დამოუკიდებელი დარგი, დიდ პასუხისმგებლობას გვაკისრებს. დღეს ჩვენი მაგალითი წარმოადგენს სხვა რესპუბლიკებისათვის ყოველდღიური დაკვირვებისა და შესწავლის საგანს და ასეთ პირობებში კანონისა და ნორმატიული აქტების მოთხოვნათა უგულვებელყოფა ყოვლად დაუშვებელია.

რად ღირს თუნდაც ის ფაქტი, რომ მთავარი სამმართველოს კოლეგიის დადგენილების გვერდის ავლით, ფინანსთა სამინისტროსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს წარდგინა მასალები 980 ათასი მანეთის ვითომ ჩამოწერის შესახებ. მაშინ როცა ამ ზარალის გამომწვევი მიზეზების დადგენისათვის, საქმე გადაცემული იყო რესპუბლიკის პროკურატურაში ძიების აღსაძვრელად.

თუ რაოდენ ნაკლებ ყურადღებას აქცევს ზოგიერთი ხელმძღვანელი მუშაკი კანონიერების შემდგომი განმტკიცების საქმეს, ეს ჩანს თუნდაც იქიდან, რომ მთელ რიგ დამამზადებელ კანტორებში გაუქმდა იურიდიული სამსახურის მუშაკთა შტატები და მათ ნაცვლად აყვანილ იქნენ პრეტენზიონისტები. ეს ყოვლად დაუშვებელია, განსაკუთრებით ისეთ სისტემაში, სადაც განუსაზღვრელი რაოდენობით ტრიალებს ნაღდი ფული.

აღსანიშნავია, რომ სისტემის თავისებურება, რაც გამომდინარეობს მალფუნქციური პროდუქციის მოძრაობიდან და დიდი რაოდენობის ნაღდ ფულთან დაკავშირებული ოპერაციებიდან, ჯერ კიდევ ბოლომდე არ არის შეგნებული. სწორედ ამაში უნდა ვეძებოთ იურიდიული სამსახურისადმი ერთგვარი ნიპილისტური დამოკიდებულების მიზეზები.

მაგალითად, თითქმის ორი წლის განმავლობაში მთავარ სამმართველოს, რომელიც მილიონობით მანეთი თანხების დავებს არჩევდა, საერთოდ არ ჰქონდა საუწყებო არბიტრაჟის უფლება, რის გამო გადაწყვეტილებათა დიდი ნაწილი შეუსრულებელი რჩებოდა.

შესატყვისი ბრძანებები დაშვებულ იქნა მხოლოდ ორი წლის დავისა და მტკიცების შემდეგ, ისიც კერძო შეთანხმების საფუძველზე, რადგან არსებობდა ოფიციალური აზრი, რომ სისრულეში მოეყვანათ უსაფუძვლო მითითებები ასეულ ათასობით მანეთი თანხების ბიუჯეტის ხარჯზე ჩამოწერის შესახებ.

გადაწყდა „საქმთავარკონსერვხილბოსტანის“ მთავარ სამმართველოსთან იურიდიული განყოფილების შექმნის საკითხიც, რაც ძირეულად გარდაქმნის სისტემის იურიდიული მომსახურების საქმეს.

უნდა აღინიშნოს, რომ ჯერ კიდევ განყოფილების შექმნამდის მთავარი სამმართველოს იურიდიულმა ჯგუფმა მიაღწია საბჭოთა კავშირის სხვადასხვა სახელმწიფო არბიტრაჟების 200-მდე უკანონო გადაწყვეტილების გაუქმებას, რითაც ათიათასობით მანეთის ბედი კანონიერად წარიმართა.

ამასთან აღსანიშნავია, რომ რიგ შემთხვევაში, საქმეებს თანხების გაუმართლებელი დაკარგვის შესახებ მთავარ სამმართველოს იურიდიული ჯგუფი იგებდა გასაჩივრების ვადების გასვლის შემდეგ. ეს იმით იყო გაპირობებული რომ ერთის მხრივ სახარბიტრაჟები, ხშირად აგვიანებენ გადაწყვეტილებისა და დადგენილებათა დაგზავნას მხარეებისადმი, ხოლო მეორეს მხრივ საჩივრის პროექტი ჯერ რესპუბლიკურ სამმართველოსა და ტრესტების ხელმძღვანელობამდის აღწევს და მხოლოდ ამის შემდეგ ხდება მთავარ სამმართველოში.

მთავარი სამმართველოს იურიდიული სამსახური ვალდებულია უშუალოდ გაეცნოს საქმის მასალებს, რადგან ამის გარეშე შეუძლებელია საჩივრის უარყოფა ან მხარდაჭერა.

ამ პროცედურაზეც, რასაკვირველია, იხარჯება განსაზღვრული დროც, რაც გამორიცხავს გასაჩივრების ვადის დაცვის შესაძლებლობას.

სამწუხაროდ, საქართველოს სსრ სახელმწიფო არბიტრაჟის მთავარი არბიტრი და თვით მინისტრთა საბჭოს იურიდიული განყოფილება, ხშირად არ იყენებენ უფლებას გადახედონ უკანონო გადაწყვეტილებას საკუთარი ინიციატივით, მიუხედავად უკანასკნელის მიღების ვადისა.

თუ ამასთან ერთად გავითვალისწინებთ, რომ დღესდღეობით არ არსებობს სახარბიტრაჟის გადაწყვეტილებებზედ ეფექტური საპროკურორო ზედამხედველობა, თავისთავად ცხადია, თუ რაოდენ მნიშვნელოვან ზარალთან გვაქვს საქმე, იმ შემთხვევაში როცა საქმის მასალები ნათლად მეტყველებენ, რომ გადაწყვეტილება უკანონოა, საჩივარი კი არსებითად არ ირჩევა გასაჩივრების ერთთვიანი ვადის გაშვებასთან დაკავშირებით.

მაგალითისათვის მინდა მოვიყვანო ორი ფაქტი:

„საქკონსერვტრესტის“ ქუთაისის საკონსერვო ქარხანას საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული სახარბიტრაჟის 1967 წ. 20 იანვრის (საქმე 5/107) გადაწყვეტილებით გადახდა სამი კასრი სახარშის ღირებულება, რომელიც თითქმის დაიდვარა გზაში თვით კასრების უწესრიგობასთან დაკავშირებით.

მთავარი სამმართველოს იურიდიულმა სამსახურმა შეისწავლა რა საქმე მივიდა იმ დასკვნამდე, რომ ადგილი აქვს ყალბი აქტების შედგენას მიმღების მიერ, რაც მტკიცდება შემდეგი გარემოებით:

აქტის შემდგენლები ამტკიცებენ, რომ სამი კასრის დაშლის შედეგად, რაც თავისთავად საეჭვოა, რადგან თითოეულ კასრს ოთხი-ხუთი რკინის სალტე აქვს შემოჭობილი, სადავო პარტიას დააკლდა 993 კგ სახარში. ეს იმ დროს როცა ყველაზე ღირსი კასრი (ბრუტო) 280 კგ იწონინდა.

როგორ მოხდა რომ სამი კასრის ნეტო 253 კილოგრამით უფრო მეტი გამოვიდა ვიდრე მათი ბრუტო წონის ჯამი. სახარბიტრაჟი ამით არ დაინტერესდა,

ხოლო საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს იურიდიულმა განყოფილებამ საჩივარი არ მიიღო გასაჩივრების ვადის გასვლის მიზეზით.

ამავე მიზეზით არ იქნა მიღებული მთავარი სამმართველოს საჩივარი (საქმე № 5/1042)-ზე თუმცა მასალებით დადასტურდა, რომ მიმღებმა ლაბორატორიას საანალიზოდ წარუდგინა არა ის ნიმუში, რომელიც კომისიამ აიღო სადავო პარტიის ხილის წვეწებიდან, არამედ სრულიად სხვა.

ორივე შემთხვევაში თანხები სასბიუჯეტის ანგარიშზე ჩამოიწერა.

მსგავს შემთხვევებს ხშირად აქვს ადგილი, რაც საგრძნობ ზიანს აყენებს როგორც მთავარი სამმართველოს ფინანსიურ მაჩვენებლებს, ისე სახელმწიფო სახსრებისა და სოციალისტური კანონიერების დაცვის საერთო ინტერესებს. სწორედ ამით არის გაპირობებული, „საქმთავარკონსერვხილბოსტანის“ იურიდიული სამსახურის წინადადება გადაიდოს საკავშირო კვების მრეწველობის სამინისტროს მიერ დანერგილი პრაქტიკა და მონაწილეობა მიიღოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მიერ განხილულ იმ საქმის გარჩევაში, რომელიც ერთ-ერთ მხარედ სისტემის ქვემდებარე ობიექტები გამოდიან.

მართალია, ეს ძალიან გაართულებს მთავარი სამმართველოს იურიდიული განყოფილების მუშაობას, მაგრამ მოგვცემს საშუალებას დასაწყისშივე ვუზრუნველვყოთ სისტემის კანონიერი ინტერესების კვალიფიციური დაცვა, მითუმეტეს, რომ ბევრ სერიოზულ ობიექტს არა აქვს ამისათვის საკმაო შესაძლებლობა.

ამასთან ერთად გადაწყდება გასაჩივრების ვადის დაცვის პრობლემაც, რადგან მთავარი სამმართველო, რომლის გარეშეც მინისტრთა საბჭო საჩივარს არ იღებს, თავიდანვე იქნება საქმის კურსში.

ამ საკითხის მოსაგვარებლად საჭირო იქნება საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულმა სახარბიტრაჟმა, ისევე როგორც ამას მოსკოვის არბიტრაჟი აკეთებს, უწყებებისა და გადაწყვეტილებების ერთი ეგზემპლარი გამოუგზავნოს მთავარ სამმართველოს.

რაოდენ დიდი მნიშვნელობა აქვს „საქმთავარკონსერვხილბოსტანის“ სისტემაში იურიდიული სამსახურის განმტკიცებას, ეს ნათლად ჩანს გასული ორი წლის განმავლობაში დაქვემდებარებული ობიექტების მიერ საარბიტრაჟო საქმეთა წარმოების ანალიზიდან.

როგორც ირკვევა, ასეულ ათასობით მანეთი თანხები იკარგება ადგილებზე იურიდიულ დავათა არასწორად წარმოების გამო (რომ არაფერი ვთქვათ ბუღალტერიის მიერ დებიტორთა არადროულ გაშიფვრაზე, რის გამოც საგრძნობ თანხებზე საძიებო ვადები იკარგება დებიტორის გამოვლინებამდე).

მაგალითად, მარტო გორის დამზადების კანტორამ 1966 წ. თებერვალ-მარტში მოსკოვსა და ლენინგრადში გაგზავნილ ვაშლზე დამზადებისა და მიმღების საცალო ფასების სხვაობის მიზეზით დაკარგა 300.000 მანეთამდე თანხა, ხოლო ახალციხის დამზადების კანტორამ ამავე ოპერაციებით 100.000 მან. წააგო, მაშინ როცა ანალოგიური თანხები მთავარი სამმართველოს იურიდიულმა ჯგუფმა მყიდველთაგან ამოიღო სხვა დამზადების კანტორათა სასარგებლოდ.

უქველია, რომ ასევე იქნებოდა ამოღებული გორის და ახალციხის დამზადების კანტორათა კუთვნილი თანხებიც, მაგრამ მთავარი სამმართველოსათვის მათი გაუნადგებლობა ცნობილი გახდა მხოლოდ საძიებო ვადის გასვლის შემდეგ.



გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ ყოველი უკანონოდ წაგებული თანხა პრაქტიკულად აწვება მატერიალურ პასუხისმგებელ პირებს, ეს კი აფართოებს დანაშაულის სფეროს, რადგან, ის პირები, რომლებსაც უხდებოდათ გაუმართლებელი თანხების გადახდა, როგორც წესი, პირად ზარალს სხვა უკანონო ოპერაციების ხარჯზე ინაზღაურებენ.

ყოველივე ეს მნიშვნელოვნად ზრდის მთავარი სამმართველოს იურიდიული სამსახურის პასუხისმგებლობას, რადგან ეფექტური პროფილაქტიკური ღონისძიებების განხორციელება სისტემის ყოველი ცალკეული მუშაკის მხრივ სოციალისტური კანონიერების დაცვის საქმეში შეიძლება, მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ ისინი გარანტირებული იქნებიან ისეთი შეუწყნარებელი „შემთხვევითობიდან“, როცა უკანონო გადაწყვეტილებათა საფუძველზე მათ უსაფუძვლოდ აწერენ მნიშვნელოვან თანხების გადახდას.

თუ მხედველობაში მივიღებთ იმ გარემოებას, რომ მთავარ სამმართველოს ცეკავშირისაგან განსხვავებით, არ შეუძლია ხილბოსტნეულში მიღებული ზარალი დაფაროს მატყლის ან ხორცისა და სხვა ოპერაციების დამზადებიდან მიღებული მოგებით, აგრეთვე იმ გარემოებას, რომ მთავარ სამმართველოს საცალო ფასების გაზრდის შედეგად ზარალის დაფარვის უფლება არა აქვს. გასაგები გახდება, რაოდენ დიდი მნიშვნელობა აქვს ამ სისტემაში მძლავრი იურიდიული სამსახურის შექმნას და ყოველი სახელმწიფო კაპიკისათვის კანონით რეგლამენტირებული წესით ბრძოლის შემდგომ გაძლიერებას.

თავისთავად ცხადია, რომ საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიასა და მთავრობას არ შეეძლოთ არ შეემჩნიათ ჯერ კიდევ 1965 წლის დასაწყისში შექმნილი და სექტემბრის პლენუმის გადაწყვეტილებებით წელგამართული ახალი სისტემის ობიექტურად დადებითი ხასიათი. სწორედ ამით უნდა აიხსნას ის გარემოება, რომ მიუხედავად დანაშაულებრივი ოპერაციების ინტენსიური გამოვლინებისა, სისტემას არა თუ არ შეელახა სახელი, არამედ მის პრაქტიკას საბჭოთა კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების ღირებულებითი ორგანოები სწავლობენ. მრავლისმეტყველია ის ფაქტიც, რომ საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ინციტატივით მიმდინარე წლის იანვარში „საქმთავარკონსერვხილბოსტანი“ გარდაიქმნა რესპუბლიკური მნიშვნელობის უწყებად — საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო კომიტეტად, ხოლო სკკპ ცენტრალური კომიტეტი და საბჭოთა მთავრობა ამუშავებენ საკითხს ხილბოსტნეულის დამზადების, გადამუშავებისა და გასაღების საკავშირო ორგანოს შექმნის შესახებ, რასაც საფუძვლად უდევს საქართველოს გამოცდილება.

გასული წლების შედეგები და სკკპ ცენტრალური კომიტეტის მიერ „საქკონსერვხილბოსტანის“ სახელმწიფო კომიტეტის პრაქტიკისადმი გამოჩენილი ინტერესი ნათლად მოწმობს, რომ რესპუბლიკის საღირებულებო ორგანოთა პრაქტიკა, მიმართული ხილბოსტნეულით მოსახლეობის უზრუნველყოფის საქმის კოოპერაციიდან ამოღებისა და სახელმწიფოს ხელში კონცენტრაციისაკენ. საკავშირო მნიშვნელობის ფაქტად იქნა აღიარებული. ეს კი იმედს იძლევა, რომ შესატყვისი ორგანიზაციების პრაქტიკის შემდგომი განზოგადება კიდევ უფრო დახვეწს ხილბოსტნეულის პროდუქციის მოძრაობასთან დაკავშირებული ოპერაციების სამართლებრივ საფუძვლებს, აღმოფხვრის ჯერ კიდევ არსებულ ხარვეზებს სახალხო მეურნეობის განვითარების ამ დიდმნიშვნელოვან სფეროში.

საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს კლენუმი

## დადგენილება № 3

28 მარტი, 1968 წ.

სავაქრო და საზოგადოებრივი კვების საწარმოებში მყიდველთა მოტყუების საქმეებზე სასამართლო პრაქტიკის შესახებ

განიხილა რა საქართველოს სსრ პროკურორის წარდგინება და სასამართლო პრაქტიკის განზოგადების მასალები სავაქრო და საზოგადოებრივი კვების საწარმოებში მყიდველთა მოტყუების საქმეებზე, საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს პლენუმი აღნიშნავს, რომ სასამართლო ორგანოებმა გარკვეული მუშაობა ჩაატარეს მოცემული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის საქმეში. ამასთან სასამართლებს გააჩნიათ სერიოზული ნაკლოვანებანი.

1966-1967 წლების პერიოდში საქართველოს სსრ სსკ 69 მუხლის I ნაწილით გასამართლებული პირებიდან, აღნიშნული დანაშაულის სიმძიმის გათვალისწინების გარეშე, თავისუფლების აღკვეთა შეეფარდა მხოლოდ 8,9%, სხვა უფრო მსუბუქი სასჯელები — 69,5%, ხოლო პირობითი მსჯავრი კი — 21,6%-ს.

ამავე პერიოდში საქართველოს სსრ სსკ 169 მუხლის მე-2 ნაწილით მსჯავრდებული პირებიდან თავისუფლების აღკვეთა განესაზღვრა 62%-ს, ხოლო სხვა უფრო მსუბუქი ღონისძიებანი — 38%-ს, ამასთანავე იმ პირთა საერთო რიცხვიდან, რომელთაც საქართველოს სსრ სსკ 169 მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით მსჯავრი დაედოთ თავისუფლების აღკვეთით, ეს სასჯელი 2 წელზე მეტი ვადით, მაგრამ არაუმეტეს 3 წლისა დაენიშნა 15,4%-ს, 3 წელზე მეტი ვადით, მაგრამ არა უმეტეს 5 წლისა — 7,7%, 2 წლით ან უფრო ნაკლები ვადით კი 76,9%-ს.

ზემოთ აღნიშნული სტატისტიკური მონაცემები კონკრეტულ საქმეთა შესწავლის შედეგებთან ერთად მოწმობენ, რომ სასამართლოები რიგ შემთხვევებში ჯეროვნად ვერ აფასებენ ხსენებული დანაშაულის საზოგადოებრივ საშიშროებას, რომელიც ხელყოფს საბჭოთა ვაჭრობის წესებს და მატერიალურ ზარალს აყენებს მშრომლებს, და ჩანადენის შეუსაბამო აშკარა ლმობიერ სასჯელებს უფარდებენ ბრალეულ პირებს, რაც ხელს უშლის მოცემული დანაშაულის ჩამდენ პირთა მიმართ შეუწყნარებელი ატმოსფეროს შექმნას.

ქობულეთის № 4 მაღაზიის გამგე-გამყიდველმა ფიჩხაძემ მოქ. უსუკოვს მოტყუებით 13 მანეთი და 30 კაპიკი გადასდევინა ჭემპრში, რომლის ღირებულება შეადგენდა 9 მანეთსა და 60 კაპიკს.

ქობულეთის რაიონის სახალხო სასამართლომ ფიჩხაძეს საქართველოს სსრ სსკ 169 მუხლის I ნაწილით სასჯელის ზომად განუსაზღვრა 1 წლით გამასწორებელი სამუშაო, ხელფასიდან 20 პროცენტის დაქვითვით სახელმწიფოს სასარგებლოდ, შრომა-გასწორების ინსპექციის მიერ მითითებულ ადგილზე მოხდით.

უხეშ შეცდომებს უშვებენ ცალკეული სასამართლოები აგრეთვე იმ პირთა მიმართ სასჯელის განსაზღვრისას, რომელთაც ბრალი მიუძღვით დიდი ოდენობით მოტყუებაში, ე. ი. საქართველოს სსრ სსკ 169 მუხლის მე-2 ნაწილისა და კაჯილაშვილის ბრალდების საქმეზე. ლით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენაში.

ასე მაგალითად, უკანონო განაჩენი დადგინა ქ. გორის სახალხო სასამართლომ ლოცულიშვიტყუფარდა რა მათ საქართველოს სსრ სსკ 169 მუხლის მე-2 ნაწილით საქართველოს სსრ სსკ 45 მუხლზე მითითებით გამასწორებელი სამუშაოები (შრომა-გასწორების ინსპექციის მიერ მითითებულ ადგილზე მოხდით).

ლოცულიშვიტმ და კაჯილაშვიტმა, რომლებიც მუშაობდნენ გორის რაიკავშირის ხეტყის სავაქრო ბაზაში გამყიდველად, მოატყუეს მომხმარებლები, ფასდამახინჯებით მიჰყიდეს მათ სხვადასხვა მასალა და ამ გზით მიიღეს დიდი გამორჩენა — პირველმა 373 მანეთი და 24 კაპიკი, ხოლო მეორემ 260 მანეთი.

არასწორად გამოიყენა საქართველოს სსრ სსკ 45 მუხლი და დაუსაბუთებლად გაუნახევრა საქართველოს სსრ სსკ 169 მუხლის მე-2 ნაწილით შეფარდებული, ისედაც ლმობიერი სასჯელი — 2 წლით თავისუფლების აღკვეთა ქ. ბათუმის სახალხო სასამართლომ 1967 წლის 31 მაისის განაჩენით, „საქმეტყესაშენვაჭრობის“ ხეტყისა



და საშენი მასალების ბათუმის სავაჭრო ბაზის № 1 მაღაზიის ყოფილ უფროს გამყიდველს გ. ლ. ბიბლიევილის, რომელმაც მოატყუა რა მოქ. ნ. ე. შარაძე, 690 მანეთი გადაახდევინა 349 მანეთად და 50 კაპიკად ღირებულ 400 ცალი მოუთხოვებელი თუნუქში.

შემჩნევა ისეთ შემთხვევებშიც, როდესაც სასამართლოები მომხმარებელთა მომტყუებლებს დაუსაბუთებლად უნიშნავენ გამასწორებელ სამუშაოებს იმ ადგილებზე მოხდით, სადაც მათ დანაშაული ჩაიდინეს.

ასეთი სასჯელი შეუფარდა, მაგალითად, ცაგერის რაიონის სახალხო სასამართლომ სოფ. ქაჯანის მაღაზიის გამგე-გამყიდველ ალავიძეს, რომელმაც მოატყუა მომხმარებლები და მათ სხვადასხვა საქონელში დაღვინილ საცალო ფასზე 29 მანეთით მეტი გადაახდევინა, ასევე ბორჯომის რაიონის სახალხო სასამართლომ ბორჯომის რაიკომპერატის უნივერზალის სექციონერ გელაშვილსა და გამყიდველ ჯანოევას, რომლებსაც მსჯავრი დაედოთ იმისათვის, რომ შეგნებულად გაზრდილ ფასად მიჰყიდეს მოქალაქეებს 148 ცალი რეზინის ბურთი და ამ გზით მიიღეს გამორჩენა 37 მანეთის რაოდენობით.

ადგილი აქვს აგრეთვე დამნაშავე პირთა მიმართ პირობითი მსჯავრის არასწორად გამოყენებისა და ამ პირთა ხელახლა აღსაზრდელად და გამოსასწორებლად კოლექტივებისათვის დაუსაბუთებლად გადაცემის ფაქტებს.

ზნირად სასამართლოები აღნიშნული დანაშაულის ჩამდენ პირთა გასამართლებებისას არ მსჯელობენ მათ მიმართ სასჯელის ისეთი ღონისძიების გამოყენების თაობაზე, როგორცაა სავაჭრო და საზოგადოებრივი კვების საწარმოებში თანამდებობის დეკავების უფლების ჩამორთმევა.

ყოველივე ეს იწვევს იმას, რომ მომხმარებელთა მოტყუებისათვის გასამართლებული პირები განაგრძობენ მუშაობას სავაჭრო ან საზოგადოებრივი კვების საწარმოებში და რიგ შემთხვევებში კვლავ ჩაღიან ასეთივე ან სხვა ანგარებით დანაშაულს.

ცალკეულ შემთხვევებში სასამართლოები არასწორად აკვალიფიცირებენ საქართველოს სსრ სსკ 169 მუხლის I ნაწილით იმ პირთა მოქმედებებს, რომელთაც ჩადენილი აქვთ მოტყუება დიდი ოდენობით, ზოგჯერ კი ადგილი აქვს ამ ნიშნზე მითითებით ისეთ მოქმედებათა საქართველოს სსრ სსკ 169 მუხლის მე-2 ნაწილით დაკვალიფიცირების ფაქტებს, რომლებიც არ შეიძლება განხილულ იქნას როგორც მოტყუება დიდი ოდენობით, რის გამოც დამნაშავე პირებს ჩანადენის შეუსაბამო სასჯელები ვფარდებათ.

რიგ შემთხვევებში სასამართლოები სათანადო რეაგირებას არ ახდენენ წინასწარი გამოძიების დროს დაშვებულ ისეთ სერიოზულ დარღვევებზე, როგორცაა გამოძიების არასრულად და უზარისხოდ ჩატარების გამო მომხმარებელთა მოტყუებაში მონაწილე ყველა პირის, მათ შორის ამ დანაშაულის ორგანიზატორთა გამოუმუშავებლობა, იურიდიული თვალსაზრისით ბრალდების არასწორად წარდგენა. საბრალდებო დასკვნაში დანაშაულის ამა თუ იმ ეპიზოდის აუსახველობა და სხვა.

მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული სარკვევების აღმოფხვრა და საქმეზე მართებული გადაწყვეტილების მიღება ზნირად შეუძლებელია სრული სამსჯავრო გამოძიების ჩატარების შემთხვევაშიც, სასამართლოები არ აბრუნებენ ასეთ საქმეებს დამატებით გამოძიებაზე და გამოაქვთ დაუსაბუთებელი განაჩენები, რითაც უხეშად ირღვევა კანონის მოთხოვნა.

სერიოზული ნაკლოვანებები გააჩნია სახალხო სასამართლოებს აგრეთვე ხსენებული დანაშაულის თავიდან აცილებისათვის საქირო სხვა ღონისძიებების გატარების დარგში.

საკამრისა აღინიშნოს, რომ პრაქტიკის განვითარების მიზნით შესწავლილ 145 საქმიდან გამსველ სესიებზე განხილულია მხოლოდ 10 საქმე. საზოგადოებრიობის წარმომადგენელთა მონაწილეობით 9 საქმე, კერძო განჩინებები კი დანაშაულის ხელშემწყობი პირობებისა და მიზეზების აღმოფხვრის მიზნით გამოტანილია მხოლოდ 6 საქმეზე. მაშინ, როდესაც ასეთ ღონისძიებათა გატარება, როგორც განვითარების მასალებიდან ირკვევა, აუცილებელი იყო გაცილებით მეტი რაოდენობის საქმეებზე.

სახალხო სასამართლოების მუშაობაში არსებული შემოღონიშნული ნაკლოვანებანი ნაწილობრივ იმითაც არის განპირობებული, რომ სასამართლოები წლების განმავლობაში სათანადო სიღრმით არ ახდენდნენ მომხმარებელთა მოტყუების საქმეებზე სასამართლო პრაქტიკის შესწავლას.

უარყოფით გავლენას ახდენს მოცემული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის ეფექტურობაზე სახალხო სასამართლოების მიერ დამნაშავე პირებისათვის შეფარდებული კანონიერი სასჯელების დაუსაბუთებლად შეცვლა, რასაც ზოგჯერ ადგილი აქვს ზემდგომი სასამართლოების პრაქტიკაში.

საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს პლენუმი ა დ გ ე ნ ს:

1. სასამართლო ორგანოებმა კანონის შესაბამისად გადამწყვეტი ბრძოლა აწარმოონ სავაჭრო და საზოგადოებრივი კვების საწარმოებში მყიდველთა მოტყუებასთან.



აღმოფხვრას თავიანთი პრაქტიკიდან აღნიშნული დანაშაულის ჩამდენ პირთა საკმაო საფუძვლების გარეშე ლიბოიერი სასჯელის გამოყენების შემთხვევები.

განსაკუთრებით გააძლიერონ ბრძოლა იმ პირთა წინააღმდეგ, რომლებიც წინათაც იყვნენ გასამართლებულნი მყიდველთა მოტყუებისათვის ან ჩაიდინეს მოტყუება დიდი ოდენობით და კანონის მოთხოვნის შესაბამისად შეუფარდონ მათ მკაცრი სასჯელები.

2. სასამართლოებმა არ დაუშვან მოცემული დანაშაულის ჩამდენ პირთა მიმართ ისეთი ღონისძიებების დაუსაბუთებლად გამოყენების შემთხვევები, როგორცაა გამასწორებელი სამუშაოები იმ ადგილზე მოხდით, სადაც ხსენებულმა პირებმა ეს დანაშაული ჩაიდინეს, აგრეთვე პირობითი მსჯავრი ხელახლა აღსაზრდელად და გამოსასწორებლად დამნაშავის სავაჭრო ან საზოგადოებრივი საქარმოს მუშა-მოსამსახურეთა კოლექტივებზე გადაცემით.

3. თანახმად კანონისა, საქართველოს სსრ სსკ 169 მუხლის მე-2 ნაწილით მსჯავრდებულ პირებს დამატებითი სასჯელის სახით უნდა შეეფარდეთ სავაჭრო ან საზოგადოებრივი კვების საწარმოებში თანამდებობის დაკავების უფლების ჩამორთმევა და სასამართლოებმა ზუსტად უნდა იხელმძღვანელონ კანონის ამ მოთხოვნით.

სასამართლოს საქმის კონკრეტულ გარემოებათა გათვალისწინებით შეუძლია გამოიყენოს ეს დამატებითი სასჯელი, აგრეთვე იმ პირთა მიმართ, რომელთაც საქართველოს სსრ სსკ 169 მუხლის I ნაწილით ძირითად სასჯელად დანიშნული აქვთ თავისუფლების აღკვეთა ან გამასწორებელი სამუშაოები.

4. სასამართლოებმა ყველა შემთხვევაში გულმოდგინედ და სრულად უნდა გამოიკვლიონ საქმის მასალები იმ პირებთან ერთად, რომლებმაც უშუალოდ მოატყუეს მომხმარებლები, გამოავლინონ და პასუხისმგებლობა მისცენ მოცემულ დანაშაულში მონაწილე ყველა პირი და სათანადო რეაგირება მოახდინონ წინასწარი გამოძიების პროცესში დაშვებულ დარღვევებზე. უკეთეს საქმეზე წინასწარი გამოძიება არასრულად და უზარისხოდ არის ჩატარებული და ამ ხარვეზების გამოსწორება შეუძლებელია სამს-

ჯავრო სხდომაზე, არ დაუშვან ასეთ საქმეზე განაჩენის დადგენა.

5. აღმოფხვრას პრაქტიკიდან ისეთ პირთა საქართველოს სსრ სსკ 169 მუხლის I ნაწილით დასჯის შემთხვევები, რომელთაც ჩაიდინეს მოტყუება დიდი ოდენობით, ან პირიქით აღნიშნულ ნიშანზე მითითებით იმ პირთა საქართველოს სსრ სსკ 169 მუხლის მე-2 ნაწილით დასჯის ფაქტები, რომელთა მოქმედებანი არ შეიძლება განხილულ იქნას როგორც მოტყუება დიდი ოდენობით.

ხსენებული დანაშაულის ამ მკვალიფიცირებელი ნიშნის არსებობის თუ არარსებობის საკითხის გადაწყვეტისას მხედველობაში იქნეს მიღებული ოდენობა იმ გამორჩენისა, რომელიც მიიღო ან უნდა მიეღო დამნაშავეს, ღირებულება და რაოდენობა საქონლისა, რომელსაც რეალიზაცია უყო მომტყუებელმა ან გაშვადებული იყო ამ გზით გასაყიდად და სხვა.

6. სახალხო სასამართლოებმა უფრო ხშირად განიხილონ აღნიშნული კატეგორიის საქმეები გამსვლელ სესიებზე და ფართოდ ჩააბან ამ საქმეთა განხილვაში საზოგადოებრიობის წარმომადგენლები.

ყველა საქირო შემთხვევაში გამოიტანონ კერძო განჩინებები, წარდგინებები სავაჭრო და საზოგადოებრივი კვების საწარმოებში გამოკლინებული ნაკლოვანებების, იმ პირობებისა და მიზეზების აღმოფხვრის მიზნით, რომლებიც ხელს უწყობენ ხსენებული დანაშაულის ჩადენას.

7. ადგილი არ ექნეს ზემდგომი სასამართლოების პრაქტიკაში მომხმარებელთა მომტყუებლების მიმართ სახალხო სასამართლოების მიერ დანიშნული კანონიერი სასჯელების დაუსაბუთებლად შეცვლის ფაქტებს.

8. საქართველოს სსრ, აფხაზეთისა და აჭარის ასსრ უმაღლესმა სასამართლოებმა, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის საოლქო სასამართლომ, აგრეთვე რაიონების (ქალაქის) სახალხო სასამართლოებმა სისტემატურად განაზოგადონ სასამართლო პრაქტიკა მყიდველთა მოტყუების საქმეებზე და დასახონ სათანადო ღონისძიებანი ამ დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის საქმეში მუშაობის გაუმჯობესებისათვის.

საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარე მ. მანისშრამძე.  
საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს პლენუმის მდივანი ზ. მესხინბისერი.

# შეკრების „ხევისბერი“ და „ხევისთავის“ შესახებ

პლ. აბრამიშვილი

ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში ტერმინი „ხევისბერი“ შემდეგნაირად არის განმარტებული: 1. კუთხ. (მოხევურად) ხევის მოთავე, წინამძღოლი როგორც საერო, ისე რელიგიურ-საკულტო საქმეებში. 2. კუთხ. (ფშავ-ხევსურულად) მთავარი მღვდელთმსახური ხატში.<sup>1</sup> ხევისბერის მეორე განმარტება სწორი არ არის და იგი გაუგებრობაზეა დაფუძნებული. არ არის რაიმე სარწმუნო წერილობითი წყარო, რომელიც ადასტურებდეს, რომ ქართულ ეკლესიას თავისი ინიციატივით ხევისბერი მღვდელთმსახურად გაესაღოს და ეს უკანასკნელი ქრისტიანობის მქადაგებლად და ეკლესიის მსახურად ექციოს. პირიქით, ფეოდალურ საქართველოში ეკლესიასა და ხევისბერებს შორის ცხარე ბრძოლა სწარმოებდა.

ხევისბერობა ფეოდალური საქართველოს სახელმწიფო აპარატის უძველესი ინსტიტუტია. ხევისბერობის და ხევისბერის შესახებ მეტად საინტერესო ცნობას გვაწვდის გიორგი ბრწყინვალის სამართლის წიგნი ძეგლისდება, რომელიც მკვლევართა აზრით შედგენილია 1335 წ.<sup>2</sup>

ძეგლისდების მიხედვით ხევისბერს მეტად თვალსაჩინო თანამდებობა უკავია და მისი ფუნქციები მოიცავს როგორც სამეურნეო, ისე პოლიტიკურ საქმიანობას. ამ ძეგლისძველი საკანონმდებლო კრებულის შესავალში და ტექსტში ხევისბერი დიდებულია წრეში იხსენიება და მისი პიროვნების ხელშეუხებლობა მთელი სიმკაცრით არის დაცული. როდესაც მეფე გიორგი ბრწყინვალე თბილისიდან მთიულეთში არაგვის ხეობის მცხოვრებთა სანახავად და შესასწავლად წავიდა, ხადა-ცხაოტში სხვა მოხელეებს გარდა მეფემ მთიულეთში შექმნილი მდგომარეობის გამოსარკვევად ხევისბერთა გულისტკივილიც დიდი ყურადღებით მოისმინა. ხოლო შემდეგ, როდესაც მეფეთ-მეფემ მიმოიხილა მთიულთა

მთელი სანახაობა, თბილისში დაბრუნებისას ხევისბერნიც თან წამოიყვანა. „...და შემოვდიით ქალაქსა და შემოვიტანეთ თემისა და თემის ერისთავნი და ქვეისთავნი და ქვეისბერნი და ჰეროვანნი“<sup>3</sup>.

როგორც ჩანს მეფეს სხვა პირებთან ერთად მთიულთა კანონის შედგენისათვის ხევისბერიც დარბაზის სსლომაზე მონაწილეობის მისაღებად მოუწვევია. თვით კანონის მე-6, 7, 8, 9, 10 მუხლებში განმარტებულია ხევისბერის იურიდიული უფლებამოსილება. ძეგლისდების მიხედვით ადრე ხევისბერს დარბაზით ლაშქართ თავადობა ჰბოძებოდა<sup>4</sup>. აქვე აღნიშნულია, რომ ხევისბერი, რომელსაც დარბაზი ნიშნავდა, თავისი ღირსებით ე. ი. „სისხლის ღენით“ გამგებელს უტოლდებოდა. კანონის მიხედვით გამგებელს და ხევისბერს ერთი და იგივე სისხლი ეურვებათ<sup>5</sup>. შემოხსენებული კანონის მიხედვით ხევისბერი ჰეროვანზე მაღლა იდგა.

ნიკო ხიზანაშვილი (ურბნელი), იხილავს რა სამოხელეო აპარატს ძეგლისდების მიხედვით, აღნიშნავს: ყველას როლი შეეძლო მიეღო ხევისბერობა „არა, — ეს მოხელეობაც ერთსა და იმავე გვარში ტრიალებდა, სავარეულო ნიადგაზედ იყო აღმოცენებული და როცა ყოფილის ხევის-ბერის გვარი ამოწყდებოდა, მხოლოდ მაშინ შეიძლებოდა სხვა გვარის კაცს მიეღო დიად საპატიო „ლაშქართ თავადობა“<sup>6</sup>. აი ასეთია ამ მეტად საინტერესო თანამდებობის იურიდიული სურათი ადრინდელ საქართველოში. მაგრამ ყამთა ვითარებაში ამ დაწესებულებამაც დაკარგა თავისი მნიშვნელობა, ჩამოშორდა სამოხელეო აპარატს და შემდეგ საერო თუ საკულტო საქმეების მსახურად გადაიქცა. ამ ინსტიტუტის ნაშთებმა ფშავ-ხევსურეთში ჩვენამდეც მოაღწია, თუმცა სულ სხვა დაწესებულებას წარმოადგენს. ხევისბერი აღარ არის მო-

1 ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, ტ. VIII, გვ. 1368, სვ. 2.

2 ი. დოლიძე, გიორგი ბრწყინვალის სამართალი, 1957 წ. გვ. 15

3 ი. დოლიძე, გიორგი ბრწყინვალის სამართალი, 1957 წ. გვ. 103.

4 იქვე მუხ. 10. გვ. 107.

5 იქვე მუხ. 8. გვ. 107.

6 ნ. ურბნელი, ძეგლისდება მეფე გიორგი ბრწყინვალესი, 1890 წ. გვ. 18.

ხელე და წარმომადგენელი სახელმწიფოსი, ხევისბერობამ სხვა მიმართულება მიიღო, სხვა ნიჟადაგზე აღმოცენდა, რასაც ძირეულად უარყოფა და ძველი კანონი.<sup>7</sup>

დღევანდელი ფშავის ხევისბერი ხატის ყმაა, მისი დიდების თაყვანისმცემელი. იგი ხატში არის უფროსი, მორწმუნეთა წინამძღოლი, ხატის მედროზე, კულუხის უფროსი, მას ჩაბარებული აქვს ჭვარი და დროშა, მასვე აბარია შეწირული განძეულობანი, ვერცხლის, იჭროს და სხვა ძვირფასი ლითონის ნივთები. იგი თავისი დამხმარებით, მნათეებით, დასტურებით პირველი მიღის დღესასწაულში (ხატობაში). დასაუფთავებს ეკლესიას და სადასტურო ოთახს, დილით კი ეკლესიიდან „გამობარძანებს“ დროშას. ხევისბერი ხსნის დღესასწაულს, ხატში ლოცულობს ჭერ იმ სალოცავს, რომელსაც ემსახურება, ხოლო შემდეგ სხვა სალოცავებსაც, კლავს საკლავს, ჭრის ქადებს, ახვეწებს და ავედრებს ხატში მისულ ყველა ხალხს და მათვე უწყალობებს თავის სალოცავებს. ცერემონიის დროს თვალყურს ადევნებს ქადაგებს, იხმარიებს დასტურებს, აწესებს წესრიგს, მლოცველთა შორის წამოჭრილ ყველა სადავო საკითხს ადგილზე წყვეტს, დაახლოებულია მკითხველთან და სხვ. ხატში ხევისბერი ლოცვა-კურთხევას უგზავნის გმირ კობალეს, იახსარს, ლაშარის ჭვარს, გულანის ჭვარს, ლომისას და ყველა სხვა სალოცავს. აი, ასე ილოცება თიანეთის მახლობელი ადგილის ხატობის იხიწვის ხევისბერი: „ღმერთო, იხიწვის წმინდა გიორგი! შენ შეეწიე ამ ქადა სანთლის და ზედაშის მომტანს, შენ გაატანე შენი წყალობა“.<sup>8</sup> ხევისბერს ცალ ხელში ალესილი მახვილი უჭირავს და დასტურების მიერ გამზადებულ „შესაწირი მსხვერპლების“ სისხლით იღებავს ხელებს. ცერემონიის დამთავრებამდე იგი ანიშნებს დასტურებს, ფხიზლად იყვნენ, წესი და რიგი დაუყენონ ლოცვა-კურთხევით, ხატისთვის „გამეტებულ“ სასმელ-საქმელით ნახაიშავნებ ხალხს. დასტური რეკავს ზარს, „ყმანი“ თუ „მსახური“ შეგუფუდებიან, მედროზე დროშას აიღებს, ხევისბერი სასმელით აავსებს თასს და ერთხელ კიდევ დაამწყალო-

ბებს. თუ სხვა ხატში არიან მისასველები, კულუხი დანიშნულ ადგილისაკენ წავა (გადაინაცვლებს) და თუ არა, სახევისბერო შემოსავალს (ქადას, სანთელს, არაყს, ღვინოს, შეწირულ კურატებს, ხორცსა და ტყავს) დასტურებთან ერთად გაინაწილებს და ხატის წყალობით დატვირთული სახლში წავა. აი დღევანდელი ხევისბერობის არსი. აი დღევანდელი ფშავ-ხევსურეთის ხევისბერის საქმიანობა, მისი ფუნქციები, რომლებსაც არავითარი კავშირი არა აქვს ეკლესიასთან და მღვდლებთან. ფშავ-ხევსურეთში ხევისბერები მღვდელმსახურნი რომ არ ყოფილან, ეს თავის დროზე შენიშნა ნ. ხიზანაშვილმა და 1887 წელს ამ საკითხს მიუძღვნა წერილი „უსაფუძვლო შენიშვნებისა გამო“ (გაზეთი „ივერია“ № 272). ამ წერილში ხიზანაშვილი აკრიტიკებს დ. ფურცელაძის და ა. ხანაშვილის მცდარ შეხედულებებს ხევისბერობის შესახებ და ასკვნის, რომ ხევისბერები იმთავითვე არ ყოფილან მღვდელმსახურნი. ხიზანაშვილი მართებულად სვამს საკითხს: თუ ხევისბერები თავიდანვე მღვდელ-მსახურნი იყვნენ, მღვდლების გამწესება რაღა საჭირო იყო? თავისი ზარის დასადასტურებლად იგი იშველიებს ერთ-ერთ ძველ ცნობას და ამბობს: კათალიკოს იოსების ეპისტოლეში, რომელიც 1762 წელს წარგზავნიდა ლოსითიოზ ნეკრესელს, პირდაპირ მოხსენებულია, რომ მღვდლებს უბრძანებ, დეკანოზებმაჟ საეკლესიო წესები არ აასრულონო. ამ ეპისტოლეს მეცხრე მუხლში ნაჩვენებია, რომ უსწავლელი და მოუმზადებელი, სახარების არა კარგად მკითხველი მღვდლობის ღირსი არ არის და ნურც აკურთხებთო...<sup>10</sup> თუ ასე იყო, სასულიერო განათლების მხრივ უფიცი ხევისბერი როგორ შესილებდა მღვდელმსახურებას“?<sup>9</sup> ხიზანაშვილი უფრო ადრე თავის ეთნოგრაფიულ წერილებში „ფშავ-ხევსურეთში“, ეხებოდა რა ხევისბერის დამოუკიდებლობას ეკლესიასთან, აღნიშნავდა, რომ „...ძველს ხევისბერს კანონი უკრძალავდა გავლენას საეკლესიო საქმეებზე, ხევისბერი განდევნილი იყო ეკლესიის სამფლობელოდგან, — კათალიკოზი და ეპისკოპოზი განაგებდნენ მთაშიც, როგორც სრულიად საქართველოში, საეკლესიო საქმეებს“.<sup>11</sup>

ყვა-ფშაველთა თავის ეთნოგრაფიულ წერილებში უაროდ აღანიშნავს ხევისბერის დიდ გავლენას ხალხზე, განსაიატებს ამ დაწესებულებას, მაგრამ არაფერს ამბობს იმის შესახებ, რომ

7 ნ. ხიზანაშვილი, ეთნოგრაფიული წერილები, 1940 წ. გვ. 14.

8 ხევისბერის ასეთი ლოცვა ნებისმიერ ადამიანს დღესაც შეუძლია მოისმინოს ფშავ-ხევსურეთში ამდღების, იხიწვის, ლაშარობის, ვიორგობის და სხვა რელიგიურ დღესასწაულებზე.

9 დეკანოზი იგივე ხევისბერია.

10 ნ. ხიზანაშვილი, ეთნოგრაფიული ნაწერები, 1940 წ. გვ. 93.

11 ნ. ხიზანაშვილი, ეთნოგრაფიული ნაწერები, 1940 წ. გვ. 14.



ხევისბერი ოდესმე მღვდელმსახური იყო. ხევისბერი რომ მღვდელმსახური ყოფილიყო, დიდი მგოსანი გვერდს ვერ აუვლიდა სინამდვილეს და თავის წერილებში ამას დაწვრილებით აგვიწერდა. როცა ფშავ-ხევსურეთის საერთო-სათემო ხატის მთავარ მსახურზე ვმსჯელობთ, არ შეიძლება არ გავითვალისწინოთ ვაჟა-ფშაველას ეთნოგრაფიული წერილები, რადგან როგორც ვაჟა თვითონვე აღიარებდა, „ჭერჭერობით გამოჩვეული არ არის ღღევანდელი ხევისბერის მემკვიდრედ უნდა ჩაითვალოს“.<sup>12</sup>

ხევისბერი რომ მთავარი მღვდელმსახური იყოს, ეს ფაქტი არ გამოეპარებოდათ ვ. ბარდაველიძეს და ვ. ჩიტიას. 1941 წელს მათ ინახულეს ივრის ფშაველები, საკმაო დრო დაუთმეს მთიელების ყოფაცხოვრების შესწავლას, დაესწრნენ რამდენიმე რელიგიურ ღღევასწავლს, დაწვრილებით აღწერეს ხევისბერების, დასტურების, მკითხავების, ქადაგების, თუ სალოცავად მისულ სხვა პირების ნამოქმედარ-ნალაპარაკები. „ივრის ფშაველების“ აღწერილობაში არსად არ არის ნათქვამი, რომ ხევისბერი მთავარი მღვდელმსახურია ხატში.

ხევისბერი რომ არ არის ეკლესიის მიერ წარგზავნილი პირი ხატში და, რომ ერთი მხრივ ეკლესიასა და მის მღვდლებსა და, მეორე მხრივ, ხევისბერებს შორის ოდითგანვე მიმდინარეობს ბრძოლა, ამაზე მეტყველებს ჩვენს ხელთ არსებული რამდენიმე წერილობითი წყარო. 1892 წლის 2 აგვისტოს № 163 ივერიაში დაიბეჭდა „იქაური“-ს ფსევდონიმით ფელეტონი „ერთი კვირა ხევსურეთში“. ავტორი ამ წერილში ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ სასულიერო მთავრობა ფშავ-ხევსურეთში თურმე აგზავნიდა ისეთ უცოდინარ მღვდლებს, რომლებსაც გარდა უამნისა და დავითისა არაფერი არ უნახავთ და გაუგიათ. ავტორი სწორედ ამას მიაწერს, რომ მთაში სასულიერო პირებს წესიერად პირჭვრის წერაც კი ვერ უსწავლებიათ ხალხისათვის. უფრო მეტიც, ეკლესიაში შესვლას, ხატში წასვლას ამჯობინებენო. თიანეთის მეორე საბლადოჩინოს ბლადოჩინი სემიჩი 1892 წელს ხევსურეთს ეწვია და ხალხის გადმობირებისათვის მთელი რიგი ღონისძიებანი განახორციელა.

„იქაური“ წერდა: „ეს პატივცემული მოძღვარი მხნედ და თავგამოდებით ებრძვის ყველა იმ ცრუ-მორწმუნეობას, რომელიც მაზარალებელია

ხალხის ნივთიერისა და გონებრივის ცხოვრებისა, სცდილობს აღამაღლოს მნიშვნელობა ეკლესიისა და მღვდლისა, დეკანოზ-ხევისბერზედ და მკითხავ ქადაგებზედ“.<sup>13</sup>

ბლადოჩინ სემიჩის ბრძანებით პოლიციის დახმარებით მოუწვევიათ სამი საზოგადოების — ბარისახოს, ლულის და ახულოს მცხოვრებთა გაერთიანებული ყრილობა, რომელსაც 200-მდე ქალი და კაცი დასწრებია. ყრილობაზე სემიჩმა სასტიკად გააკრიტიკა ხსენებული სოფლების ჩამორჩენილობა, დაახასიათა ხევისბერობის ძლიერი გავლენა ხალხზე და დასახამთელი რიგი ღონისძიებანი მღვდლების აღდგენა-უპირატესობისა და დეკანოზ-ხევისბერთა განდევნისათვის. დასასრულ ყრილობამ განჩინება გამოიტანა, რომლის პირველ მუხლში დაპარაკია იმაზე, რომ „ხალხმა უნდა იაროს მუდამ ეკლესიაში წირვა-ლოცვაზე, მიიწვიონ წესების ასრულებისათვის მღვდლები და არა დეკანოზები“.<sup>14</sup>

ხევისბერს და ეკლესიის მღვდლებს შორის ცუდ განწყობილებაზე მეტყველებს აგრეთვე ახალსოფლის (თიანეთის მაზრა) მღვდლის იოსებ კოშორიძის წერილი, რომელიც 1885 წელს უფრნალ „მწყემსი“ დაიბეჭდა. კოშორიძე პირველად ეხება აღრიდანვე მთაში ქრისტიანობის გავრცელების საკითხს, შემდეგ კი მის შერყვანა-გადაგვარებას. ავტორი ახასიათებს რა ხევისბერს, დიდ დამსახურებას და წარსულს, აღნიშნავს:

„...საუბედუროდ, დღეს „ხევისბერობა“ რაღაც ხელობად — პროფესიად გადაუქცევიათ. „ხევისბერი“ არის ექსპლუატატორი, მატყუარა, ზნეობისა და სარწმუნოების დამამცირებელი და ცრუმორწმუნეობის გამავრცელებელი კაცი“.<sup>15</sup>

კოშორიძის ამ წერილში ნათლად ჩანს მღვდლისა და ხევისბერის ურთიერთდამოკიდებულება.

ფშავში არ ყოფილა ისეთი ხატობა, რომელშიც მღვდელს მიეღოს მონაწილეობა და ხევისბერ-დეკანოზებთან ან დასტურთან ჩხუბი არ მოსვლიდა. ხევისბერები მღვდლებს ხატში არ უშვებდნენ. ამის ძირითადი მიზეზი ის იყო, რომ ეს უკანასკნელნი შემოსავალში ეცილებოდნენ. თუ კი მღვდელი მივიდოდა რომელიმე ხატში, მას ან გამოაგდებდა ხევისბერი, ან სცემდა.

1886 წელს № 23 „ივერიაში“ „დავით გორელის“<sup>16</sup> ფსევდონიმით გამოქვეყნდა შესანიშნავი

12 ვაჟა-ფშაველა, ტომი 10, 1964 წ. გვ. III.

13 „იქაური“, „ერთი კვირა ხევსურეთში“, ივერია, 1892 წ. 2 აგვისტო. № 163. გვ. 2-3.

14 ვაზ. „ივერია“, 1892 წ. № 163. „იქაური“ ერთი კვირა ხევსურეთში“ გვ. 2-3.

15 იოსებ კოშორიძე, „წერილი თიანეთის მაზრიდან“, „მწყემსი“ 1885 წ. № 14. გვ. 8, 9.

16 დავით გორელი არის იგივე დავით თაბუნძე, თიანეთის სკოლის მასწავლებელი. მან თიანეთის და მისი მხარის შესახებ რამოდენიმე წერილი გამოაქვეყნა გაზეთ „ივერიაში“.

წერილი „რამოდენიმე სიტყვა ფშავ-ხევისურების დღესასწაულზე“ ავტორი ამ წერილში აღწერს დიდებული იხიწვის, კოპალეს ხატობის ცერემონიალის ერთ-ერთ განსაკუთრებულ მომენტს. მან და მისმა თანმხლებმა პირებმა საყდრის კარებთან შენიშნეს ღრმად მოხუცებული კაცი, რომელსაც გულზე ვერცხლის დიდი ჯვარი ჰქონდა ჩამოკიდებული და ხანში შესული ორი გლეხი იჯდა. წინ ეწყობო ხონჩები და ტაბაკები, რომლებზეც ელაგა ქადა, კოშტი, სანთელი, თეთრი ძაფი და თითო ჰქია ღვინო თუ არაყი. იქვე შორი-ანლოს იხსენებს ორასამდე ქალი და კაცი. ხატის ხალხმა რომ შენიშნა უცხო პირები, წამოიშალა. გავიდა რამოდენიმე ხანი და ჯვრია-ნი მოხუცი საღლაც გაუჩინარდა. იგი გაურკვეველი მისამართით წავიდა. თუმცა რამოდენიმე ხნის შემდეგ ისევ დაბრუნდა. ამ ხატობის მნახველი დავით გორელი აღნიშნავს, რომ:

„თურმე ნუ ბრძანებთ, ამ დღესასწაულთაგან აქაური მღვდელი თითონვე დაუთხოვნათ და ჩვენ მისგან გამოგზავნილი პოლიციის მოხელეები ვგონებთ.“<sup>17</sup>

უფრო მეტად არტნის საზოგადოების სოფელ ზაჩალში ამაღლება დღეს დიდ ღვთობაში, სადაც უამრავი საკლავი იკვლევოდა, ერთხელ არტნის მღვდელი მ. ცვი მისულა და ხევისბერისთვის წინადადება მიუცია, ტყვეები სულ მალე უნდა ჩამაბარო. ხევისბერს ამაზე სასტიკი უარი განუცხადებია. ვანაწყენებულმა მღვდელმა ხევისბერს სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენა. ხევისბერმა ვერ აიტანა მღვდლისაგან ასეთი აღმავლობითელი მოქმედება და იგი ცემით სკვდელის პირამდე მიიყვანა.<sup>18</sup>

არც ვაჟა-ფშაველას გამოპარვია ხევისბერების და მღვდლების ურთიერთდამოკიდებულება: „ადგლობრივი მღვდლები და ხევისბერები მტრობენ ერთმანეთს, ერთიმეორის დამცირებას ცდილობენ ხალხის თვალში. ხევისბერს უფრო ღრმად აქვს გადგმული ფესვები ხალხის გულში... იმისი დიდება ანუ დალოცვა, კურთხევა, არის მდებრი და გასაკონარი, ვიდრე მღვდლისა. ასადებასც ბევრით ნაკლებს იღებს მღვდლებზე.“<sup>19</sup>

მაშასადამე, როგორც შემოადინიშნულიდან ჩანს, ხევისბერი მოწინააღმდეგეა მღვდლის და არა მისი მთავარი მსახური ხატში. ამდენად ვფიქრობთ ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში შეცდომაა დაშვებული. ძველ ქართულ

ლიტერატურაში არ მოგვემოგვება რაიმე სახით რომ ხევისბერი ეკლესიას ან სასულიერო პირს დაენიშნოს.

გვიანფეოდალური ხანის საქართველოს მთაში მისი გამწესება ხდება სხვადასხვა მიზეზების გამო. ხშირ შემთხვევაში ხევისბერის კანდიდატურას ასახელებს ხატის მკითხავი ან ქადაგი და მლოცველი ხალხიც მას მოუწოდებს. ხევისბერს ირჩევს თემი, ხატი, მთელი საგვარეულო. ხევისბერობა გადადიოდა ჩამომავლობით.

გვიანფეოდალურ საქართველოში ხევისბერს სასამართლო და საგამომძიებლო საქმიანობა ჰქონია ჩაბარებული. იგი ახლანდა ჩადენილი დანაშაულის შედეგად გამოწვეული ზარალის ანაზღაურებას დაზარალებულის სასარგებლოდ. ხევისბერის სახელის იოანე ბაგრატიონი „სჭულღდება“<sup>20</sup> ასეთნაირად იხსენიებს:

„...იყვნენ ხევისბერნი, ქურდებისა და ავკაცთა ქართლსა, კახეთსა შინა გარდამხდევინებელნი ჭარიმთ და ესენი მიიბარებდნენ ნარბეგთა მათთა ხაზინადართა და ანგარიშსაც განუწყმენდნენ.“<sup>20</sup>

იოანე ბაგრატიონის ამ გადმოცემიდან ჩანს, რომ იმ დროს ხევისბერნი ქურდების მძებნელნი კი არ ყოფილან, არამედ მათთვის ჭარიმის გადამხდევინებელნი დაზარალებულის სასარგებლოდ. საყურადღებოა ის გარემოება, რომ „სჭულღების“ ავტორი ხევისთავს არ იხსენიებს.

ცოტა მოგვიანებით ფშაური ხატის ხევისბერს კვლავ ეკისრებოდა ჭერ სახატო ხოლო შემდეგ კი სასამართლო ფუნქციები. სოფლისაგან მოკვეთილ კაცს საკლავს არ დაუკლავდა, შესაწირს არ „დაუდიდებდა“, მისთვის წყალობას აღარ გამოსთხოვდა ხატს და თუ კი რაიმე დანაშაული მოხდებოდა თემში, დამნაშავეთა პასუხისმგებლობის საკითხსაც თვითონ აყენებდა. ხევისბერი დაფიცებდა მოწმეებს სიმართლე ელაპარაკნათ. როგორც წესი, ფიცი ხდებოდა ხატში. ხატის ხევისბერი თასს აავსებდა ლუღით „ღვინით ან არყით, რომელსაც ცალ ხელში დაიჭერდა, მეორე ხელში კი ჰქონდა ანთებული სასთელი და ასე იტყოდა: „ვინც მართალი დამალოს და არა თქვას, გაუწყრეს ეგ ჩვენის ბატონის მადლი და დოვლათი. და ეგ თასივით დაიღვაროს იმისი ოჯახი (დააქცევდა თასს). ეგ სანთელივით გაქრეს იმისი სახსენებელი დედა-

17 დავით გორელი, რამოდენიმე სიტყვა ფშავ-ხევისურეთის დღესასწაულზე, ვაზ. „ივერია“, 1886 წ. № 243.

18 ვაზ. „დროება“ 1884 წ. № 157. „დროების კორექსონდენციები“ გვ. 3.

19 ვაჟა-ფშაველა, „ფშაველები“ საზოგადო შენიშვნები, ტ. 7. 1956 წ. გვ. 29.

20 იოანე ბაგრატიონი, სჭულღება, 1957 წ. გვ. 18.



მიწის ზურგზეთა (გააქრობდა სანთელს...)<sup>21</sup> ასევე ფშაველი ხევისბერები საჯაროდ ადიდებენ იმ კარგ პირებს, რომლებიც წმინდად იცავენ თავიანთი სათემო, სახატო წეს-ჩვეულებებს. ხატობის დროს ხევისბერი დიდ პატივს სცემს გმირებს, მათთვის სპეციალურადაა განკუთვნილი სასამელის მისართმევი თასი და სავსე „საკარგუმოს“ ასმევს. ხატში გმირის იდეალი ხდება საგანი ქება-დიდებასა.<sup>22</sup>

როდესაც დიდებული ხატი რომელიმე პირის აღსარებას არ ყაბულობს, მაშინ ხევისბერია შუამავალი. მის ქადაგს ყველა ემორჩილება.

ხევისბერს თემი, ხატის მოცველნი აყენებდნენ, მაგრამ კანდიდატი აუცილებლად მკითხავს ან ქადაგს უნდა დაესახელებინა. ხევისბერის დამხმარეებსაც (მნათე დასტური) ხალხი ირჩევდა ზოგ სოფელში 1 წლის ვადით, ზოგან კი 2 წლით.<sup>23</sup> როგორც ხევისბერი ისე დასტურნი ბუნებით აუცილებლად უაღრესად პატიოსანი აღამიანები უნდა ყოფილიყვნენ. განსაკუთრებით როცა ხევისბერი თავისი მოვალეობის აღსრულებას შეუდგებოდა, მანამდე თავი წმინდანად უნდა გამოეცხადებინა. ხევისბერული წესის თანახმად, ხევისბერს უფლება არ ჰქონდა ბოსლის ანდა სხვა რაიმე უწმინდურ ადგილთან ახლოს გაეყოლო.

როგორც ყველა ხატის, ისე ლაშარის ხევისბერები დღეობის ოთხი თვის წინათ თავს წმინდანად ინახავდნენ, არ ეკარებოდნენ ქალს, ფეხი არ უნდა შეედათ საქონლის სადგომში, ქათმის ხორცი და კვერცხი არ უნდა ეჭამათ. თუ კი ამ პირობას დაარღვევდნენ, ხატში მიყვანილი თავისი საკლავის სისხლი უნდა შეეხსურებინათ და განწმენდილიყვნენ.<sup>24</sup>

ამრიგად, ხევისბერობა საქართველოში ძველთაძველი ცნებაა. ხევისბერის დაწესებულება უწინ სამოხელეო ორგანოს წარმოადგენდა. იგი წინანდელ დროში არა ყოფილა მარტო სამღვთო წესების აღმსრულებელი. მას ხელში სჭერია პოლიტიკური და იურიდიული უფლებაც. ხევისბერი მშვიდობიანობის დროს მსაჯული ყოფილა, ომიანობაში კი ჯარის წინამძღოლი. ძველი წერილობითი წყაროების მიხედვით, ხევისბერი იყო ფეოდალი, მონაგლე, სამხედრო უფროსი მთელის ხევისა, ლაშქართ თავადი, სახალხო მოძღვარი და სხვა. იგი დარბაზის მიერ ინიშნებოდა. ფეოდალურ საქართველოს სხვადასხვა ეტაპზე ხევისბერი სხვადასხვა სახით გამოიყურება. ხევისბერები ძირითადად მოღვაწეობდნენ ფშავ-ხევისურეთში. ბარში იშვიათად

თუ ვინმე შეხვდებოდა მას და, რა თქმა უნდა სახელწოდება „ხევისბერი“ სამუშაო ადგილის მიხედვით უნდა მიეღო. ხევისბერმა ჩვენამდეც მოაღწია. თიანეთის რაიონში დღესაც კი შეიძლება კაცი შეხვდეს მას. იგი ამჟამად მარტო ფშავლებს და ხევისურებს ჰყავთ.

ლიტერატურაში ხევისბერის ვინაობა-რაობის შესახებ ჯერ კიდევ არ არის ერთიანი აზრი, და მას უსაფუძვლო სხვადასხვა სახელოს ფუნქციებსაც კი მიაწერენ. დადგენილი არ არის და დასაწესებელია კერძოდ, თუ რაზე მიუწვდებოდა ხელი, რა შეადგენდა ხევისბერის ძირითად საქმიანობას და რა მანძილზე ვრცელდებოდა მისი სამოქმედო ტერიტორია. თუმცა ხევისბერის სამოქმედო უბანს ერთი რაიმე კონკრეტული საქმიანობით ვერ შემოვფარგლავთ, რადგან მას ფეოდალურ საქართველოში სხვადასხვა დროს, სხვადასხვა ადგილს, სხვადასხვა საქმე ებარა.

როდესაც ვხვებით ხევისბერობის ინსტიტუტს, არ შეიძლება უყურადღებოდ მივტოვოთ ისეთი ტერმინებიც, როგორიცაა ხუცესი და დეკანოზი. მთავარი ადგილობრივ მცხოვრებთა აზრით, ხუცესი, დეკანოზი და ხევისბერი ერთი და იგივეა. ქართული ენის განმარტებით ლექსიკონიც ამ აზრს იზიარებს, მაგრამ ცნობილი ეთნოგრაფი ნ. ურბნელი ხსენებულ ცნებებს ცალ-ცალკე სახელოდ მიიჩნევს.

ხუცესი ძველიმცველი ცნებაა. იგი იყო სახელი ქრისტიანული ეკლესიის მსახურისა — მღვდლისა. ამ ტერმინმა ხევისურეთში დღემდე მოაღწია, ფშავში კი მას კაცი იშვიათად გაიგონებს.

ხევისურის ხუცესი ეკლესიური პირი არაა. ეს სახელი მთავარი ხევისბერს ჰქვია, ხატის მსახურს, რომელსაც ამჟამად საეკლესიო საქმიანობასთან არავითარი საერთო არა აქვს. გვიან ფეოდალურ საქართველოს ეკლესიური ხელისუფლება ყველა ზომას ღებულობდა მთიელი მოსახლეობის უკეთ დამორჩილებისათვის. ამ მიზნით ფშავ-ხევისურეთის მსხვილ დასახლებულ პუნქტებში ეკლესიები ააშენა და თავისი წარმომადგენლები — მღვდლები გაგზავნა. ორი დაწესებულება — ხატი და ეკლესია გარკვეული დროის განმავლობაში ერთიმეორეს უპირისპირდებოდა, მაგრამ მთიელმა ხალხმა ზოგიერთ სოფელში ხატი ამჯობინა და ბოლოს საქმე ისე მოეწყო, რომ ხევისბერის გავლენა მღვდლისას ბევრად აღემატებოდა და ამიტომ მათ ეკლესიისა აღარაფერი სჭეროდათ. ხატის მთავარ მსახურს ხევისბერს ხევისურები

21 ვაჟა-ფშაველა, „ფშავლების ძველი სამართალი და საოჯახო წესები“. 1964 წ. ტ. IX, გვ. 76.

22 ვაჟა-ფშაველა, „გმირის იდეალი ფშაური პოეზიის გამოხატულებით“. ტ. 9. 1964 წ. გვ. 87.

23 გ. თედორაძე, ხუთი წელი ფშავ-ხევისურეთში, 1930 წ. გვ. 44-45.

24 ვაჟა-ფშაველა, „თამარის ცხვარი ფშავში“, 1964 წ. ტ. IX, გვ. 227.

ილია

ხუცესს ეძახიან, მაშინ როდესაც ეს უკანას-  
კნელი ქრისტეს მოძღვრებიდან შორს დგას.

ხევისბერობის ინსტიტუტში თვით სხვადასხვა  
კუთხის ხევისბერებს შორისაც არის რაღაც გან-  
საკუთრებული სხვაობა. ეს თავისთავად ასეც  
უნდა იყოს, რადგან ცალკე საგვარეულოსა და  
სოფელს თავისი ხატის უფროსი ჰყავდა. ხევ-  
სურის ხევისბერი მნიშვნელოვნად განსხვავდე-  
ბა ფშავლის ხევისბერისაგან. თუ ხევსურეთში  
ხევისბერს ოდესღაც მღვდლის საქმიანობა ება-  
რა, ფშავლის ხევისბერს ასეთი რამ არ ევა-  
ლებოდა.

სამართლის ისტორიის მკვლევარის ნ. ხიზა-  
ნაშვილის აზრით, ხუცი (იგივე ხუცესი) ხევ-  
სურთა მღვდელია, ხოლო დეკანოზი კი ხუცის  
დიაკანი.<sup>25</sup> ვფიქრობთ ასეთი განმარტება სწორი  
არ უნდა იყოს. დებულება, თითქოს დეკანოზი  
ხუცესის თანაშემწე ყოფილიყო, უცხოა თვით  
ხევისბერობის დაწესებულებისათვისაც. დეკანო-  
ზი ეკლესიაში თავიდან მთავარ მღვდელთა და  
მგალობელთა უფროსი ყოფილა, ხოლო თვით  
ტერმინი „დეკანი“ ლათინური სიტყვაა, ათის-  
თავს ნიშნავს. ამდენად ეს ძველისძველი ეკ-  
ლესიური სახელი მხოლოდ დიდებულებს, პრი-  
ვილეგიურ პირებს უნდა რქმევოდათ.

მასხადამე, თუ კი დეკანოზი იგივე ხუცესი  
და ხევისბერია და პირიქით, მაშინ ურბნელის  
მოსაზრება, თითქოს დეკანოზი ხუცესის თანა-  
შემწე ყოფილიყო სწორი არ უნდა იყოს. რო-  
გორც ხევისბერს ანუ ხუცესს, ასევე დეკანოზს  
თვითონ ყავს თანაშემწე, დამხმარე. ხალხი მათ  
„დასტურს“ ან „მნათეს“ უხმობს.

ლიტერატურაში გამოთქმულია აზრი, თითქოს  
ხევისბერი ხევისთავს ანდა მოურავს უდრიდეს.<sup>26</sup>  
ასეთი დაქვევა არასწორია.

„ხევისთავი“-ს ადგილი ფეოდალური საქარ-  
თველოს სამოხელეო აპარატის ერთ-ერთი თვალ-  
საჩინო სასტატო ერთეულია. თვით ამ ტერმინი-  
დან ჩანს, რომ ხევისთავი რომელიმე ხეობის  
უფროსი უნდა ყოფილიყო და სახელწოდებაც  
ადგილის მიხედვით უნდა ჰქონდეს მიდე-  
ბული. წერილობითი წყაროების მიხედვით ამ  
სახელს დიდი ხნის ისტორია აქვს. გიორგი  
ბრწყინვალეს ძეგლისდების შესავალ ნაწილში  
ხევისთავი დიდებულთა წრეში იხსენიება.<sup>27</sup> ნ.  
ხიზანაშვილი, იხილავს რა ამ საკანონმდებლო

კრებულს, აღნიშნავს: „ვრცელს ხელმწიფე-  
ციულს შენობაში ეგრეთ-წოდებულს ხევის-თავ-  
საც საკუთარი ადგილი ეჭირა, თუმცა-კი ძეგ-  
ლის-დება გავრით იხსენიებს ამ ხელის-უფალს  
და არ გვიჩვენებს; სახელდობრ რას შეადგენდა  
ხევის-თაობა. სიტყვის მნიშვნელობიდან-კი  
სჩანს, რომ ხევისთავი უფროსი იყო მთელის  
ხევისა“.<sup>28</sup>

რადგან ხევისთაობა მეტად საპატიო და პასუხ-  
საგები თანამდებობა ყოფილა, მას მეფეები მხო-  
ლოდ დიდი ღირსების და თავის ერთგულ პი-  
როვნებებს ანიჭებდნენ. ძეგლისდებაში კანონ-  
მდებელი არ აწესებს ხევისთავისათვის რაიმე  
წინააღმდეგობას და საერთოდ არას ამბობს მის ვი-  
ნაობაზე. სამაგიეროდ გვაქვს სხვა დანარჩენი  
წყაროები, რომლებიც გადმოგვცემენ მათ ძი-  
რითად საქმიანობას ზოგიერთ გარკვეულ უბან-  
ზე.

კახეთის საბაჟო გარიგების წიგნში (1750 --  
1760) ხევის თავი ნახსენებია მხოლოდ ქურდო-  
ბის საქმეებთან დაკავშირებით.

„ნაქურდალი ასე არის შვიდი გამოვა, ორი  
ბატონის არის, ხუთი დარჩება, ერთი ხევისთა-  
ვის არის, ოთხი დარჩება, ამ ოთხისაგან ორი  
წილი ბატონისა არის და მესამედი მოურავისა“  
და ასე შემდეგ...<sup>29</sup>

პროფ. ივ. სურგულაძე თავის წიგნში (საქარ-  
თველოს სახელმწიფოსა და სამართლის ისტო-  
რიისათვის) ხევისთავის ინსტიტუტს ვრცლად  
იხილავს და აღნიშნავს: „ხევისთავის თანამდე-  
ბობას აქვს როგორც საგამომძიებლო, ისე სასა-  
მართლო ფუნქციები... „ისტორიულ თანამიმდევ-  
რობით ხევისთავი წინა პერიოდის „მმართვე-  
ლობით“ და ცოტა უფრო შემდგომი პერიო-  
დის „მეკობართ მძებნელის“ მონაცვლედ უნდა  
იყოს“.<sup>30</sup>

ხევისთავი (1834—1835 წწ.) ძეგლისდებაში  
დიდებულთა შორის ერისთავის და გამგებელ-  
თან ერთად იხსენიება.<sup>31</sup> შემდგომი წერილობითი  
წყაროების მიხედვით კი „სამეკობროთ სამძებნე-  
ლო“ და „მმართველობით“ ერთადვე  
გვხვდება.

ამდენად თუ კი ხევისთავს „მმართველობით-  
ლის“ და „მეკობართმძებნელის“ მონაცვლედ  
მივიჩნევთ ამ გარემოებამ არ უნდა გამორიც-

25 ნ. ხიზანაშვილი, „ფშავ-ხევისურეთი“ ეთნოგრაფიული წერილები, 1940 წ. გვ. 23.  
26 დ. ჩუბინაშვილი, ქართ. განმარტ. ლექსიკონი.  
27 ი. დოლიძე, გიორგი ბრწყინვალის სამართალი, 1957 წ. გვ. 103.  
28 ნ. თაბანიძე, ძეგლისდება მეფე გიორგი ბრწყინვალესი, 1890 წ. გვ. 15.  
29 ე. თყაიშვილი, საქართველოს სიძველენი. ტ. III, გვ. 134.  
30 ი. სურგულაძე, საქართველოს სახელმწიფოსა და სამართლის ისტორიისათვის, 1952 წ.  
გვ. 339-340.  
31 ი. დოლიძე, გიორგი ბრწყინვალის სამართალი, 1957 წ. გვ. 103.



ხოს თვით ხევისთავის არსებობა უფრო ადრინდელ პერიოდში.

გიორგი III-ის 1170 წლის სიგელში,<sup>32</sup> თამარ მეფის 1202 წლის სიგელში,<sup>33</sup> და როსტომ მეფის 1651 წლის „წყალობის წიგნი“<sup>34</sup> ხსენებული „მპარავთმძებნელი“ და „ქურდის მძებნელი“ მართალია ერთი და იგივე სახელოებია და ამ თანამდებობის პირს მართო ერთი გარკვეული საქმე — ქურდებისა და სხვა დამნაშავე პირების დაძებნა-დაკავება ბარებია, მაგრამ ხევისთავს, მოურავის მსგავსად, ვარდა ქურდისა იგივე მეკობრის დაძებნისა სხვა მრავალი საქმიანობა ეკითხებოდა.

1718 წელს დავით იმანყულიხანმა წმინდა ნინოს ბოდბის ნაცვალს ჭურაბს ოჯახის წევრებთან ერთად ასისტაობა, ხევისთაობა და ბეთალმანის ამწერლობა უბოძა.

„უწინაც ძველთაგან ბოდბის ნაცვლობა და ასისტაობა, ხევისთაობა და ბეთალმანის ამწერლობა სულ კურთხეულს ბატონს ჩვენს მამათა და პაპათა ძველიდგანვე თქვენი სახლისათვის და ჩამომავლობისათვის ებოძებინათ და წყალობა ექნათ ანლა ჩვენს ბატონოზამი... ერთგულებისა და სამსახურის მეტი არა დავიშავეთაით რა... ერთგულთათუც და კარგათაც ირჯებით და ჩვენც ბოდბის ნაცვლობის ასისტაობის, ხევისთაობის და ბეთალმანის ამწერლობის... წყალობა გიყავით.“<sup>35</sup>

მამასადამე, ხევისთავი იყო ერთი ადმინისტრაციული დანაყოფის რომელიმე მხარის (ხევის) უფროსი; მსხვილი ფეოდალი, რომელიც თუმცა ემორჩილებოდა სხვა დიდებულებს, მაგრამ თვითონ მას თავის სამოქმედო უბანზე ყველაფერი ეკითხებოდა და ხელი უწევდებოდა.

ხევისთავები თავიანთ სოფელში „წელიწადში ერთხელ შემოვივლიდენ თუითოს ბატონის კაცს მუშრბად წაიყვანდნენ“.<sup>36</sup> ხევისთავს მართო ქურდების ღვევის საქმე რომ ბარდებოდა, დასტურ-ლამალი მის მხრივ სოფლის შემოვლის, დათვლიერებას წელიწადში ერთხელ კი არ დააწესებდა არამედ მეტჯერ. ამასთან ერთად ხევისთავის ავტორიტეტულობაზე და მის უდიდე-

სებულობაზე მეტყველებს როგორც „სახელოსნო თავო“ შემოსავალი, ისე შემოვლის დროს მის თანმხლებ პირთა ოდენობა, რომლებსაც თვითონ ხელმძღვანელობდა. ხევისთავს სოფელში შემოვლის დროს 10 ცხენოსანი თანმხლები პირი უნდა წაეყვანა.

ამდენად, ვფიქრობთ, ერთი მხრივ „მპარავთმძებნელი“ და „მეკობაროთმძებნელი“, ხოლო მეორე მხრივ ხევისთავი სხვადასხვა სახელო უნდა იყოს.

დავით ჩუბინაშვილი ხევისბერს, ხევისთავს და მოურავს აიგივებს. მის ლექსიკონში ასეთნაირადაა აღნიშნული: „ხევისბერი“, „ხევისთავი ერთი ხეობის უფროსი, ხევისთაობა, მოურაობა ხეობაში“.

ნიკო ჩუბინაშვილს კი ხევისბერი მოურავი ჰგონია.<sup>37</sup>

პროფ. ივ. სურგულაძე იოანე ბაგრატიონის „სჯულდებისათვის“ თანდართულ ლექსიკონში ასეთნაირად განმარტავს: „ხევისბერი — ხევისთავია, ადგილობრივი მოხელე, რომელიც ქურდობის შესახებ საქმეებს იკვლევდა.“<sup>38</sup>

ზემოთ აღნიშნულ განმარტებებს ვერ დავეთანხმებით.

თუ კი ხევისბერი იგივე ხევისთავს უდრის და პირიქით, მაშინ მეფე გიორგი ბრწყინვალე ძეგლისდების შესავალ ნაწილში მათ ცალ-ცალკე აღარ მოიხსენიებდა: „...შემოვვიდით ქალაქსა და შემოვიტანეთ თემისა და თემის ერისთავნი და ხევისთავნი და ხევისბერნი და ჰეროვანნი.“<sup>39</sup>

უფრო მეტიც, ხევისბერი რომ ხევისთავი არ არის, ამ ვარაუდის რწმენას გვიდასტურებს ვახუშტი ბატონიშვილის ასეთი ცნობაც. „ამის ხელისა იყუნენ ყოველნი მსაჯულნი, ბჭენი და ხევისბერნი, ხევისთავნი, და ესევე სჯიდა საბრძანოსა მეფისასა.“<sup>40</sup> აქ ვახუშტი ხევისბერის გვერდით ხევისთავსაც იხსენიებს. ამდენად ეს ორი ტერმინი ცალ-ცალკე თანამდებობას წარმოადგენენ მეფრამეტეს საუკუნეში.

მათ სხვადასხვაობაზე მეტყველებს ის გარემოებაც, რომ გვიან ფეოდალურ საქართველოში ხევისბერს ხალხი, თემი, მთელი საგვარეულო

32 საქართველოს სიძველენი, ე. თაყაიშვილის რედაქციით, ტ. III, გვ. 1-7 (დამატება).

33 ისტორიული საბუთები შიო მღვიმის მონასტრისა, ო. ჯორჯანიას რედაქციით გვ. 26.

34 გურჯები, ა. ხაჩანაშვილის რედაქციით გვ. 31.

35 საქართველოს მსარ ცენტრალური არქივი. კოლექცია 1448 საბ. 108.

36 დასტურლამალი, პ. უმიკაშვილის რედ. 1886 წ. გვ. 105.


37 ნ. ჩუბინაშვილი, ქართული ლექსიკონი 1961 წ. გვ. 464.

38 ი. სურგულაძე, საქართველოს სახელმწიფოსა და სამართლის ისტორიისათვის 1952 წ.

გვ. 339.

39 იოანე ბაგრატიონი, „სჯულდება“, 1957 წ. გვ. 110.

40 ვახუშტი, აღწერა სამეფოსა და საქართველოს, თ. ლომოურის და ნ. ბერძენიშვილის რედაქციით, 1941 წ. გვ. 16.



ორჩედა. ეს მაშინ, როდესაც ხევისთავის სახელს სამოხელეო აპარატის საშტატო ერთეულია და ამ თანამდებობას მეფე თავის ერთგულ ახლობელ პირებს უბოძებდა. მეფე ერეკლეს 1776 წელს სვიმონ მაყაშვილისათვის ხევისთავობა ასეთნაირად უბოძებია:

„...ჩვენს თავდას ჩვენის შვილის ეშვიკაბაშს მაყაშვილს სვიმონს და შვილსა შენსა აღექსანდრეს და მომავლისა სახლისა შენისასა ... შეგიწყალებთ და გიბოძებთ კახეთის ხევისთავობა პაპისჩვენს მეფეს ერეკლეს პაპაშენი გურგენ ისპანს თანა ხლებოდა და ხევისთავობა ებოძებინა...“<sup>41</sup> ამავე საბუთში აღნიშნულია, რომ მეფემ სვიმონ მაყაშვილს კახეთის ნახევრის ხევისთავობა უბოძა.

ასევე ხევისთავი მოურავი არ არის. ეს ორი ტერმინი ცალ-ცალკე სახელოს სახელწოდებებია. მათ თავისი ფუნქციები ჰქონდათ და იერარქიულ სახელმწიფო შენობაში სხვადასხვა საფეხურზე იდგნენ.

ხევისთავისა და მოურავის ერთიმეორეში აღრევა გამოწვეულია იმით, რომ მოურავებს, როგორც უფრო მსხვილ ფეოდალებს (სხვა საქმიანობასთან ერთად), ხევისთავის ფუნქციებიც ჰქონდათ. და თუკი არ გააჩნდათ ასეთი საქირო შემთხვევაში ამ თანამდებობას ითავსებდნენ. ასე მაგალითად: დასტურლამალის მიხედვით ატენის „ხევისთავობა მოურავის არის“<sup>42</sup>

ბატონიშვილ დავითის სამართალში მოურავის საქმიანობა ასეთნაირადაა გადმოცემული: „მოურავთა თანამდებობა არს, რათა მონახონ ავაზაკნი, კაცის მკვლენი, სახლთა და ძნათა დამწველნი და ნაქონებთა ქურდნი, მტაცებელნი, ორგულნი, მტერთა მიმართ იღუმალ კაცისა მტარებელნი და დამწვერავნი სოფელთა და ნახირთანი, გამგზავნენი კაცთანი და მიმწერ-მომწერნი, გაქცეულნი და ესევითარნი ბოროტისა მოქმედნი“<sup>43</sup>

როგორც ჩანს, მართკო ხევისთავი არ ყოფილა ქურდების და ავაზაკების მღვენილი, და ამ საქმიანობას ქვეყნის შიგნით მოურავიც განაგებდა. მაგრამ საყურადღებოა, რომ მოურავს,

გარდა ზემოთ აღნიშნული ფუნქციისა, მისთვის ყველაფერი ეკითხებოდა და ევალებოდა, თუმცა მას არ შეეძლო მეფის ფუნქციებში შეჭრა, სახელოს ბოძება და მასთან ერთად ვისმესთვის ადგილ-მამულების და სოფლების ჩამორთმევა-მიცემა.

„მოურავნი ნუ იკადრებთ ქედხულობისა, ქემხოზისა, ნაცვლობისა და მამასახლისობისა ნურცა ბოძებასა და ნურცა ჩამორთმევასა“<sup>44</sup> და სხვ. „მოურავნი თათართანი ნუ იკადრებენ, თვინიერ სენათისა და მეფისა, ქედხუდთაგანსა სოფლისა ჩამორთმევასა და მიცემასა სხვათადაში“<sup>45</sup>

მოურავი რომ ხევისთავს უღრიდეს ანდა პირიქით, მაშინ თვით დავით ბატონიშვილი თავის სამართლის კანონთა კრებულში ამ ორ ტერმინს ცალ-ცალკე აღარ მოიხსენიებდა. ასე, მაგალითად, „მმართველად და განმგედ ქუეყანასა არიან აღრიდგან დადგენილნი მოურავნი, ხევისთავნი, მამასახლისნი, მელიქნი და ნაცვალნი, რომელთაც მისცემიათ ნება როგორადცა ჰმართვა ჰრწმუნებულთა მათთა ადგილთა, ეგრეთვე ქცევა მუნ სიმართლით სიწრფელით, ერთგულად პატიოსნად“<sup>46</sup>

ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის მიხედვით ხევისთავი — სოფლის მიერ არჩეული მოხელეა. ეს განმარტება არასრულყოფილია. ვიმეორებთ, რომ ფეოდალურ საქართველოში ხევისთავის თანამდებობა მეფის სამოხელეო აპარატის საშტატო ერთეულია, რომელსაც მეფე უბოძებდა, უწყალობებდა. ადრე ხევისთავის სახელო ყოველთვის მსხვილი ფეოდალების ხელში იყო. სვიმონ მეფის სიგელით ხევისთავად მსხვილი ფეოდალი ჯავახიშვილი იყო აღნიშნული<sup>47</sup> თეიმურაზ II-ის ბრძანებით თანახმად, — მსხვილი ფეოდალი გერმანოზიშვილი<sup>48</sup>

მეფე ერეკლემ 1776 წელს კახეთის ნახევარი ხევისთავობა მსხვილ ფეოდალს სვიმონ მაყაშვილს უბოძა<sup>49</sup> დავით იმანყულიანმა (წმინდანიოს) ბოდბის ნაცვალ ზურაბს<sup>50</sup> ხოლო გიორგი ერეკლეს-ძემ კი თავად აღექსანდრე მაყაშვილს<sup>51</sup> პროფ. ივ. სურგულაძე აღნიშნავს, რომ „ხევისთავის სახელო დარჩა სოფლად რუხეთთან

41 საქართველოს სსრ ცენტრალური არქივი კოლ. 1448 საბ. 536.  
42 „დასტურლამალი“, გვ. 8.  
43 სამართალი ბატონიშვილ დავითისა, 1964 წელი, გვ. 207.  
44 სამართალი ბატონიშვილ დავითისა, 1964 წ. მუხ. 148. გვ. 210.  
45 იქვე გვ. 210.  
46 იქვე გვ. 206.  
47 ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, 1964 წ. ტ. VIII, გვ. 1368.  
48 საქართველოს სიძველენი, ტ. II, გვ. 24.  
49 საქ. ცენტრ. არქივი, კოლექცია საბ. 536.  
50 საქ. ცენტრ. არქივი კოლექცია 1448 საბუთი 108.  
51 მასალები საქართველოს და კავკასიის ისტორიისათვის მ. მესხიას რედაქციით 1948 წ.



საქართველოს შერტების შემდეგაც. ბატონყმობის გაუქმების შემდგომ პერიოდში ხევისთავი სოფლებში ქურდობის საქმეებს არჩევდა. ეს თანამდებობა იყო როგორც აღმოსავლეთი, ისე დასავლეთ საქართველოში, მაგრამ ამ პერიოდში, ე. ი. რუსეთთან შერტების შემდეგ, ხევისთავი სოფლის მოხელეა, თვით სოფელში არჩეული“.<sup>52</sup>

ხევისთავის თანამდებობას ოქტომბრის რევოლუციის წინა პერიოდამდე მოუღწევია. მართლაც, ე. ნინოშვილის მოთხრობა „სიმონაში“ მოხსენებულია ხევისთავი:

„გათენდა დილა თუ არა, სიმონასთან მივიდა ხევისთავი თავისი ყარაულებითა და გამოუცხადა „კანცელარიაზე გიბარებნო“... სიმონამ უკმაყოფილოდ ჩაიცვა ჩოხა და გაჰყვა ხევისთავს“.<sup>53</sup>

ამ მოთხრობიდან ირკვევა, რომ მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევარში ხევისთავს უკვე დაკარგული აქვს თავისი ადრინდელი ზოგიერთი ფუნქცია და დროსა და უამს იგი იქამდისაც კი მოუყვანია რომ მამასახლისიც მისი მბრძანებელი გამზდარა. „...დავითმა... გულმოსულმა დაუყვირა მამასახლისს, რომელმაც იმ წამსვე უბრძანა სიმონას დაჰქერა.

მისცვივდნენ სიმონას ყარაულები და ხევისთავი“.<sup>54</sup>

პეტრე უმიკაშვილი ხევისთავს მხოლოდ მოსამართლედ მიიჩნევს. ხევისთავი — მოსამართლე<sup>55</sup> და არაფერს ამბობს იმაზე, ეკითხებოდა თუ არა მას სხვა რაიმე საქმიანობა.

უმიკაშვილი 1886 წელს გამოცემულ ვახტანგ მეექვსის დასტურლამალზე დართულ ლექსიკონში სამოსამართლო საქმეების შემსრულებელ პირებად მდივანბეგის ხელისად ხევისბერსა და ხევისთავს ასახელებს.

„მდივანბეგი — მსაჯულთ — უხუცესი. ამის ხელის იყვნენ ყოველნი მსაჯულნი, ბრჭენი და ხევისბერნი, ხევისთავნი და ესევე სჯიდა საბრძანოსა მეფისასა უფროსი მსაჯული, მოსამართლე“.<sup>56</sup>

ამ განმარტებაში საყურადღებოა, რომ მდივანბეგი ძირითადად იხილავდა მსხვილი ფეოდალების საქმეებს. თავისთავად ცხადია, თელავიდან თუ თბილისიდან, სხვა ქალაქის თუ მსხვილი

ადმინისტრაციული დასახელებიდან მდივანბეგის საქმის განსახილველად მივარდნილ პერიოდში წასვლაზე თავს არ შეიწყუხებდა. მათი მოვალეობა ფშავ-ხევსურეთში, თუშეთში მართლაც ხევისთავს, მოსურავს ანდა ხევისბერს უნდა შეესრულებინა.

პავლე დიმიტრაშ-ძე ციციანოვს დიდმა ფეოდალმა სიმონ ქობულაძემ წარუდგინა ქართველი მეფეებისაგან ნაწყალობევი სიგელი, რითაც დასტურდება, რომ მას სახევისთავო შემოსავალი ოცი თუმანი ჰქონია. ამ სიგელის მიხედვით, ქობულაძეს გარდა სახევისთავო შემოსავლისა, „სადიამბეგო“ და „მდივანების“ შემოსავლაც ღებულადა. თუ პ. უმიკაშვილის განმარტებას უშენიშვნოდ მივიღებთ და ვაღიარებთ, თითქმის ხევისთავი იგივე მოსამართლეა, მაშინ სიმონ ქობულაძე ციციანოვისადმი წარუდგინებულ სიგელში „სახევისთავო“ შემოსავლთან ერთად სადიამბეგო შემოსავალს არ მოიხსენიებდა, რადგან მდივანბეგი თვითონ უმაღლესი მოსამართლეა. ამდენად, თუ ვიტყვი, რომ ხევისთავი მხოლოდ მოსამართლეა, ბევრ აშკარა შეუსაბამობას წააწყულებით. ასევე 1808 წელს თავადი ალექსანდრე მაყაშვილი თავისი სახელოს და სარგოს წყალობის სიგელის წარდგენით ამტკიცებს, რომ მას ერთდროულად სამი თანამდებობა სჭერია.

„...ვიყავ სახლთუხუცესი კახეთისა მეორე“... „...ვიყავ არმიის ეშიგალასბაში“... „...ვიყავ კახეთის ხევისთავი“.<sup>57</sup>

ამ სამივე სახელოს გასამრჯელოს წლიურად ორასოცდაექვს თუმანს, ცხრა მინათუნს და ათ შაურს ღებულადა.

მაშასადამე, ამ წყაროდანაც ჩანს, რომ ხევისთავი მართლადენ მოსამართლე არ ყოფილა.

როდესაც საუბარი გვაქვს ხევისთავზე, არ შეიძლება უყურადღებოდ დავტოვოთ მეფე ერეკლე II-ის წერილი ფარსადან მაჩაბლისადმი:

„ქ. ბრწყინვალეს თავადს მაჩაბელს, ხევისთავს ფარსადანს, ...მერე ყარაჯა ოსი გამოგვისტუმრებია და ოსეთში წიგნები მიგვიწერია, რომ ისინი მამაცობრივ გამოვდნენ და თამარაშენს და იმ

52 ივ. სურგულაძე, „საქართველოს სახელმწიფოსა და სამართლის ისტორიისათვის“, 1952 წ., გვ. 345.  
 53 ე. ნინოშვილი, მოთხრობები, 1965 წ. გვ. 36.  
 54 იქვე, გვ. 30.  
 55 დასტურლამალი მეფის ვახტანგ მეექვსისა, პ. უმიკაშვილის რედაქციით 1886 წ. გვ. 190.  
 56 იქვე, გვ. 176.  
 57 მასალები საქართველოს და კავკასიის ისტორიისათვის, შ. მესხიას რედაქციით 1948 წ., გვ. 9.

ადგილებში ორსაოდ კვირას დადგენენ, თუ ვინცის იმ ლეკის ჭარმა მანდეთკენ მოსვლა მოინდომონ, სროლა აუტეხონ და არ შემოუშვან“...58

ეს ძველი საყურადღებოა იმდენად, რამდენადაც მეფე ერეკლე ხევისთავს ფარსადან მაჩაბელს თამარაშენის მახლობელი ადგილების ყველაზე სანდო და დიდებულ პირად თვლის, რადგან ჭარის გამოყვანის და მტერთან შეტაკების და ქართლის დაცვის მთლიან ორგანიზაციას პირადად მას ავალებს. ამდენად ტერმინი ხევისთავი ძველთაძველი ცნებაა ფეოდალურ საქართველოში. ამ სახელის, ხევისბერის მსგავსად, ხელში პოლიტიკური და იურიდიული ძალაუფლება სჭერია. მას „ძეგლისდება“ მსხვილ ფეოდალებთან ერთად მოიხსენიებს. ხევისთავი ფეოდალურ საქართველოს განვითარების სხვადასხვა ეტაპზე სხვადასხვანაირად გამოიყურება. ხევისთავი ხევისბერი არ არის, არც მოურავია და არც მოსამართლე. როგორც ეს ზოგიერთ მკვლევარს ჭგონია ეს სახელი მეფის სამოხელე აპარატის დამოუკიდებელი საშტატო ერთეულია. ხევისთავს ადრე დარბაზი, ხოლო შემდეგ მეფე ერთპიროვნულად ნიშნავდა. ამ თანამდებობაზე არ ხდებოდა უბრალო ადამიანის გამწესება. ეს ადგილი რომ ამა თუ იმ პირს ხელში ჩაეგდო, ან მსხვილი ფეოდალი უნდა ყოფილიყო, ანდა მეფის წინაშე რაიმით ავტორიტეტი უნდა მოეპოებია. ხევისთავს, მოურავის მსგავსად, ყველაფერი ეკითხებოდა. იგი იყო უფრო-

სი ერთ-ერთი გარკვეული ობიექტის, არ ყოფილა მართო ქურდების და ავაჯების მძებნელი, არამედ ამ საქმიანობასთან ერთად სასამართლო, საადმსრულებლო, სამეურნეო და თავდაცვის ფუნქციებიც ჰქონდა ჩაბარებული. ქართლ-კახეთის სამეფოების გაუქმების შემდეგ ხევისთავმა დაკარგა სახელმწიფოებრივი მნიშვნელობა, შესუსტდა მისი უფლებებიც. თუ აღრმას მის მეფე ნიშნავდა, შემდგომში ხალხი ირჩევდა. ხევისთავს ოქტომბრის რევოლუციის წინა პერიოდამდე მოუღწევია და მართო საპოლიციო საქმე შერჩენია.

ამგვარად, ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში ხევისბერის სახელი კუთხურად — ფშავ-ხევსურულად ასეთნაირად უნდა განიმარტოს:

1. ხ ე ვ ი ს ბ ე რ ი — ხატის მთავარი მსახური, მისი წინამძღვარი, რომელიც ხსნის ხატობის დღესასწაულს, ასრულებს სახატო რიტუალს და შესანახად ჩაბარებული აქვს შეწირული განძეულობა.
  2. ხ ე ვ ი ს თ ა ვ ი — 1 (ისტ.) მოხელე, რომელსაც ადრე დარბაზი, ხოლო უფრო გვიან მეფე ნიშნავდა. ერთი გარკვეული ხეობის უფროსი. ხევისთავს ჰქონდა სამეურნეო სასამართლო, საგამომძიებლო, აღმსრულებლისა და სხვა მრავალი ფუნქციები.
- 2) სოფლის მიერ არჩეული მოხელე.

## ა. თ. კონი და ვ. ი. ზასულიძის სასამართლო პროცესი

1878 წლის 31 მარტს პეტერბურგის საოლქო სასამართლომ გაამართლა და პატიმრობიდან გაათავისუფლა რევოლუციონერი ქალი — ვერა ივანეს ასული ზასულიძი. ორი თვით ადრე, 24 იანვარს მან რევოლუციონერ მძიმედ დასჯრა რუსეთის მეფის ალექსანდრე II-ის უხსლოესი პირი, პეტერბურგის გრადონაჩალნიკი გენერალ — ადიუტანტი ფ. ფ. ტრეპოვი.

თვითმპყრობელობის ისტორიაში 70-იანი წლები ითვლება რევოლუციონური აღმაშენების ხანად. 1876 წელს დაარსებულმა ხალხოსნების პირველმა ორგანიზაციამ „წმლია ი ვოლიამ“ ფართო სააგიტაციო მუშაობა გააჩაღა გლეხობაში და მოსახლეობის სხვა ფენებში, „ნაროდნაია ვოლია“ კი დაადგა ინდივიდუალური ტერორის გზას — 1881 წელს ალექსანდრე II მოჰკლეს. მეფის მთავრობა ცეცხლითა და მხვედრით ებრძოდა რევოლუციონერ-ხალხოსნებს. მათ აპატიმრებდნენ, სპეციალურ სასამართლოში ასამართლებდნენ, ბევრი ჩამოახრჩვეს, ბევრი კი შორეულ ციხეებში საკატორღო სამუშაოზე გაგზავნეს. 1877 წლის 10 მარტს განაჩენი გამოუტანეს „50-ის პროცესის“ მონაწილეებს, 1878 წლის იანვარში დასრულდა „193 რევოლუციონერის“ გასამართლება და ასეთ პირობებში ვ. ი. ზასულიძის გამართლება სენსაციურ მოვლენად იქცა. ეს ამბავი ელვის სისწრაფით მოედო მთელ რუსეთს და ჰერ კიდევ ახალგაზრდა მოსამართლე ა. თ. კონის დიდი სახელი და პოპულარობა მოუტანა.

ვინ იყო ა. თ. კონი, რომელსაც ეკავა პეტერბურგის ოლქის სასამართლოს თავმჯდომარის პოსტი და რომელიც წინ აღუდგა ალექსანდრე II-ეს, მის მთავრობას, რუსეთის არისტოკრატის ინტერესებს და რევოლუციონერ-ხალხოსნებზე აქტიური შეტევის პირობებში გაამართლა რევოლუციონერი, რა პრინციპებით და მოსაზრებებით ხელმძღვანელობდა ის?

ანატოლი თევდორეს-ძე კონი ძველი რუსეთის სასამართლო მოღვაწეთა იმ მეტად მცირერიცხოვან პირთა ჯგუფს ეკუთვნოდა, რომელიც საზოგადოებრივი პროგრესისა და ჰუმანიზმის იდეებს ემსახურებოდა. მას მოღვაწეობა მოუხდა ალექსანდრე II-ის, ალექსანდრე III-ისა და ნიკოლოზ II-ის მმართველობის წლებში. 1865 წელს წარმატებით დაამთავრა მოსკოვის უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი და იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხიც იმავე წელს მოიპოვა. მისი სადისერ-

ტაციო შრომა შეეხებოდა მეტად საინტერესო და რუსეთის იურიდიულ მეცნიერებაში სათანადოდ შეუსწავლელ და დაუმუშავებელ საკითხს — „აუცილებელ მოგერიებას“. შრომა ყურადღებას იქცევდა არა მარტო საკითხის დაყენებით, არამედ დასაბუთებით და გადაწყვეტით. ა. თ. კონი მოსკოვის უნივერსიტეტის სტუდენტი იყო, როდესაც რუსეთის სახელმწიფო და საზოგადოებრივ ცხოვრებაში ისტორიული მნიშვნელობის მოვლენები მოხდა. ეს იყო ისტორიული აუცილებლობით გამოწვეული 1861 წლის 19 თებერვლის მანიფესტი ბატონ-ყმობის გაუქმების შესახებ და 1864 წლის 20 ნოემბრის ბრძანებულება სასამართლო რეფორმის შესახებ, რომლის ძალითაც რუსეთის იმპერიაში გაუქმდა წოდებრივი სასამართლოები და დასავლეთ ევროპის გავლენით დაწესდა ნაფიც-მსაჯულთა ინსტიტუტი.

ა. თ. კონი 1866 წელს დაინიშნა ხარკოვის საოლქო სასამართლოს პროკურორის ამხანაგად და 1917 წლამდე იუსტიციის დარგში მოღვაწეობდა. ა. თ. კონი იყო არა მარტო სასამართლო მოღვაწე, არამედ მეცნიერი და საინტერესო მემუარისტი, რომელმაც იმდროინდელი რუსეთის ბევრი საინტერესო და საყურადღებო მოვლენები აღწერა და მომავალ თაობას დაუტოვა. მისი ნაშრომები: „Нравственные начала в уголовном процессе“, „Приемы и задачи обвинения“, „Искусство речи на суде“, „Обвиняемые и свидетели“ და სხვები, დღესაც რჩება იურიდიული აზროვნების საუკეთესო ნიმუშებად. 1896 წელს მიენიჭა იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორის ხარისხი, 1900 წელს არჩეულ იქნა საიმპერატორო მეცნიერებათა აკადემიის საპატიო აკადემიკოსად. ა. თ. კონი ბრწყინვალე ორატორიც იყო. სასამართლოში წარმოქმული სიტყვებით ის არა მარტო იურისტია, არამედ ფილოსოფოსი, სოციოლოგი, ფსიქოლოგი, რომელიც ყოველთვის ხსნის მოვლენის შინა სამყაროს, სინათლეზე გამოაქვს და მხატვრულ სახეებამდე აწვავს დასაშაულის ჩადენამდე მიჰყავს. შემთხვევითი არ იყო, რომ მისი სასამართლო სიტყვები და მეგობრულ შესვდებების დროს ნაამბობი ეპიზოდები სასამართლო ცხოვრებიდან, მხატვრული პროზის სიუჟეტებად აიღეს რუსეთის მწერლობის ისეთმა ტიტანებმა, როგორიც იყვნენ ნ. ნეკრასოვი, ი. ტურგენევი, ლ. ტოლსტოი. „მე ვცდილობდი გა-

მეგო თუ როგორ მივიდა ბრალდებული დანაშაულობამდე, რა იყო მიზეზი მისი ზნეობრივი დაცემის — წერდა ის და ყოველთვის დიდი მადლიერების გრძნობით ლაპარაკობდა ფ. დოსტოევსკის დამსახურებაზე რუსეთის სასამართლო მოღვაწეებისა და იურისტების წინაშე, რომელმაც ბევრ მათგანს ასწავლა „ადამიანის სულის სიღრმეში ჩახედვა“. ა. თ. კონი დიდი რომანისტი გაგლენას მიაწერდა გამოჩენილი რუსი ადვოკატების ა. არსენევის, ვ. პასოვიჩის, ს. ანდრეევსკის, ა. ურუსოვის და სხვების სიტყვების დამაჯერებელ ძალას.

ა. თ. კონის ბევრი სამართლიანი განაჩენები გამოუტანია ალექსანდრე II-ის მკვლელობის შემდეგაც, როდესაც მისმა მემკვიდრემ რუსეთის ახალმა მეფე ალექსანდრე III-მ და მისმა სულიერმა მამამ „წმინდა სინოდის“ ობერ-პროკურორმა პოპედენოსცევმა საშინელი ტერორით უპასუხეს რევოლუციონურ მოძრაობას. ჭუმანისტი ა. თ. კონი ამტკიცებდა, რომ მოქმედი კანონის გვერდით არსებობს „დაუწერელი, მაგრამ ბუნებითი კანონი“, რომლითაც მოსამართლე უნდა ხელმძღვანელობდეს. დაუწერელი კანონი კი არის მოსამართლის ადამიანური მაღალი ზნეობრივ-იდეური პრინციპები, რომელიც იცავს ბრალდებულის ღირსებას. „სასამართლო არ არის მექანიზმი, ცხოვრებისაგან მოწყვეტილი, არამედ ცოცხალი და შემგარქობი ორგანიზმი“ და ბრალდებისა და სასჯელის გარკვევის დროს გათვალისწინებულ უნდა იქნას ბრალდებულის ფსიქოლოგიური, ანტროპოლოგიური, საზოგადოებრივი, ეკონომიური, ეთნოგრაფიული და პათოლოგიური პირობები. „მოსამართლე ვალდებულია გამოიყენოს მთელი ძალა გონების, სინდისის, ცოდნისა და გამოცდილების“ და როცა მოსამართლე საქმეს იხილავს, „ის სრულიად არ უნდა ფიქრობდეს თავისი ცხოვრების ხვალისდელ დღეზე, უნდა იფიქროს მხოლოდ სამართალში მიცემულის ხვალისდელ დღეზე“ — აცხადებდა ა. თ. კონი. სწორედ ასეთი ჭუმანური და მაღალი ზნეობრივი პრინციპების შედეგი იყო პეტერბურგის ოლქის სასამართლოს 1878 წლის 31 მარტის განაჩენი ვ. ი. ზასულიჩის მიმართ.

ვ. ზასულიჩი იმ დროს 20 წლის ახალგაზრდა იყო, მაგრამ განვლილი ჰქონდა მეფის ციხეები და გადასახლება. 1869 წელს 20 წლის ქალიშვილი დაპატიმრეს იმისათვის, რომ რევოლუციონერ-ხალხოსან ს. ნეჩაევისაგან, რომელიც იმ დროს საზღვარგარეთ ემიგრაციაში იმყოფებოდა კონსპირაციული ხასიათის წერილებს ღებულობდა და საჭირო მოსამართლებით არიგებდა. მან ამისათვის 2 წელი გაატარა საპატიმროში და განთავისუფლების შემდეგ აღ-

მინისტრაციულ გადასახლებაში გაგზავნეს. ვ. ზასულიჩი ჩაება რევოლუციონურ მუშაობაში, 1877 წელს კიევის არალეგალური ორგანიზაციის „მეამბოხების“ აქტიური წევრი გახდა და შემდეგ პეტერბურგში გადავიდა საცხოვრებლად, სადაც მისი დედა და უფროსი და ცხოვრობდნენ. პეტერბურგში ჩასვლისთანავე მოხდა შემთხვევა, რომელზედაც მთელი რუსეთის დემოკრატიული გაზეთები აღაპარაკდნენ. 1877 წლის 18 ივლისს ფ. ფ. ტრეპოვი ციხეს ათვალიერებდა. პატიმარმა ე. ბოგოლიუბოვმა, რომელსაც პოლიტიკური პრალდებით 15 წლით კატორდა ჰქონდა მისჯილი, ქული არ მოხალა ფ. ფ. ტრეპოვთან შეხვედრის დროს. ეს მან იწყინა, პატიმარს ხელით შეეხო და ბრძანება გასცა, რომ გაეროზგათ. იმავე დღეს ციხის ეზოში ყველა პატიმართა თვალწინ 25 როზგი დაარტყეს ე. ბოგოლიუბოვს, რამაც საერთო აღშფოთება გამოიწვია. გაროზვეის ამბავი ქალაქს მოედო. პეტერბურგიდან კი რუსეთის სხვა ქალაქებს და დასავლეთ ევროპის ქვეყნებს. ე. ბოგოლიუბოვის წამებამ ძლიერი გავლენა მოახდინა ახალგაზრდა რევოლუციონერ ვ. ზასულიჩზე. იგი და რევოლუციონერი და 24 იანვარს მოხოვნელთა მისაღებ ოთახში ესროლა ფ. ფ. ტრეპოვს.

საქმის განხილვა დაიწინა 1878 წლის 31 მარტს. სასამართლოს თავმჯდომარეობდა ა. თ. კონი. ნაფიცმსაჭულთა შემადგენლობაში იყო თერთმეტი მსაჯული. მათ შორის: ერთი მეორე გილდიის ვაჭარი, ერთი თავისუფალი მხატვარი, ერთი აზნაური, ერთი სტუდენტი და სხვ. პროცესს დაესწრო პეტერბურგის რჩეული საზოგადოება, რომლებიც სვეციალური ბილეთებით იყვნენ მიწვეულნი, მათ შორის სამხედრო მინისტრი დ. მილიუტინი, სახელმწიფო საბჭოს კანცლერი ა. გორჩაკოვი. უწრნალისტთა შორის იყო ფ. დოსტოევსკიც. უბრალო ხალხი რა თქმა უნდა პროცესზე დაშვებულ არ იქნა, მაგრამ სამაგიეროდ დიდძალმა ხალხმა მოიყარა თავი სასამართლოს შენობის გარშემო და განაჩენს უცდიდა.

მეფე ალექსანდრე II-ს და მისი მთავრობის წევრებს ესმოდათ რა ვ. ზასულიჩის პროცესის დიდი საზოგადოებრივ-პოლიტიკური მნიშვნელობა, თავიდანვე ცდილობდნენ გავლენა მოეხდინათ ა. თ. კონზე. ამ მიზნით პროცესის წინ მეფემ ა. თ. კონი მიიწვია სასახლეში წირვაზე, რომლის დამთავრებისთანავე გაესაუბრა მას. მართალია მეფეს ვ. ზასულიჩის შესახებ არაფერი უთქვამს, მაგრამ ა. თ. კონი მიხვდა თუ რისთვის მიიწვიეს ის სასახლეში. მეფესთან შეხვედრის მეორე დღესვე ა. თ. კონი სამინისტროში გამოიძახა იუსტიციის მინისტრმა გრაფმა ა. პალენმა. ა. თ. კონსა და ა. პალენს შორის



საუბარი გაიმართა, რომელსაც ჩვენ აქ მოვიყვანთ:

**მინისტრი**— „შეგიძლიათ თუ არა თქვენ ანატოლი თევდორეს-ძევ, უზარუნველყოთ ზასულჩინის მიმართ გამამტყუნებელი განაჩენი?“

**ბ. თ. კონი** — „არა, არ შემიძლია“.

**მინისტრი** — „ეს როგორ? თქვენ არ შეგიძლიათ? თქვენ დარწმუნებული არა ხართ?“

**ბ. თ. კონი** — „მე რომ თვით ვწყვეტდე არსებითად საკითხს, მაშინაც კი სანამ არ მოვისმენდი საქმეს, სანამ არ შევისწავლიდი საქმის ყველა გარემოებას, მაშინაც კი წინასწარ ვერ შევძლებდი ჩემი აზრის გამოთქმას.“

**მინისტრი** — „არ შეგიძლიათ?“ „არ შეგიძლიათ?“ კარგი. მეც ასევე მოვახსენებ მეფეს, რომ სასამართლოს თავმჯდომარეს არ შეუძლია უზარუნველოსთქო გამამტყუნებელი განაჩენი. მე ასევე მოვახსენებ მეფეს.“

**ბ. თ. კონი** — „მე სრულებით არ მსურს, რომ მეფე ჩემზე რაიმე იმედს ამყარებდეს და ისეთ საქმეს მავალბედეს, რომელთა განხორციელებისათვის, მე, როგორც მოსამართლეს, არავითარი საშუალებანი არ გამაჩნია და ამიტომ მე თვითონვე ვთხოვდით, მოახსენოთ მეფეს ყოველივე ეს. მე ვთვლი რომ შესაძლოა ნაფიცმსაჭულებმა გამამტყუნებელი განაჩენი გამოიტანონ, მაგრამ მზად უნდა ვყოთ გამართლებისათვისაც. ამიტომ თქვენ ძალიან დამავალბებთ თუკი ამის შესახებ მოახსენებთ მეფეს“

**მინისტრი** — „კარგი! მე ვურჩევ მეფეს, რომ ეს საქმე ჩამოართვეს ნაფიცმსაჭულებს და საგანგებო საკრებულოს გადასცეს განსახილველად.“

**ბ. თ. კონი** — „მე მიყვარს და პატივს ვცემ ნაფიცმსაჭულთა სასამართლოს და ამიტომ მისდამი ყოველგვარი უნდობლობა, მით უფრო როდესაც ასეთი უნდობლობა მეფიდან გამომდინარეობს, მე დიდ ტკივილს მაყენებს. თუ კი ნაფიცმსაჭულებისაგან მოითხოვთ მხოლოდ გამამტყუნებელ განაჩენს და გამამართლებელი განაჩენის შესაძლებლობა კი თქვენ, იუსტიციის მინისტრს, ასე გაუჩინებთ, მაშინ მე გირჩევდით ჩამოგერთვათ ეს საქმე მათთვის. როგორც ჩანს ეს საქმე სასამართლოს უფრო საფრთხეს უქმნის, ვიდრე მისდამი პატივისცემას იმსახურებს და საერთოდ, თუკი ამ საქმის მიმართ არ იქნება დაშვებული, რომ სასამართლო საქმე განიხილოს თავისი სინდისით, რაღა საჭიროა სასამართლო! უკეთესი იქნება, რომ ყველა საქმე ჩამოგერთმიათ ნაფიცმსაჭულთათვის და გადაგეცათ პოლიციისთვის, რომელიც ყოველთვის

მოგცემთ გარანტიას თქვენთვის სასურველი გადაწყვეტილების გამოტანისა“.<sup>1</sup>

სასამართლოს სამსჯავრო სხდომაზე ვ. ი. ზასულიჩმა თავი არ სცნო დამნაშავედ წინასწარ განზრახულ მკვლელობის ცდაში. მან განმარტა, რომ მისთვის სულ ერთი იყო მოჰქვავდა თუ დასჭრიდა ფ. ფ. ტრეპოვის. მთავარი იყო გასროლა, რომლითაც ის მთავრობის და საზოგადოების ყურადღებას მიაქცევდა იმ საშინელებაზე, რომელსაც აღგილი ჰქონდა ე. ბოგოლიუბოვის დასჯის ღრის, რომ ასეთი მომავალში შეწყვეტილიყო.

სახელმწიფო ბრალმდებელი, პროკურორი კ. ი. კესელი ამტკიცებდა, რომ ვ. ზასულიჩს განზრახული ჰქონდა ფ. ფ. ტრეპოვის მოკვლა და ის შემთხვევით გადაარჩაო. თავისი მოსაზრების დასამტკიცებლად პროკურორი მიუთითებდა უმთავრესად იმ ფაქტზე, რომ ბრალდებულმა სახელდობრ აირჩია უფრო მეტი ძალის მქონე რევოლვერი, მაგრამ შექმნილი სიტუაციის გამო ვეღარ შესძლო დაემიზნებინა, განმეორებთ ესროლა და სხვა. პოლიტიკურ პროცესებზე სახელმძღვანელომ აღვკაპმა პ. ა. ალექსანდროვმა სასამართლოს გადაუშალა ის პირობები, რომელშიაც ვ. ზასულიჩი აღიზარდა. მიუთითა 1866 წლის 17 აპრილის ბრძანებულებაზე, რომლითაც როზგების გამოყენება შეიზღუდა და ვ. ი. ზასულიჩის მოქმედება ახსნა როგორც შედეგი ძლიერი სულიერი აღდევებისა, რომელიც გამოიწვია ე. ბოგოლიუბოვის დასჯამ.

ბრალდებულის საბოლოო სიტყვის შემდეგ ბ. თ. კონიმ ნაფიცმსაჭულთ გაუკეთა რეზიუმე და მათ წინაშე წერილობით დასვა სამი შეკითხვა: 1) დამნაშავეა თუ არა ვ. ი. ზასულიჩი მასში, რომ გადაწყვიტა შური ეძია ფ. ტრეპოვზე, რომელმაც ბოგოლიუბოვი დასაჯა, და რომ ამ მიზნისათვის შეიძინა რევოლვერი და 24 იანვარს ესროლა მას? 2) თუ ვ. ზასულიჩმა ჩაიღინა ასეთი მოქმედება, ჰქონდა თუ არა მას წინასწარ განზრახული ფ. ტრეპოვისათვის სიცოცხლის მოსპობა? 3) გააკეთა თუ არა მან ყველაფერი, რაც მასზე იყო დამოკიდებული ამ მიზნის მისაღწევად, თუ ვერ მოჰქვია ფ. ტრეპოვი მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო?

ათი წუთის თათბირის შემდეგ ნაფიცმსაჭულებმა გამოაცხადეს თავიანთი გადაწყვეტილება. პირველ კითხვაზე, დამნაშავეა თუ არა ვ. ზასულიჩი ნაფიცმსაჭულებმა უპასუხეს — „არა, არაა დამნაშავე“ და ვ. ზასულიჩი გამართლებულ იქნა.

1 А. Ф. Кони, Собрание сочинений, том. 2, стр. 72-73, «Юридическое издательство», 1966 г.

ვინც არ იცის ნაფიცმსაჭულთა სასამართლოს საქმის წარმოების წესები, შეუძლია დასვას შეკითხვა — რაღა შუაშია ა. თ. კონი უკეთუ ვ. ზასულიჩი ნაფიცმა მსაჭულებმა გაამართლეს. მართლაც, რატომ ითვლება ვ. ზასულიჩის გამართლება ა. თ. კონის დამსახურებად?

ა. თ. კონის დამსახურება იმაში მდგომარეობს, რომ მან პირველ ყოვლისა სამსჯავრო გამოძიება წარმართა აბსოლუტურად ობიექტურად, წინასწარ გამოძიების მიერ დაკითხული მოწმეები ჩააყენა ისეთ პირობებში, რომ მათ სიმაართლე ილაპარაკეს. ადვოკატ პ. ალექსანდროვის შუამდგომლობის საფუძველზე მან ციხიდან გამოიწვია დამატებითი მოწმეების სახით პატიმრები, რომლებმაც სასამართლოს აუწყერეს ის ტანჯვა-წამება, რომელიც ე. ბოგოლიუბოვმა განიცადა, რამაც საშინელი შთაბეჭდილება მოახდინა ნაფიცმსაჭულებზე. რაც მთავარია ა. თ. კონმა ნაფიცმსაჭულებს საქმეზე გაუკეთა რეჟიმე, რომელთაც მსაჭულები განაწყო ვ. ზასულიჩის სასარგებლოდ.

ა. თ. კონიმ ვრცელ რეჟიმეში მსაჭულებს აუხსნა, რომ არსებობენ ორი სახის ბრალდებულნი: პირველნი, რომლებიც დანაშაულს ჩადიან პირადი სარგებლობის გამორჩენისათვის, შემდეგ ფარავენ ჩადენილ დანაშაულს, იძლევიან ცრუ ჩვენებას, რათა თავი დაიძვირონ პასუხისმგებლობისაგან. მეორენი დანაშაულის ჩადენის დროს არ ხელმძღვანელობენ პირადი სარგებლობის გრძნობით, მოქმედებენ რა შეგნებულად, წინასწარ მზად არიან სასჯელისათვის და არ ცდილობენ გაექცნენ სამართალს. ამ კატეგორიის ბრალდებულები დანაშაულს შეგნებულად ჩადიან ისეთ პირობებში, რომელიც შემდეგ ყოველმხრივ გამორიცხავს ბრალის უარყოფის შესაძლებლობას. ასეთი ბრალდებულის ჩვენება სანდო და სარწმუნოა, ასევეა ა. თ. კონი. ამის შემდეგ ა. თ. კონი მსაჭულებს უხსნის, რომ მათი ამოცანაა გამოარკვიონ თუ რისთვის ჩაიდინა ვ. ზასულიჩმა ასეთი ქმედობა და რა მიზანს ისახავდა. ამ საკითხის გარკვევა კი შესაძლებელია მხოლოდ ვ. ზასულიჩის მოქმედების შინაგანი მხარის გახსნით, მისი მოქმედება იყო წინასწარ მოფიქრებული, განზრახული, თუ ვ. ზასულიჩი იმყოფებოდა „განუწყვეტელი აფექტის“ მდგომარეობაში. ა. თ. კონი რეჟიმეში ფაქტურად უარყოფს პროკურორის მოყვანილ მოსაზრებას რევოლუციის შესახებ. პროკურორი ამტკიცებდა, რომ რადგან ვ. ზასულიჩის მიერ შესყიდული რევოლუციური ყველაზე ძლიერია იმ რევოლუციურთა შორის, რომლებიც მაღაზიაში იყიდებოდა, უნდა დავასკვნათ, რომ იგი მან იყიდა იმიტომ, რომ ფ. ტრებოვის მოკვლა სურდაო. ა. თ. კონიმ შეატრიალა ეს

საკითხი და განმარტა — დადგენილია, რომ ვ. ზასულიჩის მიერ შესყიდული რევოლუციური კონსტრუქციით ყველაზე პატარა, მოკლეა. უნდა დაფიქრდეთ და გამოვარკვიოთ — ასეთი რევოლუციური მან იყიდა იმისათვის, რომ ის ძლიერი იყო, თუ იმისათვის, რომ ის ადვილი სატარებელი და დასამალი იყოო. ა. თ. კონიმ მსაჭულებს ვანუშარტა, რომ შესაძლებელია მათ რომელიმე გარემოება მთლიანად ვერ ჩათვალონ გამორკვეულად და საეჭვოდ მიიჩნიონ, მაგრამ მათ უნდა იცოდნენ, რომ ყოველგვარი ეჭვი ყოველთვის ბრალდებულის სასარგებლოდ წყდებაო. და ბოლოს აუხსნა მსაჭულებს: უკეთუ ისინი მივლენ იმ დასკვნამდე, რომ ვ. ზასულიჩი დანაშაუცა, მაგრამ იმსახურებს შეწყალებას, მაშინ შეწყალება უნდა გაიგონ „ამ სიტყვის ფართო მნიშვნელობით“, რომ აქ იგულისხმება ყველაფერი ის, რაც ახსიათებს ბრალდებულის პიროვნებას. „თქვენ ასამართლებთ არა განწყენებულ სავანს, არამედ ცოცხალ ადამიანს, რომლის აწმყო ყოველთვის ყალიბდებოდა მისი წარსულის პირდაპირი თუ არაპირდაპირი გავლენით და როდესაც იმსჯელებთ შეწყალებაზე, მოიგონეთ ვ. ზასულიჩის ცხოვრება, რომელიც აქ თქვენს თვალწინ გადაიშალა. შესაძლებელია მისმა სევდიანმა და ხეტიალში გატარებულმა ახალგაზრდობამ ავიხსნათ მასში დაგროვილი მწუხარება“.

როგორც ვხედავთ ა. თ. კონის რეჟიმე ვ. ზასულიჩის გამართლებისათვის არის გამიჯნული. რით უნდა ახსნათ მისი ასეთი საქციელი იმით ხომ არა, რომ ის რევოლუციონერ-ხალხოსნებს თანაუგრძობდა და ინდივიდუალური ტერორი მიაჩნდა რუსეთის სახელმწიფოსა და საზოგადოების გაჯანსაღების გონივრულ საშუალებად? რა თქმა უნდა არა. მართალია ა. თ. კონის მსოფლმხედველობაზე დიდი გავლენა იქონია მშ-იანი წლების განმანათლებლების პროგრესულმა იდეებმა, მაგრამ ის არასოდეს არ მისულა რევოლუციური მსოფლმხედველობამდე და ა. ვ. ლენინის რუსეთის სიტყვიერით რომ ვთქვათ, დარჩა როგორც „პირველი ხარისხის ლიბერალი“. ვ. ზასულიჩის გამართლებას ტაშის გრიალით შეხვდა დარბაზი და ქუჩაში მოგროვილი ხალხი, რომლებიც დიდიდანვე უცდიდნენ განაჩენს. ვ. ზასულიჩის ციხიდან გამოსვლა დიდ სახალხო დემონსტრაციად გადაიქცა, დემონსტრანტებმა გადაწყვიტეს, რომ ვ. ზასულიჩი ზამთრის სახალხის წინ გაეტარებინათ, მაგრამ უნდარმერია და კაჟაკობა შეეცა ხალხს. შესევის დროს მოკლეს სტუდენტი სიღაროცკი. პოლიცია გაცოფებული ეძებდა გამართლებულ ვ. ზასულიჩს, რათა კვლავ ჩაეგდოთ საპრობილეში, მაგრამ მან მიმალვა მოასწრო და


ვინც არ იცის ნაფიცმსაჭულთა სასამართლოს საქმის წარმოების წესები, შეუძლია დასვას შეკითხვა — რაღა შუაშია ა. თ. კონი უკეთუ ვ. ზასულიჩი ნაფიცმა მსაჭულებმა გაამართლეს. მართლაც, რატომ ითვლება ვ. ზასულიჩის გამართლება ა. თ. კონის დამსახურებად?

ა. თ. კონის დამსახურება იმაში მდგომარეობს, რომ მან პირველ ყოვლისა სამსჯავრო გამოძიება წარმართა აბსოლუტურად ობიექტურად, წინასწარ გამოძიების მიერ დაკითხული მოწმეები ჩააყენა ისეთ პირობებში, რომ მათ სიმართლე ილაპარაკეს. ადვოკატ პ. ალექსანდროვის შუამდგომლობის საფუძველზე მან ციხიდან გამოიწვია დამატებითი მოწმეების სახით პატიმრები, რომლებმაც სასამართლოს აუწყერეს ის ტანჯვა-წამება, რომელიც ე. ბოგოლიუბოვმა განიცადა, რამაც საშინელი შთაბეჭდილება მოახდინა ნაფიცმსაჭულზე. რაც მთავარია ა. თ. კონმა ნაფიცმსაჭულებს საქმეზე გაუკეთა რეჟიმე, რომლითაც მსაჭულები განაწყობა ვ. ზასულიჩის სასარგებლოდ.

ა. თ. კონიმ ვრცელ რეჟიმეში მსაჭულებს აუხსნა, რომ არსებობენ ორი სახის ბრალდებულნი: პირველნი, რომლებიც დანაშაულს ჩადიან პირადი სარგებლობის გამორჩენისათვის, შემდეგ ფარევენ ჩადენილ დანაშაულს, იძლევიან ცრუ ჩვენებას, რათა თავი დაიძვრიონ პასუხისმგებლობისაგან. მეორენი დანაშაულის ჩადენის დროს არ ხელმძღვანელობენ პირადი სარგებლობის გრძობით, მოქმედებენ რა შეგნებულად, წინასწარ მზად არიან სასჯელისათვის და არ ცდილობენ გაქცენენ სამართალს. ამ კატეგორიის ბრალდებულები დანაშაულს შეგნებულად ჩადიან ისეთ პირობებში, რომელიც შექმნიდა ყოველმხრივ გამორიცხავს ბრალის უარყოფის შესაძლებლობას. ასეთი ბრალდებულის ჩვენება სანდო და სარწმუნოა, ასკვნია ა. თ. კონი. ამის შემდეგ ა. თ. კონი მსაჭულებს უხსნის, რომ მათი ამოცანაა გამოარკვიონ თუ რისთვის ჩადიან ვ. ზასულიჩმა ასეთი ქმედობა და რა მიზანს ისახავდა. ამ საკითხის ვარკვევა კი შესაძლებელია მხოლოდ ვ. ზასულიჩის მოქმედების შინაგანი მხარის გახსნით, მისი მოქმედება იყო წინასწარ მოფიქრებული, განზრახული, თუ ვ. ზასულიჩი იმყოფებოდა „განუწყვეტელი აფექტის“ მდგომარეობაში. ა. თ. კონი რეჟიმეში ფაქტიურად უარყოფს პროკურორის მოყვანილ მოსაზრებას რევოლვერის შესახებ. პროკურორი ამტკიცებდა, რომ რადგან ვ. ზასულიჩის მიერ შესყიდული რევოლვერი ყველაზე ძლიერია იმ რევოლვერთა შორის, რომლებიც მაღალია იყიდებოდა, უნდა დავასკვნათ, რომ იგი მან იყიდა იმიტომ, რომ ფ. ტრეპოვის მოკვლა სურდაო. ა. თ. კონიმ შეატრიალა ეს

საკითხი და განმარტა — დადგინდა რომ ვ. ზასულიჩის მიერ შესყიდული რევოლვერი კონსტრუქციით ყველაზე პატარა, მოკლეა. უნდა დავფიქრდეთ და გამოვარკვიოთ — ასეთი რევოლვერი მან იყიდა იმისათვის, რომ ის ძლიერია, თუ იმისათვის, რომ ის ადვილი სატარებელი და დასაძალი იყოფა. ა. თ. კონიმ მსაჭულებს განუმარტა, რომ შესაძლებელია მათ რომელიმე გარემოება მთლიანად ვერ ჩათვლონ გამორკვეულად და საეჭვოდ მიიჩნიონ, მაგრამ მათ უნდა იცოდნენ, რომ ყოველგვარი ეჭვი ყოველთვის ბრალდებულის სასარგებლოდ წყდება. და ბოლოს აუხსნა მსაჭულებს: უკეთუ ისინი მივლენ იმ დასკვნამდე, რომ ვ. ზასულიჩი დანაშაუდა, მაგრამ იმსახურებს შეწყალებას, მაშინ შეწყალება უნდა გაიგონ „ამ სიტყვის ფართო მნიშვნელობით“, რომ აქ იგულისხმება ყველაფერი ის, რაც ახასიათებს ბრალდებულის პიროვნებას. „თქვენ ასამართლებთ არა განყენებულ საგანს, არამედ ცოცხალ ადამიანს, რომლის აწმყოც ყოველთვის ყალიბდება მისი წარსულის პირდაპირი თუ არაპირდაპირი გავლენით და როდესაც იმსჯელებთ შეწყალებაზე, მოაგონეთ ვ. ზასულიჩის ცხოვრება, რომელიც აქ თქვენს თვალწინ გადაიშალა. შესაძლებელია მისმა სევდიანმა და ხეტიალში გატარებულმა ახალგაზრდობამ ავისხნათ მასში დაგროვილი მწუხარება“.

როგორც ვხედავთ ა. თ. კონის რეჟიმე ვ. ზასულიჩის გამართლებისათვის არის გამიზნული. რით უნდა ავხსნათ მისი ასეთი საქციელი? იმით ხომ არა, რომ ის რევოლუციონერ-ხალხოსნებს თანაუგრძობდა და ინდივიდუალური ტერორი მიიჩნდა რუსეთის სახელმწიფოსა და საზოგადოების გაჯანსაღების გონივრულ საშუალებად? რა თქმა უნდა არა. მართალია ა. თ. კონის მსოფლმხედველობაზე დიდი გავლენა იქონია 60-იანი წლების განმანათლებლების პროგრესულმა იდეებმა, მაგრამ ის არასოდეს არ მისულა რევოლუციურ მსოფლმხედველობამდე და ა. ვ. ლუნჩარსკის სიტყვით რომ ვთქვათ, დარჩა როგორც „პირველი ხარისხის ლიბერალი“. ვ. ზასულიჩის გამართლებას ტაშის გრიალით შეგება დარბაზი და ქუჩაში მოგროვილი ხალხი, რომლებიც დიდიდანვე უძლიდნენ განაჩენს. ვ. ზასულიჩის ციხიდან გამოსვლა დიდ სახალხო დემონსტრაციად გადაიქცა, დემონსტრანტებმა გადაწყვიტეს, რომ ვ. ზასულიჩი ზამთრის სასახლის წინ გაეტარებინათ, მაგრამ უნდარმერია და კაჟაობა შეესია ხალხს. შესევის დროს მოკლეს სტუდენტი სიდოროცკი. პოლიცია გაცოფებული ეძებდა გამართლებულ ვ. ზასულიჩს, რათა კვლავ ჩაეგდოთ სამყარობილში, მაგრამ მან მიმალვა მოასწრო და



რამოდენიმე დღის შემდეგ შევიცარიაში გაიპარა. პროკურორმა საკასაციო პროტესტით მიმართა სენატის სისხლის სამართლის საკასაციო დეპარტამენტს, განაჩენი გააუქმეს და საქმე ხელახალი განხილვისათვის გადასცეს ნოვგოროდის ოლქის სასამართლოს. ხელმეორედ საქმის განხილვა აღარ მოხერხდა. ბრალდებული საზღვარგარეთ იყო და არც მთავრობა ლეზულობდა ენერგიულ ზომებს პროცესის ჩატარებისათვის, იცოდნენ, რომ ის ხალხის პროტესტის ახალ ავირთვებს გამოიწვევდა.

ა. თ. კონიბე მეთვის და მთავრობის რისხვა დაიმსახურა, მას თავს ესმოდა და ყოველმხრივ ავიწროებდა მონარქისტულ-რეაქციული პრესა. განსაკუთრებით თავი ისახელა ყველაზე რეაქციულმა გაზეთმა კატკოვის „Новое время“-ში.

ა. თ. კონის წინადადება მისცეს უარი ეთქვა სამსახურზე, მაგრამ მან კატეგორიული უარი განაცხადა მხოლოდ იმ მოსაზრებით, რომ ეშინოდა, ხალხს მისი გადადგომა არ გაეგო როგორც მონანიება ვ. ჯანსუღიჩის გამართლებისათვის. მთავრობას არ შეეძლო ა. თ. კონი სამსახურიდან მოეხსნა, ვინაიდან ოლქის სასამართლოს თავმჯდომარეები მუდმივად ინიშნებოდნენ. ამისათვის მთავრობა იძულებული გახდა დაეწინაურებინა ის სენატის საკასაციო დეპარტამენტის ობერ-პროკურორად და შემდეგ მოეშორებინათ იგი თავიდან. რეაქციის თეორეტიკოსი პოპედონოსცევი ვერ მიხვდა მთავრობის განზრახვას და ა. თ. კონის დაწინაურების გამო აღუქსანდრე III-ის პროტესტის წერილით მიმართა, მაგრამ მეფემ დაწინაურებული ტონით უპასუხა მას: „მეც წინააღმდეგი მივდიოდი ამ დანიშვნის, მაგრამ ახლანდელი მინისტრი ნაბიკოვი მარწმუნებს, რომ კონის შეცვლა იმ თანამდებობაზე შეუძლებელია, მაშინ როდესაც ობერ-პროკურორი ყოველთვის შეიძლება განთავისუფლდეს“.

ა. თ. კონი 1917 წლის სოციალისტურ რევოლუციამდე მუშაობდა სხვადასხვა მაღალ თანამდებობებზე. 1905 წლის რევოლუციის შემდეგ, როდესაც ნიკოლოზ II-ის მთავრობამ და სასამართლო სისტემამ საბოლოოდ დაჰკარგა ავტორიტეტი რუსეთის ხალხში, მთავრობის თავმჯდომარე სტოლიპინი შეეცადა გამოეყენებინა ა. თ. კონის ავტორიტეტი და მას იუსტიციის მინისტრის თანამდებობა შესთავაზა, მაგრამ მან უარი განაცხადა, ვინაიდან ის არ იყო თანახმა იმ დასჯითი პოლიტიკის, რომელსაც მთავრობა ატარებდა რევოლუციონერთა მიმართ. ჭერ კიდევ 1886 წელს საღისერტაციო შრომაში ა. თ. კონი რევოლუციას თვლიდა მშრომელთა მხრივ

„აუცილებელი მოგერიების“ კანონიერ საშუალებად.

დღი ოქტომბრის სოციალისტურ რევოლუციას ა. თ. კონი გულწრფელად შეხვდა და სამშობლოში დარჩა. მან რევოლუცია ჩათვალა რუსეთის ხალხის სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი ცხოვრების გარდაქმნისა და გაჯანსაღების საუკეთესო საშუალებად და 1918 წელს სოციალისტური სახელმწიფოს განათლების სახალხო კომისარს ა. ვ. ლუნაჩარსკის მიმართა თხოვნით მიეცათ ნება გამოსულიყო ფართო აუდიტორიის წინაშე, რათა წარსულში ნახული და განცდილი გაეზიარებინა მათთვის. და მართლაც მოხუცი ა. თ. კონი ლექციებით და მოხსენებებით სისტემატურად გამოდიოდა სხვადასხვა საწარმოებში, დაწესებულებებში და საჯარო ბიბლიოთეკებში, სამკითხველოებში.

ა. თ. კონი მიწვეული იყო პეტროგრადის უნივერსიტეტში პროფესორად, ასწავლიდა სისხლის სამართლის პროცესს და სასამართლო ეტიკას. იმდენად დიდი იყო ა. თ. კონის ავტორიტეტი საბჭოთა სტუდენტობაში, რომ როდესაც ფიზიკურად დაუძლურებულმა ვერ შესძლო უნივერსიტეტში ფეხით სიარული, სტუდენტობამ უნივერსიტეტის რექტორატს მისთვის ერთცხენიანი ეკიპაჟი გამოაყოფინა და საყვარელი პროფესორი ასე დაჰყავდათ ლექციებზე. 1924 წელს საბჭოთა საზოგადოებრიობამ ა. თ. კონის დაბადებიდან 80 წლის შესრულებასთან დაკავშირებით მოსკოვში მეცნიერთა სახლში სახეიმი საღამო მოუწყო ა. თ. კონის სასამართლო სიტყვების პირველი კრებული გამოვიდა 1888 წელს და ოქტომბრის რევოლუციამდე ის ოთხჯერ გამოიცა. 1956 წელს სახელმწიფო „იურიდიულმა გამომცემლობამ“ გამოსცა კრებული მისი რჩეული წერილებისა და სიტყვების. იგივე გამომცემლობა ამჟამად ამაღლებს მისი სიტყვების და წერილების სრულ რვატომიან გამოცემას, რომლის პირელი ორი ტომი 1966 წელს გამოვიდა.

ა. თ. კონი გარდაიცვალა 1927 წელს და მის გარდაცვალებასთან დაკავშირებით ბევრი საინტერესო წერილი დაიბეჭდა საბჭოთა პრესაში, ა. ვ. ლუნაჩარსკიმ უშრნალ „Огонек“-ში № 40 დაბეჭდა მოგონება.

ა. თ. კონი რჩება როგორც ერთი ბრწყინვალე წარმომადგენელი რუსული იურიდიული აზროვნებისა, რომლის წერილებისა და სიტყვების შესწავლა დიდ სარგებლობას მოუტანს საბჭოთა იურისპრუდენციის მუშაკებს.

## სახელოვანი გზა



საქართველოს ალკა აჭარის საოლქო კომიტეტის გადაწყვეტილებით ა. ე. ტაკიძე 1928 წელს იგზავნება სამუშაოდ აჭარის ასსრ უმაღლეს სასამართლოში საქმის მწარმოებლად. 1929 წელს ქ. ბათუმის პირველი უბნის სახალხო სასამართლოს მდივნად იწყებს მუშაობას, ხოლო 1930 წლიდან ქ. ბათუმის გაერთიანებული სასამართლოს მდივანია.

ისევე იწყება სწავლის წლები... 1931 წლიდან თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე განაგრძობს სწავლას, რომელსაც წარჩინებით ამთავრებს 1936 წელს. ამ დროიდან იწყება მისი ნაყოფიერი მუშაობა ადმინისტრაციულ ორგანოებში: უმაღლესი განათლების მიღებისთანავე მას ირჩევენ ბათუმის რაიონის სახალხო სასამართლოს თავმჯდომარედ, ორი წლის შემდეგ კი სადირექტივო ორგანოების გადაწყვეტილებით აჭარის ასსრ უმაღლესი სასამართლოს წევრი ხდება. სამამულო ომის წლებში ქალაქ ბათუმის პროკურორის მოვალეობას ასრულებდა.

პრინციპულობამ, ორგანიზებულობამ მუშაობაში თავისი შედეგი გამოიღო, ა. ტაკიძეს აწინაურებენ: 1945 წლის იანვრიდან აჭარის ასსრ იუსტიციის მინისტრად დაინიშნა, ხოლო 1951 წლიდან 1959 წლამდე აჭარის ასსრ პროკურორია.

აჭარაში მუშაობის წლებში ოთხჯერ აირჩიეს აჭარის ასსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატად; 1941 წლიდან სისტემატურად ირჩეოდნენ საქართველოს კპ ბათუმის საქალაქო და საქართველოს კპ აჭარის საოლქო კომიტეტის წევრად.

1959 წლიდან ა. ე. ტაკიძე ქალაქ თბილისში გადმოდის სამუშაოდ — მას ირჩევენ საქართველოს სსრ უმაღლესი სასამარ-

სამოცი წელი შეუსრულდა ქალაქ თბილისის პროკურორს არონ ერმილეს ძე ტაკიძეს. ადამიანს წლების მომატება ძალაუნებურად აფიქრებინებს გადასხედოს განვლილ გზას, შეაჯამოს ათეული წლების მანძილზე საზოგადოებისთვის გაწეული შრომა. ამ თვალთახედვით არონ ტაკიძეს სიამაყით შეუძლია გადასხედოს თავის ცხოვრებას, თავის ნაშრომს, რომელსაც იგი მთელ სულსა და გულს აქსოვდა და აქსოვს.

ბათუმის ნავსადგურში ფიზიკურ სამუშაოზე მყოფ არონ ტაკიძეს ოცნებაც კი არ შეეძლო თავის მომავალზე — თუმცა მეტად შრომატევად, მაგრამ ამასთანავე მრავალმხრივ და ფრიად საინტერესო ცხოვრებისეულ გზაზე.

საშუალო განათლების მიღების შემდეგ

თლოს წევრად; 1961 წელს დაინიშნა ქალაქ თბილისის პროკურორის თანამდებობაზე. ასეთია არონ ერმილეს ძე ტაკაიძის შრომითი გზა, გზა ნათელი, შინაარსიანი.

ადმინისტრაციულ ორგანოებში პრაქტიკული საქმიანობის დიდმა გამოცდილებამ, ერუდიციისა და სოციალისტური კანონიერების დრმა ცოდნის შეთანაწყობამ დამსახურებული ავტორიტეტი და პატივისცემა მოუპოვა ა. ე. ტაკაიძეს იურისტთა ფართო წრეში. ამის წინამძღვარი ის, რომ იგი მთელი არსებითა და შესაძლებლობით, გულმოდგინედ და კეთილსინდისიერად ემსახურება თავის მკაცრ და ამასთან ჰუმანურ პროფესიას, თავის საქმეს, საზოგადოებას.

მისი მოქმედების სფერო მეტად დიდია: თბილისი... თავისი შვიდი რაიონით. თბილისელი მშრომელები თავდადებით შრომობენ კომუნისტური მშენებლობის სხვადასხვა უბანზე, პირნათლად ასრულებენ თავიანთ მოქალაქეობრივ მოვალეობებს, პატივს სცემენ სოციალისტური საერთო ცხოვრების წესებს. მაგრამ... ქალაქში ჯერ კიდევ გვხვდება დანაშაული, ჯერ კიდევ არიან პირები, რომლებიც ჩადიან დანაშაულს, არცხვენენ დედაქალაქისა და მის მკვიდრთა სახელს. კაბინეტური მუშაობით შორს ვერ წახვალ — საჭიროა ეცნობოდე ხალხს, სწავლობდე მათ საქმეებს, ეხმარებოდე, ურჩევდე. და ქალაქის პროკურორიც თავისი კაცთმოყვარეობითა და პრინციპულობით ხალხთანაა, მათ დარდებთანა და ტკივილებთანაა.

მისი ყოველდღიური საქმიანობა — სახელმწიფოს ინტერესების, საბჭოთა მოქალაქეთა კანონიერი უფლებების დაცვა, პროკურორის საქმიანობის რთულსა და ამავე დროს მეტად საინტერესო პერიპეტეიებში ჩაწვდომა — ხალხის კეთილდღეობის, სოციალისტური კანონიერების განმტკიცებისა და დანაშაულის აღკვეთის ნათელ სურათს გვიხატავს.

მუშაობის ანალიზი ყოველთვის მისი ყურადღების ცენტრშია. მისი მოხსენებები და წარდგინებები ეს არის ფაქტების სერიოზული, დაკვირვებული შესწავლისა და განზოგადების ნაყოფი.

უანგარო და საპატიო საქმიანობისათვის, საბჭოთა კანონიერების განმტკიცებისა და მართლწესრიგის დაცვის საქმეში დამსახუ-

რებისათვის იგი დაჯილდოებულია „საპატიო ნიშნის“ ორდენით, მედლებით, საპატიო სიგელებით; მიღებული აქვს მადლობები... ვინც ხალხისთვის შრომას არ იმუშრებს, მას ხალხიც გულუხვად ასაჩუქრებს და აფასებს. ამიტომაც არის იგი არჩეული 1961 წლიდან საქართველოს კპ თბილისის კომიტეტის წევრად, მშრომელთა დეპუტატების თბილისის მერვე, მეცხრე, მეათე და მეთერთმეტე მოწვევის საბჭოს დეპუტატად.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1966 წლის 12 მაისის ბრძანებულებით იურისპრუდენციის დარგში ხანგძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის ა. ე. ტაკაიძეს მიენიჭა საქართველოს სსრ დამსახურებული იურისტის საპატიო წოდება.

მთავარი მაინც ადამიანია! — ხშირად უყვარს ხოლმე ამის თქმა ქალაქის პროკურორს, — პროკურორის მუშაებმა დროდადრო ტაქტის მაქსიმუმი უნდა გამოამჟღავნონ, რათა ადამიანის ღირსება არ დაამცირონ. თუ დამნაშავე იგრძნობს, რომ მას ნდობით ეპყრობიან, შესაძლოა ცხოვრებაში პირველად გულწრფელად მოინანიოს თავისი საქციელი და ამ დროს ხედავ, რომ შენმა გაბედულმა ნაბიჯმა ნაყოფი გამოიღო: სახლში იგი სხვა ადამიანად ბრუნდება და პირველს შენ ჩამოგართმევს ხელს, რადგან შენ აგრძობიხე მას, თუ როგორ უნდა იყოს ნამდვილი ადამიანი.

ოცდათორმეტე წლის მუშაობის მანძილზე მრავალ ადამიანთა ბედმა გაიარა მის ხელში. უამრავ ხალხს დაეხმარა — ცხოვრების სწორი გზა უჩვენა. მრავალ განაჩენს, დადგენილებასა თუ საბრალდებო დასკვნას მოაწერა ხელი, რომლის ძალითაც ბრალეულ პირს სამართალში აძლევდნენ და თავისუფლების აღკვეთას უფარდებდნენ. იგი მუდამ კანონს ემსახურება, კანონსა და თავის სინდისს. იგი მუდამ პირნათლად უყურებს ადამიანებს და ასე იქნება მანამდის, სანამ მას მკერდში გული უძებრს.

სახელმწიფოსა და ხალხის სამსახური არონ ერმილეს ძე ტაკაიძის მოწოდებაა.

მისი საუკეთესო ჯილდო — დაკმაყოფილებული სინდისია.

# ზრომისმოყვარე, სამართლიანი, მგრძობიარე ქალი



არის ერთი პატარა სიტყვა, რომლითაც იწყებს ადამიანი სიცოცხლეს და რომლითაც ათავებს. იგი სულ პირველად ამოფრინდება ხოლმე ჩვილის ათრთოლებული ბავიდან და უკანასკნელიც ის არის მომაკვდავისა. ვახსენებთ დედას და მრავალი შესანიშნავი დედის სახე გაიეღვებს ჩვენს თვალწინ. ქართველი ქალი, დედა, პოეტი, მშენებელი, ქვეყნის მართვა-გამგეობაში მონაწილე, საგანი ჩვენი პოეზიის, მწერლობის, მეცნიერების დღეს არის ძლიერი, ამაღლებული.

მათი წარმომადგენელია ოლია გიორგის ასული ზანგური, შრომისმოყვარე, სამართლიანი, მგრძობიარე და ნებისყოფიანი ქალი.

საინტერესო ცხოვრება აქვს განვლილი საქართველოს სს რესპუბლიკის პროკურატურის სასამართლოებში სისხლის სამართლის საქმეთა განხილვაზე შედამხედველო-

ბის განყოფილების პროკურორს ოლია ზანგურს.

უჩვეულო იყო მისი ბავშვობა. ცისფერთვალეობა, ქერთიანი გოგონას ოცნება — შეეღო სკოლის კარები და ყურმოკრული ზღაპრების სიმართლე თვითონ წაეკითხა წიგნებში, დიდხანს განუხორციელებელი დარჩა. 13 წელი აწვალებდა მას ეს სურვილი. 1931 წელს ეგონა კასპის რაიონის სოფელ ოკამში დაწყებითი სკოლის გახსნით მის ოცნებას ფრთები შეეხმებოდა, მაგრამ დახშული აღმოჩნდა მისთვის ყველა კარი, რადგან როგორც მოზრდილი პირველ კლასში არ მიიღეს. ცოტა მოვიანებით სოფელში ჩამოყალიბდა წერაკითხვის უცოდინართა სალიკვიდაციო კლასი, რომელიც საღამოს საათებში მართავდა მეცადინეობას. ოლიასთვის ესეც ხელმიუწვდომელი შეიქმნა მცირეწლოვანობის გამო. პატარა გოგონას ოცნებას ბურუსი გადაეფარა. რა ეღონა, რა გზას დასდგომოდა უმწეო ბავშვი არ იცოდა. გზის მაჩვენებელი კი არაფერს ჰყავდა. აწვალებდა სწავლის სურვილი. ცხოვრების მძიმე პირობები სჩაგრაგდა და ანადგურებდა პატარას, მაგრამ იგი ბედს არ ემორჩილებოდა. მის მტკიცე ნებისყოფას საფუძველი ეყრებოდა.

სოფელში ხმა დაირხა: წერაკითხვა შეიძლება ისწავლონ მსურველებმა მღვდელთან ეკლესიაში, სადაც მერხებად გამოყენებული იქნება სატებით მოხატული ფიცრები. ზოგიერთი მშობლისათვის ესეც დაბრკოლებას წარმოადგენდა, მაგრამ ძლიერმა ნებისყოფამ და დაუოკებელმა სურვილმა სწავლისადმი, გაიმარჯვა. სოფელ ლამისყანის საშუალო სკოლის მეხუთე კლასთან ერთად გამოცდების ჩაბარების შემდეგ, რასაც დიდი დაბრკოლებებით მიაღწია, 9 ბავშვიდან ოთხმა მიიღო სწავლის გაგრძე-

ლებს უფლება. მათ შორის იყო ოლია ზანგურიც. გოგონას ეგონა ახლა კი გზახსნილი ჰქონდა, მაგრამ მისი სიხარული დროებითი აღმოჩნდა. 1935 წელს ქ. თბილისის 32-ე საშუალო სკოლის შვიდი კლასის დამთავრების შემდეგ, მამამ, როგორც ქალს, მას მეტი სწავლის უფლება აღარ მისცა და ოლია იძულებული იყო სოფელში დაბრუნებულიყო.

1936 წელს ოლია ზანგური სასოფლო-აბჭოში იწყებს მუშაობას მდივნად. აბდროიდან იწყება მისი შრომითი საქმიანობაც. ოლია ვერ ისვენებდა, სანამ მისი ჩანაფიქრი არ მოიპოვებდა გზას. მცირე ხანების დაგროვების შემდეგ, რითაც ცოტახანს დამოუკიდებლად იარსებებდა, 1938 წელს მამის უკითხავად სწავლის გაგრძელების მიზნით გამოემგზავრა თბილისში, აადაც სწავლა დაიწყო მე-5 მოზრდილთა ათწლედში, რომელიც წარჩინებით დაამთავრა 1940 წელს. იმავე წელს უგამოცდოდ ჩაირიცხა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე. მისი სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა, რადგან შეძლებდა დაემტკიცებინა მამისათვის თავისი პრინციპულობა, გამბედაობა და კოლოსალური ენერგიულობა, რამაც ძირითადად განსაზღვრა მისი ცხოვრების ბედი, მისი მომავალი. იურიდიული ფაკულტეტიც, სწორედ იმიტომ აირჩია, რომ თვითონ ასე დაჩაგრულს, განაწამებს დაეცვა სხვა დაჩაგრულთა და უმწეოთა ბედი და უფლებები.

მისი სიხარული აქაც ხანმოკლე აღმოჩნდა... 1941 წელს დაიწყო მრისხანე ომი. ამასთან დაკავშირებით დაიწყო ფასიანი სწავლა; სტუდენტებს მოეხსნათ სტიპენდიები და ოლია ზანგური იძულებული გახდა დღისით ემუშავა და საღამოს კი ესწავლა საკავშირო დაუსწრებელი იურიდიული ინსტიტუტის ფილიალში.

1942 წლიდან იგი მუშაობას იწყებს ქ. თბილისის ოქტომბრის რაიონის II უბნის სახალხო სასამართლოს სხდომის მდივნად. ჩვეული კეთილსინდისიერებით და მონდომებით ასრულებს დაკისრებულ მოვალეობას, რაც არ გამოჰპარვიათ ხელმძღვანელ მუშა-

კებს და იგი დააწინაურეს. 1943 წელს იგი ვანის რაიპროკურატურის სახალხო გამომძიებელია. ო. ზანგური იყო პირველი გამოძიებელი რაიონში და პირველად ეჭიდებოდა ასეთ საპასუხისმგებლო საქმეს. მას უნდა გადაეწყვიტა ადამიანების ბედი, მომავალი. ეს კი მოითხოვდა დაძაბულ შრომას, გულისხმიერებას საქმისადმი, ხალხისადმი. ხალხის ნდობა და პატივისცემა კი სულ მალე დაიმსახურა. ამის გამო ამბობდნენ მასზე: „იგი ძალზე გულითადი, კეთილი, ყურადღებიანი ადამიანია ყველას მიმართ“.

ოლია ზანგურს უყვარს თავისი პროფესია და ერთგულია მისი. საქმისადმი სიყვარულმა მიიყვანა იგი დუშეთის რაიონის პროკურორის თანამემწის თანამდებობამდე, ხოლო 1944 წელს კი ო. ზანგურს ირჩვევენ თბილისის ოქტომბრის რაიონის II უბნის სახალხო მოსამართლედ.

საგულისხმო და საყურადღებო ბევრია მის ცხოვრებაში. მრავალი წლების მანძილზე მრავალ სხვადასხვა ხასიათის, სხვადასხვა პროფესიის ხალხთან მოუხდა შეხვედრა, დაპირისპირება.

ყველაფერ ამას კი უნარიანად გაძლოა სჭირდება. ო. ზანგურიც სიყვარულით, ჩვეული ქედუხრელობით ვკიდება საქმეს.

1945 წელს იგი ამთავრებს ინსტიტუტს და იღებს წარჩინების დიპლომს. 1948 წლიდან იგი საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს წევრია. აქაც ბევრი მნიშვნელოვანი საქმის ინიციატორი და დაუღალავი მუშაკია.

საგულისხმოა ის ფაქტიც, რომ თავისი საქმის ღირსეულ შემსრულებელთან ერთად ღირსეული დედაც არის. ღირსეული დედობა კი საამაყოა. მასზე არ მოქმედებს დრო და სივრცე, შური და მტრობა, იგი მთლიანი და საიმედოა.

ჩვენ სამართლიანად ვამაყოთ იმით, რომ გოგონამ, რომელმაც 13 წლის ასაკში ისწავლა წერა-კითხვა და მხოლოდ თავისი ბრძოლით გაიკვლია ცხოვრების გზა, დღეს რესპუბლიკის პროკურატურის სასამართლოებში სისხლის სამართლის საქმე-

თა განხილვაზე ზედამხედველობის განყოფილების პროკურორია, სადაც ჩვეული ენერგიით უძღვება საქმეს 1952 წლიდან.

იგი არასოდეს კმაყოფილება მიღწეულით. იგი მუდამ ფიქრობს, ეძიებს, განიცდის და ღელავს. აინტერესებს სხვისი ბედი, ესმის ადამიანების, ღრმად იხედება მათ აფორიაქებულ სულში, ნამდვილ განცდებს ჰკურნავს ტკბილი სიტყვით და ზრუნავს მათზე. იჩენს ინიციატივას — არც ერთი უდანაშაულო არ მოხვდეს საბრალდებო სკამზე და ამით კი არ გაიზარდოს რესპუბლიკაში ნასამართლობის მქონე პირთა რიცხვი. იგი ყველაფერს აკეთებს ამისათვის. ამის ნათელი დადასტურებაა შემდეგის:

ლაგოდების აეროპორტში ხალხს მოეყარა თავი. ზოგი აცილებდა, ზოგი ხვდებოდა ჩამოსულთ, ზოგიც თვითონ მიემგზავრებოდა. მათ შორის იყვნენ ნუგზარ იოსების-ძე სარალიძე და არკადი პავლეს-ძე პუსტოვეტოვიც. მათ შეუერთდათ მთვრალ მდგომარეობაში მყოფი, მათი ნაცნობი, ხორციის გამყიდველი გრიგოლ ნოვოსარდის-ძე საფაროვი, რომელსაც ხელში ეკავა დანა. ამხანაგების უსიტყვო ღიმილის საპასუხოდ გ. საფაროვმა დაძინა, რომ ეს დანა განუყრელი იყო მისი და მის გარეშე სიცოცხლე ვერ წარმოედგინა. ა. პუსტოვეტოვმა უცნაურ სიტყვა წარმოსთქვა დანის მისამართით, რაც თვითონვე სუბრობად ჩასთვალეს და ყველამ გაიცინა. გ. საფაროვი ამაზე განრისხდა და ხელში აღმართული დანით გამოიკიდა პუსტოვეტოვს. მას მოასწრო გაქცევა. საფაროვის მსხვერპლი შეიქმნა ნ. სარალიძე, რომელიც აეროპორტის მოსაცდელი დარბაზისაკენ მიდიოდა. გ. საფაროვის მოქნეულ დანას ხელი შეაშველა, ეგონა ამით აიცდენდა დაუმსახურებლად მოღერებულ ცივ იარაღს, მაგრამ ამაოდ. მარჯვენა ხელის თითები აღარ ჰქონდა. ეს არ იკმარა გამხეცებულმა გ. საფაროვმა, ახლა ბეჭებში უნდოდა დაერტყა ნ. სარალიძისათვის მთელი სიძლიერით მოქნეული დანა, მაგრამ მხსნელად მოეგლინა ჯემალ გურაშვილი.

უეცარი, ძლიერი სულიერი აღელვების მდგომარეობაში მყოფ ნ. სარალიძეს უნდოდა სამაგიეროს მიზღვა ბოროტმოქმედისათვის. ჯერ რკინის გრძელ მილს დასწვ-

და ასაღებად, მაგრამ ვერ მოახერხა, შემდეგ ხის ჯოხს დაავლო ხელი, მისი გამოყენებაც მხოლოდ ნაწილობრივ შესძლო. ამაზე კიდევ უფრო გულმოსულმა შეაგინა გ. საფაროვს.

ლაგოდების რაიონის სახალხო სასამართლომ ნ. სარალიძეს ქმედობაში არ სცნო ხულიგნობის ნიშნები და სრულიად სამართლიანად შოუხსნა მძიმე ბრალდება, მაგრამ იქვე დაუშვა უხეში შეცდომა და დასაჯა იგი გ. საფაროვის სიტყვიერი შეურაცყოფის მიყენებისათვის. სასამართლომ, სრულიად უსაფუძვლოდ, არ გაითვალისწინა, რომ ეს უკანასკნელიც იგივე მოტივით იყო გამოწვეული, რა მოტივითაც მოუხსნა მას პირველი ბრალდება.

საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა საკასაციო კოლეგიის წინაშე სახელმწიფო ბრალმდებლად წარსდგა რესპუბლიკის პროკურატურის სასამართლოებში სისხლის სამართლის საქმეთა განხილვაზე ზედამხედველობის განყოფილების პროკურორი ოლია ზანგური. მან თავის სიტყვაში დაბეჯითებით მოითხოვა საქმის წარმოებით მისპობა ნ. სარალიძის მიმართ, როგორც მის ქმედობაში დანაშაულის ნიშნების არარსებობის გამო.

ო. ზანგურმა ზედამხედველობის წესით გამოითხოვა საქმე, დაწერა კარგად დასაბუთებული პროტესტი და გაგზავნა უმაღლეს სასამართლოს პრეზიდიუმში, რომელმაც დააკმაყოფილა პროტესტის მოთხოვნა. ნ. სარალიძე გაამართლა.

ო. ზანგური ყოველივე ამას აკეთებდა არა ვინმეს მითითებით, არამედ საკუთარი გულისძახილით, თავისი რწმენით, ჩვეული ყურადღებითა და გულისხმიერებით. „დე, ნურავინ იფიქრებს, რომ კანონს არ სდარაჯობენო“ — ფიქრობდა იგი.

მრავალი ასეთი მაგალითის მოყვანა შეიძლება, რომლებიც მეტყველებენ მის დაკვირვებულობაზე, საქმის ცოდნასა და გულისხმიერებაზე.

დაე, მუდამ ევლოს ასეთი ნათელი გზით, დაუღალავად, მუდამ ახლის ძიებაში პროკურორ ოლია ზანგურს.

მამუკალა ვაჟაიშვილი

## ხალხური „საკვეთი“

მ. შათაბერიძე,

მ. რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის ასპირანტი.

საზოგადოებრივ ცხოვრებაში ღრმად დამკვიდრებული მორალური კოდექსი ეს „დაუწერელ კანონთა“ ზეპირად გავრცელებული „სახალხო კრებულისა“, რომლის პრინციპებიც ხალხმა ჯანსაღ ზნეობრივ ტრადიციებზე დაყრდნობით საუკუნეების განმავლობაში სხვადასხვა მოვლენებზე უშუალო დაკვირვების მეოხებით შეიმუშავა და, როგორც ესტაფეტა, თაობიდან თაობას გადასცა შესანარჩუნებლად და განსამტკიცებლად.

ხალხის, როგორც კოლექტიური გენიის, შემოქმედებითა ლაბორატორიამ მხატვრულ ხარისხში აიყვანა სხვადასხვა ზნეობრივი შეხედულებანი ადამიანის სიავკარგეზე, მის დანიშნულებაზე „საწუთროსა მას ჟამსა“ და მათ შესაბამისი პოეტური ფორმულების გარკვეული კონკრეტული სახე მოუძებნა. ასე დაედო სათავე პოეტური ფოლკლორის ერთ საკმაოდ მძლავრსა და თავისებურ შენაკადს — ხალხურ საზნეობო ლირიკას, რომელიც მხატვრულ-ესთეტიკურ ფენომენთან ერთად ადამიანთა შემეცნებაზე კოლოსალური შემოქმედების მქონე დიდაქტიკურ-ალმზრდელით ფაქტორსაც წარმოადგენს.

საზნეობო ფუნქციის ხალხური ლირიკის ნიმუშებში, არეკლილია და პოეტურ ფოკუსში უკუფენილი ხალხის ეთიკური ტენდენციები, გამოტანილია მსჯავრი ადამიანთა ფსიქოლოგიური სამყაროს დადებით და უარყოფით თვისებებზე — ხობაშესხმულია და ნატიფი, გამჭვირვალე ფერების სპექტრშია წარმოდგენილი — კეთილშობილება, პატიოსნება, პირდაპირობა, გულ-

წრფელობა, კედღგონიერება, წინდახედულება, სულიერი სიფაქიზე, სიმართლის მოყვარება და ა. შ. მაგრამ შუქის გვერდით ნაჩვენებია ჩრდილიც, — ილიას თქმისა არ იყოს, ცხოვრების უკიდვანო და უძირო მორევში მარგალიტიც არის და ლექიც, — მკაცრი, დაუნდობელი, მწვავე სატირული ტონით მხილებულია და სამარცხვინო ბოძზეა გაკრული უხამსი, მანკიერი მხარეები: ბოროტება, ავსიტყვაობა, ქურდობა, ყოყოჩობა, ლოთობა, ქარაფშუტობა, ბაქიობა, ვერცხლისმოყვარეობა, ყალბისმქმნელობა, მუქთახორობა და სხვ. ზოგჯერ ერთსა და იმავე დამოუკიდებელ სალექსო ერთეულში ერთმანეთის პარალელურად მძაფრი, კონტრასტული ფერებითაა მოცემული დიამეტრალურად საწინააღმდეგო პოლარული თვისებები: ალალი-არამი, კაი ყმა-ცუდი ყმა, ერთგული-ორგული და ა. შ., რაც პიროვნების მორალური მრწამსის გამომხატველ პოეტურ ფორმულებს მეტ ემოციურ ეფექტსა და მეტ ესთეტიკურ-გამომსახველობით ძალას ანიჭებს.

მდიდარი რეპერტუარის საზნეობო ლირიკის ძეგლები თემატიკურად საკმაოდ მრავალფეროვანია, რასაც თვით ცხოვრების სირთულე და მრავალწახანგანობა განაპირობებს. ყველა ეს პოეტური ნიმუში, მართალია, ზოგად ხასიათს ატარებს, მაგრამ მათში ნაგულისხმევი ადრესატი არაა ადამიანის რაღაც აბსტრაქციული, „უსიცოცხლო სქემა“, იგი საზოგადოების წევრია ჯეროვანი ნიშანდობლივი თვისებებით აღჭურვილი და ამ თვისების მიხედვით ან

ხოტბამესხმულია ან გაკიცხული და კრიტიკის ქარცეცხლში გატარებული.

ქართული ხალხური საზნეობო ლირიკის ფონდში შესული მასალები სათანადო მხატვრული ხერხების მომარჯვებით ქადაგებენ სიკეთისადმი დაუცხრომელი სწრაფვის აუცილებლობას, ხალხის კეთილდღეობისათვის უანგარო სამსახურს, „ადამიანში ადამიანის აღზრდას“ — ამ სიტყვების ჭეშმარიტი ეთიკური, ესთეტიკური და სოციალური გაგებით, რომ სიკვდილის წინ ადამიანმა გულში უხინჯოდ და სინდისის ქეჯინის გარეშე გაუსწოროს თვალები წუთისოფელს... მაგრამ ამის საპირისპიროდ ყოველივე მანვე, უხიაგი გამოვლინებანი ხალხური სატირის თავდასხმის ობიექტი ხდება, — საზნეობო ლირიკის იდეალიც სწორედ ისეთივეა, როგორც ამას დიდი ქართველი პოეტი დავით გურამიშვილი იტყობდა:

„ავს თუ ავი არ ვუწოდო,  
კარგს სახელად რა დავარქო?“

საზნეობო პოეზიის კრიტიკურში ყოველი ინდივიდის დადებითი პირადი ღირსებები და მის მიერ ხალხისათვის, საზოგადოებისათვის სიკეთისა და სარგებლობის მოტანა... მგრძნობიარე ხალხური ლირა არდავიწყების ჰიმნს უგალობს ადამიანს, რომელსაც ძირდაუხრელად, უმწიკვლოდ და შეუბღალავად უჭირავს კაცურ-კაცობისა და პატიოსნების დროშა და ამით თანამოძმეთა სიყვარულსა და პატივისცემას იმსახურებს:

„რა კარგია კაი კაცი,  
კარგს ანდევდ აგებული,  
სოფელი ჰყავს მაღლიერი,  
სწორის გული მოგებული.

ამასთან ერთად ხალხური სატირის მახვილი თავისი დაუნდობელი, ბასრი ფხით მიმართულია არაკაცის, არამი ადამიანის წინააღმდეგ, რომელიც საკუთარ კეთილდღეობას სხვების ცრემლსა და სიდუხჭირეზე აფუძნებს, რომელიც უკანონოდ, ხელმრუდედ იხვეჭს დოვლათს, ქონებას, მაგრამ, — ბოროტებას გრძელი გზა არ უწერია, — ასეთი ჰიროვნების საზეიმო პარპაში დროებითია, ბოლოს მაინც მიეწევა მართლმსაჯულების ისარი, — ასეთი კაცის ფინალი ტრაგიკულია.

„არ შეგრჩება გალეგაო  
ალალ კაცის წვალებაო, —

ასეთ ადამიანზე უთქვამს ხალხს.

საზნეობო ლირიკის ნიმუშები დახვეწილი ფორმის, ავთორიზმული შინაარსის, მაღალმხატვრული გემოვნებისა და ლაკონური ფრთიანი გამოთქმების, ზნეთსწავლულების შემცველი სხარტულებია, რომლებიც ქართული პოეტური ფოლკლორის უნიკალურ, ძვირფას მარგალიტებს წარმოადგენენ და რომლებშიც ქართველი ხალხის მრავალსაუკუნოვანი ცხოვრებისეული გამოცდილება, მისი ზრახვები და განცდები, მისი ზნეობრივი იდეალები ზოგადსაკაცობრიო ესთეტიკურ ფონზეა ხორცმესხმული და ამეტყველებული.

# ნაქრები

## მ ო თ ხ რ ო ბ ა \*

ყველაფერი ჩემი გეგმის მიხედვით წარიმართა: კიტოვანმა ორჯერ იმოგზაურა ქუთაისში, დევძის ქალიც ინახულა და სავსებით მოინადირა იგი. ბინაც მის სახლში დაიდო. ხუთშაბათს ჩვენც სათითაოდ ჩავიდით ქუთაისში და საქმის დღედ შაბათი ავირჩიეთ. კიტოვანი პოკერისტებს ვადაეკიდა. მეც სულმა წამძლია და თამაშში ჩავები. შემდეგ ის იყო ჩიკაიძეს კარტი ჩაუწყვე და ერთბაშად მოუგე ოცდახუთათასზე მეტი. ანზორს რადგან ფული არ ჰქონდა, ბიძამისის სახლის გაქურდვა და იქიდან სამპროტენტიანი ობლიგაციების წამოღება შემოგვთავაზა.

უყოყმანოდ მივიღე მისი წინადადება. საღამოს სასტუმროსთან კიტოვანს ველოდი. ერთბაშად ჩემს გვერდზე „ვოლგა“ გაჩერდა. იქიდან კიტოვანი, ბალავაძე და ივანისელი გადმოვიდნენ.

— ვისია მანქანა? — ვკითხე კიტოვანს გავკირვებით.

— ერთი აქაურის, — გაიცინა მან, — ჩემი ვალი ჰქონდა, დღეს შემთხვევით შევხვდი, ფული ვერ დამიბრუნა და ვალში მანქანა მათხოვა.

— ვინ არის, არ გავგვიძღოს, — გავაფრთხილე კიტოვანი.

— მაგის დარდი ნუ გაქვს. ხმასაც არ ამოიღებ, მიცნობს...

...დანარჩენი თქვენც იცით. ფანჯარა შეპირებისამებრ ღია დაგვხვდა. ბინაში სამნი შევიდნენ. მე გარეთ ვიცდიდი. მერე ის იყო გაუთვალისწინებელი ამბავი მოხდა. ჩიკაიძის ბიძა და დეიდა შემთხვევით სწორედ საღამოს მატარებლით დაბრუნებულიყვნენ თბილისიდან და ეძინათ. როცა ივანისელმა საათებიც აიღო, ტყეშელიაძეს გაეღვიძა... ივანისელი ძლივს მიიყვანეს მანქანამდე, იგი მუცელში იყო დაჭრილი. სხვას მის ადგილზე, უყოყმანოდ მოუღებდნენ ბოლოს, ივანისელი კი ვერ გავიმეტე. გადავწყვიტე დევძის სახლში მიმეყვანა და იქ მომეთავსებინა. მუცელში დაჭრილი, გონებადაკარგული ივანისელი დიდი გაჭირვებით ავიყვანეთ სახლში მე და კიტოვანმა.

დღევანდელ დაიჭერა ჩემს მიერ შეთხზული და კიტოვანის ნაამბობი ისტორია. ჩემმა გლეხურმა ჩაბალახმა და ქალარა წვერმაც გავლენა მოახდინა. მერე ის იყო ქირურგი გრძელიძე მოვიტაცეთ. მეორე დამეს „ვოლგა“ პატრონს დავებრუნეთ. ბალავაძე დაჭრილის ოთახში მოვთავსეთ, მე კი წყალტუბოში წავედი, საიდანაც კიტოვანთან კავშირს ხოტოველის საშუალებით ვამყარებდი. ხოტოველს კიტოვანმა გადასცა ფული და ობლიგაციები. შემდეგ იგი ტანაის გავაცანი, ვუთხარი, რომ ჩემი ვალი ჰქონდა და ფულს ჩამოიტანდა.

თითქმის ყველაფერი მოგვარდა. მე ივანისელის გამოკეთებას ვუცდიდი, რომ სასწრაფოდ დაგვეტოვებინა საქართველო. ვგრძნობდი, უკვე გვეძებდნენ... დაუყოვნებლივ გასვლას ასე ბატარა ქალაქიდან, შეიძლება ჩავარდნაც მოყოლოდა. შემდეგ კი... წყალტუბოს რესტორანში თქვენს მიერ დაგებულ მახეში გავედი. ქუთაისში წამოყვანისთანავე მივხვდი, რომ უცნობისაგან ტანაის შეურაცხყოფა ჩემი უხიფათო შეპყრობისათვის იყო ინსცენირებული.

დაჭრილმა წამით შეისვენა, თვალმდაბუჭებული შედარებით წყნარად სუნთქავდა, ლოყები შეფაკოვდა ოდნავ მინდელი გარჩინდებით უსმენდა დაჭრილს. ნაამბობმა დიდი შთაბეჭდილება მოახდინა მასზე. გამოძიებელს შეებრალა კიდევ ქურდობის გზაზე უნებლიედ დამდგარი აღამიანი, ნიჭიერი და კარგი მომავლის მქონე პირი, შემდგომში საშიში ქურდი და არა ერთი ავკაცობის ჩამდენი „ჩერქეზი“.

— რთული, ძალზე რთულია ცხოვრება, არის შეცდომები, რომელთა შხამიან ნაყოფს, ათეული წლების შემდეგაც სისხლისა და სიცოცხლის ფასად იმკიან, — გაიფიქრა მინდელმა. შემდეგ ცილა გაახსენდა. — რა უცნაურია მაინც აღამიანის ბედი, ჩარგიემა თითქოს ოცი წელი იმიტომ იავკაცა, რომ ბოლოს მძიმედ, იქნებ სასიკვდილოთაც დაჭრილი, ცილას შეხვედროდა ქუთაისში! ცილამ არც იცის მისი ნამდვილი გვარი, ვერ იცნო მისი ბავშვობის მეგობარი, მაგრამ იგრძნო, რომ ეს საშიში ბოროტ-

\* დასასრული. დასაწყისი იხ. უფრ. „საბჭოთა სამართალი“ 1966 წ. № 3, 4, 5, 6; 1967 წ. № 1, 2, 3, 5, 6; 1968 წ. № 1.

მოქმედი ოდესღაც მისი ახლობელი იყო. ჩარგევსაც უეჭველად ცილასთან შეხვედრამ გაუღვიძა დიდი ხნის ჩაკლული გრძნობები და აფთარი აღამიანად აქცია.

ჩარგევმა თვალი გაახილა, წყალი ითხოვა. მინდელმა ჭიქა მიაწოდა, გაუღიმა. დაჭრილმა გამოძიებლის დიმილი დაიჭირა, ხარბად შესვა წყალი და დაღლილი ხმით განაგრძო: — მე დავამთავრე ჩემი აღსარება. თქვენ აღბათ მიხედით, რამ მოახდინა ჩემში ასეთი გარდატეხა... ცილა... რომ შემძლებოდა ყველაფრის დაძლევა და ხელი ამეღო ჩემს პროფესიაზე, იქნებ მეც მრგებოდა დამსხვრეული სიხარულის პატარა ნატეხი. არა, ცილას სიყვარულზე როდის ვამბობ, შეუძლებელზე როდი ვოცნებობ...

დაჭრილის სახეზე წამით სიხარულმა გაივლივა. ჩარგევი დაჟინებით მიაჩერდა გამოძიებელს და დიდრონი ჩაცვივნილი თვალები ცრემლებით აევსო, შემდეგ გაფიცებული ტუჩები გაილოკა და წყნარად ამოილაპარაკა:

— მე მთავარი არ მითქვამს თქვენთვის...

— მე არ გეკითხებით, არც საჩქაროა, ხვალ მიამბეთ, — უთხრა გამოძიებელმა თბილად.

— ჩემთვის ხვალინდელი დღე არ გათენდება... ჩარგევმა ფანჯარას შეხედა, — თენდება... განაგრძო სუსტი ხმით, — აღამიანები ჩვეულებრივ საქმიანობას შეუდგებიან... გავა ზამთარი, გაზაფხულზე ლურჯი იები აყვავდებიან, ხეები მწვანედ მოირთვებიან, ვარდებიც გაიფურჩქნებას, თავიანთი სიტურფით აღამიანებს სიხარულს მოუტანენ, სურნელებას აზიარებენ, მე კი, მე... საფლავში ექნები და ჩემი სიკვდილიც არავის დასწყვეტს გულს... არავის დავენანები, ერთ ისააც არავინ მოიტანს ჩემს სამარზე და ეს საფლავიც ისე დაიკარგება, ვით მე ოცხალი დაეიკარგე აფთარად ქცეული...

ჩარგევს ხმა ჩაუწყდა და უღონოდ გადასვენა ბალიშზე. მინდელი შიშნაკრავად დააცქერდა წმინდა სანთელივით გაფითრებულ დაჭრილის სახეს, შემდეგ შემფოთებული წამოდგა სკამიდან და ექიმს გასძახა.

პალატაში ცილა შემოვარდა, ჩარგევს მკლავი გაუშვივლა, ქაფური შეუშხაბუნა.

— ჩქარა, დეგალინი! — შესძახა თან შემოქალილი ექთანს და აკანკალებული ხელით ჩარგევის მაჯას წაეტანა.

დაჭრილს კიდევ ორჯერ შეუშხაბუნეს წამალი. მინდელი მდუმარედ შესცქეროდა ცილას, მისმა შემფოთებულმა სახემ დაარწმუნა გამოძიებელი, რომ მდგომარეობა მეტად სერიოზული იყო.

კარები წყნარად გაიღო. პალატაში ფეხაკრეფით შემოვიდა ბალანჩიძე და ნელა მიუახ-

ლოვდა მდუმარედ გულხელდაკრეფილ მინდელს.

ცილას არც გაუვია პალატაში ბალანჩიძის შემოსვლა, დაჭრილს დასტრიალებდა თავზე და ექთანთან ერთად ცდილობდა მოესულიერებინა გონებადაკარგული.

ფანჯრებში განთიადი იხედებოდა. ზამთრის ღამე ისე მიიმედ იცირებოდა, თითქოს ცდილობდა პალატიდან გასულს აუცილებლად წარეტანა ჩარგევის სიცოცხლე.

ასე გავიდა მტანჯველი ხუთიოდე წუთი. ჩარგევმა რამდენჯერმე ამოიყენესა და თვალი გაახილა.

— მადლობა ღმერთს, — თავისუფლად ამოისუნთქა ცილამ და მხოლოდ ახლა შეამჩინა პალატაში მყოფი პოლკოვნიკი.

— ავადმყოფის დეკოტხვა არ შეიძლება, გთხოვთ პალატიდან გავხიდე, — ჩუმი, მაგრამ მტკიცე ხმით მოითხოვა მან და ისევ დაჭრილს მიუბრუნდა.

ჩარგევს ოდნავ, სულ ოდნავ შეუფაცვდა გაფითრებული სახე. ახალგაზრდა სიცოცხლე ერთხელ კიდევ მტკიცედ შეებრძოლა სიკვდილს, უკან დაახევინა... თვალები ფართოდ გაახილა დაჭრილმა, ღიმილმა გაუპო ბავე და დაჟინებით მიაჩერდა ცილას.

— ისევ თქვენ ექიმო? ვმადლობთ! — ჩაიჩურჩულა მან.

— ლაპარაკი არ შეიძლება, გავნებთ, — მიუშო ცილამ.

— ვიცი ექიმო, მაგრამ ეს სიკვდილს ვერ შეაჩერებს, მე კი მთავარი არ მითქვამს... სად არის გამოძიებელი?

— გამოძიებელი წავიდა, მე ვთხოვე.

— ვთხოვთ ექიმო დაბრუნოთ, თქვენ კი... თქვენ წადით, რამდენიმე წუთით კიდევ დამტოვეთ, — მტკიცედ ითხოვა ავადმყოფმა.

ცილამ ველარ გაუძლო მომავლავის დაჟინებით თხოვნას და საწოლს მოშორდა.

მინდელი ნელა მიუახლოვდა ჩარგევს.

— სხვა დროისათვის გადავდოთ საუბარი, — თბილად მიმართა ჩარგევს გამოძიებელმა.

— არა... ექიმმა დამიბრუნა ძალ-ღონე.. ან იქნებ სწორედ იმიტომაც მოგბრუნდი, რომ სათქმელი დავამთავრო... თქვენ ხომ არ იცით ვინა ვარ მე. არ მინდა ჩემი აღსარების შემდეგ სხვისი გვართ ჩაგვედ საფლავში.

ჩარგევი წამით დადუმდა. დაღლილი თვალები ქერს მიაპყრო.

— მე აღარავინ მყავს ამ ქვეყნად... ჩემად დაიწყო მან, — არავინ დაიტირებს ჩემს სიკვდილს... მაგრამ არ მინდა იმათ მთვლიდეთ, ვინც არ ვარ... თბილისში და იქნებ სხვაგანაც... ახსოვთ ალბათ ცნობილი პროფესორი რივაზ

გელოვანი... და მისი მეუღლე მარინე... ალბათ ისიც მოგეხსენებათ, რომ ამჟამად ორივე რეაბილიტირებულები არიან... მე მათი ვაჟი ვარ... თამაზ გელოვანი...

— გელოვანი? ფეხზე წამოიჭრა პოლკოვნიკი.

— გელოვანი! თამაზ გელოვანი! — იკვირა ცილამ, რომლის ოთახში ყოფნა აქამდე არავის შეუძენია და ანგარიშითუცემლად მივარდა საწოლს.

— თამაზ, თამაზ, ჩემო ბავშვობის მეგობარო! — იყვირა ხეთაგურმა და საწოლზე დაემხო.

მინდელი შეძრწუნდა, ელდენივით დაჰკრა ყრუანტელმა და გაშეშებულ პოლკოვნიკს უანგარიშოდ წაავლო მკლავში ხელი.

ცილას წუთით დაავიწყდა ვარემო, მინდელი, ბალანჩივაძე, თავისთავი... საწოლზე დამხობილი ხმამაღლა ტიროდა და მღულარე ცრემლით ალბობდა მომაკვდავის მკერდს.

ჩარგივეის სახე სიხარულმა გააშუქა, გაფთრებული დაწვეები ერთბაშად აენთო, თვალებში ეღვარება ჩაუდგა.

— გამაღობთ ცილა, ჩემო სიჭაბუკის აუხდენელო ოცნება... ჩემო დაღუპულო სიყვარულო... სიკვდილს არ ვნანობ, რაჟი შენი წმინდა ცრემლი მიმყვება საფლავში... იყავ ბედნიერი... ნუ სტირი, გაზაფხული მოვა, იები აყვავდება, შენი საყვარელი ლურჯი იები გახსოვს? ეხ, ნეტა მაშინ... მე... ჩარგივეს უეცრად ხმა ჩაუწყდა და ბალიშიდან მოწყვეტით გადაუვარდა ხუჭუჭა თავი.

ღიმილი დააკვდა გაფითრებულ ბაგეზე.

მინდელი გონს მოვიდა, ფრთხილად დაუხუჭა ცხედარს ღიად დარჩენილი თვალები, ზეწარი გადააფარა. შემდეგ მორიდებით წამოაყენა ცი-

ლა და აცრემლებულ ექთანთან ერთად თიქის მის ძალით გაიყვანა პალატიდან.

ბალანჩივაძე ნელა დაეშვა სკამზე. ხელის ფათურით მოსძებნა პაპიროსი, მოუქიდა, მოქაჩა და ღრმად ამოიოხრა:

— იცი ლევან? — ჩაილაპარაკა მან ნაღვლიანად, — მე ვიცნობდი რევან გელოვანს, მე წაიყვანე ისა და მისი მეუღლე სახლიდან. მახსოვს თამაზი და მისი პატარა დაიკოც. ძალზე მიმძიმდა დავალების შესრულება, მაგრამ რა შემქლო! არასდროს დამავიწყდება მშობლების გამომშვიდობება თამაზთან, მე მათ ამის ნება დავრთე და თვით კინაღამ გადავყვი იმ ადამიანური მოვალეობის შესრულებას. ხალხის მტრების მიმართ ლმობიერების გამოჩენისათვის მომხსენს, დაპატიმრებასაც რაღაც სასწაულით გადავრჩი, ჩემთან ერთად ამ ოპერაციაზე მყოფმა უცხვირბირომ დამასმინა. ახლა კი... ახლა ველარ ვიცანი, — დაამთავრა ბალანჩივაძემ და ცხედარზე ანიშნა.

ბალანჩივაძე მძიმედ წამოდგა, მეორე პაპიროსს მოუქიდა.

— აი, რა ფასად გვიჯდებოდა ამ ოციოდე წლის წინათ დაშვებულ შეცდომა. ვინ არის იგი, დამნაშავე თუ მსხვერპლი? მსხვერპლი სხვათა შეცდომებისა. შეხედეთ მას ლევან, კარგად შეხედეთ! კარგი მომავლის მქონე ადამიანს! სხვათა შეცდომების გამო მძვინვარე ქურდად ქცეულს, ბევრი აკვაცობის ჩამდენს! შეხედეთ და არ დაგავიწყდეთ, რამ დააყენა ასეთ გზაზე! გესმით ლევან?

ჩაფიქრებულნი მინდელი და ბალანჩივაძე მღუმარედ გამოვიდნენ პალატიდან.



# ქართული ენციკლოპედია

## საქართველოს ისტორიის კვირავის შენახვა\*

სარეცენზიო ნაშრომი 322 გვერდისაგან შედგება. ავტორი პირველადი წყაროების ანალიზის საფუძველზე არკვევს ერთის მხრივ რუსეთის და მეორეს მხრივ ირანისა და ოსმალეთის ბრძოლას ამიერკავკასიისათვის. ამასთან ნაშრომში ნაჩვენებია ის წინააღმდეგობანი, რომელსაც ადგილი ჰქონდა ინგლის-საფრანგეთს და რუსეთს შორის აღმოსავლეთის ქვეყნებთან ურთიერთობის საკითხში.

ინგლისის საგარეო პოლიტიკის მიზანი იყო ე. წ. „წონასწორობის“ დამყარება ევროპის კონტინენტზე. ამ „წონასწორობის“ არსი კი იმაში მდგომარეობდა, რომ ევროპის სახელმწიფოების წინააღმდეგობანი გამოეყენებინა თავის სასარგებლოდ. ინგლისი ყველაფერს აკეთებდა, რომ არ დაეშვა საფრანგეთის და რუსეთის დაახლოება.

XVIII საუკუნეში ოსმალეთი უკვე დასუსტებულია, მაგრამ მაინც დიდ როლს თამაშობს, რადგან ამ დროისათვის ის არის საერთაშორისო ურთიერთობის საკვანძო პუნქტი, ინგლისის ანტირუსული პოლიტიკის მნიშვნელოვანი ბაზა (გვ. 18). ინგლისი და საფრანგეთი აქეზებდნენ ოსმალეთს და მხარს უჭერდნენ რუსეთის წინააღმდეგ ბრძოლაში (გვ. 19, 35).

ავტორი საარქივო მასალების საფუძველზე ასაბუთებს, რომ რუსეთისა და ავსტრიის 1726 წლის სამოკავშირეო ხელშეკრულება პროვოცირებული იყო ინგლისის მიერ, — რომელმაც რუსეთ-ავსტრიის დაახლოებით ერთის მხრივ დააშინა საფრანგეთი და პრუსია, ხოლო მეორეს მხრივ უფრო აგრესიული გახადა ოსმალეთი რუსეთის მიმართ ამიერკავკასიისა და ირანში (გვ. 41-45).

1768-1774 წლების რუსეთ-ოსმალეთის ომმა არ გააძარცვა არც საფრანგეთისა და არც ინგლისის იმედები, რადგან ოსმალეთი სასტიკად დამარცხდა (გვ. 61).

სარეცენზიო ნაშრომის ავტორს ფრიად სიყურადღებო ცნობები მოაქვს XVIII საუკუნეში რუსეთის, ამიერკავკასიის ხალხების და ირანის ეკონომიურ და სავაჭრო ურთიერთობათა შესახებ. (გვ. 64-98).

ავტორი აღნიშნავს, რომ XVIII საუკუნის ოცდაათიან წლებში ოსმალეთის მიერ აღმოსავლეთ საქართველოსა და აზერბაიჯანის დაპყრობამ უდიდესი როლი ითამაშა ამიერკავკასიის ხალხთა განმათავისუფლებელი მოძრაობის განვითარებაში (გვ. 115).

ოსმალეთი და ირანი დაპყრობილ ხალხებისაგან ხარკების აკრფვას არ სჯერდებოდნენ და ამ ხალხების გათურქებასა და გასპარსელებას ცდილობდნენ. ამ ვარემოებამ დარაზმა ამიერკავკასიის ხალხები ოსმალეთისა და ირანის წინააღმდეგ საბრძოლველად და გაუადვილა რუსეთს ამიერკავკასიაში მტკიცე საყრდენი შეექმნა.

ირანი და ოსმალეთი საოცრად უგუნურ პოლიტიკას ატარებდნენ ამიერკავკასიის ხალხების მიმართ. მათი პოლიტიკის შინაარსი მდგომარეობდა ამ ხალხების გადაგვარება-გადაშენებაში. ამას ისინი არც მალავდნენ და სარწმუნოების სახელით ასაბუთებდნენ კიდევ.

ეს ვარემოება იმით აიხსნება, რომ აღმოსავლეთის ისეთი სახელმწიფოები როგორც იყვნენ ირანი და ოსმალეთი, მხოლოდ თავიანთი და სხვა ხალხების გაძარცვას ეწეოდნენ, დაღებით შემოქმედებით მოღვაწეობისათვის კი ვერ იჩენდნენ სათანადო უნარს.<sup>1</sup>

ამიერკავკასიის ხალხები ოსმალეთსა და ირანში ხედავდნენ თავიანთ მოსისხლე მტერს.

ირაკლი II წერდა: თურქები, პირდაღებულები, როგორც გველები, გარშემო სისინებენ, სპარსელები, როგორც მჭვინავარ ღომები გვიცქერიან, ხოლო ლეკები კბილებს იღესავენ ჩვენს წინააღმდეგ როგორც მშვირი მგლები“ (გვ. 166).

აი ასეთ მტრებთან ჰქონდა საქმე საქართველოსა და ბუნებრივი იყო ასეთ ვითარებაში რუსეთზე ორიენტაციის აღება.

სარეცენზიო ნაშრომში მოყვანილია სათანადო მასალა საკითხის ობიექტური გაშუქებისათვის: ავტორის აზრით რუსეთს ზოგჯერ არც შეეძლო დახმარების გაწევა ამიერკავკასიის ხალხებისათვის, ან თუ უწყვედა დახმარებას მხოლოდ თავისი ინტერესების შესაბამისად.

ავტორს მოყავს ნ. პანინის ინსტრუქცია რო-

\* **О. Маркова**, «Россия, Закавказье и международные отношения в XVIII веке», 1966 г.

<sup>1</sup> **К. Маркс и Ф. Энгельс**, Соч., т. 9, изд. второе, 1957, стр. 132.



მელშიაც ლაპარაკია იმის შესახებ, რომ იმერეთში რუსეთის ჯარი მხოლოდ იმისათვის უნდა იყოს, რომ წააქეზოს ადგილობრივი მოსახლეობა ოსმალეთის წინააღმდეგ ბრძოლაში, მაგრამ ეს უნდა მოხდეს რუსეთის ჯარის ნაწილების ომში გამოყენების გარეშე (გვ. 139).

სარეცენზიო ნაშრომში მოყვანილია ნ. პანინის წერილი გენ. ტოტლებენისადმი, თუ როგორ უნდა მოიქცეს უკანასკნელი საქართველოში; ამ წერილის მიხედვით გენ. ტოტლებენმა ქართველები ოსმალების წინააღმდეგ ისე უნდა აბრძოლოს, რომ რუსეთის ჯარები არ გამოიყენოს: „სული რუსული იყოს და ხორცი ქართული“ (გვ. 144).

ნაშრომში ნაჩვენებია, რომ რუსეთის მთავრობა ამიერკავკასიაში საკიროების შემთხვევაში მიმართავდა ერთი ხალხის მეორე ხალხისადმი წასისიანების პოლიტიკას და ნაშრომში მოცემულია ამის შესახებ სათანადო დასაბუთება (გვ. 163).

სარეცენზიო ნაშრომის ავტორი ამტკიცებს, რომ თავისი ინტერესებისათვის რუსეთის თვითმპყრობელობა იყენებდა საქართველოს საკითხს.

ავტორი ახსიათებს XVIII საუკუნის ორმოცდაათიან წლების ნახევარში რუსეთის სამხედრო გამოსვლებს ამიერკავკასიაში, როგორც რამდენადმე ავანტიურისტულს (გვ. 308). რუსეთს ამ ხანებში და საერთოდ XVIII საუკუნეში არ ჰქონდა რეალური შესაძლებლობა, რომ ირან-ოსმალეთი დაემარცხებია ამიერკავკასიაში. (გვ. 309).

ამასთანავე ამიერკავკასიის ხალხებიც გადამეტებულად აფასებდნენ იმ დროის რუსეთის ძალას. შესაძლებელია ამ ხალხების ასეთი გადაჭარბებული იმედები რუსეთის დახმარებისა აიხსნებოდა მათი გამოუვალი მდგომარეობით. ალბათ ამის შედეგი იყო მათი შეუღრეკელი იმედი რუსეთის დახმარებისა, მაშინაც როცა ეს იმედები არა ერთხელ გაუტრუვდათ.

ავტორი წერს, რომ ირაკლი II დიდ იმედებს აყარებდა 1768-1774 წლების ომში რუსეთის გამარჯვებაზე. ამ ომში იბრძოდნენ ქართველები რუსეთის მხარეზე და ბრწყინვალედაც გაიმარჯვეს ასპინძაში. ირაკლის იმედები სამცხე-საათაბაგოს დაბრუნებისა არ გამართლდა, ავტორი აღნიშნავს, რომ ყირიმის საკითხის თავის სასარგებლოდ გადაწყვეტას რუსეთის მთავრობამ შესწირა ქართლ-კახეთის ინტერესები ე. ო. რუსეთმა ქართლ-კახეთის საკითხში დათმომ ოსმალეთს და სამაგიეროდ ყირიმის საკითხში ოსმალეთის დათმობა მიიღო (გვ. 145-140). ყირიმის საკითხში დათმობისთვის რუსეთმა ოსმალეთს დაუტოვა იმერეთის სამეფოც (გვ. 194).

ავტორი მოგვითხრობს, რომ ერეკლე II თავის და რუსეთის ჯარის თანხლებით, განჯას გარშემო ედგა. ქალაქი ირაკლის უნდა ჩაბარებოდა, რის შედეგად განთავისუფლდებოდნენ ქართველი და სომეხი ტყვეები. განჯის ხანთან მოლაპარაკება სწარმოებდა. ამ დროს ბურნაშევმა მიიღო რუსეთის ჯარების უკან ვაბრუნების განკარგულება (გვ. 234). ასევე მტრის თვალწინ დასტოვა ტოტლებენმა ირაკლი II ასპინძის ომის წინ.

სარეცენზიო შრომაში მოყვანილია ასეთი მავალითი: 1735 წელს ირანს და რუსეთს შორის დაიდო ხელშეკრულება. რუსეთმა დაუბრუნა ირანს ღერბენდი და ბაქო. ირანის მთავრობამ მოითხოვა ირანისათვის გადაეცათ ის პირები, რომლებიც 1722 წლიდან რუსეთს გაიქცნენ. რუსეთის მთავრობამ შეასრულა ეს მოთხოვნა. გენერალი ვ. ლევაშევი სწერდა ეკატერინე II-ს: როცა მან ქართველები და სომეხები გადასცა შაჰის ხელისუფალთ „დიდი საცოდაობის მოწვევაზე, საყვედური მოიხსინა, რომ დიდხინთა შეპირებულმა მფარველობამ ისინი არ დაიცვა“ (გვ. 122-123).

მრავალჯერ განიცადეს ქართველებმა და სომეხებმა რუსეთის დახმარების მოლოდინის გაცრუება. 1726 წელს ე. დოლოგორუკოვი სწერს რუსეთის მთავრობას: „სომეხებმა არა ერთხელ დაამარცხეს თურქები — ...სომეხებმა ცრემლით ვეფხოვეს დახმარება... მაგრამ მე ნაბრაონები მაქვს არ დავეხმარო, რომ თურქები არ ვაბრაზდნენ... სომეხები ხედავენ, რომ ჩვენგან არაფერი გამოვა, არა აქვთ ჩვენი იმედი... მაგრამ მიინც მამატურად ებრძვიან თურქებს“ (გვ. 118).

ავტორი მოგვითხრობს, რომ ევროპაში გავრცელდა ხმა: თითქოს ირაკლი II რუსეთის დახმარებით დაიპყრო ირანი და ემუქრებოდა ოსმალეთს. ეს ხმები გავრცელებული იყო ოსმალეთის გასაღიზიანებლად და მიმართული იყო რუსეთისა და საქართველოს წინააღმდეგ. ჰეტეროტურგის მთავრობამ გამოაქვეყნა ცნობა, რომ ეს არ შეეფერებოდა სინამდვილეს (გვ. 134-135).

ნაშრომში დახასიათებულია XVIII საუკუნის მეორე ნახევრის რუსეთის ეკონომიური მდგომარეობა. ამ პერიოდის რუსეთში ბურჟუაზიული საზოგადოების ჩანასახები შემდგომ განვითარებას პოულობენ. მწვავედება კლასთა ბრძოლა, ხდება გლენთა აჯანყებანი (პუგაჩოვის აჯანყება). თვითმპყრობელური მთავრობა ყველაფერს აკეთებს თავადაზნაურობის ინტერესების დასაცავად, გლენთა აჯანყების ჩასახშობად. ამავე დროს მთავრობა გრძნობდა რომ თანდათანობით ძნელდებოდა გლენთების დამორჩილება.

ამ მხრივ მეტად საინტერესოა ეკატერინე II-ს წერილი გენერალ-პროკურორისადმი: უბედურების მომასწავებელი გლეხთა აჯანყება, წერს დედოფალი, შეიძლება დაიწყოს თუ გლეხებს ფრთხილად არ მოვეყვებით (გვ. 147-148). ამ პერიოდის რუსეთისათვის დამახასიათებელია აგრეთვე რუსეთის შიდა გუბერნიებიდან ყმა გლეხების სამხრეთისაკენ ლტოლვა.

ერთი მხრივ თვითმპყრობელობა აძლიერებდა ბატონყმობას, მეორე მხრივ კი იძულებული იყო შერიგებოდა ქალაქებში და აგრეთვე განაპირა ადგილებში თავისუფალი მოსახლეობის არსებობას. მეფის მთავრობა იძულებული გახდა ეღიარებინა, რომ სანაპიროების თავისუფალი დასახლებანი საიმედო დასაყრდენია სახელმწიფოს თავდაცვისათვის (გვ. 148-152).

ყირიმის საკითხის გადაწყვეტის შემდეგ რუსეთის საგარეო პოლიტიკა ამიერკავკასიაში კიდევ უფრო გააქტიურდა. მომზადდა ნიადაგი 1783 წლის ტრაქტატისათვის, რომელიც დადებულ იქნა ქ. გიორგიევსკში

საყურადღებო ცნობაა ნაშრომში ირაკლი II-ის დასახსნაობებლად. როცა სოლომონ პირველი გარდაიცვალა იმერეთის სამეფო ტახტზე სამი პრეტენდენტი აღმოჩნდა: დავით გიორგის ძე, დავით არჩილის ძე და სოლომონ I-ის შვილიშვილი გიორგი, დავით არჩილის ძე იყო ირაკლი II შვილიშვილი. ირაკლი II დათანხმდა რომ დავით გიორგის ძე ასულიყო ტახტზე, მხოლოდ იმ პირობით, რომ შემდეგში ტახტის მემკვიდრე იქნებოდა დავით არჩილის ძე (შემდეგში სოლომონ II). ირაკლი II-ის ასეთი თანხმობა გამოწვეული იყო იმით, რომ ავციდინა იმერეთისათვის არეულობა და მშვიდობიანობა ჩამოეგდო. ამის შესახებ ქ. პოტიომკინი სწერს ეკატერინე II-ს; ირაკლი II-მ „თავისი სარგებლობის შესწირა საერთო მშვიდობიანობას“, ე. ი. საერთო საქმეებისათვის დასთმო დროებით თავისი კანდიდატურა (გვ. 197).

ნაშრომში საყურადღებო საარქივო მასალით დასაბუთებულია, რომ ირაკლი II არა მარტო მხედართმთავარი, არამედ კარგი დიპლომატიც იყო, და რომ რუსეთის მთავრობა ძლიერ მაღალ შეფასებას აძლევდა ირაკლის მოღვაწეობას. პიროვნებანი, რომელთაც რუსეთი უზიარებდა თავის მოქმედების გეგმას ამიერკავკასიაში ირაკლი და შემდეგ გარსევან ჭავჭავაძე იყო.

XVIII საუკუნის ოთხმოციან წლებში ოსმალეთმა განსაკუთრებით აქტიური ბრძოლა დაიწყო რუსეთის და საქართველოს წინააღმდეგ ამიერკავკასიაში. რუსეთი და ქართლ-კახეთის სამეფოები ამ შემთხვევაში საცხებით შეთანხმებულად გამოდიოდნენ; რუსეთის მოხელეები ქებით იხსენიებენ ირაკლის დიპლომატიას, მის

მოქმედებას. (გვ. 210-218). ამ მხრივ ფრიად დამახასიათებელია ერთი ფაქტი, რომელიც აღწერილია ნაშრომში. ოსმალეთის ემისარი ხალილ-ევენდი საქართველოსა და რუსეთის წინააღმდეგ ამიერკავკასიის ხალხების ასამხედრებლად დადის აზერბაიჯანის სახანოებში, დააქვს რუსეთისა და საქართველოს წინააღმდეგ მიმართული სულთანის წერილები და მოწოდებანი. ეკატერინე II-ისა და ირაკლი II-ის მთავრობები თვალყურს ადევნებენ ოსმალეთის ემისარის მოქმედებას, მის საქმიანობას. ხალილ-ევენდი მონიხულა დაღესტანი, შირვანი, ყარაბახი, და შემდეგ გაემართა ერევნისაკენ. ირაკლი II-ს განჯიდან (განჯა ამ დროს ირაკლის ექვემდებარებოდა) ანდრონიკაშვილმა აცნობა ხალილ-ევენდის მარშრუტი და თან ნებართვა სთხოვა მეფეს, რომ წაართვას ხალილ-ევენდის წერილები და მიმართვები, ირაკლიმ ანდრონიკაშვილს აუკრძალა ძალის გამოყენება, მაგრამ თვითონ შუშაში გაგზავნა კაცი, რომ ხალილ-ევენდის საბუთი იქნება სხვა გზით ჩაეგდო ხელში. ამის შესახებ პ. პოტიომკინი წერს: ძლიერ კეთილგონიერად მოიქცა მეფე, რომ აკრძალა ხალილ-ევენდისათვის, ოსმალეთის ემისარისათვის ძალთა წერილების წართმევა. ასეთი წერილები მალულად (ე. ი. მოპარვით) უნდა იშოვნონ, და არა ძალადობით (გვ. 204).

ავტორს საინტერესოა ცნობები აქვს იმის შესახებ, რომ საქართველოს რუსეთთან უფრო მჭიდროდ დაკავშირების მიზნით XVIII საუკუნის 80-იან წლებში განზრახული იყო გ. პოტიომკინისათვის ერეკლე II ასულის ანასტასიას მითხოვება და სიძისათვის საქართველოში მამულების ბოძება (გვ. 214).

სარეცენზიო ნაშრომში ახალი მასალებია ამ ურთიერთობის შესახებ, რომელიც XVIII საუკუნის 90-იანი წლების რუსეთ-ოსმალეთის ომის წინ დამყარდა. დასავლეთ ევროპის სახელმწიფოები აზვიადებდნენ ცნობებს რუსეთის აგრესიული პოლიტიკის შესახებ ოსმალეთის მიმართ. წერდნენ თითქოს ირაკლი II-მ საქართველო რუსეთს დაუთმო, იმისათვის, რომ რუსეთი დაეხმაროს მას ირანის ტახტზე ასვლაში (გვ. 246). განსაკუთრებით ხაზს უსვამდნენ იმას, რომ რუსეთს ე. წ. საბერძნეთის იმპერიის აღდგენის საბაბით სურდა ოსმალეთის დაპყრობა და სხვა.

ნაშრომში ნაჩვენებია თუ რა ზიანი მოუტანა რუსეთის პრესტიჟს ამიერკავკასიაში აღამაჰმადხანის მიერ თბილისის აღება. რუსეთი დაღვაკავკასიის დაკარგვის საფრთხის წინაშე.

მეტად საინტერესოა გადმოცემული იმერეთის ბრძოლის ეპიზოდები თურქეთის წინააღმდეგ. სოლომონ I-ის მიერ 1765 წელს ახალი-



ხის ფაშის დამარცხებას პირდაპირ პანიკა გამოუწვევია კონსტანტინოპოლში, თვითონ ფაშა წერს: შევედით ქართველების მიერ დატოვებულ ციხეში, უცებ ციხე აფეთქდა და დავედღუბა და დასახინჩრდა 5000 თურქი. გადარჩენილი ლაშქარი გამოიქცა, მაგრამ გამოქცეულეებს თავს ესხმოდნენ „ურჯულთები“, რომლებიც ტყვეებში იყვნენ შეფარებულნი და ისეთი გაშმაგებით მოგვედევდნენ, რომ მოგვსაობდნენ კიდევ რომ მაშველ ჯარს არ მოესწროო (გვ. 135-136).

ნაშრომში საყურადღებო მასალა გამოყენებული ქართველი და სომეხი ხალხის მეგობრობის შესახებ. ირაკლი II სათანადო ზომებს ღებულობს სომეხი მელიქების გადასარჩენად. (გვ. 186).

საქართველოსადმი რუსეთის დახმარების საილუსტრაციოდ ნაშრომის ავტორი უთითებს რუსეთის სენატის ბრძანებულებაზე რუსეთის იმპერიაში ფულის მოგროვების შესახებ ლეკების ტყვეობიდან ქართველების გამოსახსნელად (გვ. 127).

სარეცენზიო ნაშრომის ავტორს მეცნიერულ მიმოქცევაში შემოაქვს მრავალი საარქივო მასალა, რომელიც დღემდე უცნობი იყო. ფართოდაა გამოყენებული უცხოელ მოგზაურთა ცნობები, დიპლომატების მოხსენებები და წერილები, გათვალისწინებულია სამეცნიერო ლიტერატურა, როგორც ქართულ და რუსულ, ისე ევროპულ ენებზე.

ავტორი მართებულად ასკვნის, რომ რუსეთის საგარეო პოლიტიკას ამიერკავკასიაში ობიექტურად სასარგებლო შედეგები ჰქონდა. ნაშრომში მრავალი ორიგინალური მოსაზრებანია გამოთქმული.

წიგნი ავებულია მარქსისტულ-ლენინური მეთოდოლოგიის საფუძველზე.

ნაშრომი იწვევს ზოგიერთ შენიშვნას.

1. ავტორი წერს: დასავლეთ ევროპის დიპლომატიას აღმოსავლეთის საკითხი ესმოდა, როგორც საერთაშორისო პრობლემა ოსმალეთის დაყოფისა, ხოლო XVIII საუკუნის რუსეთისათვის აღმოსავლეთის საკითხი ნიშნავდა სამხრეთ რუსეთის ოსმალეთის აგრესიისაგან უზრუნველყოფას და შავ ზღვაზე ნაოსნობის თავისუფლებას (გვ. 3.).

გამოდის, რომ ცარიზმს არ უნდოდა ოსმალეთის ტერიტორია.

არც ოსმალეთის და არც რუსეთის მთავრობას XVIII საუკუნეში აგრესიულობა არ აკლდათ, მაგრამ ოსმალეთი დასუსტებული იყო და მგლისისა და საფრანგეთის გარეშე არ შეეძლო რუსეთთან ბრძოლა.

2. ავტორის აზრით XVIII საუკუნის ოცდაათიან წლებში, ირანის სახელმწიფოებრივი ერ-

თიანობა აღდგა. საჭირო შეიქმნა რომ რუსეთსა და ოსმალეთს გადაესინჯათ ირანის მიმართ პოლიტიკა: რუსეთმა ეს გააკეთა მოქნილად და დაუბრუნა მიტაცებული ადგილები, ე. ი. რუსეთი „წამოვიდა წინანდელ პოზიციებზე, ხოლო ოსმალეთი დარჩა მიმტაცებლობის პოზიციებზე“ (გვ. 48). ცოტათი შელამაზებულად გვეჩვენება რუსეთის პოზიცია. ირანის მიმართ რუსეთის თვითმპყრობელობასაც „მიმტაცებლობით“ პოზიცია ჰქონდა.

3. ავტორი წერს: „ავრესორის წინააღმდეგ საერთო ბრძოლის ინტერესები აერთიანებდა რუსეთსა და ამიერკავკასიის ხალხებს. რუსეთი ისწრაფოდა თავისი საზღვრების დაცვას, სავაჭრო გზების გაფართოებას და ზღვევზე თავისუფალ ვასელს ამიერკავკასიის ხალხების დახმარებით.“ რუსეთისათვის ირანი და ოსმალეთი ისეთსავე აგრესორებს არ წარმოადგენდნენ როგორც ამიერკავკასიის ხალხებისათვის. როდესაც რუსეთი გლიდანში ებრძოდა ირანს, მამინე ირანი რუსეთის მიმართ არ შეიძლება იყოს აგრესორი ყოფილიყო.

4. რამდენადმე ბუნდოვნად არის გაშუქებული ნაშრომში პეტრე I-ის აღმოსავლეთის ლაშქრობა და ამიერკავკასიის ხალხების, კერძოდ კი ვახტანგ VI-ის დამოკიდებულება ამ ლაშქრობასთან.

1722 წელს დარუბანდი პეტრეს უომრად ჩაბარდა. პეტრე I დაიძრა სამხრეთისაკენ. ამ დროს ქართველთა და სომეხთა ჯარები განჯის სახანოში იყვნენ ჩასულნი. საგარეო და საშინაო მდგომარეობამ პეტრეს ლაშქრობა შეაწყვეტირა და რუსეთის ჯარები ასტრახანში დაბრუნდა. ვახტანგი იძულებული გახდა თბილისში დაბრუნებულიყო. 1723 წელს პეტრემ ხელშეკრულება დასდო ირანთან კასპიის სანაპირო ადგილებზე რუსეთთან შეთანხმების შესახებ. 1724 წელს ოსმალეთთან დაიდო ხელშეკრულება, რომლის ძალით ოსმალეთი სცნობდა კასპიის სანაპირო ადგილების რუსეთის ხელში გადასვლას, საკომპენსაციოდ რუსეთმა სცნო ოსმალეთის უფლება ქართლზე, კახეთზე, ერევანზე, განჯაზე, ყარაბაღზე (გვ. 30).

ირანისა და ოსმალეთისათვის აშკარა გახდა ვახტანგის მდგომარეობა. ამას მოყვა ირანის მიერ ვახტანგისათვის ქართლის ჩამორთმევა და კახეთის მეფე კონსტანტინესათვის მისი ვადაცუშა, რადგანაც კონსტანტინე ირანულად ორიენტაციისა იყო. ოსმალეთმა დასძრა ჯარები ქართლისაკენ. ვახტანგ VI პრორუსული პოლიტიკა პირდაპირ ოსმალეთის წინააღმდეგ იყო მიმართული. ვახტანგის წინააღმდეგ აღდგნენ აგრეთვე ამიერკავკასიის ის სახანოები, რომლებიც რუსეთის წინააღმდეგნი იყვნენ. ქართველები და სომეხები მძიმე მდგომარეობაში ჩაეპარდნენ.

სარეცენზიო ნაშრომის ავტორი ასე სვამს საკითხს:

რატომ უცდიდა განჯაში ვახტანგ VI რუსეთის ჯარს და რატომ საკუთარი ძალებით არ გაილაშქრა შებმახისაკენო. განჯაში ვახტანგი VI ჯარით ბეტრესთან შეპირებით ჩავიდა და არა საკუთარი ინიციატივით. კიდევ უფრო საკვირველია, რომ ავტორი კითხვობს რატომ გადააყენა ირანმა ვახტანგ VI და ქართლის ტახტი კონსტანტინეს გადასცა? ავტორის აზრით ეს „შემადრწუნებელი მოულოდნელობა“ იყო თბილისისათვის“ (გვ. 108).

გასაგები უნდა იყოს, რომ ირანმა ვახტანგ VI გადააყენა რუსული ორიენტაციისათვის.

5. ავანტიურისტ გენ. ტოტლებენს პირველ ხანებში ეკატერინე II სარწმუნო პირად მიიჩნევდა და ტოტლებენისა და ერეკლე II ჩხუბში, ტოტლებენის მხარეზე იღვა და მას ამართლებდა.

სარეცენზიო ნაშრომის ავტორი წერს: 1770 წლის 9 ივლისს წერილში ერეკლე მეორისადმი ეკატერინე II აცხადებდა, რომ ქართველების ომში მიწვევით მას „მხედველობაში არ ჰქონდა არავითარი სარგებლობა იმპერიისათვის, მისი სურვილი იყო მხოლოდ თქვენი (ერეკლე II-ის—ი. ს.) საკუთარი და თანაც საეჭვო მდგომარეობა განემტკიცებია“ (გვ. 139). რასაკვირველია, ეს მხოლოდ პირმოთხეობა იყო ეკატერინე II-ს მხრივ. მას მხოლოდ საკუთარი ინიციატივით ამოძრავებდა. საერთოდ, კი ტოტლებენს ავტორი მართებულად ავანტიურისტს უწოდებს.

ნაშრომში აღნიშნულია, რომ ტოტლებენის მეთაურობით რუსეთის ლაშქრობამ არ დატოვა მნიშვნელოვანი კვალი, ხოლო ასპინძაში ქართველები გმირულად იბრძოდნენო (გვ. 140). საჭიროა იყო იმის თქმაც, რომ ტოტლებენმა ქართველი იყარა მტრის თვალწინ მიატოვა.

6. ავტორის აზრით ირანზე რუსეთის გალამჰქრებას 1796 წელს, ჰქონდა „ორგვარი ხასიათი: განმათავისუფლებელიც და დაპყრობითიც“ (გვ. 292). თვითონ ლაშქრობას მხოლოდ ერთი შინაარსი ჰქონდა — დაპყრობითი.

7. ავტორი გადამეტებულ მნიშვნელობას ანიჭებს ქუჩუქ-კაინარჯის ხელშეკრულებას, ვიდრე მას საქართველოსათვის ჰქონდა. ავტორი წერს: თითქოს ამ ხელშეკრულებით „იურიდიულად დასაღვლითი საქართველო რჩებოდა ოსმალეთის ხელისუფლებაში, მაგრამ ფაქტიურად თურქთა ხელისუფლება გაუქმებული იყო“ (გვ. 145).

ეს არაა მართალი. ოსმალეთს თუ იმერეთში მტკიცე პოზიცია არ ჰქონდა, ეს 1774 წლის ხელშეკრულებით კი არ იყო ოგამოწვეული, არა-

მედ ხალხის შეუბოვარი ბრძოლით დაპყრობის წინააღმდეგ.

8. ნაშრომში საყურადღებო ცნობაა მოყვანილი იმის შესახებ, რომ ა. ბეზბოროდოვო, მაშინდელი რუსეთის ერთ-ერთი დიპლომატი და ეკატერინე II-ს მდივანი, აკრიტიკებდა 1774 წლის რუსეთ-ოსმალეთის ხელშეკრულებას. ა. ბეზბოროდოვოს აზრით, რუსეთის წარმომადგენლებმა შეცდომა დაუშვეს, როცა იმერეთის სამეფო ოსმალეთის ხელში დატოვესო. ნაშრომის ავტორი არ ეთანხმება ა. ბეზბოროდოვოს კრიტიკას: მისი აზრით, ა. ბეზბოროდოვოს კრიტიკა იმიტომ არის უპირთებულო, რომ რუსეთმა იმერეთის სამეფოს დათმობით ოსმალეთს ყირიმის საკითხში დაათმობინაო (გვ. 194). ამ შემთხვევაში სარეცენზიო ნაშრომის ავტორი ცარიზმის ოფიციალური ისტორიოგრაფიის გავლენას განიცდის.

საჭიროდ მიგვაჩნია აქვე აღვნიშნოთ, რომ ქუჩუქ-კაინარჯის 1774 წლის ხელშეკრულება სასარგებლო იყო საქართველოსათვის: ოსმალეთს ევალებოდა უარი ეთქვა იმერეთიდან ტყვეებით ხარკის მოთხოვნაზე, ხოლო ახალციხის ფაშას აკისრებდა თავი შეეკავებინა ქართლ-კახეთის სამეფოს მტრობისაგან.

10. რუსეთის მთავრობის მიერ 1787 წელს საქართველოდან რუსეთის ჯარების გაყვანას ავტორი ამართლებს: „ეს იყო მართებული პოლიტიკური ნაბიჯი“, წერს იგი, თუ რუსეთის ჯარი არ იქნებოდა საქართველოში, მაშინ ოსმალეთსა და ირანს არ ექნებოდათ საბაბი ქართლ-კახეთზე თავდასხმისო (გვ. 284). სინამდვილეში საქართველოდან რუსეთის ჯარების გაყვანა ოსმალეთმა მოითხოვა და რუსეთს იმ ხანებში არ უნდოდა საქმის გამწვავება. ოსმალეთმა და ირანმა კარგად ცოდნენ 1783 წლის ტრაქტატი, რომლითაც ეთვალისწინებულ იყო რუსეთის ჯარების ყოფნა ქართლ-კახეთში.

განჯის გარემოცვის დროს რუსეთის ჯარების გაყვანა ნიშნავდა მტრის თვალწინ მოკავშირის მიტოვებას. ავტორი მართალია იმაში, რომ რუსეთის ჯარების საქართველოში ყოფნამ გაამწვავა ურთიერთობა საქართველოსა და მის მეზობლებს შორის. ოსმალეთი და ირანი დაყინებით მოითხოვდნენ სწორედ საქართველოდან რუსეთის ჯარების განდევნას. საერთოდ რუსეთის ჯარი საქართველოში რომ არ შემოსულიყო საქართველოსა და მეზობლებს შორის მდგომარეობა არ გამწვავდებოდა; მაგრამ რუსეთის ჯარების შემოყვანა, როცა ეს რუსეთისათვის იყო საჭირო და გაყვანა ამ ჯარების, როცა რუსეთისათვის საქართველოში ჯარების ყოფნა საჭირო არ იყო, — კიდევ უფრო ამწვა-



ვებდა მდგომარეობას. ცარიზმის მხრივ, ჯარების ასეთი შემოყვანა და გაყვანა საქართველოს ინტერესების უგულვებელყოფას ნიშნავდა.

11. ავტორი დაწვრილებით ჩერდება საკითხზე იმის შესახებ, თუ როგორ მოიქცა ვახტანგ ოსმალეთთან ურთიერთობაში რუსეთში გამგზავრების წინ. ავტორი ამართლებს ვახტანგს, რომ მან ოსმალეთთან შერიგება არჩია. ავტორს უნდა აღენიშნა, რომ ვახტანგ VI-ს არჩევანი არ ქონდა: თბილისი კონსტანტინემ ლეკების დახმარებით აიღო. ოსმალეთის ჯარი ქართლისაკენ

დაიძრა. ასეთ ვითარებაში ვახტანგს არაფერი არ შეეძლო: მან სამეფო ბაქარს ჩააბარა, რომელიც ოსმალეთთან შეუდგა მოლაპარაკებას. ამ მოლაპარაკებიდან არაფერი არ გამოვიდა. ვახტანგი დიდი ამალით რუსეთისაკენ გაემგზავრა (გვ. 110-115).

ეს შენიშვნები ჩრდილს ვერ აყენებენ ამ მეტად მნიშვნელოვან ნაშრომს.

წიგნი დიდი ინტერესით იკითხება, იგი ძვირფასი შენაძენია საბჭოთა მეცნიერებისათვის.

პროფ. ივ. სურგულაძე.



# სახელმძღვანელო საბჭოთა სისხლის სამართლის განსაკუთრებულ ნაწილში\*

წიგნში, რომელიც დამტკიცებულია დამხმარე სახელმძღვანელოდ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროს მიერ, განხილულია რესპუბლიკის მოქმედი სისხლის სამართლის ნორმები. მიუხედავად იმისა, რომ წიგნის შედგენაზე მუშაობის პერიოდში სისხლის სამართლის კანონმდებლობამ განიცადა მრავალი ცვლილება და დამატება, სახელმძღვანელოს დასაბეჭდად ხელის მოწერის დროისათვის ავტორს თითქმის არც ერთი ნორმა არ დაუტოვებია რეაგირების გარეშე.

ზემოთაღნიშნულ და შემდგომაც ჩვენ ვხვდებით ტერმინს „სახელმძღვანელო“, ვინაიდან თავისი შინაარსით მოცემული წიგნი ნამდვილად წარმოადგენს „სახელმძღვანელოს“. ამას განსაკუთრებით უნდა გაეცხვას ხაზი, ვინაიდან ეს პირველი ცდაა ქართულ ენაზე ორიგინალური სახელმძღვანელოს გამოცემისა სისხლის სამართლის განსაკუთრებულ ნაწილში. ქართველი სტუდენტები და მათთან ერთად ქართველი იურისტების დიდი არმია მრავალი წლის მანძილზე ელოდნენ ასეთ ნაშრომს.

განსაკუთრებული მნიშვნელობა ნაშრომის იმაშიც მდგომარეობს, რომ ქართულ ენაზე ჯერჯერობით სისხლის სამართლის კანონმდებლობაზე არ გამოცემულა კომენტარებიც კი. ყოველივე ეს ქართველ იურისტებს ურთულდება და წყაროების მოძებნას, უარყოფით გავლენას ახდენდა საგამომძიებლო, სასამართლო და საპროკურორო პრაქტიკაზე.

ნაშრომის ღირსებას წარმოადგენს ის გარემოებაც, რომ ავტორი ამა თუ იმ ნორმის განხილვისას იზოლირებულად არ განიხილავს საქართველოში მოქმედ სისხლის სამართლის ნორმებს და ახდენს შედარებებს სხვა მოკავშირე რესპუბლიკების მოქმედ კანონმდებლობასთან.

დაწყებული სისტემიდან, რომლის მიხედვითაც აგებულია საქართველოს სსრ და სხვა მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართლის კოდექსები და ვათავებელი ცალკეული ნორმებით, ავტორი ახდენს შედარებებს, აღნიშნავს სხვაობას მათ შორის, აანალიზებს ამ ნორმებს, უჩვენებს მათ სპეციფიკას. ამავე დროს რეს-

პუბლიკაში მოქმედი ყველა ნორმატიული აქტი მოცემულია პოზიტიურადაც და განმარტებულიც გაშლილია სასამართლო პრაქტიკის ფართოდ გამოყენებით.

თვითეულ განყოფილებას თუ თავს წინ უძღვის პოლიტიკურად გამართული წინასიტყვაობა, დაფუძნებულია ქვეყნის განვითარების ეკონომიურ-პოლიტიკურ ამოცანებზე. ყოველივე ეს ხელს უწყობს მკითხველთა საერთოდონის ამაღლებას, ნორმების ადვილად ათვისებას (იხ. თავი I „სახელმწიფო დანაშაული“, გვ. 17-30, თავი II „დანაშაული სოციალისტური საკუთრების წინააღმდეგ“, გვ. 101-105, თავი X „დანაშაული საზოგადოებრივი უშიშროებისა და საზოგადოებრივი წესრიგის წინააღმდეგ“, გვ. 419-420 და სხვ.).

შრომაში გამოყენებულია როგორც რევოლუციის პირველი დღეების საკანონმდებლო აქტები, აგრეთვე მომდევნო პერიოდის მასალები ამა თუ იმ ნორმის დადგენისა და განვითარების ნათელსაყოფად.

შრომაში ნორმის ანალიზის დროს სწორად არის ნაჩვენები მისი სამოქმედო ფარგლები მომიჯნე ნორმასთან განსხვავებით; აღინიშნება ამა თუ იმ დანაშაულის სპეციფიკა, რაც აადვილებს ნორმის შინაარსის სწორად გაგებას, დანაშაულებრივი ქმედობის სწორად დაკვალიფიცირებას. შრომაში განხილულია შემთხვევები, როცა ქმედობა უნდა ჩაითვალოს სისხლის სამართლის წესით დასჯადად და როცა აღმინისტრაციული წესით სადევნად. ამ მიზნით ფართოდ არის გამოყენებული სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის როგორც უახლესი, ისე ძველი, მაგრამ დღეისათვის კვლავ მოქმედი დადგენილებები (იხ. გვ. 124-125 და სხვ.). საკითხებზე ავტორი გამოთქვამს საკუთარ მოსაზრებებს, მიუთითებს ამა თუ იმ საკითხზე იურიდიულ ლიტერატურაში ხშირად გამოთქმულ არასწორ დებულებებს (იხ. გვ. 159-მკველობის საკითხში, როცა ასეთი ნილია განსაკუთრებით საშიში რეციდივი მერ, გვ. 188-ჯგუფური გაუპატიურების

\* ბ. ფურცვანიძე, საბჭოთა სისხლის სამართალი (განსაკუთრებული ნაწილი). თბილისი სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1966 წ. 520 გვ. ტირაჟი 4000.



ში, როცა ასეთი ქმედობა ჩადენილია შეიარაღებულ ბანდის მიერ (და სხვ.).

შრომა დაწერილია დახვეწილი ქართული ენით, რაც უზრუნველყოფს სახელმძღვანელოში განხილულ საკითხების მკითხველის მიერ სწორად და ადვილად ათვისებას.

გვაქვს ცალკეული შენიშვნები:

1. ტერმინი „დანაშაულის შედგენილობა“, რასაც სახელმძღვანელოში ხმარობს ავტორი — ჩვენი აზრით არ არის გამართლებული. უფრო სწორი იქნება „დანაშაულის შემადგენლობა“. მართალია, ძველად ლიტერატურაში ამ ტერმინს ხმარობდნენ შრომაში მოცემული სახით, ასევეა „Состав преступления“ თარგმნილი სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ 1937 წელს გამოცემულ „რუსულ-ქართულ ლექსიკონში“ (იხ. გვ. 977) და გამოყენებული საქართველოს სსრ ძველ სისხლის სამართლის კოდექსშიც, მაგრამ ამჟამად ტერმინი „დანაშაულის შედგენილობა“ ლიტერატურაში იშვიათად ვხვდებით. საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მიერ ამ რამდენიმე წლის წინ გამოცემულ ლექსიკონში „იურიდიული ტერმინოლოგია“, ჩვენი აზრით, ეს ტერმინი („დანაშაულის შემადგენლობა“) უფრო სწორად არის დადგენილი და სასურველია მისი ამ სახით დამკვიდრება. ყოველ შემთხვევაში, საჭიროა ამ მეტად ხშირად სახმარო ტერმინის გამოყენების თაობაზე გამონახულ იქნეს „საბოლოო ენა“. ამაში გარკვევა განსაკუთრებით უსაჭიროება იურისტების ახალთაობას.

2. შრომის 125-ე გვერდზე დაშვებულია კორექტურული შეცდომა და ნაცვლად 951 მუხლისა მითითებულია მუხლი 911. ეს შეცდომა შეუძენველი და შექუსწორებელი დარჩა შეცდომების გასწორებაშიც.

3. 148-ე მუხლის განმარტების დროს უნდა გამოყენებული ყოფილიყო საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1966 წლის 3 ოქტომბრის ბრძანებულება 148-ე მუხლში მეორე ნაწილის დამატების შესახებ და დადგენილება ამ მუხლის გამოყენების შესახებ. აგრეთვე საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის იმავე რიცხვით მიღებული ბრძანებულება „რელიგიურ კულტა კანონმდებლობის დარღვევისათვის აღმინისტრაციული პასუხისმგებლობის შესახებ“ (იხ. უწყებები, 1966 წ. № 12, მუხლი 199).

ამის შესაძლებლობა იყო, ვინაიდან წიგნი ეჭვად ხელმოწერილია 1966 წლის 22 ერს.

რ არის სწორი დებულება, თითქოს ყაჩაღი სახელმწიფო ან საზოგადოებრივი ქონებასების მიზნით „ყველაზე უფრო საშიშაშაულია სოციალისტური საკუთრების ეგ“. (იხ. გვ. 125).

ეს დებულება სწორია მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ ამ ხერხის გამოყენებით სახელმწიფოს მიადგა ზარალი განსაკუთრებით დიდი ოდენობით და ეს ქმედობა დაკვალიფიცირდება არა 96 მუხლით არამედ 961 მუხლით, რომელიც ითვალისწინებს სასჯელის უმაღლესი ზომის გამოყენებას — სიკვდილით დასჯას. ყველა სხვა შემთხვევაში ყაჩაღობისათვის დაწესებულია სასჯელი თავისუფლების აღკვეთა 6 წლიდან თხუთმეტ წლამდე, გადასახლებით ვადით ხუთ წლამდე ან უამისოდ, ქონების კონფისკაციით ან უამისოდაც.

5. 129-ე გვერდზე მოცემულია ანალიზი 961 მუხლისა, სადაც ავტორი სწორად აღნიშნავს, „თუ სახელდობრ, რა ოდენობა ჩაითვლება განსაკუთრებით დიდად, ამას კანონი არ განსაზღვრავს“, მაგრამ საჭირო იყო ავტორს მოეცა სასამართლო პრაქტიკის რამდენიმე მაგალითი ამ ნორმის გამოყენების შესახებ. სასამართლო პრაქტიკა კი განსაკუთრებით დიდ ოდენობად თვლის, როცა გატაცებული ქონების ღირებულება დადგენილ ერთიან სახელმწიფო-საცალო ვაჭრობის ფასების მიხედვით (კოლმეურნეთათვის — საკოლმეურნეო ბაზრის ფასების მიხედვით) შეადგენს არა ნაკლებ 10.000 მანეთს ფულის ახალი კურსით.

მართალია, პრაქტიკა ქმედობის კვალიფიკაციისას არ ეყრდნობა მექანიკურად მარტო გატაცებულის ღირებულებას და მხედველობაში იღებს გარდა საფასურისა, აგრეთვე მოცულობასაც, გატაცებული საქონლის ხასიათს და სხვას, ხოლო სასჯელის დანიშვნის დროს აგრეთვე დამნაშავის პიროვნებას, გარემოებას, რომელშიაც ეს დანაშაული იყო ჩადენილი და მის საზოგადოებრივ საშიშროებას.

6. გასარკვევია აგრეთვე საკითხი — რომელ ასაკიდან შეიძლება ქალი ჩაითვალოს სრულწლოვანად და რა ასაკში გამოიწვევს ქალის გაუპატიურება პასუხისმგებლობას 117-ე მუხლის მესამე ნაწილით. ავტორი იმ დასკვნამდე მიდის, რომ ასეთად შეიძლება მიჩნეულ იქნას ქალი, რომელსაც გაუპატიურების მომენტში არ შესრულებია 18 წელი.

კანონში ეს არ არის პირდაპირ ნაჩვენები (როგორც მაგალითად, 119-ე ან 120-ე მუხლში, სადაც არასრულწლოვანად ითვლება პირი, რომელსაც არ მიუღწევია 16 წლის ასაკამდე). თეორეტიკოსებს შორისაც ამ საკითხში არ არის ერთსულოვნება. მაგალითად, პროფესორი შარგოროდსკი ამტკიცებს, რომ ამ შემთხვევაში ქალი არ უნდა იყოს მიღწეული საქორწინო ასაკს. არც ერთი ამ მტკიცებათაგანი არ არის მოკლებული საფუძველს და ჩემი აზრით ეს საკითხი იმსახურებს იმას, რომ გახდეს საკანონმდებლო ორ-

განოს ან უმაღლესი სასამართლოს პლენუმის მსჯელობის საგანი, მით უმეტეს, რომ 117-ე მუხლის III ნაწილი, რომლითაც კვალიფიცირდება არასრულწლოვანის გაუპატიურება იფა-ლისწინებს უმაღლესი სასჯელის — სიკვდილით დასჯის გამოყენებას.

სახელმძღვანელოს დასაბუქდად ხელმოწერის შემდეგ საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კანონმდებლობამ კვლავ განიცადა ცვლილებები.

იმედია სახელმძღვანელოს ახალი გამოცემისას ეს კი საჭიროა, ვინაიდან მოთხოვნა ამ წიგნზე ბევრად აღემატება გამოცემულ ტირაჟს) ეს ცვლილებანი და დამატებანი ასახვას ჰპოვებს სახელმძღვანელოში.

ასეთია ზოგიერთი შენიშვნა სარეცენზიო

ნაშრომის შესახებ. ეს შენიშვნები სრულიადაც არ ამცირებენ მის საერთო მაღალ ღირსებასა და მნიშვნელობას.

სასურველია, რომ პროფ. ბ. ფურცხვანიძემ მრავალი სახელმძღვანელოს და მონოგრაფიის ავტორმა დაწეროს და გამოსცეს სახელმძღვანელო საბჭოთა სისხლის სამართლის ზოგად ნაწილშიც. ეს დიდ დახმარებას გაუწევდა როგორც იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტებს, ასევე მოკვლევებს, გამოძიებებს, პროკურატურის, სასამართლოს ორგანოებისა და იურიდიული სამსახურის სხვა დარგების მუშაკებს მათ ყოველდღიურ პრაქტიკულ მუშაობაში.

**მ. იაკობაშვილი,**

საქართველოს სსრ დამსახურებული იურისტი.

## ნაშრომი ქართული საოჯახო სამართლის ისტორიის საკითხებზე\*

სარეცენზიო წიგნში განხილულია ქართული საოჯახო სამართლის ძირითადი საკითხები, სახელდობრ, პირადი და ქონებრივი ურთიერთობანი როგორც მეუღლეთა, ისე მშობლებსა და შვილებს შორის.

შუა საუკუნეების ქართული საოჯახო სამართალი დღემდე არ ყოფილა მარქსისტ-ისტორიკოსთა მონოგრაფიული კვლევის ობიექტი. ამასთანავე, ქართული ფეოდალური საოჯახო სამართლის ისტორიუტების შესწავლას მათ ისტორიულ განვითარებაში, როგორც ამას აგტორიც აღნიშნავს, დიდი მნიშვნელობა აქვს ჩვენი ქვეყნის სოციალურ-ეკონომიური და კულტურული ცხოვრების, ჩვენი ერის შინაგანი ისტორიის სწორი სურათის აღსადგენად; ფეოდალური წარმოებითი ურთიერთობის ქართული ვარიანტის ანუ ქართული ევოლუციური საზოგადოებრივი წყობილების შესწავლა საოჯახო სამართლის ასპექტში დიდ სამსახურს გაგვიწევს შუა საუკუნეების ქართული საზოგადოების ისტორიული სიმაღლის დასადგენად.

სარეცენზიო ნაშრომის ავტორს წყაროებისა და ლიტერატურის მეტად ფართო წრეზე მიუწვდებოდა ხელი. იხილავს რა ქართული საოჯახო სამართლის ისტორიუტებს წარმოშობა-განვითარების პროცესში, იგი მათ სწავლობს არა მარტო საქართველოს საკანონმდებლო მასალებსა და ისტორიულ-იურიდიული ხასიათის დოკუმენტების მონაცემების საფუძველზე, არამედ სომხეთის, ბიზანტიის, რუსეთის, დასავლეთ ევროპის, აგრეთვე ძველი აღმოსავლეთის სამართლებრივი ძეგლებისა და მათ შესახებ არსებული მეცნიერული გამოკვლევების გათვალისწინებით.

ავტორის აზრით, IV-V საუკუნეებში, ქვეყნის წარმოებრივი ძალების შედარებით განუვითარებლობის პირობებში, როდესაც ქრისტიანობა მტკიცედ არ იყო დამკვიდრებული, მეუღლეთა ურთიერთდამოკიდებულება სასტიკი პატრიარქალური ბატონობა-მორჩილების სახით გვევლინება. ამ დროს საქართველოში არსებობდა ქმრის უპირობო პატრიარქალური ხელისუფლება ცოლის მიმართ. მეუღლეთა შორის

ქონებრივი ურთიერთობაც ანალოგიურ ხასიათისაა: სამართლის სუბიექტი ოჯახში მხოლოდ ქმარი იყო; ცოლი ქონებრივ სფეროშიც უფლებო არსებდა გვევლინება.

ქრისტიანული რელიგიის გამარჯვება დიდმნიშვნელოვანი მოვლენა იყო ქართველი ხალხის ცხოვრებაში. მტკიცე მონოგამია და განქორწინების სასტიკად შეზღუდვა ერისკაცთა ცხოვრების პრინციპებად იქნა გამოცხადებული ქრისტიანული ეკლესიის მიერ. პოლიგამიის აკრძალვამ და მონოგამიის განმტკიცებამ გამოიწვია ქალის როლის ზრდა ოჯახსა და საზოგადოებაში.

თუ IV-VI საუკუნეებში საქართველო საოჯახო ურთიერთობის განვითარების დონით ვერ უტოლდებოდა ბიზანტიას, VIII-X საუკუნეებისათვის ეს ჩამორჩენა სავესებით იქნა დაძლეული. ქართული საოჯახო სამართალი უკვე VIII საუკუნიდან მოყოლებული მაინც იცნობს მზითვის ისტორიუტს. მზითვეი ქალის ქონებაა. მან ქალი გადააქცია ნივთისადმი დაპირისპირებულ არსებად, სამართლის სუბიექტად. მზითვეი, პირისანახავი, სათაწყო, საკუთარი ნაქირანახული ქონება ქალის საკუთრებას შეადგენდა და იგულისხმება, რომ მას უფლება ჰქონდა ქმრის წინააღმდეგაც კი დაეცვა თავისი საკუთრების უფლება. მეუღლეთა შორის ქონებრივ და პირად ურთიერთობაში ქმრის განუსაზღვრელი ბატონობის სამართლებრივ პრინციპს თანდათანობით ცვლის ახალი სამართლებრივი იდეა, რომელიც მამაკაცს ცოლის მხოლოდ მეურვედ თვლის (გვ. 71). თითოეულ შემოსენებულ სამართლებრივ პრინციპს შეესაბამება მეუღლეთა ქონებრივი ურთიერთობის სათანადო სისტემა. ამავე დროს, ცხადია, არის ცალკეული შემთხვევები, როდესაც ცოლქმარს შორის ქონებრივი ურთიერთობა თავისი განვითარების დონით ჩამორჩება მათსაკვე პირად-უფლებრივ ურთიერთობის საფეხურს, ან პირიქით. ამასთან დაკავშირებით სარეცენზიო ნაშრომის ავტორი სპეციალურად იკვლევს განვითარების ძველი სტადიის გადმონაშთებსაც.

\* გ. ნადარეიშვილი, ქართული საოჯახო სამართლის ისტორიიდან, რედ. ი. დოლიძე, გამოც. „მეცნიერება“, თბ. 1965, გვ. 242.

სარეცენზიო ნაშრომის ავტორის აზრით, VIII-XVIII საუკუნეების საქართველოში მეუღლეთა ქონებრივი ურთიერთობა თავისი ეპოქისათვის დიდ ისტორიულ სიმაღლეზე, ცოლი და ქმარი უფლებამოსილები იყვნენ ურთიერთშორის დაედოთ სხვადასხვა იურიდიული ხასიათის გარიგება; მათ შეეძლოთ ერთმანეთისათვის ეჩუქებინათ, მიეყიდათ ან დაევირავენინათ თავთავისი მოუღვეარი ქონება. ქმარს არ ჰქონდა უფლება ვაესხვისებინა ცოლის ქონება ამ უკანასკნელის ნებართვის გარეშე და პირიქით.

საერთოდ, მეუღლეთა ქონებრივი ურთიერთობები დაფუძნებული იყო სამ განსხვავებულ საწყისზე. ისტორიულად პირველი სახეობა მეუღლეთა ქონებრივი ურთიერთობისა ისეთი იყო, რომ ქმრის უფლებები ვრცელდებოდა ქალის ქონებაზე. უფრო გვიან ასეთი ურთიერთობა იცვლება ისეთი საწყისებით, რომლის დროსაც მეუღლეები ერთობლივად ფლობენ მთელ ქონებას. და ბოლოს, ვხვდებით მეუღლეთა ქონებრივი განკერძოებულობის რეჟიმსაც. ეს უკანასკნელი, ქალების უფლებებზე დაცვის თვალსაზრისით, ფეოდალურ საზოგადოებაში ყველაზე პროგრესული იყო. ავტორმა შესწოდა ჩვენებისა, რომ IX-XVIII საუკუნეების ქართულ სამართალში სწორედ მეუღლეთა ქონებრივი განცალკევებულობის რეჟიმი იყო ვაბატონებული.

სარეცენზიო ნაშრომის მეორე თავში განხილულია მშობლებისა და შვილების ქონებრივი ურთიერთობა ფეოდალურ საქართველოში. II საუკუნის სირიელი მწერლის — ვარდენანის ცნობით, სომხეთში ოჯახის თავ მამაკაცს უფლება ჰქონდა ყოველგვარი პასუხისმგებლობის გარეშე მოეკლა შვილები, ცოლი, ასევე უშვილო ძმა და უშვილო და. ავტორის შეხედულებით, ანალოგიური მდგომარეობა იყო აღრიზდელი ფეოდალური ურთიერთობის საწყისი ხანის საქართველოშიც, სადაც, ჩვენამდე მოღწეული ცნობების მიხედვით, პატრიარქალური ოჯახის მეთაურს განუსაზღვრელი უფლებები გაჩნდა შვილების მიმართ. ფეოდალური წარმოებითი ურთიერთობის სწრაფი განვითარების, აგრეთვე ქრისტიანული რელიგიის და ბიზანტიური კანონიკური სამართლის გავლენის შედეგად ოჯახის უფროსის განუსაზღვრელი უფლებები შეიზღუდა. დაახლოებით ასეთივე პროგრესი განიცადა მშობლებსა და შვილებს შორის ქონებრივი ურთიერთობამაც. ამასთან დაკავშირებით სარეცენზიო ნაშრომის ავტორი იხილავს მშობლებისა და შვილების ქონებრივსა და პირად ურთიერთობას საქართველოში, სომხეთსა და ბიზანტიაში, აღნიშნავს მათ შორის არსებულ მსგავსებებს და განსხვავებებს. ცალ-

კე არის გამოყოფილი და განხილული ვაჟის-ვილებისა და ქალიშვილების ქონებრივი, სამემკვიდრეო უფლებები. ნაჩვენებია, რომ ქართული ფეოდალური საზოგადოების სინამდვილეში მზითვის ინსტიტუტმა დიდი განვითარება ჰპოვა, რაც იმაში გამოიხატა, რომ გარდა მოძრავი ქონებისა, მიწაც შეიძლებოდა ყოფილიყო მზითვის ობიექტი. სამეფო სავარკეთილოს წარმომადგენლებისათვის მზითვად შეიძლებოდა მიეცათ მთელი სენიორიაც კი. მაგ., ეამთააღმწერელის ცნობით, რუსუდანის ასულს თამარს აწყვერი მზითვად გაატანეს (გვ. 125). ფეოდალები რიგ შემთხვევებში სოფლებს ამლევენენ მზითვად თავიანთ ქალებს. როგორც საერთო წესი, შუა საუკუნეების საქართველოში ქალებს გააჩნდათ მემკვიდრეობის უფლება. სარეცენზიო ნაშრომის ავტორს მრავალრიცხოვანი ისტორიულ-იურიდიული დოკუმენტების, აგრეთვე საკანონმდებლო მასალის გარჩევა-განხილვის გზით დადგენილი აქვს, რომ ფეოდალური საქართველოს მემკვიდრეობის სამართალი თავისი კლასიკური სახით არ იცნობდა მემკვიდრეობის მათორატულ წესს (გვ. 129-141). „საუხუცესო, რა თქმა უნდა, არ შეიძლება მათორატული მემკვიდრეობის გამოხატულებად ჩაითვალოს.

ავტორმა სამეცნიერო ლიტერატურაში პირველმა წამოაყენა ერთგვარ საკითხი მემკვიდრეთა წრის შესახებ ქართული სამართლის მიხედვით. ეს საკითხი განხილულია სახელმწიფო სამართლის ასპექტშიც (ტახტის მემკვიდრეობა და სხვ.). ავთოგრაფიული ძეგლების, მემბრანების, აგრეთვე ბიზანტიელი მწერლების ცნობების, ქართული სიგელ-გუჯრების განხილვის შედეგად ავტორი აღგვს ქართული ფეოდალური საოჯახო სამართლისათვის დამახასიათებელ მემკვიდრეთა წრეს. სხენებული საკითხის გადასაჭრელად ავტორმა პირველად სამეცნიერო ლიტერატურაში მართებულად მიიტყია ყურადღება XIII საუკუნის ისეთ ძვირფას ისტორიულ წყაროს, როგორცაა რკონის დაწერილი (გვ. 160-163). ამგვარადვე აქვს გამოყენებული მრავალი პირველადი დოკუმენტი, ხელთნაწერებზე მინაწერი ნასყიდობის საბუთები და სხვ. ავტორს სამართლიანად გაუძახვებლობა ყურადღება იმ გარემოებაზე, რომ მემკვიდრეთა წრე თბილისში უფრო ფართე იყო, ვიდრე სხვაგან სადმე საქართველოში. უკვე ვახტანგ VI დაუდგენია, რომ „თუ ქალაქში კაცი ამოვარდეს და თუ არ დარჩეს ძე და არცა ასული, იმისი საქონელი, სახლი, კარი და აგარაკი, მამული და მიწა-წყალი, ვინც ამისი გვარისა გამოჩნდეს იმისთვის გვიბოძებია, ჩვენ ხელი არა გვაქვსო“. ამავე საკითხის გასაშუქებ-

ლად ავტორი ერთეულ მეორის „საქალაქო გან-  
წესებასაც“ იშველიებს.

სამეფო ხელისუფლება იმუღებელი ვახდა  
ანგარიში ვაეწია თბილისში არსებული შედა-  
რებით მაღალი ეკონომიური წყობისათვის და  
გააფართოვა წრე სისხლით ნათესავეებისა, რო-  
მელთაც კანონით მემკვიდრეობის უფლება  
ვაჩნდათ. „ეს იყო ახალი, უპირობო ბურჟუა-  
ზიულ ქალაქური კერძო საკუთრების საწყი-  
სების გამარჯვება ძველ ფეოდალურ ეკონო-  
მიურ წყობილებასა და სამართალზე“, ბურ-  
ჟუაზიული საკუთრების მომავალი გამარჯვების  
პირველი ნიშნები ფეოდალურ-იერარქიულ სა-  
კუთრებაზე (გვ. 167).

სარეცენზიო ნაშრომში დაწვრილებით არის  
განხილული შეილად აყვანილის და ზესიძის  
ქონებრივი უფლებები ოჯახში. ნაჩვენებია  
მშობლებსა და შვილებს შორის პირადი თუ  
ქონებრივი ურთიერთობის თავისებურებანი  
გლეხთა წოდებაში; დაწვრილებით არის გა-  
მორკვეული უკანონოდშობილის მდგომარეო-  
ბა ქართულ ფეოდალურ საზოგადოებაში. სპე-  
ცილისტებისათვის ცნობილია ის სასტიკი და-  
მოკიდებულება უკანონოდშობილებისადმი, რა-  
საც გერმანული სამართალი იჩენდა. უკანო-  
ნოდშობილი არ ითვლებოდა არც დედის და  
არც მამის ნათესავად. ამიტომაც მას არ ვაჩ-  
ნდა მემკვიდრეობის უფლება. კიდევ მეტი: იგი  
საერთოდ ოჯახის მზრუნველობის გარეშეც  
იღვა.

ქართული სამართლის მიხედვით „ბიჭი“, ე. ი.  
უკანონოდშობილი, მართალია, კანონიერი შვი-  
ლის უფლებებით ვერ სარგებლობს, მაგრამ იგი  
სავსებით უუფლებო როდი იყო. დიდებულის  
„ბიჭი“, XIV ს. კანონმდებლობის მიხედვით,  
აზნაურის უფლებებით სარგებლობდა და მი-  
სი „სისხლი“ თორმეტ ათას თეთრად იყო შე-  
ფასებული. ერთი სანდო წყაროს ჩვენებით, სა-  
ქართველოში „ძველადვე იყო განწყობილი,  
რომელ მეფეთა ძეთაგან უწყისოდ შექმნილთა  
აქენდათ ხარისხი თავადობისა, თავადთაგან  
უკანონოდ შექმნილთა აქენდათ ხარისხი მცირე  
აზნაურობისა. აზნაურთაგან შთაბავალთა ამას-  
ვე სახედ აქენდათ მსახურისა მეფის ადგილი.  
ხოლო გლეხთაგანი მიეცემოდენ ეკლესიათა  
ყმად, რომელ საუბისკობოსოსა შინა იქმნებოდა  
ესე გვარი შემოხვევა, მის საყდარისა იქმნებო-  
დაცა ყმად იგი“. ქართული ისტორიულ-იური-  
დიული დოკუმენტების შესწავლა გვიჩვენებს,  
რომ ფეოდალურ საქართველოში თავისი ეპო-  
ქისათვის პროგრესულად იყო გადაწყვეტილი  
უკანონო შვილების უფლებრივი მდგომარეობა.  
ამავე დროს ავტორი ვრცლად ჩერდება გვი-  
აში შუა საუკუნეების საქართველოს სოცია-  
ლურ-ეკონომიკური წყობის სტაგნაციის თუ

დეგრადაციის შედეგად წარმოშობილ მოვლე-  
ნაზე — შვილების გაყიდვაზე, რასაც მოსახ-  
ლეობის დაბალ ფენებში ხშირად ჰქონია ად-  
გილი. ამასთან დაკავშირებით ავტორის მრავ-  
ლი, დღემდე გამოუქვეყნებელი მასალა აქვს გა-  
მოყენებული. შვილების გაყიდვას, როგორც  
ირკვევა, მდაბიოთა შორის უკიდურესი გაჭირ-  
ვების, შიმშილობის ან ტყვის გამოსახსნელად  
თუ მიმართავდნენ. დიდებულთა შორის შვილის  
გაყიდვის ან დაგირავების ფაქტებს ვერ ვხვდებ-  
ით. ცალკე ჩერდება ავტორი სათავადოებში  
მშობლებისა და შვილების ურთიერთობის თავ-  
ისებურებებზე.

სარეცენზიო ნაშრომის ავტორს გამოყენებუ-  
ლი აქვს სპეციალური ლიტერატურა გერმან-  
ულ, ფრანგულ, ინგლისურ, ბულგარულ და  
სომხურ ენებზე; ქართული საოჯახო სამართა-  
ლი შესწავლილი აქვს ბიზანტიური, სპარსული  
და სომხური სამართლის მონაცემების შუქზე.  
გამოკვლევა დამყარებულია პირველწყაროებ-  
ზე, მრავალი ძვირფასი დოკუმენტი და ისტო-  
რიული წყარო პირველადაა შემოტანილი მეც-  
ნიერულ მიმოკვლევაში.

მიუვითებთ წიგნის ზოგიერთ, არარსებითი  
ხასიათს, ნაკლოვანებაზე.

საჭირო იყო სარეცენზიო ნაშრომს წამძლ-  
ვარებოდა წინასიტყვა, სადაც, სხვათა შორის,  
წიგნში დასმული საკითხების მეცნიერული და-  
მუშავეების მდგომარეობის შესახებაც იქნებოდა  
ნათქვამი ორიოდ სიტყვა; ამით უფრო რელიე-  
ფურად წარმოჩნდებოდა საკუთრივ ავტორის  
წვლილი განსახილველი თემის შესწავლის საქ-  
მეში.

ვეჭირობთ, რომ ვარსკენის დამოკიდებულე-  
ბა შუშანიკისადმი არ შეიძლება ყოველთვის  
მიეჩინოთ ეროვნული კანონმდებლობით თუ  
ჩვეულებითი სამართლით ნებადართულ და სა-  
ყოველთაოდ გავრცელებულ, იმდროინდელი  
ქართული სინამდვილისათვის დამახასიათებელ  
ტიპურ მოვლენად. მხედველობაში მისაღებო-  
ს, რომ ვარსკენი სპარსეთის დიდი მოხელეა,  
რომელიც, შუშანიკისაგან განსხვავებით, ემხ-  
რობა და იცავს ქართველებისათვის უცხო და  
მიუღებელ შეხედულებებს; მისი მოქმედება  
შეიძლება იყოს დამპყრობლების პოტენციური  
და რეალური მხარდაჭერით გაპირობებული  
ძალადობა და არა უფლებების განხორციელება.  
აღნიშნულის ფათვალისიწნება მითუმეტესაა  
აუცილებელი, რომ „წამების“ ავტორი უშუა-  
ლოდ მიგვანიშნებს მასზე, როგორც ნაწარ-  
მოებიდან ჩანს, ვარსკენი ხანდახან ისეთ რა-  
მესაც აკეთებდა, რაც „არა აქუნდა ხელთა შუ-  
შანიკისაგან“. ბრჭყალებში ჩამსული სიტყვები,  
მართალია, შეეხება ერთ კონკრეტულ შემთხ-  
ვევას, კერძოდ, ვარსკენის განზრახვას — შა-

პის საამებლად შეაცვლევინოს სარწმუნოება უმუშაინკს, — მაგრამ არ შეეცდებით, თუ მას განვაზოგადებთ და დავასკვნით, რომ ცურტაველისდროინდელ ქმარს ჩვეულებრივ პირობებში საერთოდ არ უნდა ჰქონოდა უფლება საესებით ცალმხრივად და თვითნებურად გადაეწყვიტა მეუღლის პირადი ცხოვრების უმნიშვნელოვანესი საკითხები; მას ცოლის აზრისთვისაც სერიოზული ანგარიში უნდა გაეწია.

ავტორმა ქართული საოჯახო და მემკვიდრეობის სამართლის რამდენიმე საკითხი მანც ბუნდოვნად წარმოგვიდგინა. მაგალითად, სარეცენზიო წიგნში სამუელიანის სომხური სამართლის ისტორიის, აღონცისა და სხვა მეცნიერთა ნაშრომების მიხედვით ნაჩვენებია, რომ სომხურმა მემკვიდრეობის სამართალმა გაიარა განვითარების ორი დიდი საფეხური — მაიორატული და სეპუჰური. ქართული მემკვიდრე-

ობის სამართლის კვლევის დროს ავტორი აღნიშნავს, რომ აქ არ ჩანს მაიორატული მემკვიდრეობის წესიო. საჭირო იყო გარკვევა საკითხისა — რა უნდა ყოფილიყო ამის მიზეზი, ან, ყოველ შემთხვევაში, საგულეებელი იყო თუ არა საქართველოში ოდესმე მაიორატული მემკვიდრეობის წესის არსებობა.

ნაშრომში იშვიათად, მაგრამ მაინც, გვხვდება გამეორებები და გაუმართავი წინადადებანი, შედარებით ხშირად — კორექტურული შეცდომები (ზოგან საკმაოდ უხეშიც: გვ. 9-ზე უნდა იყო „царства“, არის „управа“; 141 გვ. ნაცვლად XVII ს.სა იკითხება XVIII ს.).

საერთოდ კი სარეცენზიო წიგნი საქართველოს სახელმწიფოსა და სამართლის ისტორიის მეცნიერებისათვის კარგ შენაძენად უნდა ჩაითვალოს.

ი. შუბაძარამ,

იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატი.

# ინფორმაცია



## პროკურატურის მუშაკთა თათბირი

საქართველოს პროკურატურის მუშაკები შეიკრიბნენ თათბირზე, რათა განეხილათ სოციალისტური კანონიერების განმტკიცებისა და დამნაშავეობასთან ბრძოლის გაძლიერების აქტუალური საკითხები და შეეჯამებინათ გასული წლის საქმიანობის შედეგები.

თათბირის მუშაობაში მონაწილეობდნენ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე **გ. ძოწენიძე**, სსრ კავშირის გენერალური პროკურორის მოადგილე **ნ. უოგინი**, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ადმინისტრაციული ორგანოების განყოფილების გამგე **ზ. რატიანი**, რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი **ზ. კვაჭაძე**, საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარე **ვ. მაისურაძე**, რესპუბლიკის საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის მინისტრი **გ. შევარდნაძე**, რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოსთან არსებული იურიდიული კომისიის თავმჯდომარე **მ. ლომიძე**, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე **ბ. კაციტაძე**, პარტიული, საბჭოთა მუშაკები.

თათბირზე მოხსენება გააკეთა საქართველოს სსრ პროკურორმა **პ. ბერძენიშვილმა**. მან აღნიშნა, რომ პარტიული, საბჭოთა, ადმინისტრაციული ორგანოებისა და საზოგადოებრიობის მეცადინეობით რესპუბლიკაში შეიქმნა საშიშ დანაშაულთა მნიშვნელოვანი შემცირების ტენდენცია. მაგალითად, შარშან 1966 წელთან შედარებით აღრიცხულია ნაკლები დანაშაული.

ხელაგნობასთან ბრძოლის გაძლიერების შესახებ სკვპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს გადაწყვეტილების განხორციელების კვალობაზე უფრო ორგანიზებულად და მტკიცედ წარმოებს ბრძოლა დამნაშავეობის წინააღმდეგ.

პროკურატურის მუშაკები თავიანთ ყოველდღიურ პრაქტიკაში სულ უფრო მტკიცედ ეყრდნობიან საზოგადოებრიობის აქტივს. მათ წესად შემოიღეს და რეგულარულად აწყობენ საწარმოებში, კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში ლექციებსა და მოხსენებებს სამართლებრივ თემებზე.

მოხსენების განხილვაში მონაწილეობა მიიღეს ქალაქ თბილისის პროკურორმა **ა. ტაკიძემ**, აფხაზეთის ასსრ პროკურორმა **მ. არღუნმა**, აჭარის ასსრ პროკურორმა **დ. ბაჭელიძემ**, ქ. ქუთაისის პროკურორმა **ა. უღენტმა**, ზესტაფონის რაიონის პროკურორმა **ა. ალექსიძემ**, ახალქალაქის რაიონის პროკურორმა **ი. აბრამიანმა**, საქართველოს სსრ პროკურატურის საგამომძიებლო განყოფილების უფროსმა **გ. მეგრელიშვილმა**, საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარემ **ვ. მაისურაძემ**, რესპუბლიკის საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის მინისტრის მოადგილემ **გ. თოდრიამ**, რესპუბლიკის პროკურატურის სასამართლოებში სისხლის სამართლის საქმეთა განხილვაზე ზედამხედველობის განყოფილების უფროსმა **ლ. ზაჩიკმა**, რესპუბლიკის პროკურატურის სასამართლოებში სამოქალაქო სამართლის საქმეთა განხილვაზე ზედამხედველობის განყოფილების უფროსმა **ვ. ასიეშვილმა**.

თათბირზე სიტყვები წარმოთქვეს სსრ კავშირის გენერალური პროკურორის მოადგილემ **ნ. უოგინმა** და საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ **გ. ძოწენიძემ**.



## ქანაქაულის წინააღმდეგ ბრძოლა — უკრაინის ხანგრძლივი

მიმდინარე წლის 3 აპრილს ძერჟინსკის საზღვრობის კლუბში გამართა თბილისის ადმინისტრაციული ორგანოების აქტივის კრება, რომელიც შესავალი სიტყვით გახსნა საქართველოს კპ თბილისის საქალაქო კომიტეტის პირველმა მდივანმა **ო. ლოლაშვილმა**.

მოხსენებით — „დანაშაულობათა წინააღმდეგ ბრძოლის საქმეში 1967 წლის მუშაობის შედეგები და მომავლის ამოცანები“ გამოვიდა ქალაქის პროკურორი **ა. ტაყიძე**.

— ზემდგომი პარტიული და საბჭოთა ორგანოების ყოველდღიური ხელმძღვანელობითა და დახმარებით, — ამბობს მომხსენებელი, — დედაქალაქის ადმინისტრაციულმა ორგანოებმა 1967 წელს მნიშვნელოვანი ღონისძიებები გაატარეს დანაშაულობასთან წინააღმდეგ ბრძოლისა და სოციალისტური კანონიერების შემდგომი განმტკიცებისათვის.

მოპოვებული წარმატებები სრულიად არ აკმაყოფილებს ჩვენს წინაშე მდგარ მოთხოვნებს. წუნი ჩვენს საქმიანობაში ჯერ კიდევ დიდია, არ არის აღმოფხვრილი უხარისხოდ გამოძიებული საქმეების სასამართლოში წარმართვის, უსაფუძვლოდ საქმეთა გაჭიანურების, მოქალაქეთა უსაფუძვლოდ დაკავება-დაპატიმრების ცალკეული შემთხვევები. ამ მხრივ უკეთესი მონაცემები აქვთ ქ. თბილისის ოქტომბრისა და პირველი მაისის რაიონის პროკურატურებს.

ზოგიერთი გამოძიებლის ზერღე, უხასუნის მიმდებლო დამოკიდებულება საქმისადმი იწვევს საქმეთა უხარისხოდ გამოძიებისა და საგამომძიებლო ვადების დარღვევის ფაქტებს. აღნიშნული მიზეზით დატურუნდათ დამატებითი გამოძიებისათვის საქმეები გამოძიებულბს — ბროკვილის, დავითაშვილს, მამალაძეს, სორდის, ნოდის, მამულაშვილს, ტყეშელაშვილს და სხვებს. ეს ამავე დროს იმის მუწყებელიცაა, რომ რაიონის პროკურორები არ უწყვენ სათანადო კონტროლსა და დახმარებას გამოძიებულბს, არ იჩენენ საჭირო მომთხოვნელობას მათ მიმართ.

ადგილი აქვს უსაფუძვლოდ სისხლის სამართლის საქმეთა აღძვრის შემთხვევებს. აღნიშნული ძირითადად შეეხება ლენინის, 26 კომისიის, ორჯონიკიძისა და კალინინის სახელობის რაიონის პროკურატურებს და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის სამინისტროს ქა-

ლაქის საგამომძიებლო განყოფილებას. მათ უნდა გაითვალისწინონ დაშვებული შეცდომები და ამასთან გადაკრით გააუმჯობესონ მონაცემები საქმეთა აღძვრის საფუძვლიანობისა.

ამხ. ტაყიძე ვრცლად ლაბარაკობს მილიციის, სასამართლოსა და საერთო ზედამხედველობის ხაზით საპროკურორო ზედამხედველობის შესახებ. აღნიშნავს, რომ განვილი პერიოდში მნიშვნელოვნად გააუმჯობესეს თავიანთი საქმიანობა სასამართლო ორგანოებმა. ამდღდა განაჩენებისა და გადაწყვეტილებათა ხარისხი. ამასთან ერთად ჯერ კიდევ საკმაოდ გვგვდება საქმეთა უსაფუძვლოდ გაჭიანურების, ლიბერალური და სხვა სახის კანონსაწინააღმდეგო განაჩენებისა და გადაწყვეტილებათა გამოტანის ფაქტები.

ლენინის რაიონის სახ. სასამართლომ (სახალხო მოსამართლე ლლონტი) ორი წლით თავისუფლების აღკვეთა აკმარა, ბრალდ. კირაკოსიანს, რომელმაც თბილისის რკინიგზის სადგურზე უამრავი ხალხის თვალწინ, სრულიად უმიზეზოდ ატეხა დებოში, სცემა მოქ. თხიზვალელს და მიაყენა სიცოცხლისათვის საშიში მძიმე კატეტორიის დაზიანება. აღნიშნული განაჩენი პროკურორის პროტესტის საფუძველზე გააუქმა საქართველოს სსრ უმაღლესმა სასამართლომ და იმავე სახალხო სასამართლოს სხვა შემადგენლობამ მას 6 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსჯა.

პროკურატურის ორგანოების საქმიანობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი უბანია წუნდებული პროდუქციის გამოშვების წინააღმდეგ ქმედით ღონისძიებათა განხორციელება. ამ მიზნით სისტემატურად მოწოდება დედაქალაქში განლაგებული საწარმოო დაწესებულებები, რაც ხელს უწყობს ფაბრიკა-ქარხნებისა და სხვათა მიერ დამზადებულ ნაწარმის ხარისხის გაუმჯობესებას. მიუხედავად ამისა თბილისის ზოგიერთ საწარმოებში მაინც გრძელდება წუნდებული პროდუქციის გამოშვება და ამასთან დაკავშირებით დღდა მიღებულ რეკლამაციების რაოდენობა. ამ მხრივ განსაკუთრებით ცუდი მდგომარეობაა აბრეშუმსაქსოვ ფაბრიკაში, მუდკამვლის კომბინატში, ფხვსაღმელების ფაბრიკა „ისანი“, „ელექტროავტომობილი“, „ცენტროლიტი“. თბილისის არც ერთ საწარმოში სათანადოდ არ არის დაყენებული უხარისხო პრო-



დუქციის გამოშვებით სახელმწიფოსათვის მიყენებული ზარალის ანაზღაურების საკითხი, მაშინ როდესაც კანონით იგი უნდა გადაიხადოს იმ პირობა, ვისაც ბრალი მიუძღვის წუნდებულო ნაწარმის დამზადებაში.

დედაქალაქის საწარმო-დაწესებულებებში ჯერ კიდევ ცუდად დგას უსაფრთხოების ტექნიკისა და შრომის კანონთა დაცვის საქმე. ხშირია სამუშაოდან უსაფუძვლოდ მოხსნისა და სხვა სახის დისციპლინური სასჯელის დადების შემთხვევები.

საკმარისად არ სრულდება საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის 1967 წლის 28 აგვისტოს დადგენილება „მშრომელთა საჩივრების განხილვისა და მოხვედრის მიღების ორგანიზაციის“ შესახებ. მართლაც თბილისის 26 კომისიის სახელობის რაიონის საბინაო განყოფილებაში 1967 წელს დარღვეულია 445 საჩივრის განხილვის ვადა.

არასახარბიელო მდგომარეობაა სავაჭრო დაწესებულებათა მუშაობაში — ხშირია ზომიწონაში მოტყუების ფაქტები, ხოლო მათ წინააღმდეგ ბრძოლა ეფექტურად არ მიმდინარეობს.

თბილისის ზოგიერთ საწარმო-დაწესებულებაში მოდუნებულია სიფხიზლე, დაბალ დონეზეა კონტროლი, რაც ხელსაყრელ ნიადაგს ჰქმნის ბოროტმოქმედებისა და სახელმწიფო ქონების გაფლანგვა-დატაცებისათვის. არ არის დამაკმაყოფილებელი კადრების შერჩევის საქმე, მატერიალურად საბასუხისმგებლო თანამდებობაზე ხშირად ინიშნებიან ნდობადაკარგული, საეჭვო პირები. საწარმო-დაწესებულებათა ზოგიერთი ხელმძღვანელები არ უწყვეტ სისტემატურ კონტროლს მატერიალურ პასუხისმგებელი პირების საქმიანობას და არ ღებულობენ საჭირო ზომებს დამნაშავეთა მიმართ. საჭიროა საწარმო-

დაწესებულებათა ხელმძღვანელობა და პარტიულმა ორგანიზაციამ პასუხი აგოს სახელმწიფო ქონების დატაცებისათვის, მკაცრი პასუხი მოეთხოვოს იმ ხელმძღვანელებს, ვინც შეუფერებელ მუშაკებს ჩააბარებენ სახელმწიფო ქონებას; სხვანაირად წესრიგი არ დამყარდება.

იმის მიუხედავად, რომ საანგარიშო პერიოდში სერიოზული ღონისძიებები განხორციელდა სკკ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1966 წლის 23 ივლისის დადგენილების — „დანაშაულობასთან ბრძოლის გაძლიერების ღონისძიებათა შესახებ“ და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1966 წლის 26 ივლისის პრეზიდიუმის „ხელისუფლებისათვის პასუხისმგებლობის გაძლიერების შესახებ“ ცხოვრებაში გასატარებლად, ამ მიმართებით ჯერ კიდევ არსებითი ხარვეზები აქვთ დედაქალაქის ადმინისტრაციულ ორგანოებს, პარტიულ, პროფკავშირულ და კომკავშირულ ორგანიზაციებს, საწარმო-დაწესებულებათა კოლექტივებს.

აქტივის კრებაზე კამათში მონაწილეობა მიიღეს პარტიის ლენინის რაიკომის მდივანმა **ს. თოხაძემ**, საქალაქო საბჭოს აღმასკომის მილიციის სამმართველოს უფროსის მოადგილემ **მ. ჯაფარიძემ**, სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის რექტორმა **ი. სარიშვილმა**, 26 კომისიის რაიონის სახალხო სასამართლოს თავმჯდომარემ **ა. სტურუამ**, კომკავშირის საქალაქო კომიტეტის მეორე მდივანმა **ვ. ალავიძემ**, ოქტომბრის რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ **კ. აბაშაძემ**, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ადმინისტრაციული ორგანოების გამგის მოადგილემ **მ. გვასალიამ**.

აქტივის კრებაზე ვრცელი სიტყვით გამოვიდა საქართველოს კვ თბილისის კომიტეტის პირველი მდივანი **ო. ლოლაშვილი**.



# მსჯელობის სიხანი — არასრულწლოვანთა დანაშაულებების წინააღმდეგ ბრძოლა

ამას წინათ თბილისის საზოგადოებრიობის შეკრებაზე, რომელსაც ესწრებოდნენ განათლების, პროკურატურის, მილიციის, რაისაბჭოს აღმასკომების, კომკავშირის რაიკომების, ბავშვთა ოთახების, საწარმო-დაწესებულებათა წარმომადგენლები, იმჯერლეს არასრულწლოვანთა უზედამხედველობის წინააღმდეგ ბრძოლის ღონისძიებათა შესახებ.

კრება შესავალი სიტყვით გახსნა საქალაქო საბჭოს აღმასკომის მოადგილემ, არასრულწლოვანთა საქმეების საქალაქო კომისიის თავმჯდომარემ **გ. გოშაძემ**.

შეკრებაზე მოხსენებით გამოვიდა ქალაქის პროკურორის თანაშემწე **შ. გაგუნაშვილი**.

მიუხედავად იმისა, აღნიშნავს მომხსენებელი, რომ რესპუბლიკაში პარტიული ორგანოების ხელმძღვანელობითა და დახმარებით, ადმინისტრაციული ორგანოებისა და მთელი საზოგადოებრიობის მიერ ჩატარებულია ნაყოფიერი მუშაობა დანაშაულებების წინააღმდეგ ბრძოლის საქმეში, ჯერ კიდევ გვხვდება არასრულწლოვანთა შორის საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევისა და დანაშაულის ჩადენის შემთხვევები. წინა წელთან შედარებით მიღწეულ წარმატებათა მიუხედავად ჯერ კიდევ ბევრი აქეთ გასაკეთებელი და მთელ შესაძლებლობებს ვერ იყენებენ პროკურატურის, მილიციის, განათლებისა და სხვა სათანადო ორგანოებისა და საწარმო-დაწესებულებათა ხელმძღვანელები.

მომხსენებელი ლაპარაკობს არასრულწლოვანთა შორის მუშაობის საკვირობოტო საკითხებზე — სკოლებიდან ბავშვთა განთესვის წინააღმდეგ ბრძოლაზე, არასრულწლოვანთა საქმეების კომისიების, მილიციის განყოფილებებში არასრულწლოვანთა ხაზით მომუშავე ოპერმუშაეებისა და საწარმო-დაწესებულებათა მიერ

ბავშვთა საქმეების განხილვის გაჭინურებაზე, შრომაში ჩაბმულ ბავშვთა სუსტ კონტროლზე.

დასასრულ მომხსენებელმა აღნიშნა, რომ არასრულწლოვანთა შორის წესრიგის დარღვევისა და დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის საქმეში ადმინისტრაციულ ორგანოებთან ერთად დიდი პასუხისმგებლობა აკისრიათ ნაშობლებს, სკოლას, კომკავშირულ, პროფკავშირულ ორგანიზაციებს. ამ მხრივ ბევრი ნაყოფიერი შედეგები და მათი გამოსწორება ხელს შეუწყობს არასრულწლოვანთა დანაშაულებრივი ქმედობის შემცირებასა და უზედამხედველობის წინააღმდეგ ბრძოლის შემდგომ გაუმჯობესებას.

მომხსენების ირგვლივ გამართულ კამათში მონაწილეობა მიიღეს საქალაქო საბჭოს აღმასკომის მილიციის სამმართველოს სისხლის სამართლის სამმართველო ქვეგანყოფილების უფროსმა

- ა. სადაგოვამ**, კომკავშირის ოქტომბრის რაიკომის მდივანმა **ე. ზარქუამ**, მშრომელთა დებუტატების კიროვის რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის მოადგილემ, არასრულწლოვანთა საქმეების რაიონული კომისიის თავმჯდომარემ **კ. პეიშვილმა**, 26 კომისრის რაისაბჭოს აღმასკომის განათლების განყოფილების გამგემ **ს. ხოშტარიამ**, მაუდ-კამეოლის კომბინატის უსაფრთხოების ტექნიკის უფროსმა **ინჟინერმა გ. ბეგთაბეგოვამ**, მუშა-ახალგაზრდობის მე-19 სკოლის დირექტორმა **გ. ბარამიამ** და აბრეშუმსაქსოვი ფაბრიკის კომკავშირული ორგანიზაციის მდივანმა **ა. ჩიხლაძემ**.

შეკრების მუშაობა შეაჯამა საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის მოადგილემ, არასრულწლოვანთა საქმეების საქალაქო კომისიის თავმჯდომარემ **გ. გოშაძემ**.

დასასრულ არასრულწლოვანთა შორის მუშაობის გაუმჯობესების მიზნით შეკრების მონაწილეებმა მიიღეს დადგენილება.

# ნაკროლოგი

## ა. ა. ჯომიდავა



მოულოდნელად გარდაიცვალა საქართველოს სსრ დამსახურებული იურისტი, რესპუბლიკის პროკურატურის სასამართლოებში სისხლის სამართლის საქმეების განხილვაზე ზედამხედველობის განყოფილების უფროსის მოადგილე, იუსტიციის უფროსი მრჩეველი აკაკი ალექსის ძე ჯომიდავა.

აკაკი ალექსის ძე ჯომიდავა დაიბადა 1910 წელს ოჩამჩირის რაიონის სოფელ კოჩარაში, გლეხის ოჯახში. 1928 წელს დაამთავრა ოჩამჩირის საშუალო სკოლა, ხოლო 1934 წელს --

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი. ა. ა. ჯომიდავა სკკპ წევრი იყო 1939 წლიდან.

ა. ა. ჯომიდავა მუშაობდა სახალხო გამოძიებლად, ქ. სოხუმის პროკურორად, გარნიზონის სამხედრო ტრიბუნალის წევრად, დივიზიის სამხედრო პროკურორად, თბილისის გარნიზონის სამხედრო პროკურორის თანაშემწედ, საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს ჯარების პროკურორის თანაშემწედ, შინაგან საქმეთა სამინისტროს ქუთაისის ოლქის პროკურორად, საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს ჯარების პროკურორის თანაშემწედ, საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს ჯარების სამხედრო პროკურორად, ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის სამხედრო პროკურორის თანაშემწედ, ხოლო შემდეგ საქართველოს სსრ პროკურატურის განყოფილების უფროსის მოადგილედ.

ა. ა. ჯომიდავა დიდი სამამულო ომის მონაწილეა. იგი დაჯილდოებული იყო „წითელი ვარსკვლავის“ ორდენით, მედლებით და საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.

მეგობრებისადმი გულისხმიერი დამოკიდებულებით, უბრალოებით, თავმდაბლობით, პრინციპულობითა და თავისი თავისადმი მომთხოვნელობით ა. ა. ჯომიდავამ დაიმსახურა სიყვარული, პატივისცემა და მაღალი ავტორიტეტი სადაც კი იგი მუშაობდა და ვინც მას იცნობდა.

ნათელი ხსოვნა აკაკი ალექსის-ძე ჯომიდავასი, როგორც ძვირფასი მეგობრისა და შესანიშნავი ადამიანისა, მუდამ დარჩება მისი მეგობრების გულში.

ამხანაგების ჯგუფი.

8560 60 333.

ИНДЕКС 78185



# СОВЕТСКОЕ ПРАВО № 2

(да грузинском языке)

Орган Верховного Суда ГССР, Прокуратуры ГССР  
и Юридической Комиссии при Совете Министров  
Грузинской ССР